

გზამკვლევი პრინციპები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის
მე-6 მუხლთან დაკავშირებით

სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება
(სამოქალაქო სამართლებრივი ასპექტები)

განახლებული ვერსია 30 აპრილი 2017

გამომცემლობებმა ან ორგანიზაციებმა, რომლებიც დაინტერესებული არიან წინამდებარე მასალის (ან მისი თარგმნილი ვერსიის) რეპროდუცირებაში, შემდგომი ინსტრუქციებისთვის უნდა მიმართონ: publishing@echr.coe.int

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2017

წინამდებარე დოკუმენტი შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ შემდეგი მისამართიდან: www.echr.coe.int (პრეცედენტული სამართალი - პრეცედენტული სამართლის ანალიზი - სახელმძღვანელო დირექტივები პრეცედენტულ სამართალთან დაკავშირებით).

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია სამეცნიერო კვლევების განყოფილების მიერ, და სასამართლოს მასთან დაკავშირებით რაიმე ვალდებულებები არ ეკისრება. ტექსტის საბოლოო ვერსია 2017 წლის 30 აპრილი მომზადდა, და დოკუმენტი შეიძლება სარედაქციო გადასინჯვას დაექვემდებაროს.

დოკუმენტის რედაქტირება:

მარინა კვაჭაძე

ანალიტიკური განყოფილების უფროსი

დოკუმენტი დაამუშავეს:

გულიკო მჭედლიშვილმა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადამიანის უფლებათა ცენტრის
კონსულტანტი

ეკა მამალაძემ

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადამიანის უფლებათა ცენტრის მთავარი
კონსულტანტი

სარჩევი

I. გამოყენების სფერო: „სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების“ ცნება	5
A. მე-6.1 მუხლის გამოყენების ზოგადი მოთხოვნები	5
1. ტერმინი „დავა“	6
2. სადავო უფლების არსებობა ეროვნულ კანონმდებლობაში.....	9
3. უფლების „სამოქალაქო“ ბუნება	13
4. კერძო უფლებები: მატერიალური მოცულობა.....	13
B. მე-6 მუხლის გავრცელება სხვა სახის დავეზზე.....	16
C. ძირითადი სამართალწარმოების გარდა სხვა სამართალწარმოებებში მე-6 მუხლის გამოყენება	22
D. გამონაკლისი საკითხები	26
II. სასამართლოსადმი მიმართვის უფლება	30
A. სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება	30
1. უფლება, რომელიც პრაქტიკული და ეფექტურია	32
2. შეზღუდვები	38
B. უარის თქმა	47
1. პრინციპი.....	47
2. პირობები	48
C. იურიდიული დახმარება.....	49
1. იურიდიული დახმარებით უზრუნველყოფა	49
2. მიღებული იურიდიული დახმარების ეფექტურობა	51
III. ინსტიტუციონალური მოთხოვნები	53
A. „სასამართლოს“ ცნება	53
1. ავტონომიურობის ცნება	53
2. იურისდიქცია.....	55
3. გადაწყვეტილების გადასინჯვა სრული იურისდიქციის მქონე სასამართლოს მიერ	57
4. გადაწყვეტილებების აღსრულება	64
B. კანონის საფუძველზე შექმნილი.....	72
C. დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა.....	74
1. ზოგადი მიდგომები	74
2. დამოუკიდებელი ტრიბუნალი.....	75
a. სასამართლოს დამოუკიდებლობა აღმასრულებელ ხელისუფლებასთან მიმართებით.....	77
b. სასამართლოს დამოუკიდებლობა პარლამენტთან მიმართებით.....	78

c. სასამართლოს დამოუკიდებლობა მხარეებთან მიმართებით.....	78
d. სასამართლოს დამოუკიდებლობის შეფასების კრიტერიუმები	78
3. მიუკერძოებელი ტრიბუნალი	80
a. მიუკერძოებლობის შეფასების კრიტერიუმი	81
b. ვითარებები, რომლებიც ეჭვს ბადებენ სასამართლოს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით....	85
ii. პირადი ხასიათის გარემოებები	90
IV პროცედურული გარანტიები.....	91
A. სამართლიანობა	91
1. ზოგადი პრინციპები	91
2. ფარგლები	94
მაგალითები:.....	100
3. მეოთხე ინსტანცია	110
a. ზოგადი პრინციპები	110
b. სტრასბურგის სასამართლოს ზედამხედველობის ფარგლები.....	112
c. ეროვნული სასამართლო პრაქტიკის შესაბამისობა.....	115
4. შეჯიბრებითი სამართალწარმოება.....	118
5. მხარეთა თანასწორუფლებიანობა	122
6. მტკიცებულებათა გამოყენება	126
a. მოწმეთა ჩვენება.....	126
b. ექსპერტების მოსაზრება	127
7. სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთება	129
B. საჯარო განხილვა	132
1. საჯარო განხილვა	133
2. გადაწყვეტილების გამოტანა	142
C. სამართალწარმოების ხანგრძლივობა.....	145
1. სამართალწარმოების ხანგრძლივობის განსაზღვრა	145
2. გონივრული ვადის მოთხოვნის შეფასება.....	148

I. გამოყენების სფერო: „სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების“ ცნება

A. მე-6.1 მუხლის გამოყენების ზოგადი მოთხოვნები

1. „სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების“ ცნება არ შეიძლება განიმარტოს მხოლოდ მოპასუხე სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე; ეს არის „ავტონომიური“ კონცეფცია, რომელიც გამომდინარეობს კონვენციიდან. კონვენციის მე-6 მუხლი ვრცელდება დამოუკიდებლად მხარეთა სტატუსის, კანონმდებლობის ბუნების, რომელითაც რეგულირდება „დავა“ (სამოქალაქო, კომერციული, ადმინისტრაციული სამართალი და ა.შ.), და იმ ხელისუფლების ორგანოს ბუნებისგან რომელზეც ვრცელდება შესაბამისი იურისდიქცია (საერთო სასამართლოები, ადმინისტრაციული ორგანო და ა.შ.), (*ჯეორჯიადისი საბერძნეთის წინააღმდეგ*, §34;¹ *ბოჩანი უკრაინის წინააღმდეგ* (N2) [დიდი პალატა], §43).²

2. თუმცა, ტექსტში არ იყო წარმოდგენილი პრინციპი, რომ კონვენციაში არსებული ავტონომიური ცნებების ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს უახლესი გარემოებების გათვალისწინებით და სასამართლოს არ აძლევს იმის უფლებამოსილებას, რომ განმარტოს მე-6.1 მუხლი, როგორც „სამოქალაქო“ საპროცესო უფლება (შეზღუდვები, რომლებსაც პროცესუალური სამართალი აუცილებლად მოიაზრებს იმ „უფლებებისა და მოვალეობების“ კატეგორიაში, რომელზეც ხდება მოცემული მუხლის გამოყენება) (*ფერაზინი იტალიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], § 30)³.

3. სამოქალაქო საკითხებზე მე-6.1 მუხლის გამოყენებადობა, პირველ რიგში, დამოკიდებულია „დავის“ არსებობაზე (ფრანგულად, „*contestation*“). მეორე რიგში, დავა უნდა ეხებოდეს „უფლებსა და მოვალეობებს“ რომლებიც, ყველაზე ცოტა, აღიარებული უნდა იყოს ეროვნული კანონმდებლობით. ბოლოს, ეს „უფლებები და ვალდებულებები“ უნდა იყოს კონვენციის მნიშვნელობით „სამოქალაქო“ ხასიათის, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულთან მიმართებით, მე-6 მუხლი თავად არ ადგენს რაიმე კონკრეტული სახის შინაარსს ხელშემკვრელი სახელმწიფოების სამართლებრივ სისტემებში (*ჯეიმსი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §81)⁴.

¹ *Georgiadis v. Greece*, 29 May 1997, §34, 1997-III.

² *Bochan v. Ukraine* (N 2) [დიდი პალატა], N 22251/08, §43, ECHR 2015.

³ *Ferrazzini v. Italy* [დიდი პალატა], N 44759/98, §30, ECHR 2001-VII.

⁴ *James and Others v. the United Kingdom*, 21 თებერვალი 1986, §81, Series A N98.

1. ტერმინი „დავა“

4. სიტყვა „დავას“ უნდა მიენიჭოს არსებითი მნიშვნელობა და არა ფორმალური (ლუ კომპტე, ვან ლეუვენ და დე მეიერე ბელგიის წინააღმდეგ, §45⁵; მორეირა დე აზევედო პორტუგალიის წინააღმდეგ, §66⁶). აუცილებელია გამოყენებული გამოსახულებებისა და ენის განსაზღვრა და თითოეული საქმის გარემოებების გათვალისწინებით, არსებულ მდგომარეობაზე კონცენტრირება (გოროუ საბერძნეთის წინააღმდეგ (N2) [დიდი პალატა]⁷, §29; ბოულოისი ლუქსემბურგის წინააღმდეგ [დიდი პალატა], §92⁸). თუმცა, მე-6 მუხლი არ გამოიყენება არასადავო და ცალმხრივი პროცესის დროს, რომელშიც არ არსებობს დაპირისპირებული მხარეები და რომელიც გამოსადეგია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს დავა უფლებებზე (ალავერდიანი სომხეთის წინააღმდეგ (განჩინება), § 35)⁹. ასევე, მე-6 მუხლი არ ვრცელდება გამოძიების ანგარიშებზე, რომელთა მიზანია ფაქტების დადგენა და აღრიცხვა, რომლებიც შემდგომში სხვა კომპეტენტური ორგანოების მიერ შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის, მარეგულირებელი, დისციპლინური ან თუნდაც საკანონმდებლო ქმედების საფუძველი (იმ შემთხვევაშიც კი თუ ანგარიშები ზიანს აყენებს მასში მონაწილე პირთა რეპუტაციას) (ფაიედი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §61)¹⁰.

5. „დავა“ უნდა იყოს ნამდვილი და სერიოზული ხასიათის (სპორონგი და ლონროთი შვედეთის წინააღმდეგ §81)¹¹. ეს გამორიცხავს, მაგალითად, რომ ციხის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ დაიწყოს სამოქალაქო საქმისწარმოება მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ ციხეში იმყოფებიან აივ ინფიცირებული პატიმრები(სკორობოგატიხი რუსეთის წინააღმდეგ (განჩინება))¹². მაგალითად, სასამართლომ დაადგინა რომ „დავა“ იყო ნამდვილი საქმეში, რომელიც ეხებოდა პროკურორის მიმართ თხოვნით მიმართვას საკასაციო საჩივრის შეტანის თაობაზე, რადგანაც იგი წარმოადგენდა მთლიანი სამართალწარმოების არსებით ნაწილს რომ მომჩივანი სამოქალაქო სარჩელში ერთ-ერთ მხარედ ჩაება კომპენსაციის მისაღებად (გოროუ საბერძნეთის წინააღმდეგ (N2) [დიდი პალატა], §35)¹³.

⁵ Le Compte, Van Leuven and De Meyere v. Belgium (მუხლი 50), 18 ოქტომბერი 1982, § ..., Series A N 54.

⁶ Moreira de Azevedo v. Portugal, 23 ოქტომბერი 1990, Series A N 189.

⁷ Gorou v. Greece (N 2) [დიდი პალატა], N 12686/03, §29, 20 მარტი 2009.

⁸ Boulois v. Luxembourg [დიდი პალატა], N 37575/04, §92, ECHR 2012.

⁹ Alaverdyan v. Armenia (განჩინება), N 4523/04, 24 აგვისტო 2010.

¹⁰ Fayed v. the United Kingdom, 21 სექტემბერი 1994, §61, Series A N 294-B.

¹¹ Sporrang and Lönnroth v. Sweden, 23 სექტემბერი 1982, §81, Series A N 52.

¹² Skorobogatikh v. Russia (განჩინება), N 37966/02, 8 ივნისი 2006.

¹³ Gorou v. Greece (N 2) [დიდი პალატა], N 12686/03, §35, 20 მარტი 2009.

6. დასაშვებობის ეტაპზე საქმისწარმოებისას არ არსებობს „დავა“ „სამოქალაქო“ უფლებებსა და ვალდებულებზე (*ნემევი ბულგარეთის წინააღმდეგ* (განჩინება)¹⁴; *ნიკოლასი კვიპროსის წინააღმდეგ* (განჩინება)¹⁵, პრეცედენტულ სამართალზე შემდგომ მითითებებთანერთად). რიგ საქმეებში, როდესაც ეროვნულმა სასამართლოებმა დასაშვებად არ ცნეს სარჩელი პროცედურულ საფუძვლებზე (უპირატესი საშუალება არ იყო გამოყენებული ან სასამართლოს წინაშე აღძრულ საქმეს აკლდა სამართლებრივი დასაბუთება), სასამართლომ დაადგინა, რომ „დავა“ რომელიც მომჩივნებმა ეროვნულ სასამართლოებში აღძრეს არც „ნამდვილი“ იყო და არც „სერიოზული“, შესაბამისად, არ გამოიყენებოდა კონვენციის მე-6.1 მუხლი (*ასტიკოს ოიკოდომიკოს სინეტაირისმოს ნეა კონსტანტინოუპოლისი საბერძნეთის წინააღმდეგ* (განჩინება)¹⁶; *არვანიტაკისი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ* (განჩინება)¹⁷; და *სტავროულაკისი საბერძნეთის წინააღმდეგ* (განჩინება)¹⁸).

7. დავა შეიძლება ეხებოდეს არა მხოლოდ უფლების ფაქტობრივ არსებობას, არამედ მის ფარგლებს ან მეთოდს, რომლის მიხედვითაც იგი უნდა განხორციელდეს (*ბენზემი ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §32)¹⁹. დავა ასევე შეიძლება ეხებოდეს ფაქტობრივ გარემოებათა საკითხებსაც.

8. სამართალწარმოების შედეგი პირდაპირ გადამწყვეტი უნდა იყოს სადავო უფლებისთვის (*ულაიანოვი უკრაინის წინააღმდეგ* (განჩინება))²⁰. შესაბამისად, უმნიშვნელო კავშირი ან დისტანციური შედეგები არ არის საკმარისი კონვენციის მე-6.1 მუხლის გამოყენებისთვის (*ბოულოისი ლუქსემბურგის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], § 90)²¹. მაგალითად, სასამართლომ დაადგინა, რომ საქმისწარმოება, ბირთვული სადგურის მიმდინარე ლიცენზიის გაგრძელებასთან დაკავშირებით არ ექცევა 6.1 მუხლის ფარგლებში, რადგან კავშირი ლიცენზიის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებასა და სიცოცხლის უფლების, ფიზიკური ხელშეუხებლობის და ქონების დაცვის თაობაზე იყო „უმნიშვნელო და დისტანციური“, მომჩივანებმა ვერ დაამტკიცეს, რომ ისინი პირადად იდგნენ საფრთხის წინაშე, რომელიც არა მხოლოდ კონკრეტული იყო არამედ, რაც მთავარია, გარდაუვალი (*ბალმერ-შაფროტი და სხვები*

¹⁴ Neshev v. Bulgaria, N 40897/98, § ..., 28 ოქტომბერი 2004.

¹⁵ Nicholas v. Cyprus, N 63246/10, § ..., 9 იანვარი 2018.

¹⁶ Astikos Oikodomikos Synetairismos Nea Konstantinoupolis v. Greece (განჩინება) N 37806/02.

¹⁷ Arvanitakis and Others v. Greece (განჩინება) N 21898/10.

¹⁸ Stavroulakis v. Greece (განჩინება) N 22326/10.

¹⁹ Benthem v. the Netherlands, 23 ოქტომბერი 1985, §32, Series A N 97.

²⁰ Ulyanov v. Ukraine (განჩინება), N 16472/04, 5 ოქტომბერი 2010.

²¹ Boulois v. Luxembourg [დიდი პალატა], N 37575/04, §90, ECHR 2012.

შვეიცარიის წინააღმდეგ, §40²²; ათანასოგლუ და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ [დიდი პალატა]²³, §§ 46-55; სდრუჟენი ჯიოჩესკე მატკი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ (განჩინება)²⁴; საქმე, ქარხანაში გარემოს ხმოვანი დაბინძურების შეზღუდვასთან დაკავშირებით (ზაპლეტალი ჩეხეთის წინააღმდეგ (განჩინება))²⁵, ან საქმე, რომელიც ეხება სამთო ნარჩენების დამუშავებისთვის ქარხნის ჰიპოთეტურ ზეგავლენას გარემოზე (ივან ატანასოვი ბულგარეთის წინააღმდეგ §§ 90-95²⁶). ანალოგიურად, საქმის წარმოებას, რომელიც ორმა საჯარო მოხელემ დაიწყო ერთ-ერთი კოლეგის თანანმდებობაზე დანიშვნასთან დაკავშირებით, შეეძლო მხოლოდ დისტანცირებული ეფექტი მოეხდინა მათ სამოქალაქო უფლებებზე, კერძოდ მათი დანიშვნის შესახებ უფლებაზე (რეველი და მორა საფრანგეთის წინააღმდეგ (განჩინება))²⁷.

9. ამის საპირისპიროდ, სასამართლომ კონვენციის მე-6.1 მუხლი გამოსაყენებლად ცნო საქმეში, რომელიც ეხება იმ კაშხალის მშენებლობას, რომელსაც შეეძლო დაეტბორა მომჩივნის სოფელი (გორაიზ ლიზარაგა და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ, §46)²⁸ და იმ საქმეში, რომელიც ეხებოდა ოქროს მადაროების მიმდინარე ნებართვას ოქროს ციანირების გამოტუტვის გამოყენების თაობაზე, მომჩივანთა სოფლების ახლოს (ტაშკინი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ §133²⁹; იხ. ასევე ზანდერი შვედეთის წინააღმდეგ §§24-25³⁰). სულ ცოტა ხნის წინ, ადგილობრივი გარემოს დაცვის ასოციაციის მიერ სააპელაციო საჩივრის საქმეზე, რომელიც შეეხებოდა დაგეგმარების ნებართვის მისაღებად სასამართლო განხილვას, სასამართლომ დაადგინა, რომ არსებობს საფუძვლიანი კავშირი დავასა და იურიდიული პირის მიერ მოთხოვნილ უფლებას - კერძოდ, ასოციაციის სტატუსსა და მის დამფუძნებლებს შორის და ის ფაქტი, რომ მისი მიზანი იყო შეზღუდული სივრცეში და არსებითად (*L'Érablière A.S.B.L. v. Belgium*, §§28-30)³¹. უფრო მეტიც, პირის სამართლებრივი შესაძლებლობების აღდგენის პროცესი პირდაპირ გადაწყვეტია მისი სამოქალაქო

²² Balmer-Schafroth and Others v. Switzerland, 26 აგვისტო 1997, §40, გადაწყვეტილება და განჩინებათა ანგარიშები 1997-IV.

²³ Athanassoglou and Others v. Switzerland [დიდი პალატა], N 27644/95, §§46-55, ECHR 2000-IV.

²⁴ Sdružení Jihočeské Matky v. the Czech Republic (განჩინება), N 19101/03, 10 ივლისი 2006.

²⁵ Zapletal v. the Czech Republic (განჩინება), N 12720/06, 30 ნოემბერი 2010.

²⁶ Ivan Atanasov v. Bulgaria, N 12853/03, §§90-95, 2 დეკემბერი 2010.

²⁷ Revel and Mora v. France (განჩინება), N 171/03, 15 ნოემბერი 2005.

²⁸ Gorraiz Lizarraga and Others v. Spain, N 62543/00, §46, ECHR 2004-III.

²⁹ Taşkın and Others v. Turkey, N 46117/99, §133, ECHR 2004-X.

³⁰ Zander v. Sweden, 25 ნოემბერი 1993, §§ 24-25, Series A N 279-B.

³¹ L'Érablière A.S.B.L. v. Belgium, N 49230/07, §§28-30, ECHR 2009.

უფლებებისა და მოვალეობებისათვის (*სტანევი ბულგარეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §233)³².

2. სადავო უფლების არსებობა ეროვნულ კანონმდებლობაში

10. მომჩივანს, სადავო საფუძვლით, უნდა შეეძლოს გაასაჩივროს ეროვნულ კანონმდებლობაში აღიარებული უფლება (*მესონი და ვან ზონი ნიდერლანდების წინააღმდეგ* §48³³; *გუტფრუნდი საფრანგეთის წინააღმდეგ* §41³⁴; *ბოულოისი ლუქსემბურგის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §§ 90-94³⁵). ხელშემკვრელი სახელმწიფოების ეროვნულ კანონმდებლობაში, მე-6 მუხლი არ ადგენს „უფლების“ რაიმე კონკრეტულ შინაარსს და პრინციპში, უფლების არსებობის განსაზღვრისას, სასამართლო უნდა დაეყრდნოს ეროვნულ კანონმდებლობას. სხვა კრიტერიუმები, რომლებიც შეიძლება სასამართლომ გაითვალისწინოს არის, მათ შორის, ადგილობრივ სასამართლოებში სადავო უფლების აღიარება, ან ის ფაქტი, რომ ამ უკანასკნელმა განიხილა მომჩივნის მოთხოვნის არსებითი მხარე (იქვე, §91-101). მაგალითად, სასამართლომ დაადგინა არსებობდა თუ არა ეროვნულ კანონმდებლობაში „სადავო“ უფლება კომპენსაციის თაობაზე, საქმეში *ვილჰო ესკელინენი და სხვები ფინეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §41³⁶.

11. სასამართლოს დასჭირდება მყარი საფუძვლები, იმისათვის რომ თავი აარიდოს ეროვნული სასამართლოების დასკვნებს, მათი მოსაზრებების საკუთარით შეცვლის გზით შიდა კანონმდებლობის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით და დასკვნის გამოტანის საშუალებით, მათი მოსაზრებების საწინააღმდეგოდ, რომ არსებობდა კანონმდებლობით აღიარებული სადავო უფლება. ამ შეფასების შესრულებისას, აუცილებელია გამოყენებული გამოსახულებისა და ენის წინასწარი განსაზღვრა და რეალურ სიტუაციაზე კონცენტრირება. სასამართლო არ უნდა მოექცეს რაიმე არასწორი გავლენის ქვეშ, მაგალითად, გამოყენებული საკანონმდებლო ტექნიკა ან ეროვნულ კანონმდებლობაში შესაბამის შეზღუდვაზე დაკისრებული ნიშნები (*რომე გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §§ 120-121)³⁷.

12. გამოიჩინა თუ არა ხელისუფლებამ კეთილგონიერება, იმის გადაწყვეტისას, დათანხმებოდა თუ არა მომჩივნის მიერ მოთხოვნილ ღონისძიებას, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული და ასევე შეიძლება იყოს გადამწყვეტიც.

³² Stanev v. Bulgaria [დიდი პალატა], N 36760/06, § 233, ECHR 2012.

³³ Masson and Van Zon v. the Netherlands, 28 september 1995, §48, Series A N 327-A.

³⁴ Gutfreund v. France, N 45681/99, §41, ECHR 2003-VII.

³⁵ Boulois v. Luxembourg [დიდი პალატა], N 37575/04, §§90-94, ECHR 2012.

³⁶ Vilho Eskelinen and Others v. Finland [დიდი პალატა], N 63235/00, § 41, ECHR 2007-II.

³⁷ Roche v. the United Kingdom [დიდი პალატა], N 32555/96, §§120-121, ECHR 2005-X.

მიუხედავად ამისა, მხოლოდ ის ფაქტი, რომ სამართლებრივი დებულების ფორმულირება შეესაბამება დისკრეციის ელემენტს, თავისმხრივ არ გამოორიცხავს უფლების არსებობას (*ფოდორი გერმანიის წინააღმდეგ* (განჩინება)³⁸; *პუდასი შვედეთის წინააღმდეგ*, §34³⁹).

13. სასამართლომ შესაძლოა გადაწყვიტოს, რომ უფლებები როგორცაა სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ჯანსაღი გარემოს და საკუთრების პატივისცემის უფლებები აღიარებულია ეროვნულ კანონმდებლობაში (*აზანასოგლოუ და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §44⁴⁰).

14. სადავო უფლებას უნდა ჰქონდეს სამართლებრივი საფუძველი ეროვნულ კანონმდებლობაში (*სზუჩსი ავსტრიის წინააღმდეგ*, §33)⁴¹. რაც შეეხება პერიოდს, რომლითაც შეფასდა არსებობდა თუ არა სადავო უფლება ეროვნულ კანონმდებლობაში, დაკავშირებული უნდა იყოს კანონში ცვლილებების შეტანასთან, , იხ. *ბაკა უნგრეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §110⁴². ამასთანავე, მაშინაც კი, თუკი არსებობს გარკვეული დოზით ტოლერანტობა ეროვნული ხელისუფლების მხრიდან, კანონი ვერ აღიარებს იმ ქმედებათა განხორციელების „უფლებას“, რომელიც აკრძალულია კანონით (*დე ბრუინი ნიდერლანდების წინააღმდეგ* (განჩინება), §58)⁴³.

15. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ თუ პიროვნებას აღძრული აქვს მოქმედი ეროვნული სარჩელი, იგი შეიძლება დაეყრდნოს არა მხოლოდ შინაარსს, სწორედ რომ ვთქვათ- შესაბამის სამოქალაქო უფლებას- როგორც განსაზღვრულია ეროვნულ კანონმდებლობაში, არამედ ასევე საპროცესო გარიგების არსებობას, რომ თავიდან იქნეს აცილებული ან შეიზღუდოს პოტენციური საჩივრები სასამართლოში (*ფაიედი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §65)⁴⁴. საქმეთა ამ უკანასკნელ კატეგორიაში, შესაძლოა გამოყენებული იქნეს კონვენციის 6.1 მუხლი (*ალ-ადსანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* [დიდი პალატა] §§47⁴⁵; *მკელჰინეი ირლანდიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §25⁴⁶). თუმცა, მას არ შეუძლია რაიმე განცხადების გაკეთება ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული უფლების არსებით

³⁸ Fodor v. Germany (განჩინება), N 25553/02, 11 დეკემბერი 2006.

³⁹ Pudas v. Sweden, 27 ოქტომბერი 1987, Series A N 125-A.

⁴⁰ Athanassoglou and Others v. Switzerland [დიდი პალატა], N 27644/95, §44, ECHR 2000-IV.

⁴¹ Szücs v. Austria, 24 ნოემბერი 1997, §33, გადაწყვეტილებათა და განჩინებათა ანგარიშები 1997-VII.

⁴² Baka v. Hungary [დიდი პალატა], N 20261/12, §110, ECHR 2016.

⁴³ De Bruin v. the Netherlands (განჩინება), N 9765/09, 17 სექტემბერი 2013.

⁴⁴ Fayed v. the United Kingdom, 21 სექტემბერი 1994, §65, Series A N 294-B.

⁴⁵ Al-Adsani v. the United Kingdom [დიდი პალატა], N 35763/97, §47, ECHR 2001-XI.

⁴⁶ McElhinney v. Ireland [დიდი პალატა], N 31253/96, §25, ECHR 2001-XI.

შეზღუდვასთან დაკავშირებით (*როშე გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §119)⁴⁷. კონვენციის ინსტიტუტებმა არ შეიძლება შექმნან არსებითი სამოქალაქო უფლება მე-6.1 მუხლის ინტერპრეტაციის მეშვეობით, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი (იქვე, §117). საქმეში *ლუპენის ბერძნული კათოლიკური სამრევლო და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა]⁴⁸ სასამართლომ ხაზი გაუსვა პროცედურულ და არსებით ელემენტებს შორის განსხვავების მნიშვნელობას: მიუხედავად იმისა, რომ ეს განსხვავება შეიძლება იყოს კონკრეტული ეროვნულ საკანონმდებლო დებულებებში, ის კვლავ რჩება სამართლებრივი ნორმის გამოყენებადობის განმსაზღვრელად და შესაბამისად უნდა ჯდებოდეს კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებულ დებულებათა ფარგლებში (§100). ამ საქმეში, სირთულეები, რომლებსაც გადააწყდნენ მომჩივნები როდესაც ცდილობდნენ უზრუნველყოთ სადავო ეკლესიის ნაგებობის დაბრუნება, გამოწვეულია შესაბამისი მატერიალური სამართლით და არ არის კავშირში სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების რაიმე შეზღუდვასთან (§101 და §106).

16. იმის გადაწყვეტისას, სახეზეა თუ არა სამოქალაქო „უფლება“ და შეზღუდვა უნდა შეფასდეს თუ არა როგორც არსებითი ან პროცედურული, პირველ რიგში ყურადღება უნდა მიექცეს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამის დებულებებს და თუ როგორ განმარტავენ მას ეროვნული სასამართლოები (*მესონი და ვან ზონი ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §49)⁴⁹. აუცილებელია გარეგან მხარის მიღმა ყურება, იმის შესწავლა თუ როგორ ახდენს ეროვნული კანონმდებლობა შეზღუდვის კლასიფიცირებას და კონცენტრირდება რეალობაზე (*ვან დროენბროეკი ბელგიის წინააღმდეგ*, §38)⁵⁰. და ბოლოს, სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება აუცილებლად რეტროსპექტულად არ ართმევს მომჩივნის საჩივრებს მათ არგუმენტაციას (*ლე კალვეზი საფრანგეთის წინააღმდეგ*, §56)⁵¹. მაგალითად, საგარეო პოლიტიკის აქტის თაობაზე შეზღუდულმა სასამართლო განხილვამ (ნატო-ს საჰაერო თავდასხმები სერბეთზე) არ შეიძლება მომჩივნის პრეტენზიები სახელმწიფოს წინააღმდეგ გახადოს რეტროსპექტულად სადავო, რადგან ეროვნულმა სასამართლოებმა პირველად მიიღეს აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილება (*მარკოვიჩი და სხვები იტალიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §§100- 102)⁵².

⁴⁷ Roche v. the United Kingdom [დიდი პალატა], N 32555/96, §119, ECHR 2005-X.

⁴⁸ Lupeni Greek Catholic Parish and Others v. Romania [დიდი პალატა], N 76943/11, § ..., 29 ნოემბერი 2016.

⁴⁹ Masson and Van Zon v. the Netherlands, 28 სექტემბერი 1995, §49, Series A N 327-A.

⁵⁰ Van Droogenbroeck v. Belgium, 24 ივნისი 1982, §38, Series A N50.

⁵¹ Le Calvez v. France, 29 ივლისი 1998, §38, გადაწყვეტილებათა და განჩინებათა ანგარიშები 1998-V .

⁵² Markovic and Others v. Italy [დიდი პალატა], N 1398/03, §100-102, ECHR 2006-XIV.

17. ამ კრიტერიუმებთან მიმართებით, არსებით შეზღუდვებსა და საპროცესო შეზღუდვებს შორის განსხვავების გათვალისწინებით, მაგალითად, სასამართლომ, აღიარა, რომ პოლიციის (*ოსმანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*)⁵³ ან ადგილობრივი ხელისუფლების (*ზ და სხვები გაერთიანებული წინააღმდეგ* [დიდი პალატა])⁵⁴ დაუდევრობა ექცევა მე-6.1 მუხლით გათვალისწინებულ დებულებათა ფარგლებში და განიხილავს იყო თუ არა კონკრეტული შეზღუდვა (გათავისუფლება სისხლის სამართლებრივი დევნიდან ან პასუხსმგებლობისგან) მე-6.1 მუხლის თვალსაზრისით, პროპორციული. მეორე მხრივ, მან დაადგინა, რომ სამეფო კარის გათავისუფლებასამოქალაქო პასუხისმგებლობისგანშეიარაღებული ძალების წევრთაგან განსხვავებით, გამომდინარეობს არსებითი შეზღუდვისგან და რომ შესაბამისად, ეროვნული კანონმდებლობა არ ცნობს „უფლებას“ კონვენციის მე-6.1 მუხლის მნიშვნელობით (*როშე გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* [დიდი პალატა] §124⁵⁵; ასევე იხ. *ჰოტერი ავსტრიის წინააღმდეგ* (განჩინება)⁵⁶ და *ანდრონიკაშვილი საქართველოს წინააღმდეგ* (განჩინება)⁵⁷).

18. სასამართლომ დაადგინა, რომ ასოციაციები ასევე უფლებამოსილნი არიან ისარგებლონ კონვენციის მე-6.1 მუხლის დაცვით, თუკი მათი მიზანია მათი წევრების კონკრეტული უფლებებისა და ინტერესების აღიარება (*გორაიზ ლიზარაგა და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ*, §45)⁵⁸ ან ასევე იმ კონკრეტული უფლებების, რომლებზეც მათ გააჩნიათ პრეტენზია როგორც იურიდიულ პირებს (როგორცაა „საზოგადოების“ ინფორმირებულობისა და გარემოსთან დაკავშირებით გადაწყვეტილებებში მონაწილეობის უფლება (*Collectif national d'information et d'opposition à l'usine Melox – Collectif Stop Melox და Mox საფრანგეთის წინააღმდეგ* (განჩინება))⁵⁹, ან როდესაც ასოციაციის ქმედება არ შეიძლება ჩაითვალოს როგორც საჩივარი საზოგადო ინტერესის დაცვის თაობაზე (*L'Érablière A.S.B.L. ბელგიის წინააღმდეგ*)⁶⁰.

19. როდესაც კანონმდებლობა ადგენს დასაქმების პირობებს, კანდიდატს, რომელიც აკმაყოფილებს მათ, უფლება აქვს აღიარონ სვალიდურად შეასრულოს აღნიშნული

⁵³ *Osman v. the United Kingdom*, 28 ოქტომბერი 1998, § ..., გადაწყვეტილებათა და განჩინებათა ანგარიშები 1998-VIII.

⁵⁴ *Z and Others v. the United Kingdom* [დიდი პალატა], N 29392/95, § ..., ECHR 2001-V.

⁵⁵ *Roche v. the United Kingdom* [დიდი პალატა], N 32555/96, §124, ECHR 2005-X.

⁵⁶ *Hotter v. Austria* (განჩინება), N 18206/06, 7 ოქტომბერი 2010.

⁵⁷ *Andronikashvili v. Georgia* (განჩინება), N 9297/08, 22 ივნისი 2010.

⁵⁸ *Gorraiz Lizarraga and Others v. Spain*, N 62543/00, §45 ECHR 2004-III.

⁵⁹ *Collectif national d'information et d'opposition à l'usine Melox – Collectif Stop Melox and Mox v. France* (განჩინება), N 75218/01, 28 მარტი 2006.

⁶⁰ *L'Érablière A.S.B.L. v. Belgium*, N 49230/07, § ..., ECHR 2009.

საქმიანობა (დე მური ბელგიის წინააღმდეგ, §43)⁶¹. მაგალითად, მე-6 მუხლი ვრცელდება მაშინაც, თუკი მომჩივანი დავობს იმის თაობაზე, რომ იგი აკმაყოფილებს სამართლებრივ მოთხოვნებს იმისათვის, რომ დარეგისტრირდეს როგორც ექიმი (ჩევროლი საფრანგეთის წინააღმდეგ, §55⁶²; საპირისპიროდ იხ. ბოუილოსი საფრანგეთის წინააღმდეგ (განჩინება)⁶³). ყველა შემთხვევაში, როდესაც სამართალწარმოების კანონიერება, რომელიც ეხება სამოქალაქო უფლებას, სადავოა სამართლებრივი დაცვის საშუალებით რომელიც მომჩივანმა გამოიყენა, ეს მიჩნეულ უნდა იქნეს, როგორც „დავა“ „სამოქალაქო უფლებაზე“, მაშინაც კი, თუ საბოლოო დასკვნით მომჩივანი არ აკმაყოფილებდა სამართლებრივ მოთხოვნებს (სამედიცინო სპეციალიზაციის, რომელიც მომჩივანმა მიიღო საზღვარგარეთ, პრაქტიკაში გამოყენების გაგრძელების უფლება,; იხ. კოკი თურქეთის წინააღმდეგ, §37⁶⁴).

3. უფლების „სამოქალაქო“ ბუნება

20. უფლება, კონვენციის ჭრილში, უნდა განიხილებოდეს თუ არა როგორც სამოქალაქო ხასიათის, უნდა განისაზღვროს უფლების არსებითი შინაარსის და შედეგების მიხედვით - და არა მისი სამართლებრივი კლასიფიკაციით - შესაბამისი სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით. სასამართლომ, თავისი საზედამხედველო ფუნქციათა გამოყენებისას, ასევე უნდა გაითვალისწინოს კონვენციის მიზანი და სხვა ხელშემკვრელ სახელმწიფოთა ეროვნული სამართლებრივი სისტემები (კონიგი გერმანიის წინააღმდეგ, §89)⁶⁵.

21. კერძოდ, მე-6.1 მუხლის გამოყენებადობა კერძო პირებს შორის დავებთან მიმართებით, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით კლასიფიცირდება როგორც სამოქალაქო ხასიათის და არ არის სადავო სასამართლოს წინაშე (საქმე, რომელიც ეხება სასამართლო დადგენილებას მეუღლეების ცალ-ცალკე ცხოვრების შესახებ, იხ. აირეი ირლანდიის წინააღმდეგ, §21)⁶⁶.

4. კერძო უფლებები: მატერიალური მოცულობა

22. სასამართლო განიხილავს კონვენციის მე-6.1 მუხლით გათვალისწინებულ სამართალწარმოებას, რომელიც ეროვნულ კანონმდებლობაში მოიაზრება როგორც „საჯარო სამართალი“ და რომლის შედეგიც გადამწყვეტია კერძო უფლებებსა და მოვალეობებთან მიმართებით. ამგვარი საქმისწარმოება შეიძლება დაკავშირებული

⁶¹ De Moor v. Belgium, 23 ივნისი 1994, §43, Series A N 292-A.

⁶² Chevrol v. France, N 49636/99, §55, ECHR 2003-III.

⁶³ Bouilloc v. France (განჩინება), N 34489/03, 28 ნოემბერი 2006.

⁶⁴ Kök v. Turkey, N 1855/02, §37, 19 ოქტომბერი 2006.

⁶⁵ König v. Germany, 10 მარტი 1980, §89, Series A N 36.

⁶⁶ Airey v. Ireland, 9 ოქტომბერი 1979, §21, Series A N 32.

იყოს მიწის გაყიდვის ნებართვასთან (*რინგეიზენი ავსტრიის წინააღმდეგ*, §94)⁶⁷, კერძო კლინიკის გაძლვასთან (*კონიგი გერმანიის წინააღმდეგ*, §§ 94-95⁶⁸, მშენებლობის ნებართვასთან (*სპორონგი და ლონროთი შვედეთის წინააღმდეგ*, §79)⁶⁹, საკუთრების უფლების დადგენასთან, მათ შორის ღვთისმსახურების ადგილთან დაკავშირებით (*ლუპენის ბერძნული კათოლიკური სამრევლო და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §§71-73)⁷⁰, ადმინისტრაციული ნებართვა საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო მოთხოვნებთან დაკავშირებით (*ბენზემი ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §36)⁷¹, ალკოჰოლური სასმელების მოხმარების ლიცენზიასთან (*Tre Traktörer Aktiebolag შვედეთის წინააღმდეგ*, §43)⁷² ან იმ დავასთან დაკავშირებით რომელიც ეხება სამსახურებრივი მოვალეობის დროს მომხდარი უბედური შემთხვევის ან მისით გამოწვეული ავადმყოფობისათვის ფულად კომპენსაციას (*შოდეტი საფრანგეთის წინააღმდეგ*, §30)⁷³. ცეცხლსასროლი იარაღის ლიცენზიის ნებართვის ადმინისტრაციულ პროცედურებთან დაკავშირებით, იხ. *პოსიუსი ლიეტუვას წინააღმდეგ*, §§ 44-45⁷⁴.

23. იმავე საფუძველზე, მე-6 მუხლი გამოიყენება პროფესიონალური ორგანიზაციების წინაშე დისციპლინური საქმისწარმოების დროს, როდესაც სადავო პროფესიული პრაქტიკის განხორციელება (*ლე კომპტე, ვან ლეუვენ და დე მეიერი ბელგიის წინააღმდეგ*⁷⁵; *ფილისი საბერძნეთის წინააღმდეგ* (N2), §45⁷⁶), სახელმწიფოს წინააღმდეგ დავა, მისი მხრიდან დაუდევრობის თაობაზე (*იქსი საფრანგეთის წინააღმდეგ*)⁷⁷, ქმედება რომელიც აუქმებს ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებას და ამით არღვევს მომჩივნის უფლებებს (*დე გეოუფრე დე ლა პრადელი საფრანგეთის წინააღმდეგ*)⁷⁸, ადმინისტრაციული წარმოება რომელიც შეეხება მომჩივნის წყლებში თევზჭერის აკრძალვას (*ალატულკილა და სხვები ფინეთის წინააღმდეგ*, §49)⁷⁹ და სამართალწარმოება რომელიც ეხება ტენდერს სადაც სამოქალაქო უფლება - როგორცაა უფლება საჯარო სამსახურში ხელშეკრულების შეთავაზებისას არ

⁶⁷Ringeisen v. Austria, 16 ივლისი 1971, Series A N 13. ;

⁶⁸König v. Germany, 28 ივნისი 1978, §94-95, Series A N 27.

⁶⁹Sporrong and Lönnroth v. Sweden, 23 სექტემბერი 1982, §79, Series A N 52.

⁷⁰Lupeni Greek Catholic Parish and Others v. Romania [დიდი პალატა], N 76943/11, §71-73, ECHR 2016.

⁷¹Bentham v. the Netherlands, 23 ოქტომბერი 1985, §36, Series A N 97.

⁷²Tre Traktörer AB v. Sweden, 7 ივლისი 1989, §43, Series A N 159.

⁷³Chaudet v. France, N 49037/06, §30, 29 ოქტომბერი 2009.

⁷⁴Pocius v. Lithuania, N 35601/04, §44-45, 6 ივლისი 2010.

⁷⁵Le Compte, Van Leuven and De Meyere v. Belgium, 23 ივნისი 1981, §43, Series A N 43.

⁷⁶Philis v. Greece (N 2), 27 ივნისი 1997, §45, გადაწყვეტილებათა და განჩინებათა ანგარიშები 1997-IV.

⁷⁷X v. France, 31 მარტი 1992, §45, Series A N 234-C.

⁷⁸De Geouffre de la Pradelle v. France, 16 დეკემბერი 1992, § ..., Series A N 253-B.

⁷⁹Alatulkkila and Others v. Finland, N 33538/96, §49, 28 ივლისი 2005.

მოხდეს დისკრიმინაცია რელიგიური მრწამსის ან პოლიტიკური შეხედულების საფუძველზე, - რისკის წინაშეა (*შპს ტინელი და სანსი და სხვები და მკელდაფი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 61⁸⁰; საპირისპიროდ *შპს აი.ტი.სი. მალტას წინააღმდეგ* (განჩინება)⁸¹).

24. კონვენციის მე-6.1 მუხლი ასევე გამოიყენება სისხლის სამართლის სამართალწარმოების სამოქალაქო ასპექტში (*პერეზი საფრანგეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §§ 70-71)⁸², გარდა სამოქალაქო ქმედების შემთხვევებისა, რომელიც აღძრულია კერძო შურისძიების ან სადამსჯელო მიზნების მისაღწევად (*სიგალასი საბერძნეთის წინააღმდეგ*, §29⁸³; *მიხოვა იტალიის წინააღმდეგ* (განჩინება)⁸⁴). მართლაც, კონვენცია არ ანიჭებს რაიმე უფლებას, როგორცაა, მაგალითად, სისხლის სამართლის დანაშაულისთვის მესამე მხარეების ბრალდება ან განაჩენის გამოტანა (*მუსტაფა ტუნჩი და ფესირ ტუნჩი თურქეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §218)⁸⁵. კონვენციის ფარგლებში, ასეთი უფლება არ უნდა იყოს გამიჯნული მსხვერპლის უფლებისგან დაიწყოს სამოქალაქო სამართალწარმოება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, თუნდაც მხოლოდ სიმბოლური რეპარაციის დასაცავად ან ისეთი სამოქალაქო უფლების დასაცავად როგორცაა „კარგი რეპუტაციის“ ქონის უფლება (*პერეზი საფრანგეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §70⁸⁶; იხ. ასევე *გოროუ საბერძნეთის წინააღმდეგ* (N2) [დიდი პალატა], §24⁸⁷). აქედან გამომდინარე, მე-6 მუხლი ვრცელდება სამართალწარმოებაზე რომელიც ეხება სამოქალაქო საჩივარს იმ მომენტიდან როდესაც მომჩივანი განისაზღვრა როგორც სამოქალაქო მხარე, თუკი მას ცალსახად შეეზღუდა რეპარაციის უფლება და რადგანაც სისხლის სამართლის სამართალწარმოება გადამწყვეტია კომპენსაციის სამოქალაქო უფლებისთვის რომელიც მტკიცდება (*ალექსანდრესკუ და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ*, §22)⁸⁸.

⁸⁰ *Tinnelly & Sons Ltd and Others and McElduff and Others v. the United Kingdom*, 10 ივლისი 1998, §61, გადაწყვეტილებათა და განჩინებათა ანგარიშები 1998-IV.

⁸¹ *I.T.C. Ltd v. Malta* (განჩინება), N 2629/06, 11 დეკემბერი 2007.

⁸² *Perez v. France* [დიდი პალატა], N 47287/99, §70-71, ECHR 2004-I.

⁸³ *Sigalas v. Greece*, N 19754/02, §29, 22 სექტემბერი 2005.

⁸⁴ *Mihova v. Italy* (განჩინება), N 25000/07, 30 მარტი 2010.

⁸⁵ *Mustafa Tunç and Fecire Tunç v. Turkey* [დიდი პალატა], N 24014/05, §218, 14 აპრილი 2015.

⁸⁶ *Perez v. France* [დიდი პალატა], N 47287/99, §70, ECHR 2004-I.

⁸⁷ *Gorou v. Greece* (N) [დიდი პალატა], N 12686/03, §24, 20 მარტი 2009.

⁸⁸ *Alexandrescu and Others v. Romania*, N 56842/08 და 7 სხვა, §22, 24 ნოემბერი 2015.

25. კონვენციის 6.1 მუხლი ასევე ვრცელდება იმ სამოქალაქო ხასიათის ქმედებაზე, რომელიც ეხება კომპენსაციას, სახელმწიფოს წარმომადგენლების მხრიდან არასათანადო მოპყრობისთვის (*აკსოი თურქეთის წინააღმდეგ*, §92)⁸⁹.

B. მე-6 მუხლის გავრცელება სხვა სახის დავებზე

26. სასამართლომ დაადგინა, რომ მე-6.1 მუხლი ვრცელდება დავებზე სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის სამართალწარმოებაზე რომელიც ეხება თანამშრომლის გათავისუფლებას კერძო კომპანიის მიერ (*ბუჩჰოლზი გერმანიის წინააღმდეგ*)⁹⁰, სამართალწარმოებაზე რომელიც უკავშირდება სოციალური უზრუნველყოფის შემწეობას (*ფელდბრუგი ნიდერლანდების წინააღმდეგ*)⁹¹, თუნდაც არაკონტრიბუციულ საფუძველზე (*სალესი იტალიის წინააღმდეგ*)⁹² და აგრეთვე სამართალწარმოებაზე რომელიც ეხება სავალდებულო სოციალ-დემოკრატიულ კონტრიბუციებს (*შუტენი და მელდრუმი ნიდერლანდების წინააღმდეგ*)⁹³. (როდესაც საქმე ეხება სამსახურეობრივი საქმიანობისგან გამოწვეულ ავადმყოფობას იხ. *ეტერნიტი საფრანგეთის წინააღმდეგ* (განჩინება), §32)⁹⁴. ამ შემთხვევებში, სასამართლომ მიიჩნია, რომ კერძო სამართლის საკითხებმა გადაწონეს საჯარო სამართლის საკითხებს. გარდა ამისა, მან დაადგინა, რომ არსებობდა მსგავსებები კეთილდღეობის დახმარების უფლებასა და ნაცისტების მიერ დევნისათვის კერძო ფონდიდან კომპენსაციის მიღებას შორის (*ვოსი პოლონეთის წინააღმდეგ* §76)⁹⁵.

27. საჯარო მოხელეებთან დაკავშირებული დავები ექცევიან კონვენციის მე-6.1 მუხლით გათვალისწინებულ პრინციპებს შორის. საქმეში *ვილჰო ესკელინენი და სხვები ფინეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა] (§§ 50-62)⁹⁶ სასამართლომ განმარტა „სამოქალაქო“ კონცეფციის გამოყენების სფერო და განავითარა ახალი კრიტერიუმი მე-6.1 მუხლის გამოყენებისათვის შრომით დავებში, რომლებიც ეხება საჯარო მოხელეებს (ასევე იხ. *ბაკა უნგრეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §103)⁹⁷. აქედან გამომდინარე, ჩვეულებრივ შრომით დავებთან მიმართებით, არ შეიძლება გამართლებული იყოს მე-6 მუხლით გათვალისწინებული გარანტიების რაიმე

⁸⁹ Aksoy v. Turkey, 18 დეკემბერი 1996, §92, გადაწყვეტილებათა და განჩინებათა ანგარიშები 1996-V.

⁹⁰ Buchholz v. Germany, 6 მაისი 1981, § ..., Series A N 42.

⁹¹ Feldbrugge v. the Netherlands, 29 მაისი 1986, § ..., Series A N 99.

⁹² Salesi v. Italy, 26 თებერვალი 1993, § ..., Series A N 257-E.

⁹³ Schouten and Meldrum v. the Netherlands, 9 დეკემბერი 1994, § ..., Series A N 304.

⁹⁴ Eternit v. France (განჩინება), N 20041/10, 27 მარტი 2012.

⁹⁵ Woś v. Poland, N 22860/02, §76, ECHR 2006-VII.

⁹⁶ Vilho Eskelinen and Others v. Finland [დიდი პალატა], N 63235/00, §50-62, ECHR 2007-II.

⁹⁷ Baka v. Hungary [დიდი პალატა], N 20261/12, §103, ECHR 2016.

გამონაკლისი, როგორცაა, ხელფასების, დახმარებების ან მსგავსი უფლებამოსილებების შესახებ, კონკრეტულ საჯარო მოხელესა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის ბუნების საფუძველზე. პრინციპი ისაა, რომ იქნება პრეზუმცია მე-6 მუხლის გავრცელებასთან დაკავშირებით და ეს იქნება დემონსტრირება მოპასუხე სახელმწიფოსთვის, პირველ რიგში, იმისა რომ საჯარო მოხელეს ეროვნული კანონმდებლობით არ გააჩნია სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლება და მეორე, რომ საჯარო მოხელისთვის მე-6 მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისები გამართლებულია.

28. თუ მომჩივანს გააჩნია სასამართლოზე ხელმისაწვდომობა ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, მასზე ვრცელდება მე-6 მუხლი (ასევე, მოქმედ სამხედრო ოფიცრებზე და მათ საჩივრებზე სამხედრო ტრიბუნალების წინაშე: იხ. *პრიდაჩენკო და სხვები რუსეთის წინააღმდეგ*, §47)⁹⁸. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მე-6 მუხლის გამოყენებადობის ნებისმიერი გამონაკლისი უნდა იყოს კანონის შესაბამისი. ამისათვის, იგი უნდა ეფუძნებოდეს ზოგადი განაცხადს და არა დებულებას კონკრეტული პირის მიმართ (*ბაკა უნგრეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §117)⁹⁹. მეორე კრიტერიუმის გათვალისწინებით, გამონაკლისი გამართლებული უნდა იყოს „სახელმწიფო ინტერესებში შემავალი ობიექტური საფუძველით“; ეს ავალდებულებს სახელმწიფოს, აჩვენოს, რომ დავის საგანი დაკავშირებულია სახელმწიფო ძალაუფლების განხორციელებასთან ან რომ ეჭვქვეშ დადგა კავშირი საჯარო მოხელესა და სახელმწიფოს შორის. აქედან გამომდინარე, ჩვეულებრივ შრომით დავებთან მიმართებით, არ შეიძლება გამართლებული იყოს მე-6 მუხლით გათვალისწინებული გარანტიების რაიმე გამონაკლისი, როგორცაა, ხელფასების, დახმარებების ან მსგავსი უფლებამოსილებების შესახებ, კონკრეტულ საჯარო მოხელესა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის ბუნების საფუძველზე (იხ. მაგალითად, დავა პოლიციის თანამშრომელთათვის სპეციალური ნებართვის დაშვებასთან დაკავშირებით *ვილჰო ესკელინენი და სხვები ფინეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა])¹⁰⁰. *ვილჰო ესკელინენის საქმეში* არსებული ტექსტის ორი პირობა უნდა შესრულდეს, იმისათვის რომ არ მოხდეს მე-6 მუხლის მართლზომიერი გამორიცხვა (*ბაკა უნგრეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §118)¹⁰¹.

29. ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ მე-6.1 მუხლი ვრცელდება სამართალწარმოებაზე, რომელიც შეეხება საელჩოს

⁹⁸ Pridatchenko and Others v. Russia, N 2191/03 და 3 სხვა, §47, 21 ივნისი 2007.

⁹⁹ Baka v. Hungary [დიდი პალატა], N 20261/12, §117, ECHR 2016.

¹⁰⁰ Vilho Eskelinen and Others v. Finland [დიდი პალატა], N 63235/00, § ..., ECHR 2007-II.

¹⁰¹ Baka v. Hungary [დიდი პალატა], N 20261/12, §118, ECHR 2016.

თანამშრომელთა უსამართლოდ სამსახურიდან გათავისუფლებას (მდივანი და სატელეფონო ოპერატორი: *კუდაკი ლიეტუვას წინააღმდეგ* [დიდი პალატა]¹⁰²; §§ 44-47; მთავარი ბუღალტერი: *საბეკ ელ ლეილი საფრანგეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §39¹⁰³; კულტურისა და საინფორმაციო ოფიცერი: *ნაკუ ლიეტუვისა და შვედეთის წინააღმდეგ*, §95)¹⁰⁴, პოლიციის უფროსი ოფიცერი (*სიკიჩი ხორვატიის წინააღმდეგ*, §§18-20)¹⁰⁵ ან სამხედრო ოფიცერი სამხედრო ტრიბუნალის წინაშე (*ვასილჩენკო რუსეთის წინააღმდეგ*, §§ 34-36)¹⁰⁶, სამართალწარმოება საპარლამენტო ასისტენტის თანამდებობის დაკავების უფლების შესახებ (*სავინო და სხვები იტალიის წინააღმდეგ*)¹⁰⁷, დისციპლინარული სამართალწარმოება მოსამართლის წინააღმდეგ (*ოლუჯიკი ხორვატიის წინააღმდეგ*¹⁰⁸ და *ჰარაბინი სლოვაკეთის წინააღმდეგ*¹⁰⁹) და რიგით ჯარისკაცთან დაკავშირებით (*რ.ს. გერმანიის წინააღმდეგ* (განჩინება), §34)¹¹⁰, პროკურორის მიერ სააპელაციო საჩივარი საპრეზიდენტო ბრძანების თაობაზე, მის გადაყენასთან დაკავშირებით (*ზალი ალბანეთის წინააღმდეგ* (განჩინება)¹¹¹ და მასში არსებული სხვა მითითებები), სამართალწარმოება საბაჟო მოხელის პროფესიული კარიერის თაობაზე (შიდა დაწინაურებაზე მიმართვის გამოყენების უფლება: *ფიუმე იტალიის წინააღმდეგ*, §§ 33-36¹¹²), მოსამართლე რომელსაც სურს ეჭვქვეშ დააყენოს თავისი, როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მანდატის ვადამდელი შეწყვეტა (*ბაკა უნგრეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §118)¹¹³ და სხვა დავები რომლებიც ეხება სახელმწიფო მოხელეებსა და მოსამართლეებს (იქვე, §§104-05). მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო საქმეში *ვილჰო ესკელინენი და სხვები ფინეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა]¹¹⁴, აცხადებდა რომ მისი მსჯელობა შემოიფარგლებოდა მხოლოდ საჯარო მოხელეთა მდგომარეობით, სასამართლომ დაადგინა, რომ სასამართლო სისტემა ტიპურ საჯარო სამსახურის ნაწილს

¹⁰² Cudak v. Lithuania [დიდი პალატა], N 15869/02, §44-47, ECHR 2010.

¹⁰³ Sabeh El Leil v. France [დიდი პალატა], N 34869/05, §39, 29 ივნისი 2011.

¹⁰⁴ Naku v. Lithuania and Sweden, N 26126/07, §95, 8 ნოემბერი 2016.

¹⁰⁵ Šikić v. Croatia, N 9143/08, §18-20, 15 ივლისი 2010.

¹⁰⁶ Vasilchenko v. Russia, N 34784/02, §34-36, 23 სექტემბერი 2010.

¹⁰⁷ Savino and Others v. Italy, N 17214/05 და 2 სხვა, § ..., 28 აპრილი 2009.

¹⁰⁸ Olujić v. Croatia, N 22330/05, § ..., 5 თებერვალი 2009.

¹⁰⁹ Harabin v. Slovakia, N 58688/11, § ..., 20 ნოემბერი 2012.

¹¹⁰ R.S. v. Germany (განჩინება), N 19600/15, 28 მარტი 2017.

¹¹¹ Zalli v. Albania (განჩინება), N 52531/07, 8 თებერვალი 2011.

¹¹² Fiume v. Italy, N 20774/05, §33-36, 30 ივნისი 2009.

¹¹³ Baka v. Hungary, N 20261/12, §118, 27 მაისი 2014.

¹¹⁴ Vilho Eskelinen and Others v. Finland [დიდი პალატა], N 63235/00, § ..., ECHR 2007-II.

წარმოადგენს, თუნდაც ეს არ იყოს ჩვეულებრივი სახელმწიფო სამსახური (*ბაკა უნგრეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §104)¹¹⁵.

30. და ბოლოს, *ვილჰო ესკელინენის* საქმეში არსებული ტექსტი მე-6.1 მუხლთან გამოყენებასთან დაკავშირებით თანაბარ კავშირშია საქმეებთან, რომლებიც ეხება სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლებას (მაგალითად, იხ. *ნედელჩო პოპოვი ბულგარეთის წინააღმდეგ*¹¹⁶; *სუკუტი იტალიის წინააღმდეგ* (განჩინება)¹¹⁷) და საქმეებთან რომლებიც ეხება მე-6 მუხლით გარანტირებულ სხვა უფლებებს (მაგალითად, *ვილჰო ესკელინენი და სხვები ფინეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა]¹¹⁸, რომელიც ეხება სასამართლო განხილვის უფლებას და სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანას გონივრულ ვადაში).

31. საკონსტიტუციო დავები ასევე შეიძლება ხვდებოდეს მე-6 მუხლის ფარგლებში, თუ საკონსტიტუციო სამართალწარმოებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დავის შედეგზე („სამოქალაქო“ უფლების თაობაზე), საერთო სასამართლოებში (*რუიზ-მატეოსი ესპანეთის წინააღმდეგ*)¹¹⁹. ეს არ ვრცელდება საპრეზიდენტო განკარგულებასთან დაკავშირებულ დავების შემთხვევაში, რომელიც პირს ანიჭებს მოქალაქეობას როგორც გამონაკლის შემთხვევას ან იმის დადგენასთან დაკავშირებით პრეზიდენტმა დაარღვია თუ არა საკონსტიტუციო ფიცი (*პაკსასი ლიეტუვას წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §§65-66)¹²⁰. მე-6.1 მუხლის გამოყენების კრიტერიუმები შუალედურ ღონისძიებასთან დაკავშირებით ვრცელდება საკონსტიტუციო სასამართლოზე (*კუბლერი გერმანიის წინააღმდეგ*, §§ 47-48)¹²¹.

32. მე-6 მუხლი ასევე ვრცელდება სხვა არა მკაცრ ქონებრივ საკითხებზე, როგორცაა გარემო, სადაც დავა შეიძლება წარმოიშვას სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებულ ან ჯანსაღი გარემოს ქონის უფლებებთან მიმართებით (*ტასკინი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ*)¹²²; ბავშვის შვილად აყვანის თაობაზე (*მაკმაიკლი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*)¹²³; ბავშვთა სასკოლო ღონისძიებებთან (*ელესი და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ*, §§21-23)¹²⁴; მამობის

¹¹⁵ *Baka v. Hungary* [დიდი პალატა], N 20261/12, §104, ECHR 2016.

¹¹⁶ *Nedelcho Popov v. Bulgaria*, N 61360/00, § ..., 22 ნოემბერი 2007.

¹¹⁷ *Suküt v. Turkey* (განჩინება), N 59773/00, 11 სექტემბერი 2007.

¹¹⁸ *Vilho Eskelinen and Others v. Finland* [დიდი პალატა], N 63235/00, § ..., ECHR 2007-II.

¹¹⁹ *Ruiz-Mateos v. Spain*, 23 ივნისი 1993, Series A N 262.

¹²⁰ *Paksas v. Lithuania* [დიდი პალატა], N 34932/04, §65-66, ECHR 2011.

¹²¹ *Kübler v. Germany*, N 32715/06, §47-48, 13 იანვარი 2011.

¹²² *Taşkın and Others v. Turkey*, N 46117/99, § ..., ECHR 2004-X.

¹²³ *McMichael v. the United Kingdom*, 24 თებერვალი 1995, Series A N 307-B.

¹²⁴ *Ellès and Others v. Switzerland*, N 12573/06, §21-23, 16 დეკემბერი 2010.

დადგენის უფლებასთან (ალავერდიანის სომხეთის წინააღმდეგ (განჩინება), §33)¹²⁵ და თავისუფლების უფლებასთან დაკავშირებით (აერტსი ბელგიის წინააღმდეგ, § 59)¹²⁶; ლაიდინი საფრანგეთის წინააღმდეგ (N2)¹²⁷).

33. სასამართლომ, თავისუფლების აღკვეთის კონტექსტში, დაადგინა რომ პატიმართა ზოგიერთი უფლების შეზღუდვა და ამგვარი შეზღუდვების შესაძლო გამოძახილები, ექცევა „სამოქალაქო უფლებების“ სფეროში (დე ტომასო იტალიის წინააღმდეგ [დიდი პალატა], §§147-50)¹²⁸. აქედან გამომდინარე, მე-6 მუხლი ვრცელდება პატიმრობის საკითხებზე(მაგალითად, დავები პატიმართა შეზღუდვებთან დაკავშირებით, რომელთა თანახმადაცისინი განთავსებულნი არიან მკაცრი რეჟიმის საპატიმრო ერთეულში (ენეა იტალიის წინააღმდეგ [დიდი პალატა], §§ 97-107)¹²⁹ ან მკაცრი რეჟიმის საკანში (სტეგარესკუ და ბაჰრინი პორტუგალიის წინააღმდეგ)¹³⁰, დისციპლინარული სამართალწარმოების თაობაზე, რომელიც ოჯახს უკრძალავს ციხეში ვიზიტებს (გულმეზი თურქეთის წინააღმდეგ, §30)¹³¹ ან პატიმართა უფლებების სხვა სახის დარღვევების თაობაზე (განჩი იტალიის წინააღმდეგ, §25)¹³². მე-6 მუხლი ასევე ვრცელდება სპეციალური ზედამხედველობის ღონისძიებებზე წერილობით ვალდებულებასთან დაკავშირებით არ დატოვონ საცხოვრებელი ადგილი რომელიც ზღუდავს თავისუფლად გადაადგილების უფლებით სარგებლობას (დე ტომასო იტალიის წინააღმდეგ [დიდი პალატა], §§ 151-55)¹³³. ციტირებულ საქმეში, სასამართლომ დაადგინა, რომ გარკვეული შეზღუდვები - როგორცაა ღამით გარეთ გამოსვლის, საცხოვრებელი რაიონის დატოვების, საჯარო შეხვედრებზე დასწრების, მობილური ტელეფონის ან რადიოკავშირის საშუალებების გამოყენების აკრძალვა - ექცევა პირადი უფლებების სფეროში და შესაბამისად „სამოქალაქო“ ხასიათისაა.

34. მე-6 მუხლი ასევე ვრცელდება კარგი რეპუტაციის უფლებაზე (ჰელმერსი შვედეთის წინააღმდეგ)¹³⁴; ადმინისტრაციულ დოკუმენტებზე წვდომის უფლებაზე

¹²⁵ Alaverdyan v. Armenia (განჩინება), N 4523/04, 24 აგვისტო 2010.

¹²⁶ Aerts v. Belgium, 30 ივლისი 1998, გადაწყვეტილებათა და განჩინებათა ანგარიშები 1998-V.

¹²⁷ Laidin v. France (N 2), N 39282/98, 7 იანვარი 2003.

¹²⁸ De Tommaso v. Italy [დიდი პალატა], N 43395/09, §147-150, 23 თებერვალი 2017.

¹²⁹ Enea v. Italy [დიდი პალატა], N 74912/01, §97-107, ECHR 2009.

¹³⁰ Stegarescu and Bahrin v. Portugal, N 46194/06, §..., 6 აპრილი 2010.

¹³¹ Gülmez v. Turkey, N 16330/02, §30, 20 მაისი 2008.

¹³² Ganci v. Italy, N 41576/98, §25, ECHR 2003-XI.

¹³³ De Tommaso v. Italy, N 43395/09, §151-155, ECHR 2017.

¹³⁴ Helmers v. Sweden, 29 ოქტომბერი 1991, §..., Series A N 212-A.

(*ლოუაზო საფრანგეთის წინააღმდეგ (განჩინება)*)¹³⁵, ან პოლიციაში შესულ საქმესთან დაკავშირებით სააპელაციო საჩივარზე რომელიც გავლენას ახდენს რეპუტაციის უფლებაზე, საკუთრების დაცვის უფლება და სამსახურის დაწყების შესაძლებლობისა და შესაბამისად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი შემოსავლის ქონის უფლებაზე (*პოკიუსი ლიეტუვას წინააღმდეგ, §§38-46*¹³⁶; *უზუკაუსკასი ლიეტუვას წინააღმდეგ, §§ 32-40*¹³⁷); უფლებაზე იყო ასოციაციის წევრი (*საკელაროპოულოსი საბერძნეთის წინააღმდეგ (განჩინება)*)¹³⁸; *ლოვრიკი ხორვატიის წინააღმდეგ, §§ 55-56*¹³⁹) - ანალოგიურად, ყველა საქმისწარმოება, რომელიც ეხება ასოციაციის კანონიერ არსებობასეხება ასევე ასოციაციის სამოქალაქო უფლებებს, მაშინაც კი თუ ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით ასოციაციის თავისუფლება საჯარო სამართლებრივი საკითხია (*APEH Üldözötteinek Szövetsége და სხვები უნგრეთის წინააღმდეგ, §§ 34-35*)¹⁴⁰ და ბოლოს, უმაღლესი განათლების მიღების გაგრძელების უფლებაზე (*ემინე არაჩი თურქეთის წინააღმდეგ, §§ 18-25*)¹⁴¹, იმავე პოზიცია ვრცელდება საშუალო განათლებაზე (*ორსუსი და სხვები ხორვატიის წინააღმდეგ [დიდი პალატა], §104*)¹⁴².

35. გამოხატვის თავისუფლების უფლება (*კენედი უნგრეთის წინააღმდეგ, §33*)¹⁴³ და ჟურნალისტის უფლება, პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე, მიიღოს და გაამჟღავნოს ინფორმაცია პრესის საშუალებით (*სელმანი და სხვები ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიის წინააღმდეგ, § 47*¹⁴⁴; *შაპოვალოვი უკრაინის წინააღმდეგ, §49*¹⁴⁵) ასევე „სამოქალაქო“ ხასიათისაა.

36. აქედან გამომდინარე, მე-6 მუხლის სამოქალაქო ნაწილთან მიმართებით აღსანიშნი ცვლილებაა პრეცედენტული სამართლის კუთხით, საქმეში რომლებსაც შესაძლოა ჰქონდეთ „პირდაპირი და მნიშვნელოვანი გავლენა კერძო პირის საკუთრების უფლებაზე“ (*დე ტომასო იტალიის წინააღმდეგ [დიდი პალატა], §151*¹⁴⁶; *ალექსანდრე პორტუგალიის წინააღმდეგ, §§ 51 და 54*¹⁴⁷), ასევე პროფესიულ

¹³⁵ *Loiseau v. France* (განჩინება), N 46809/99, §..., ECHR 2003-XII.

¹³⁶ *Pocius v. Lithuania*, N 35601/04, §38-46, 6 ივლისი 2010.

¹³⁷ *Užukauskas v. Lithuania*, N 16965/04, §32-40, 6 ივლისი 2010.

¹³⁸ *Sakellariopoulos v. Greece* (განჩინება), N 38110/08, 6 იანვარი 2011.

¹³⁹ *Lovrić v. Croatia*, N 38458/15, § ..., 4 აპრილი 2017.

¹⁴⁰ *APEH Üldözötteinek Szövetsége and Others v. Hungary*, N 32367/96, §34-35, ECHR 2000-X.

¹⁴¹ *Emine Araç v. Turkey*, N 9907/02, §18-25, ECHR 2008.

¹⁴² *Oršuš and Others v. Croatia* [დიდი პალატა], N 15766/03, §104, ECHR 2010.

¹⁴³ *Kenedi v. Hungary*, N 31475/05, §33, 26 მაისი 2009.

¹⁴⁴ *Selmani and Others v. the former Yugoslav Republic of Macedonia*, N 67259/14, §47, 9 თებერვალი 2017.

¹⁴⁵ *Shapovalov v. Ukraine*, N 45835/05, §49, 31 ივლისი 2012.

¹⁴⁶ *De Tommaso v. Italy* [დიდი პალატა], N 43395/09, §151, ECHR 2017.

¹⁴⁷ *Alexandre v. Portugal*, N 33197/09, §51 და 54, 20 ნოემბერი 2012.

კონტექსტში (პოკიუსი ლიეტუვას წინააღმდეგ, § 43¹⁴⁸; სელმანი და სხვები ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიის წინააღმდეგ, §47¹⁴⁹).

C. ძირითადი სამართალწარმოების გარდა სხვა სამართალწარმოებებში მე-6 მუხლის გამოყენება

37. მოსამზადებელი სხდომა, რომელიც ეხება დროებითი ღონისძიების გამოყენებას, როგორცაა უზრუნველყოფის ღონისძიება, ჩვეულებრივ არ განიხილებოდა სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების "განსასაზღვრად" და შესაბამისად, როგორც წესი არ ექცეოდა მე-6 მუხლის ფარგლებში(იხ. *Verlagsgruppe News GmbH ავსტრიის წინააღმდეგ (განჩინება)*¹⁵⁰ და *ლიბერტი ბელგიის წინააღმდეგ (განჩინება)*¹⁵¹). თუმცა, 2009 წელს სასამართლომ შეცვალა თავისი პრაქტიკა და შეიმუშავა ახალი მიდგომა.

38. საქმეში *მიკალეფი მალტის წინააღმდეგ* ([დიდი პალატა], §§80-86)¹⁵², სასამართლომ დაადგინა, რომ დროებითი ღონისძიების შემთხვევაში მე-6 მუხლის გამოყენება დამოკიდებულია იმაზე, შესრულებულია თუ არა გარკვეული პირობები. პირველ რიგში, ორივე, არსებით და სამართალწარმოების მოსამზადებელ ეტაპზე კონვენციის მნიშვნელობით განსახილველი უფლება უნდა იყოს "სამოქალაქო" ხასიათის. მეორე, დროებითი ღონისძიების არსი, მისი საგანი და მიზეზი, ისევე როგორც მისი გავლენა სადავო უფლებაზე, უნდა შემოწმდეს. მიუხედავად იმისა, რომ დროებითი ღონისძიება შეიძლება სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების დასადგენად იყოს ეფექტიანი მისი მოქმედების დროს გამოიყენება მე-6 მუხლი

39. შუალედური გადაწყვეტილება შეიძლება გათანაბრებული იყოს დროებით ან პირობით ღონისძიებებსა და სამართალწარმოებებთან და ამავე დროს, იგივე კრიტერიუმები გამოიყენება იმის დასადგენად, არის თუ არა მე-6 მუხლი, მისი სამოქალაქო მნიშვნელობით, გამოსაყენებელი კონკრეტულ საქმეში (*მერსიეკა და სხვები მალტის წინააღმდეგ*, §35)¹⁵³.

40. საქმეში *მიკალეფი მალტის წინააღმდეგ* [დიდი პალატა]¹⁵⁴ დადგენილი პრინციპების თანახმად, მე-6 მუხლის შეიძლება გავრცელდეს სასამართლოს

¹⁴⁸ Pocius v. Lithuania, N 35601/04, §43, 6 ივლისი 2010.

¹⁴⁹ Selmani and Others v. the former Yugoslav Republic of Macedonia, N 67259/14, §47, 9 თებერვალი 2017.

¹⁵⁰ Verlagsgruppe News GmbH v. Austria (განჩინება), N 62763/00, 16 იანვარი 2003.

¹⁵¹ Libert v. Belgium (განჩინება), N 44734/98, 8 ივლისი 2004.

¹⁵² Micallef v. Malta [დიდი პალატა], N 17056/06, §§80-86, ECHR 2009.

¹⁵³ Mercieca and Others v. Malta, N 21974/07, §35, 14 ივნისი 2011.

¹⁵⁴ Micallef v. Malta [დიდი პალატა], N 17056/06, ECHR 2009.

გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერებაზე ზემოაღნიშნული კრიტერიუმების შესაბამისად (*Central Mediterranean Development Corporation Limited* (№2), §§21-23)¹⁵⁵.

41. მე-6 მუხლი გამოიყენება იმ შუალედურ სამართალწარმოებაზე, რომელიც ემსახურება ძირითადი სამართალწარმოების მსგავს მიზნებს, სადაც შუალედური გადაწყვეტილება არის დაუყოვნებლივ აღსასრულებელი და ეფუძნება გადაწყვეტილებას იმავე უფლებაზე (*RTBF ბელგიის წინააღმდეგ*, §§ 64-65)¹⁵⁶.

42. *სამართალწარმოება სააკელაციო საჩივრის ნებართვისთვის*: საქმის *ჰანსენი ნორვეგიის წინააღმდეგ*, §55¹⁵⁷ თანახმად, გაბატონებულ მიდგომად მიიჩნევა 6.1 მუხლის გამოყენება ასეთი სამართალწარმოებისათვის (*მონელი და მორისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §54¹⁵⁸; *მარტინიე საფრანგეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §§11 და 53-55)¹⁵⁹. მეოთხე, რომლის მიხედვითაც გამოიყენება მე-6 მუხლი, დამოკიდებულია სამართალწარმოებისას გამოყენებულ განსაკუთრებულ მახასიათებლებზე, ეროვნული სამართლებრივი წესით ჩატარებული სამართალწარმოების სისრულისა და ამ სამართალწარმოებაში სააკელაციო ან საკასაციო სასამართლოს როლის გათვალისწინებით (*მონელი და მორისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §56)¹⁶⁰.

43. *თანმიმდევრული სისხლის და სამოქალაქო სამართალწარმოება*: თუ სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს სამართალწარმოებას ორი ეტაპად - პირველი, როდესაც სასამართლო ადგენს, არსებობს თუ არა ზიანის ანაზღაურების უფლება და მეორე, როდესაც იგი ადგენს თანხას - მიზანშეწონილია 6.1 მუხლის თანახმად, სამოქალაქო უფლების 'დაუდგენლად' მიჩნევა თანხის ზუსტი ოდენობის გადაწყვეტამდე: უფლების განსაზღვრა გულისხმობს არა მარტო უფლების არსებობის შესახებ გადაწყვეტილებას, არამედ მის ფარგლებს ან მისი გამოყენების საშუალებას, რომელიც ასევე მოიცავს ზიანის შეფასებას (*ტორი იტალიის წინააღმდეგ*, §19)¹⁶¹.

44. *სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება*: საქმის არსებითი გარემოებებიდან გამომდინარე 6.1 მუხლი გამოიყენება "სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების

¹⁵⁵ *Central Mediterranean Development Corporation Limited v. Malta* (N 2), N 18544/08, §21-23, 22 ნოემბერი 2011.

¹⁵⁶ *RTBF v. Belgium*, N 50084/06, §64-65, ECHR 2011 (ამონარიდები).

¹⁵⁷ *Hansen v. Norway*, N 15319/09, §55, 2 ოქტომბერი 2014.

¹⁵⁸ *Monnell and Morris v. the United Kingdom*, 2 მარტი 1987, §54, Series A N 115.

¹⁵⁹ *Martinie v. France* [დიდი პალატა], N 58675/00, §11 და 53-55, ECHR 2006.

¹⁶⁰ *Monnell and Morris v. the United Kingdom*, 2 მარტი 1987, §56, Series A N 115.

¹⁶¹ *Torri v. Italy*, 1 ივლისი 1997, §19, გადაწყვეტილებათა და განჩინებათა ანგარიშები 1997-IV.

განსაზღვრისათვის" სამართალწარმოების თანმდევი ეტაპების გამორიცხვის გარეშე. ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება მე-6 მუხლის მიზნებისათვის "სასამართლო პროცესის" განუყოფელი ნაწილია (*ჰორნსბი საბერძნეთის წინააღმდეგ*, §40¹⁶²; *რომანცზიკი საფრანგეთის წინააღმდეგ*, §53¹⁶³, ეხება გადაწყვეტილების აღსრულებას ვალის ანაზღაურების შესახებ). მიუხედავად იმისა, არის თუ არა მე-6 მუხლი თავდაპირველ სამართალწარმოებაში გამოსაყენებელი, სამოქალაქო უფლებების განმსაზღვრელი სააღსრულებო ფურცელი არ არის აუცილებელი რომ გამოიცეს იმ სამართალწარმოების საფუძველზე, რომელზეც გამოიყენება მე-6 მუხლი (*ბუჯი ხორვატიის წინააღმდეგ*, §19)¹⁶⁴.

45. 6.1 მუხლი ასევე გამოიყენება უცხო ქვეყნის, საბოლოო გადაწყვეტილებების აღსასრულებლად (ეგზეკვატურა - იხ. *ავოტინსი ლატვიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §96¹⁶⁵ და მითითებული პრეცედენტული სამართალი). უცხო ქვეყნის სასამართლოს კონფისკაციის ბრძანების ეგზეკვატურა ექცევა მე-6 მუხლის სამართლებრივი დაცვის ფარგლებში, მხოლოდ მის სამოქალაქო ნაწილთან მიმართებით (*საკოკია ავსტრიის წინააღმდეგ* (განჩინება))¹⁶⁶.

46. მოთხოვნები ხელახალი განხილვის/რიგგარეშე სააპელაციო საქმისწარმოებისათვის : საქმე *ბოჩანი უკრაინის წინააღმდეგ* (№2) [დიდი პალატა]¹⁶⁷ განმარტავს სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, რომელიც ეხება მე-6 მუხლის გამოყენებას რიგგარეშე სააპელაციო საჩივრებთან დაკავშირებით, სამოქალაქო სამართალწარმოების დროს. კონვენცია არ იძლევა გარანტირებულ უფლებას დასრულებული საქმის ხელახლა წარმოებაში მისაღებად და მე-6 მუხლი არ გამოიყენება დასრულებული სამოქალაქო სამართალწარმოების განახლების მოთხოვნის დროს, როდესაც გამოტანილია საბოლოო გადაწყვეტილება, (*საბლონი ბელგიის წინააღმდეგ*, §86)¹⁶⁸. ეს დასაბუთება ასევე ეხება სამართალწარმოების განახლების შესახებ მოთხოვნებს, სტრასბურგის სასამართლოს მიერ კონვენციის დარღვევის დადგენის შემდეგ, (*Verein gegen Tierfabriken Schweiz (VgT) შვეიცარიის წინააღმდეგ* (№2), §24)¹⁶⁹. ამგვარად, ამ შემთხვევებში მე-6 მუხლი შეუსაბამოა. იმის გათვალისწინებით, რომ ჯერჯერობით, ეროვნულ სამართალწარმოებაში ეს საკითხი

¹⁶² Hornsby v. Greece, 19 მარტი 1997, §40, გადაწყვეტილებათა და განჩინებათა ანგარიშები 1997-II.

¹⁶³ Romańczyk v. France, N 7618/05, §53, 18 ნოემბერი 2010.

¹⁶⁴ Buj v. Croatia, N 24661/02, §19, 1 ივნისი 2006.

¹⁶⁵ Avotiņš v. Latvia [დიდი პალატა], N 17502/07, §96, ECHR 2016.

¹⁶⁶ Saccoccia v. Austria (განჩინება), N 69917/01, 18 დეკემბერი 2008.

¹⁶⁷ Bochan v. Ukraine (N 2) [დიდი პალატა], N 22251/08, §44-45, ECHR 2015.

¹⁶⁸ Sablon v. Belgium, N 36445/97, §86, 10 აპრილი 2001.

¹⁶⁹ Verein gegen Tierfabriken Schweiz (VgT) v. Switzerland (N 2), N 32772/02, §24, 4 ოქტომბერი 2007.

წყდება საბოლოო გადაწყვეტილების ხელახალი განხილვის აკრძალვის პრინციპის შესაბამისად, კერძოდ მას არ შეუძლია უზრუნველყოს, რომ მომდევნო რიგგარეშე განაცხადი ან გადაწყვეტილების გასაჩივრების მოთხოვნა წარმოშობს დასაბუთებულ მოთხოვნას ეროვნული კანონმდებლობით აღიარებული უფლების არსებობის შესახებ (*Bochan v. Ukraine* (N 2) [დიდი პალატა], §§44-45)¹⁷⁰.

47. მიუხედავად ამისა, რიგგარეშე საჩივარმა ავტომატურად უნდა გამოიწვიოს ან პრაქტიკაში მოახდინოს საქმის ხელახალი განხილვა ხოლო მე-6 მუხლი საქმის "გადახედვის" შესახებ სამართალწარმოებაზე ჩვეულებრივი წესით ვრცელდება (იქვე, §46). კონვენციის მე-6 მუხლი ასევე გამოიყენება ისეთი სამართალწარმოებებისას, რომლებიც ეროვნულ კანონმდებლობაში დახასიათებულია როგორც "რიგგარეშე" ან "გამონაკლისი" და თავისი არსით და ფარგლებით მიმსგავსებულია ჩვეულებრივი საჩივრის განხილვის სამართალწარმოებასთან, ამ შემთხვევაში, მე-6 მუხლის გამოყენების საკითხის დასადგენად გადამწყვეტი არ არის სამართალწარმოების ეროვნული განმარტება (*San Leonard Band Club v. Malta*, §§41-48)¹⁷¹. სასამართლომ დაასკვნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ 6.1 მუხლი ზოგადად არ გამოიყენებარეგარეშე საჩივრებთან დასრულებულ სასამართლო სამართალწარმოებათა ხელახლა განხილვის მოთხოვნასთან მიმართებით, ასეთი სამართალწარმოების არსი, ფარგლები და განსაკუთრებული მახასიათებლები სამართლებრივ სისტემაში შეიძლება მომჩივანის 6.1 მუხლის სამართლებრივი დაცვის და სამართლიანი სასამართლოს გარანტიების ფარგლებში მოექცეს. სასამართლო ვალდებულია განიხილოს სადავო საკითხთან დაკავშირებული რიგგარეშე საჩივრის არსი, ფარგლები და განსაკუთრებული მახასიათებლები (*Bochan v. Ukraine* (N 2) [დიდი პალატა], §50)¹⁷². აღნიშნულ საქმეში, „რიგგარეშე საჩივრის“ შემთხვევაში, ის კრიტერიუმები იქნა გამოყენებული, რომელშიც მომჩივანი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის შესახებ გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით, ითხოვდა თავისი ქვეყნის უზენაესი სასამართლოსგან გაეუქმებინა ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებები.

¹⁷⁰ *Bochan v. Ukraine* (N 2) [დიდი პალატა], N 22251/08, §44-45, ECHR 2015.

¹⁷¹ *San Leonard Band Club v. Malta*, N 77562/01, §41-48, ECHR 2004-IX.

¹⁷² *Bochan v. Ukraine* (N 2) [დიდი პალატა], N 22251/08, §50, ECHR 2015.

48. მე-6 მუხლი ასევე ვრცელდება მესამე მხარის საჩივარზე, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს მომჩივანთა სამოქალაქო უფლებებსა და ვალდებულებებზე (*კაკამუკასი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §32)¹⁷³.

D. გამონაკლისი საკითხები

49. მხოლოდ იმის ჩვენება, რომ დავა არის "მატერიალური" ხასიათის, არ არის საკმარისი სამოქალაქო საქმეებში 6.1 მუხლის გამოყენებისთვის (*ფერაზინი იტალიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §25)¹⁷⁴.

50. მე-6 მუხლის ფარგლებს გარეთ არსებული საკითხები მოიცავს საგადასახადო საქმისწარმოებას: საგადასახადო საკითხები ჯერ კიდევ გარკვეულ როლს ასრულებს საჯარო ხელისუფლების მყარი პრეროგატივის ჩამოყალიბებაში, გადასახადის გადამხდელსა და საზოგადოებას შორის არსებული ურთიერთობის საჯარო ხასიათთან ერთად, რომელიც რჩება უპირატესად (იქვე §29). ანალოგიურად გამორიცხულია შემაჯამებელი უზრუნველყოფის ღონისძიების პროცედურები საბაჟო გადასახადების ან ხარჯების შესახებ (*Emesa Sugar N.V. ნიდერლანდების წინააღმდეგ* (განჩინება))¹⁷⁵.

51. იგივე ეხება, საემიგრაციო სფეროს, უცხოელთა ქვეყანაში შესვლის, საცხოვრებლის და გაძევების საკითხებს, იმ სამართალწარმოებასთან მიმართებით რომელიც დაკავშირებულია პოლიტიკური თავშესაფრის ან დეპორტაციის მინიჭებასთან (საჩივარი, დეპორტაციის ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ: იხ. *მაუია საფრანგეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §38¹⁷⁶; ექსტრადიცია: იხ. *პენაფიელ სალგადო ესპანეთის წინააღმდეგ* (განჩინება)¹⁷⁷; *მამატკულოვი და ასკაროვი თურქეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §§81-83¹⁷⁸; და თავშესაფრის მინიჭებაზე უარისგამო თავშესაფრის მაძიებლის სარჩელი ზიანის ანაზღაურების შესახებ: იხ. *Panjeheighalehei დანიის წინააღმდეგ* (განჩინება))¹⁷⁹, მიუხედავად, კერძო ან ოჯახური ცხოვრების ან დასაქმების პერსპექტივებში შესაძლო სერიოზული ჩარევისა.ეს შეუსაბამობა ვრცელდება შენგენის საინფორმაციო სისტემაში უცხოელის ჩართულობაზე (*დალეა საფრანგეთის წინააღმდეგ* (განჩინება))¹⁸⁰. პასპორტისა და

¹⁷³ Kakamoukas and Others v. Greece [დიდი პალატა], N 38311/02, §32, 15 თებერვალი 2008.

¹⁷⁴ Ferrazzini v. Italy [დიდი პალატა], N 44759/98, §25, ECHR 2001-VII.

¹⁷⁵ Emesa Sugar N.V. v. the Netherlands (განჩინება), N 62023/00, 13 იანვარი 2005.

¹⁷⁶ Maaouia v. France [განჩინება], N 39652/98, §38, ECHR 2000-X.

¹⁷⁷ Penafiel Salgado v. Spain (განჩინება), N 65964/01, 16 აპრილი 2002.

¹⁷⁸ Mamatkulov and Askarov v. Turkey [დიდი პალატა], N 46827/99 და 46951/99, §§81-83, ECHR 2005-I.

¹⁷⁹ Panjeheighalehei v. Denmark, N 11230/07, 13 ოქტომბერი 2009.

¹⁸⁰ Dalea v. France (განჩინება), N 964/07, 2 თებერვალი 2010.

მოქალაქეობის ქონის უფლება მე-6 მუხლის მიზნებისათვის არ წარმოადგენს სამოქალაქო ხასიათის უფლებებს (*სმირნოვი რუსეთის წინააღმდეგ* (განჩინება)¹⁸¹. თუმცა, უცხოელის უფლება მოითხოვოს სამუშაო ნებართვა ექცევა მე-6 მუხლის ფარგლებში, როგორც დამსაქმებლისთვის, ისე დასაქმებულისთვის, თუნდაც, ეროვნული კანონმდებლობით, დასაქმებულს არ გააჩნდეს სასამართლოს წინაშე წარდგომის უფლება (*locus standi*) სამართალწარმოებაში მონაწილეობის მისაღებად, თუმცა ეს არის მხოლოდ პროცედურული ბარიერი, რომელიც გავლენას არ ახდენს უფლების არსზე (*Jurisc and Collegium Mehrerau ავსტრიის წინააღმდეგ*, §§54-62)¹⁸².

52. ვილჰო ესკელინენი და სხვები ფინეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა]¹⁸³ საქმის მიხედვით, მე-6 მუხლი საჯარო მოსამსახურეებთან დაკავშირებულ დავებთან არ გამოიყენება როდესაც სახეზე გვაქვს შემდეგი ორი კრიტერიუმი: როდესაც სახელმწიფო ეროვნულ კანონმდებლობაში პირდაპირ გამორიცხავს „ტრიბუნალის“ ხელმისაწვდომობის უფლებას თანამდებობაზე მყოფ ან შესაბამის თანამშრომელთა პირთათვის და გამონაკლისი შესაძლებელია სახელმწიფო ინტერესის ობიექტური საფუძველის არსებობის შემთხვევაში (§62). უფრო მეტიც, მე-6 მუხლის გამოყენების ნებისმიერი გამონაკლისი უნდა შეესაბამებოდეს კანონის უზენაესობის პრინციპს, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს ზოგადი განაცხადის ინსტრუმენტს და არა კონკრეტული პირისკენ მიმართულ პირობას (*ბაკა უნგრეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §117)¹⁸⁴. გამონაკლისის დასაბუთებისთვის სახელმწიფოსთვის საკმარისი არ არის იმის დადგენა, რომ საჯარო მოსამსახურე მონაწილეობს საჯარო ხელისუფლების განხორციელებაში ან საქმეში *პელეგრინი საფრანგეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა]¹⁸⁵ სასამართლოს მიერ გამოყენებული სიტყვებით რომ ვთქვათ, არსებობს "ნდობისა და ერთგულების განსაკუთრებული კავშირი" საჯარო მოსამსახურესა და სახელმწიფოს, როგორც დამსაქმებელს შორის. სახელმწიფოს ვალდებულებაა წარმოაჩინოს, რომ საქმეში დავის საგანი დაკავშირებულია სახელმწიფოს ძალაუფლების გამოყენებასთან ან რომ ის ეჭვქვეშ აყენებს ზემოთ აღნიშნული განსაკუთრებული კავშირის არსებობას. როგორც წესი, საჯარო მოსამსახურესა და სახელმწიფოს შორის განსაკუთრებული ხასიათის ურთიერთობის გათვალისწინებით არ შეიძლება გამართლდეს მე-6 მუხლით გათვალისწინებული გარანტიების გამორიცხვა გასაჩივრებული მარტივი შრომითი დავების შემთხვევაში,

¹⁸¹ Smirnov v. Russia (განჩინება), N 14085/04, 6 ივლისი 2006.

¹⁸² Jurisc and Collegium Mehrerau v. Austria, N 62539/00, §§54-62, 27 ივლისი 2006.

¹⁸³ Vilho Eskelinen and Others v. Finland [დიდი პალატა], N 63235/00, ECHR 2007-II.

¹⁸⁴ Baka v. Hungary [დიდი პალატა], N 20261/12, §117,23 ივნისი 2016.

¹⁸⁵ Pellegrin v. France [დიდი პალატა], N 28541/95, ECHR 1999-VIII.

რომლებიც ეხება ხელფასებს, დახმარებებს ან ანალოგიურ უფლებებს (*ვილჰო ესკელინენი და სხვები ფინეთის წინააღმდეგ*, [დიდი პალატა], §62)¹⁸⁶. სასამართლომ დაადგინა, რომ მე-6 მუხლი არ გამოიყენება საქმეში, რომელიც შეეხებოდა დისციპლინის დარღვევის გამო ჯარისკაცის არმიიდან გარიცხვას, რომელსაც არ შეეძლო ედავა სასამართლოში და რომლის “ნდობისა და ერთგულების განსაკუთრებული კავშირი” სახელმწიფოს მიმართ ეჭვქვეშ დადგა (*სუქუთი თურქეთის წინააღმდეგ*, (განჩინება))¹⁸⁷.

53. რამდენიმე საქმეში, სადაც სასამართლომ დაადგინა, ვილჰო ესკელინენის ტესტის პირველი პირობის შესრულება, თანამდებობასთან დაკავშირებულ დავაზე სასამართლოს ხელმისაწვდომობის გამოყენების შეზღუდვა იყო აშკარა და “გამოხატული” (იხ. მაგალითად, *სუქუთი თურქეთის წინააღმდეგ* (განჩინება)¹⁸⁸; *აპაი თურქეთის წინააღმდეგ* (განჩინება)¹⁸⁹; *ნაზსიზი თურქეთის წინააღმდეგ* (განჩინება)¹⁹⁰; და *ნედელჩო პოპოვი ბულგარეთის წინააღმდეგ*, §38¹⁹¹).

54. სასამართლომ განაცხადა, რომ ვილჰო ესკელინენის ტესტის მიზნების შესრულებისთვის არ არსებობს მექანიზმი იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ეროვნული სასამართლო სისტემის გარეთ არსებული კონკრეტული შიდასახელმწიფოებრივი ორგანოს როგორც "ტრიბუნალის" დახასიათება. ადმინისტრაციული ან საპარლამენტო ორგანო შეიძლება განხილული იქნეს, როგორც "ტრიბუნალი", შესაბამისად მე-6 მუხლი გამოიყენება საჯარო მოსამსახურეთა შესახებ დავებში, რომელთა დადგენაც ხდება აღნიშნული მუხლის მიხედვით (*ოლექსანდრ ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ*, §88)¹⁹². ასევე, შეიძლება არსებობდეს კონკრეტული გარემოებები, როცა სასამართლომ უნდა დაადგინოს იყო თუ არა სასამართლოზე ხელმისაწვდომობა ეროვნული კანონმდებლობით გამორიცხული მანამ, სანამ მომჩივანის მიმართ მიღებული იქნა სადავო ღონისძიება (*ბაკა უნგრეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §§115-16)¹⁹³.

55. პოლიტიკური უფლებები, მაგალითად არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის უფლება და თანამდებობის შენარჩუნება (საარჩევნო დავა: იხ. *პიერ-ბლოჩი*

¹⁸⁶ Vilho Eskelinen and Others v. Finland [დიდი პალატა], N 63235/00, §62, ECHR 2007-II.

¹⁸⁷ Suküt v. Turkey (განჩინება), N 59773/00, 11 სექტემბერი 2007.

¹⁸⁸ იქვე.

¹⁸⁹ Apay v. Turkey (განჩინება), N 3964/05, 11 დეკემბერი 2007.

¹⁹⁰ Nazsiz v. Turkey (განჩინება), N 22412/05, 26 მაისი 2009.

¹⁹¹ Nedelcho Popov v. Bulgaria, N 61360/00, §38, 22 ნოემბერი 2007.

¹⁹² Oleksandr Volkov v. Ukraine, N 21722/11, §88, ECHR 2013.

¹⁹³ Baka v. Hungary [დიდი პალატა], N 20261/12, §§115-116, ECHR 2016.

საფრანგეთის წინააღმდეგ, §50)¹⁹⁴, საპენსიო უფლება, ყოფილი პარლამენტის წევრის (პაპონი საფრანგეთის წინააღმდეგ (განჩინება))¹⁹⁵, ან პოლიტიკური პარტიის უფლება თავისი პოლიტიკური საქმიანობის განხორციელების თაობაზე (პარტიის გაუქმების შესახებ, იხ. რეფაჰ პარტიისი ("კეთილდღეობის პარტია") და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (განჩინება))¹⁹⁶, არ შეიძლება ჩაითვალოს სამოქალაქო უფლებებად 6.1 მუხლის მნიშვნელობით. პოლიტიკური პარტიის ან გაერთიანების წევრობა და გარიცხვაც არ ექცევა მე-6 მუხლის დაცვის ფარგლებში (ლოვრიჩი ხორვატიის წინააღმდეგ, §55)¹⁹⁷. ანალოგიურად, სამართალწარმოება რომელიც მოიცავდა არასამთავრობო ორგანიზაციისთვის საპარლამენტო არჩევნების დაკვირვების ჩატარებისას, იმ დოკუმენტების ხელმისაწვდომობაზე უარს, რომლებიც არ შეიცავდა ორგანიზაციასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, თავისთავად ექცეოდა 6.1 მუხლის ფარგლებს გარეთ (*Geraguyn Khorhurd Patgamavorakan Akumb სომხეთის წინააღმდეგ*, (განჩინება))¹⁹⁸.

56. ამასთანავე, კონვენცია არ ანიჭებს რაიმე უფლებას, მესამე პირების სისხლის სამართლის დანაშაულისთვის ბრალდებასთან ან სასჯელთან დაკავშირებით (*პერეზი საფრანგეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §70¹⁹⁹, *მუსტაფა თუნჩი და ფესირე თუნჩი თურქეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §218²⁰⁰).

57. სასამართლო სხდომაზე დაფიქსირებული საკითხების შეფასების უფლება არ წარმოადგენს სამოქალაქო უფლებას, ის არ არის "სამოქალაქო" უფლება კონვენციის მნიშვნელობით (*მაკკეი და ბი-ბი-სი შოტლანდიაგაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §§20-22)²⁰¹.

58. დასკვნა: ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების შესაბამისად, როდესაც არსებობს "დავა,, "სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების შესახებ", 6.1 მუხლი უზრუნველყოფს პირის უფლებას მიმართოს სასამართლოს ან ტრიბუნალს მის სამოქალაქო უფლებებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებით. ამგვარად, აღნიშნული მუხლი მოიცავს "სასამართლოს უფლებას", რომელზე

¹⁹⁴ Pierre-Bloch v. France, 21 ოქტომბერი 1997, §50, გადაწყვეტილებათა და განჩინებათა ანგარიშები 1997-VI.

¹⁹⁵ Papon v. France (განჩინება), N 344/04, ECHR 2005-XI .

¹⁹⁶ Refah Partisi (The Welfare Party) and Others v. Turkey (განჩინება), N 41340/98, და 3 სხვა, 3 ოქტომბერი 2000.

¹⁹⁷ Lovrić v. Croatia, N 38458/15, §55, 4 აპრილი 2017.

¹⁹⁸ Geraguyn Khorhurd Patgamavorakan Akumb v. Armenia (განჩინება), N 11721/04, 14 აპრილი 2009.

¹⁹⁹ Perez v. France [დიდი პალატა], N 47287/99, §70, ECHR 2004-I.

²⁰⁰ Mustafa Tunç and Fecire Tunç v. Turkey [დიდი პალატა], N 24014/05, §218, 14 აპრილი 2015.

²⁰¹ MacKay and BBC Scotland v. the United Kingdom, N 10734/05, §§20-22, 7 დეკემბერი 2010.

ხელმისაწვდომობის უფლებაც, რაც სამოქალაქო სამართალწარმოებებში სასამართლო პროცესის დაწყების უფლებას მოიცავს, წარმოადგენს მე-6 მუხლის ერთ ასპექტს. ამას ემატება, 6.1 მუხლით გათვალისწინებული გარანტიები, სასამართლოს შექმნის ასევე მისი შემადგენლობის და სამართალწარმოების ჩატარების შესახებ. საერთო ჯამში, ყველაფერი ერთად ქმნის "სამართლიანი სასამართლოს" უფლებას (*გოლდერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §36)²⁰².

II. სასამართლოსადმი მიმართვის უფლება

კონვენციის 6.1 მუხლი

“1. ყოველი ადამიანი, მისი სამოქალაქო ხასიათის უფლებებისა და მოვალეობების გამორკვევისას ..., აღჭურვილია გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნოდ განხილვის უფლებით კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. ...”

A. სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება

59. სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება მე-6 მუხლის მნიშვნელობით, განისაზღვრა საქმეში *გოლდერი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ* (§§28-36)²⁰³. კანონის უზენაესობის პრინციპების გათვალისწინებით ასევე კონვენციით გათვალისწინებული უფლებამოსილების თვითნებურად გამოყენების თავიდან ასაცილებლად, სასამართლომ დაადგინა, რომ სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება მე-6 მუხლით დაცული გარანტიების თანდაყოლილი ასპექტია.

60. 6.1 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლება, მოითხოვს, რომ მომჩივანებს ჰქონდეთ ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალება, რომელიც შესაძლებლობას მისცემს დაიცვან საკუთარი სამოქალაქო უფლებები (*ბელესი და სხვები ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ*, § 49)²⁰⁴.

61. ყველას აქვს უფლება, თავის „სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებთან“ დაკავშირებით სარჩელი წარადგინოს სასამართლოში ან ტრიბუნალში. ამგვარად, 6.1 მუხლი ადგენს „სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლებას“, რომელშიც სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება, რაც გულისხმობს სასამართლოში

²⁰² *Golder v. the United Kingdom*, 21 თებერვალი 1975, §36, Series A N 18.

²⁰³ *Golder v. the United Kingdom*, 21 თებერვალი 1975, §28-36, Series A N 18.

²⁰⁴ *Běleš and Others v. the Czech Republic*, N 47273/99, §49, ECHR 2002-IX.

სამოქალაქო უფლებებთან დაკავშირებით საქმის აღძვრისუფლებას, წარმოადგენს ერთ-ერთ ასპექტს (გოლდერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §36)²⁰⁵. ამრიგად, 6.1 მუხლით გარანტირებული უფლებებით შეიძლება ისარგებლოს ნებისმიერმა ადამიანმა, რომელიც მიიჩნევს რომ ადგილი ჰქონდა მის უფლებებში არაკანონიერ ჩარევას და დავობს იმასთან დაკავშირებით რომ მას არ ჰქონდა ტრიბუნალის წინაშე სარჩელის, რომელიც აკმაყოფილებდა 6.1 მუხლის მოთხოვნებს, წარდგენის შესაძლებლობა. როდესაც არსებობს სერიოზული და რეალური დავა ასეთი ჩარევის კანონიერების თაობაზე, რომელიც მიმართულია სამოქალაქო უფლების არსებობის ან დაცული ფარგლების დადგენაზე, 6.1 მუხლი დაინტერესებულ პირს უფლებას ანიჭებს, რომ „ეროვნულ კანონმდებლობასთან დაკავშირებული კითხვები გადაწყვიტოს ტრიბუნალმა“ (ზ და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ [დიდი პალატა] §92²⁰⁶; მარკოვიჩი და სხვები იტალიის წინააღმდეგ [დიდი პალატა], §98²⁰⁷). სასამართლოს უარი გამოიკვლიოს საქმეები, სადაც პირები ითხოვენ სამართლიანი სასამართლოს ფუნდამენტური პროცესუალური გარანტიების შეთავსებას კონკრეტულ პროცედურასთან, ზღუდავს მათი სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლებას.

62. სასამართლოსადმი მიმართვის და მასზე ხელმისაწვდომობის უფლება არ არიან აბსოლუტური უფლებები. ისინი შეიძლება შეიზღუდოს, თუმცა არ უნდა აიკრძალოს ან შემცირდეს პირის წვდომა იმ გზით ან იმ რაოდენობით, რომ უფლების მთავარი არსი დაირღვეს (ფილისი საბერძნეთის წინააღმდეგ (N 1), §59²⁰⁸; დე გოფრი დო ლა ფრადელი საფრანგეთის წინააღმდეგ, §28²⁰⁹; სტანევი ბულგარეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა], §229²¹⁰; ბაკა უნგრეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა], §120²¹¹). გარდა ამისა, შეზღუდვა არ იქნება 6.1 მუხლის შესაბამისი თუ იგი არ ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს და თუ არ არსებობს გონივრული პროპორციული დამოკიდებულება დასაქმებულთა მიერ გამოყენებულ საშუალებებსა და მიზანს შორის ((ლუპენი ბერძნული კათოლიკური სამრევლო და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა], §89)²¹².

²⁰⁵ Golder v. the United Kingdom, 21 თებერვალი 1975, §36, Series A N 18.

²⁰⁶ Z and Others v. the United Kingdom [დიდი პალატა], N 29392/95, §92, ECHR 2001-V.

²⁰⁷ Markovic and Others v. Italy [დიდი პალატა], N 1398/03, §98, ECHR 2006-XIV.

²⁰⁸ Philis v. Greece (N 1), 27 აგვისტო 1991, §59, Series A N 209.

²⁰⁹ De Geouffre de la Pradelle v. France, 16 დეკემბერი 1992, §28, Series A N 253-B.

²¹⁰ Stanev v. Bulgaria [დიდი პალატა], N 36760/06, §229, ECHR 2012.

²¹¹ Baka v. Hungary [დიდი პალატა], N 20261/12, §120, ECHR 2016.

²¹² Lupeni Greek Catholic Parish and Others v. Romania [დიდი პალატა], N 76943/11, §89, ECHR 2016 (extracts).

63. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო სარჩელის სასამართლოში შეტანა არის „უნივერსალურად აღიარებული ფუნდამენტური სამართლებრივი პრინციპი“, სასამართლო არ მიიჩნევს რომ ეს გარანტიები უნდა იყოს იმპერატიული ხასიათის ნორმები საერთაშორისო სამართლის არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით (ალ-დულიმი და შპს მონტანა მენეჯმენტის კორპორაცია შვეიცარიის წინააღმდეგ [დიდი პალატა], §136)²¹³.

64. საქმეში ბაკა უნგრეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა]²¹⁴, სასამართლომ აღნიშნა, რომ საერთაშორისო და ევროპული საშუალებების, საერთაშორისო სასამართლოების პრეცედენტული სამართლის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების პრაქტიკის მზარდი მნიშვნელობა დაკავშირებულია პროცედურულ სამართლიანობასთან იმ საქმეებში, რომელიც ეხება მოსამართლეების აცილებას ან თანამდებობიდან გათავისუფლებას, ასევე იმ ორგანოს, ჩარევა გადაწყვეტილებებში რომელიც ეხება მოსამართლის თანამდებობრივი უფლებამოსილების შეწყვეტას, რომელიც დამოუკიდებელია აღმასრულებელი და საკანონმდებლო ძალებისგან (§121).

65. გადაწყვეტილებაში საქმეზე ლოვრიჩი ხორვატიის წინააღმდეგ²¹⁵, რომელიც ეხებოდა ასოციაციის წევრის გაძევებას, სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვა ემსახურებოდა ასოციაციის ორგანიზაციული ავტონომიის დაცვის „ლეგიტიმურ მიზანს“ (კონვენციის მე-11 მუხლზე დაყრდნობით). ამგვარი ღონისძიების სასამართლო განხილვის ფარგლები შეიძლება შეიზღუდოს, თუნდაც მნიშვნელოვანი მოცულობით, მაგრამ დაინტერესებულ პირს მაინც არ უნდა ჩამოერთვას სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლება (§§71-73).

1. უფლება, რომელიც პრაქტიკული და ეფექტურია

66. სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება უნდა იყოს „პრაქტიკული და ეფექტური“ (ბელე საფრანგეთის წინააღმდეგ, §38)²¹⁶. იმისთვის, რომ აღნიშნული უფლება იყოს ეფექტური, პირს უნდა ჰქონდეს „მკაფიო, პრაქტიკული შესაძლებლობა გაასაჩივროს ქმედება, რომელიც წარმოადგენს მის უფლებაში ჩარევას“. (იქვე, §36; ნუნეს დიასი პორტუგალიის წინააღმდეგ (განჩინება) სასამართლოში გამოძახების წესებით თაობაზე)²¹⁷.

²¹³ Al-Dulimi and Montana Management Inc. v. Switzerland [დიდი პალატა], N 5809/08, §136, ECHR 2016.

²¹⁴ Baka v. Hungary [დიდი პალატა], N 20261/12, ECHR 2016.

²¹⁵ Lovrić v. Croatia, N 38458/15, 4 აპრილი 2017.

²¹⁶ Bellet v. France, 4 დეკემბერი 1995, §38, Series A N 333-B.

²¹⁷ Nunes Dias v. Portugal (განჩინება), N 2672/03 და 69829/01, ECHR 2003-IV.

67. წესები, რომლებიც არეგულირებენ ფორმალურ ნაბიჯებს რომლებიც უნდა გადაიდგას და ვადებს რომელშიც საჩივარი ან განაცხადი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსახილველად, მიზნად ისახავს მართლმსაჯულების სათანადო განხორციელებასა და სამართლებრივი ნორმების დაცვას, სამართლებრივი სიცხადის პრინციპთან მიმართებით, (*კანეტე დე გონი ესპანეთის წინააღმდეგ*, §36)²¹⁸. აღნიშნულმა წესებმა, ან მათმა გამოყენებამ არ უნდა დააბრკოლოს მოსარჩელები ხელმისაწვდომი სამართლებრივი დაცვის საშუალების გამოყენებისგან (*მირაგალ ესკოლანო და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ*, §36²¹⁹; *ზვოლსკი და ზვოლსკა ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ*, §51²²⁰).

68. სასამართლოში საქმის აღძვრის ან სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლება უნდა წარმოიშვას იმ მომენტიდან, როდესაც მხარეებს შეეძლებათ ინფორმირებულები იყვნენ სამართლებრივი გადაწყვეტილების შედეგის თაობაზე, რომელიც აკისრებთ ვალდებულებას ან პოტენციურად ზიანს აყენებს მათ კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს. სხვაგვარად, სასამართლოებს შეუძლიათ მნიშვნელოვნად შეამცირონ საჩივრის შეტანის ვადა ან შეუძლებელი გახადონ საჩივრის შეტანა, სასამართლო გადაწყვეტილების ჩაბარების გადადებით. სასამართლო ორგანოსა და მხარეებს შორის კომუნიკაციის მიზნებისთვის სასამართლო დოკუმენტის ჩაბარება საშუალებას აძლევს მხარეებს გაიგონ სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ და თუ რას ეფუძნება იგი, რაც საშუალებას აძლევთ მათ გაასაჩივრონ გადაწყვეტილება საჭიროების შემთხვევაში (*მირაგალ ესკოლანო და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ*, §37)²²¹ ან საშუალებას აძლევს დაინტერესებულ მესამე მხარეს რომ ჩაერთოს საქმისწარმოებაში (*კანეტე დე გონი ესპანეთის წინააღმდეგ*, §40)²²², მომჩივნის შესახებ, რომელიც არ იყო სასამართლოში გამოძახებული ჩვენების მისაცემად, როგორც სამართალწარმოებაში დაინტერესებული მხარე, რამაც გამოიწვია ზიანი მეორე მხარისათვის).

უფრო ფართო გაგებით, ეროვნული ორგანოების პასუხისმგებლობაა, რომ საჭირო გულმოდგინებით შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობები, უზრუნველყონ მოსარჩელების შეტყობინება მათთან დაკავშირებულ სამართალწარმოებაში, რათა მათ შეძლონ სამართალწარმოებაში მონაწილეობა და თავის დაცვა; არ შეიძლება სამართალწარმოების შესახებ შეტყობინების ვალდებულების მოწინააღმდეგე

²¹⁸ Cañete de Goñi v. Spain, N 55782/00, §36, ECHR 2002-VIII.

²¹⁹ Miragall Escolano and Others v. Spain, N 38366/97 და 9 სხვა, §36, ECHR 2000-I.

²²⁰ Zvolský and Zvolská v. the Czech Republic, N 46129/99, §51, ECHR 2002-IX.

²²¹ Miragall Escolano and Others v. Spain, N 38366/97 და 9 სხვა §37, ECHR 2000-I.

²²² Cañete de Goñi v. Spain, N 55782/00, §40, ECHR 2002-VIII.

მხარისათვის დაკისრება (პრეცედენტული სამართლის მიმოხილვისთვის, იხ. საქმე *შმიდტი ლატვიის წინააღმდეგ*, §§86-90, 92 და 94-95²²³, სადაც მომჩივანს არ შეატყობინეს განქორწინების საქმის წარმოების შესახებ და ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ არსებული ინფორმაციის საფუძველზე, სამართალწარმოებაში ეროვნულ ორგანოებს ჰქონდათ სპეციალური მოვალეობა უზრუნველყოთ მხარის სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლების დაცვა).⁶⁹ ადმინისტრაციულ საქმეთა საჯარო გამოქვეყნების სისტემა, რომელიც სამართლიანად აბალანსებს ხელისუფლებისა და დაინტერესებული პირების ინტერესებს, კერძოდ, გადაწყვეტილებათა გასაჩივრების მიზნით დაინტერესებული პირებისათვის გამჭვირვალე, პრაქტიკული და ეფექტური შესაძლებლობების მიცემას, არ წარმოადგენს სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლებაში გაუმართლებელ ჩარევას (*გეფრე საფრანგეთის წინააღმდეგ* (განჩინება))²²⁴.

საქმე *ზავოდნიკი სლოვენის წინააღმდეგ*²²⁵ ეხებოდა სასამართლოში გამოძახების შეტყობინებასგაკოტრებასთან დაკავშირებული სამართალწარმოების პერიოდში. სასამართლომ დაადგინა, რომ სხდომის შესახებ შეტყობინების ფორმა (იგი გამოქვეყნდა სასამართლოს საინფორმაციო დაფაზე და Official Gazette-ში²²⁶) იყო შეუსაბამო და მომჩივანს არ აძლევდა საშუალებას გაესაჩივრებინა ქონების განაწილების გადაწყვეტილება (*ზავოდნიკი სლოვენის წინააღმდეგ*, §§ 78-81)²²⁷.

70. საქმის სპეციფიკური გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების პრაქტიკული და ქმედითი ბუნება შეიძლება დაირღვეს, მაგალითად:

- პირის ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით სამართალწარმოების ზედმეტად მაღალი ღირებულებით;

□ სისხლის სამართლის საქმისწარმოებაში სამოქალაქო მხარედ ჩართვის შუამდგომლობის უზრუნველყოფის ღირებულების გადაჭარბებული ოდენობა (*აით-მუჰუბი საფრანგეთის წინააღმდეგ*, §§57-58²²⁸; *გარსია მანიბარდო ესპანეთის წინააღმდეგ*, §§38-45²²⁹);

²²³ Schmidt v. Latvia, N 22493/05, §§86-90, 92 და 94-9527 აპრილი 2017.

²²⁴ Geffre v. France (განჩინება), N 51307/99, ECHR 2003-I (ამონარიდები).

²²⁵ Zavodnik v. Slovenia, N 53723/13, 21 მაისი 2015.

²²⁶ მთავრობის პერიოდული გამომცემლობა გაზეთის ან ჟურნალის სახით, რომელიც აქვეყნებს საჯარო ან სამართლებრივ შენიშვნებს.

²²⁷ იქვე, §§78-81.

²²⁸ Ait-Mouhoub v. France, 28 ოქტომბერი 1998, §57-58, გადაწყვეტილებათა და განჩინებათა ანგარიშები 1998-VIII.

²²⁹ García Manibardo v. Spain, N 38695/97, §38-45, ECHR 2000-II.

□ ზედმეტად მაღალი სასამართლო ხარჯები (*კრეუზი პოლონეთის წინააღმდეგ*, §§60-67²³⁰; *პოდბიელსკი და პპუ პოლონურე პოლონეთის წინააღმდეგ*, §§65-66²³¹; *ვეისმანი და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ*, §42²³²; და ამის საწინააღმდეგოდ, *რუტერი გერმანიის წინააღმდეგ* (განჩინება)²³³);

▪ ხანდაზმულობისთან დაკავშირებული საკითხებით:

□ დაუშვებლად ცნობილი საჩივრის განხილვისათვის გამოყენებული დრო (*მელნიკი უკრაინის წინააღმდეგ*, §26²³⁴; *მირაგალ ესკოლანო და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ*, §38²³⁵). საქმეზე *ივანოვა და ივაშოვა რუსეთის წინააღმდეგ*²³⁶ სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა არ უნდა განმარტონ ეროვნული კანონმდებლობა მოუქნელი ფორმით, კერძოდ, მომჩივნებისთვის ისეთი ვალდებულების დაკისრებით, რომელსაც ისინი ვერ შეასრულებენ. გასაჩივრების ვადის განსაზღვრა 1 თვით იმ დღიდან, როდესაც რეესტრი გამოაქვეყნებს სასამართლო გადაწყვეტილების სრულ ასლს - იმის მაგივრად რომ გათვალისწინებული იყოს მომჩივანის მიერ გადაწყვეტილების შესახებ შეტყობინება - უტოლდებოდა შესაბამისი ვადის ამოწურვას, მომჩივნის კონტროლს გარეთ არსებულ ფაქტორზე დაყრდნობით. სასამართლომ დაადგინა, რომ გასაჩივრების უფლება უნდა გამხდარიყო ეფექტური იმ მომენტიდან, როდესაც მომჩივანს შეეძლო სასამართლოს გადაწყვეტილების სრული ტექსტის სრულყოფილად გაგება.

□ სარჩელის შეტანის შეზღუდული ვადები (*ჰოვალდ მური და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ*, §§79-80²³⁷; *იაგთზილარი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ*, §27²³⁸). მაგალითად, სასამართლომ დაადგინა, სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევა რიგ შემთხვევებში, როდესაც სისხლის სამართლის პროცესის შეწყვეტა და სამოქალაქო სარჩელის განუხილველობა გამოწვეული იყო ეროვნული ხელისუფლების მხრიდან მოვალეობების შეუსრულებლობით (*ათანასოვა ბულგარეთის წინააღმდეგ*, §§35-47)²³⁹. საჩივრების განხილვის დიდი ხნით გადადებამ

²³⁰ Kreuz v. Poland, N 28249/95, §60-67, ECHR 2001-VI.

²³¹ Podbielski and PPU Polpure v. Poland, N 39199/98, §65-66, 26 ივლისი 2005.

²³² Weissman and Others v. Romania, N 63945/00, § 42, ECHR 2006-VII (ამონარიდები).

²³³ Reuther v. Germany (განჩინება), N 74789/01, ECHR 2003-IX.

²³⁴ Melnik v. Ukraine, N 72286/01, §26, 28 მარტი 2006.

²³⁵ Miragall Escolano and Others v. Spain, N 38366/97 და 9 სხვა §38, ECHR 2000-I.

²³⁶ Ivanova and Ivashova v. Russia, N 797/14 და 67755/14, 26 იანვარი 2017.

²³⁷ Howald Moor and Others v. Switzerland, N 52067/10 და 41072/11, §79-80, 11 მარტი 2014.

²³⁸ Yagtzilar and Others v. Greece, N 41727/98, § 27, ECHR 2001-XII.

²³⁹ Atanasova v. Bulgaria, N 72001/01, §35-47, 2 ოქტომბერი 2008.

შესაძლოა სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლებას აზრი დაუკარგოს (კრისტიანსენი და ტივიკი ას ნორვეგიის წინააღმდეგ)²⁴⁰.

□ ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ გასაჩივრების უფლების მინიჭება და შედეგად, გარკვეული დროის შემდეგ შეტანილი საჩივრის დასაშვებად მიღება, იმ მიზეზების გამო, რომელიც არ არის მაინცდამაინც დამაჯერებელი, შეიძლება არღვევდეს სამართლებრივი სიცხადის პრინციპებს და სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლებას (მაგომედოვი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ §§87-89, სადაც დაგვიანებული საჩივრები კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების სასარგებლოდ, დასაშვებად იქნა ცნობილი გასაჩივრების ვადის გაგრძელების ყოველგვარი საფუძვლის გარეშე)²⁴¹;

- იურისდიქციასთან დაკავშირებული საკითხები (იხ. მაგალითად, არლევინი შვედეთის წინააღმდეგ²⁴², რომელიც ეხება სატელევიზიო პროგრამის ტრანსლაციას ევროკავშირის სხვა ქვეყნიდან);
- მტკიცებულებები, სადაც მტკიცების ტვირთის მოთხოვნები ზედმეტად მკაცრია (ტენსი სლოვენის წინააღმდეგ, §§ 35-38)²⁴³;
- ისეთი პროცედურების არსებობა, რომელიც ზღუდავს ან კრძალავს სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობას:

□ ეროვნული სასამართლოების მიერ საპროცესო კანონმდებლობის განსაკუთრებულად მკაცრმა ინტერპრეტაციამ (გადაჭარბებული ფორმალურობა) შესაძლოა წაართვას მომჩივნებს სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება (პერეზ დე რადა კავანილესი ესპანეთის წინააღმდეგ, §49²⁴⁴; მირაგალ ესკოლანო ესპანეთის წინააღმდეგ, §38²⁴⁵; სოტირის და ნიკოს კოუტრას ატტეე საბერძნეთის წინააღმდეგ, §20²⁴⁶; ბელესი და სხვები ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ, §50²⁴⁷; RTBF ბელგიის წინააღმდეგ, §§ 71-72 და 74²⁴⁸; მიესენი ბელგიის წინააღმდეგ, §§72-74)²⁴⁹;

□ ადრე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებულმა მოთხოვნებმა შეიძლება ზიანი მიაყენოს სასამართლოს ხელმისაწვდომობის

²⁴⁰ Kristiansen and Tyvik As v. Norway, N 25498/08, 2 მაისი 2013.

²⁴¹ Magomedov and others v. Russia, N 33636/09 და 9 სხვა, §87-89, 28 მარტი 2017.

²⁴² Arlewin v. Sweden, N 22302/10, 1 მარტი 2016.

²⁴³ Tence v. Slovenia, N 37242/14, §§35-38, 31 მაისი 2016.

²⁴⁴ Pérez de Rada Cavanilles v. Spain, 28 ოქტომბერი 1998, §49, გადაწყვეტილებათა და განჩინებათა ანგარიშები 1998-VIII.

²⁴⁵ Miragall Escolano and Others v. Spain, N 38366/97 და 9 სხვა §38, ECHR 2000-I.

²⁴⁶ Sotiris and Nikos Koutras ATTEE v. Greece, N 39442/98, §20, ECHR 2000-XII.

²⁴⁷ Běleš and Others v. the Czech Republic, N 47273/99, §50, ECHR 2002-IX.

²⁴⁸ RTBF v. Belgium, N 50084/06, §§ 71-72 და 74, ECHR 2011 (ამონარიდები).

²⁴⁹ Miessen v. Belgium, N 31517/12, §72-74, 18 ოქტომბერი 2016.

უფლებას, მაგალითად, საკმარისი თანხის არარსებობის გამო მომჩივნისთვის შეუძლებელია ადრე მიღებული გადაწყვეტილების შესრულებაც კი(ანონი დი გუსოლა და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ, §56²⁵⁰; შეადარეთ საქმეს არვანიტაკისი საფრანგეთის წინააღმდეგ (განჩინება))²⁵¹;

□ პროცედურული ნორმები, რომლებიც აბრკოლებენ კონკრეტული სამართლის სუბიექტების სასამართალწარმოებაში მონაწილეობას (წმინდა მონასტრები საბერძნეთის წინააღმდეგ, §83²⁵²; ფილისი საბერძნეთის წინააღმდეგ (N 1), §65²⁵³; ლუპასი და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ, §§64-67²⁵⁴; და სრულწლოვანთა ქმედუუნარობის შესახებ, სტანევი ბულგარეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა], §§241-45²⁵⁵; ნატალია მიხაილენკო უკრაინის წინააღმდეგ²⁵⁶, და შეადარეთ საქმეს რ.პ. და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ)²⁵⁷.

თუმცა, ისევ ფორმალურობას რომ შევვხვით, საკასაციო საჩივრის წარდგენის შესაძლებლობის წინაპირობები, ლეგიტიმურად შეიძლება უფრო მკაცრი იყოს, ვიდრე ჩვეულებრივი საჩივრის შემთხვევაში. საკასაციო სასამართლოს როლის განსაკუთრებული ბუნების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს სამართალწარმოება შეიძლება იყოს უფრო ფორმალური, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე უკვე განხილული იყო პირველი და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოების მიერ სრული იურსიდიქციით (*Levages Prestations Services საფრანგეთის წინააღმდეგ*, §§ 44-48²⁵⁸; *ბრუალა გომეზ დე ლა ტორე ესპანეთის წინააღმდეგ*, §§34-39²⁵⁹). საქმეში *ტრევისანატო იტალიის წინააღმდეგ*²⁶⁰, სასამართლომ დასაშვებად მიიჩნია ადვოკატებისთვის დადგენილი მოთხოვნა, რომ საკასაციო სასამართლოს წინაშე წარსადგენი საჩივრის თითოეული საფუძველი დაესრულებინათ შესაბამისი დასკვნითი პარაგრაფით, რომელიც ნათლად ასაბუთებს და აშკარად გამოავლენს, რომ დაირღვა სადავო სამართლებრივი პრინციპები(§§ 42-45).

²⁵⁰ Annoni di Gussola and Others v. France, N 31819/96 და 33293/96, §56, ECHR 2000-XI.

²⁵¹ Arvanitakis v. France (განჩინება), N 46275/99, ECHR 2000-XII.

²⁵² The Holy Monasteries v. Greece, 9 დეკემბერი 1994, §83, Series A N 301-A.

²⁵³ Philis v. Greece (N 1), 27 აგვისტო 1991, §65, Series A N 209.

²⁵⁴ Lupaș and Others v. Romania, N 1434/02 და 2 სხვა, §§64-67, ECHR 2006-XV (ამონარიდები).

²⁵⁵ Stanev v. Bulgaria [დიდი პალატა], N 36760/06, §§241-45, ECHR 2012.

²⁵⁶ Nataliya Mikhaylenko v. Ukraine, N 49069/11, 30 მაისი 2013.

²⁵⁷ R.P. and Others v. the United Kingdom, N 38245/08, 9 ოქტომბერი 2012.

²⁵⁸ Levages Prestations Services v. France, 23 ოქტომბერი 1996, §§ 44-48, გადაწყვეტილებათა და განჩინებათა ანგარიშები, 1996-V.

²⁵⁹ Brualla Gómez de la Torre v. Spain, 19 დეკემბერი 1997, §§34-39, გადაწყვეტილებათა და განჩინებათა ანგარიშები, 1997-VIII.

²⁶⁰ Trevisanato v. Italy, N 32610/07, § 42-45, 15 სექტემბერი 2016

71. გარდა ამისა, 6.1 მუხლი უზრუნველყოფს არამხოლოდ სასამართლოში საქმის აღძვრის უფლებას, არამედ სასამართლოს მიერ დავის გადაწყვეტის უფლებასაც (ლუპენის ბერძნული კათოლიკური სამრევლო და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა], §86²⁶¹; კუტიჩი ხორვატიის წინააღმდეგ, §§25 და 32²⁶², საქმის განხილვის შეჩერებასთან დაკავშირებით; აჩიმოვიჩი ხორვატიის წინააღმდეგ, §41²⁶³; ბენეფიციო კაპელა პაოლინი სან მარინოს წინააღმდეგ, §29²⁶⁴, რომელიც შეეხება უარს მართლმსაჯულების განხორციელების თაობაზე).

72. სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება, ასევე, შეიძლება დაირღვეს, როდესაც სასამართლო ვერ ახერხებს ნორმატიულად დადგენილ ვადებში განიხილოს საჩივრები რიგ გადაწყვეტილებებზე (მუსუმეცი იტალიის წინააღმდეგ, §§41-43)²⁶⁵, ან გადაწყვეტილების არარსებობის შემთხვევებში (განცი იტალიის წინააღმდეგ, §31)²⁶⁶. „სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება“ მოიცავს გადაწყვეტილებების აღსრულებასაც.

2. შეზღუდვები

73. სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის, იგი შეიძლება შეიზღუდოს კანონით დადგენილ ფარგლებში (გოლდერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §38²⁶⁷; სტანევი ბულგარეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა], §230²⁶⁸). კერძოდ შეზღუდვა ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე რომლებიც ეხება საჩივრის დასაშვებობის წინაპირობებს, რადგან, მისი ბუნების გათვალისწინებით, აღნიშნული საკითხი სახელმწიფოს მიერ უნდა იყოს რეგულირებული, რომელიც ამ საკითხთან დაკავშირებით შეფასების ფართო ფარგლებით სარგებლობს (ლუორდო იტალიის წინააღმდეგ, §85)²⁶⁹.

74. მიუხედავად ამისა, გამოყენებულმა შეზღუდვებმა არ უნდა აკრძალოს ან შეამციროს პირისთვის დაშვებული ხელმისაწვდომობა იმ ფორმით ან იმდენად, რომ ზედმეტად არ გაუფასურდეს უფლების არსი. გარდა ამისა, შეზღუდვა არ შეესაბამება

²⁶¹ Lupeni Greek Catholic Parish and Others v. Romania [დიდი პალატა], N 76943/11, §86, ECHR 2016 (ამონარიდები).

²⁶² Kutić v. Croatia, N 48778/99, §25 და 32, ECHR 2002-II.

²⁶³ Aćimović v. Croatia, N 61237/00, §41, ECHR 2003-XI.

²⁶⁴ Beneficio Cappella Paolini v. San Marino, N 40786/98, §29, ECHR 2004-VIII (ამონარიდები).

²⁶⁵ Musumeci v. Italy, N 33695/96, §43-44, 11 იანვარი 2005.

²⁶⁶ Ganci v. Italy, N 41576/98, §31, ECHR 2003-XI.

²⁶⁷ Golder v. the United Kingdom, 21 თებერვალი 1975, §38, Series A N 18.

²⁶⁸ Stanev v. Bulgaria [დიდი პალატა], N 36760/06, §230, ECHR 2012.

²⁶⁹ Luordo v. Italy, N 32190/96, §85, ECHR 2003-IX.

6.1 მუხლს, თუ იგი არ ემსახურება „ლეგიტიმურ მიზანს“ და თუ არ არსებობს „გონივრული პროპორციულობა გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის“ (აშინგდანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §57²⁷⁰, ფაიედი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §65²⁷¹, მარკოვიჩი და სხვები იტალიის წინააღმდეგ [დიდი პალატა], § 99²⁷²).

75. სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება, ასევე კანონიერად შეიძლება შეიზღუდოს, გარკვეულ შემთხვევებში, მაგალითად სავალდებულო ხანდაზმულობის ვადის შემთვევაში (სტუბინგსი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §§51-52)²⁷³, გადახდის ბრძანების უზრუნველყოფა (ტოლსტოი მილოსლავსკი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §§62-67)²⁷⁴, სამართლებრივი წარმომადგენლის მოთხოვნა (რ.პ. და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §§ 63-67)²⁷⁵ ან ის მოთხოვნები, რომლებიც საჭიროა დავის მეგობრული გადაწყვეტის პროცედურისთვის, სახელმწიფოს წინააღმდეგ საჩივრის საშალებით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნამდე (მომჩილოვიჩი ხორვატიის წინააღმდეგ, §§ 55-57)²⁷⁶.

76. როდესაც სასამართლოს ხელმისაწვდომობა აკრძალულია კანონით ან პრაქტიკაში, სასამართლო იკვლევს თუ რა გავლენას ახდენს შეზღუდვა უფლებაზე და კერძოდ, ემსახურება თუ არა ის ლეგიტიმურ მიზანს და იყო თუ არა დაცული პროპორციულობა გამოყენებულ საშუალებებსა და მისაღწევ მიზანს შორის: (აშინგდანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, §57)²⁷⁷. 6.1 მუხლი არ დაირღვევა თუ შეზღუდვა შეთავსებადია სტრასბურგის სასამართლოს მიერ დადგენილ პრინციპებთან.

77. ეროვნულ დონეზე პირის საჩივარს აქვს თუ არა სასარჩელო ძალა შეიძლება დამოკიდებული იყოს არა მხოლოდ ძირითად შინაარსზე, კონკრეტულად რომ ვთქვათ, ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ რელევანტურ სამოქალაქო უფლებებზე, არამედ ასევე საპროცესო შეზღუდვების არსებობაზე, რომელიც ხელს უშლის ან ზღუდავს სასამართლოსათვის კონკრეტული მოთხოვნებით მიმართვის შესაძლებლობას (მაკელჰინი ირლანდიის წინააღმდეგ [დიდი პალატა], §24)²⁷⁸. 6.1

²⁷⁰ Ashingdane v. the United Kingdom, 28 მაისი 1985, §57, Series A N 93.

²⁷¹ Fayed v. the United Kingdom, 21 სექტემბერი 1994, §65, Series A N 294-B.

²⁷² Markovic and Others v. Italy [დიდი პალატა], N 1398/03, §99, ECHR 2006-XIV.

²⁷³ Stubbings and Others v. the United Kingdom, 22 ოქტომბერი 1996, §51-52, გადაწყვეტილებათა და განჩინებათა ანგარიშები, 1996-IV.

²⁷⁴ Tolstoy Miloslavsky v. the United Kingdom, 13 ივლისი 1995, §62-70, Series A N 316-B.

²⁷⁵ R.P. and Others v. the United Kingdom, N 38245/08, §63-67, 9 ოქტომბერი 2012.

²⁷⁶ Momčilović v. Croatia, N 11239/11, §55-57, 26 მარტი 2015.

²⁷⁷ Ashingdane v. the United Kingdom, 28 მაისი 1985, §57, Series A N 93.

²⁷⁸ McElhinney v. Ireland [დიდი პალატა], N 31253/96, §24, ECHR 2001-XI (ამონარიდები).

მუხლი არ იძლევა გარანტიას ხელშემკვრელ სახელმწიფოებში არსებულ კანონმდებლობაში სამოქალაქო „უფლებების“ დეტალური შინაარსის არსებობაზე: სასამართლომ შეიძლება არ შექმნას 6.1 მუხლის ინტერპრეტაციის საფუძველზე მატერიალური უფლება, რომელსაც არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველები დასახელებულ სახელმწიფოებში (*ზ და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §§87 და 98)²⁷⁹. საქმეში *ლუპენის ბერძნული კათოლიკური სამრევლო და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა](§§ 99 და 106)²⁸⁰, სასამართლომ დაადგინა, რომ ის სირთულეები, რომლის წინაშეც მომჩივნები აღმოჩნდნენ ეკლესიის შენობის დაბრუნებისას, გამოწვეული იყო შესაბამისი მატერიალური სამართლით და არ იყო დაკავშირებული სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების არცერთ შეზღუდვასთან. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის 6.1 მუხლი.

78. ეროვნული იურისდიქციით გათვალისწინებული საერთაშორისო ორგანიზაციების იმუნიტეტი (კონკრეტულად იხილეთ *ფონდი სრებრენიცას დედები და სხვები ნიდერლანდების სამეფოს წინააღმდეგ* (განჩინება), §139)²⁸¹: ხელშეკრულებაზე დაფუძნებული წესი - რომელიც ატარებს ლეგიტიმურ მიზანს (*ვეიტი და კენედი გერმანიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §63)²⁸², კონვენციის 6.1 მუხლის თვალსაზრისით დასაშვებია თუ მისგან წარმოშობილი შეზღუდვა არ არის არაპროპორციული. აქედან გამომდინარე, იგი შეესაბამება 6.1 მუხლს, თუ დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომი იქნებაშესაბამისი ალტერნატიული საშუალებები კონვენციით გათვალისწინებული მათი უფლებების ეფექტურად დასაცავად (იქვე, §§68-74; *ლიხტენშტეინის პრინცი ჰანს-ადამ II გერმანიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §48)²⁸³; *ჩეპმენი ბელგიის წინააღმდეგ* (განჩინება), §§51-56)²⁸⁴; და *კლაუსეკერი გერმანიის წინააღმდეგ* (განჩინება), §§69-77)²⁸⁵, რომელიც ეხება საარბიტრაჟო საქმისწარმოების ალტერნატივას). თუმცა, აქედან არ გამომდინარეობს, რომ ალტერნატიული საშუალების არარსებობის შემთხვევაში საერთაშორისო ორგანიზაციის იმუნიტეტის აღიარება წარმოადგენს ფაქტის ძალით (*ipso facto*) სასამართლოს ხელისაწვდომობის უფლების დარღვევის განმსაზღვრელი (*ფონდი*

²⁷⁹ Z and Others v. the United Kingdom [დიდი პალატა], N 29392/95, §87 და 98, ECHR 2001-V.

²⁸⁰ Lupeni Greek Catholic Parish and Others v. Romania [დიდი პალატა], N 76943/11, ECHR 2016 (ამონარიდები).

²⁸¹ Stichting Mothers of Srebrenica and Others v. the Netherlands (განჩინება), N 65542/12, §139, ECHR 2013 (ამონარიდები).

²⁸² Waite and Kennedy v. Germany [დიდი პალატა], N 26083/94, §63, ECHR 1999-I.

²⁸³ Prince Hans-Adam II of Liechtenstein v. Germany [დიდი პალატა], N 42527/98, §48, ECHR 2001-VIII.

²⁸⁴ Chapman v. Belgium (განჩინება), N 39619/06, §§ 51-56, 5 მარტი 2013.

²⁸⁵ Klausecker v. Germany (განჩინება), N 415/07, §§ 69-77, 6 იანვარი 2015.

სრებრენიცას დედები და სხვები ნიდერლანდების სამეფოს წინააღმდეგ (განჩინება), §164)²⁸⁶.

79. გადაწყვეტილება საქმეზე *სრებრენიცას დედები დედები და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ*²⁸⁷ ეხებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის (გაერო) იმუნიტეტის მინიჭებას ეროვნულ სასამართლოებში. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ გაეროს წესდების VII თავით დადგენილი ღონისძიებების განხორციელება იყო ფუნდამენტალური მნიშვნელობის, გაეროს მისიისათვის საერთაშორისო მშვიდობის და უსაფრთხოების დასაცავად. შესაბამისად, კონვენცია არ შეიძლება განიმარტოს ისე, რომ გაეროს გადაწყვეტილების არარსებობის შემთხვევაში, უშიშროების საბჭოს ქმედებები და უმოქმედობა დაექვემდებაროს ეროვნულ იურისდიქციას. ასეთი ღონისძიებების ეროვნული იურისდიქციის ქვეშ დაქვემდებარება უტოლდება სასამართლოების გზით გაეროს მნიშვნელოვან მისიებში, მათ შორის თავისი ღონისძიებების ეფექტურად განხორციელებაში, ნებისმიერი სახელმწიფოს ჩარევას (§154). სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ საერთაშორისო სამართალი არ ემხრობა, რომ სამოქალაქო სარჩელმა უნდა გამოიწვიოს ეროვნულ სასამართლოებში გაეროს იმუნიტეტის მოხსნა მხოლოდ იმ მიზეზით, რომ სარჩელი ეფუძნებოდა საერთაშორისო სამართლის ნორმის, თუნდაც იმპერატიული ნორმის, სერიოზული დარღვევის ბრალდებას, (§158).

80. სახელმწიფოს იმუნიტეტი: უცხო სახელმწიფოს იმუნიტეტის დოქტრინა ზოგადად მიღებულია ერთა თანამეგობრობის მიერ (*ფონდი სრებრენიცას დედები და სხვები ნიდერლანდების სამეფოს წინააღმდეგ* (განჩინება), §158)²⁸⁸. წევრი სახელმწიფოების მიერ მიღებული ზომები, რომლებიც ასახავს ზოგადად აღიარებულ საერთაშორისო საჯარო სამართლის წესებს სახელმწიფო იმუნიტეტთან დაკავშირებით, ავტომატურად არ წარმოადგენს სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების არაპროპორციულ შეზღუდვას (*ფოგარტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §36²⁸⁹; *მაკელჰინი ირლანდიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §37²⁹⁰; *საბეკ ელ ლეილი საფრანგეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §49)²⁹¹.

²⁸⁶ Stichting Mothers of Srebrenica and Others v. the Netherlands (განჩინება), N 65542/12, §164, ECHR 2013 (ამონარიდები).

²⁸⁷ იქვე.

²⁸⁸ იქვე, §158.

²⁸⁹ Fogarty v. the United Kingdom [დიდი პალატა], N 37112/97, §36, ECHR 2001-XI (ამონარიდები).

²⁹⁰ McElhinney v. Ireland [დიდი პალატა], N 31253/96, §37, ECHR 2001-XI (ამონარიდები).

²⁹¹ Sabeh El Leil v. France [დიდი პალატა], N 34869/05, §49, 29 ივნისი 2011.

□ სახელმწიფოს იმუნიტეტი იურისდიქციის მიხედვით: საქმეებში, სადაც სახელმწიფოს იმუნიტეტის პრინციპის გამოყენება ზღუდავს სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების განხორციელებას, დადგენილი უნდა იყოს, ამართლებს თუ არა მოცემული საქმე ასეთ შეზღუდვას. აკრძალვა უნდა ემსახუროდეს ლეგიტიმურ მიზანს და იყოს მიზნის პროპორციული (იქვე, §§ 51-54; *ცუდაკი ლიეტუვას წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §59)²⁹². სამოქალაქო სამართალწარმოებაში სახელმწიფოსთვის სუვერენული იმუნიტეტის მინიჭება ემსახურება „ლეგიტიმურ მიზანს“, სახელმწიფოებს შორის თავაზიანობისა და კარგი ურთიერთობების ხელშეწყობისათვის (*ფოგარტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §34²⁹³; *ალ-ადსანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §54²⁹⁴; *ტრესკა ალბანეთის და იტალიის წინააღმდეგ* (განჩინება)²⁹⁵). რაც შეეხება მიღებული ზომების პროპორციულობას, ზოგ შემთხვევაში შეიძლება დაირღვეს პირის სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების მთავარი არსი (*ცუდაკი ლიეტუვას წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §74²⁹⁶; *საბეკ ელ ლილი საფრანგეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §49²⁹⁷; *ნაკუ ლიეტუვას და შვედეთის წინააღმდეგ*, §95²⁹⁸), თუმცა ზოგ შემთხვევაში იგი შეიძლება არ ირღვეოდეს (*ალ-ადსანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §67²⁹⁹; *ფოგარტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §39³⁰⁰; *მაკელჰინი ირლანდიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §38³⁰¹).

იურისდიქციის მიხედვით, სახელმწიფოს იმუნიტეტი შეზღუდულია საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლით. ამგვარად, სასამართლომ აღნიშნა საერთაშორისო და შედარებითი სამართლის ტენდენციის თაობაზე შრომით დავებში, სახელმწიფო იმუნიტეტის შეზღუდვასთან დაკავშირებით, თუმცა გამონაკლისია საელჩოს თანამშრომლების დაქირავების საკითხის შესახებ დავებია. (*ცუდაკი ლიეტუვას წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §63³⁰² და შემდგომი პარაგრაფები; *საბეკ ელ*

²⁹² Cudak v. Lithuania [დიდი პალატა], N 15869/02, §59, ECHR 2010.

²⁹³ Fogarty v. the United Kingdom [დიდი პალატა], N 37112/97, §34, ECHR 2001-XI (ამონარიდები).

²⁹⁴ Al-Adsani v. the United Kingdom [დიდი პალატა], N 35763/97, §54, ECHR 2001-XI.

²⁹⁵ Treska v. Albania and Italy (განჩინება), N 26937/04, ECHR 2006-XI (ამონარიდები).

²⁹⁶ Cudak v. Lithuania [დიდი პალატა], N 15869/02, §74, ECHR 2010.

²⁹⁷ Sabeh El Leil v. France [დიდი პალატა], N 34869/05, §49, 29 ივნისი 2011.

²⁹⁸ Naku v. Lituania and Sweden, N 26126/07, §95, 8 ნოემბერი 2016.

²⁹⁹ Al-Adsani v. the United Kingdom [დიდი პალატა], N 35763/97, §67, ECHR 2001-XI.

³⁰⁰ Fogarty v. the United Kingdom [დიდი პალატა], N 37112/97, §39, ECHR 2001-XI (ამონარიდები).

³⁰¹ McElhinney v. Ireland [დიდი პალატა], N 31253/96, §38, ECHR 2001-XI (ამონარიდები).

³⁰² Cudak v. Lithuania [დიდი პალატა], N 15869/02, §63, ECHR 2010.

ლეილი საფრანგეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა], §§53-54 და 57-58³⁰³; ნაკუ ლიეტუვას და შვედეთის წინააღმდეგ, §89³⁰⁴, რომელიც ეხება საელჩოს თანამშრომლების გათავისუფლებას; იხ. ასევე, ვალიშაუსერი ავსტრიის წინააღმდეგ³⁰⁵, რომელიც ეხება უცხო ქვეყნის წინააღმდეგ სახელფასო დავალიანებასთან დაკავშირებით სამართალწარმოებაში მონაწილეობის შესახებ უწყების გაგზავნას). შემზღუდველი მიდგომა იმუნიტეტისადმი, ასევე, შეიძლება იქნეს გამოყენებული სახელმწიფოსა და უცხოელ კერძო პირებს შორის კომერციულ ტრანზაქციებთან დაკავშირებით (*ოლეინიკოვი რუსეთის წინააღმდეგ*, §§61 და 66)³⁰⁶. მეორე მხრივ, 2001 წელს სასამართლომ აღნიშნა, რომ მიუხედავად საერთაშორისო და შედარებით სამართალში სახელმწიფო იმუნიტეტის შეზღუდვის ტენდენციის არსებობისა, სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში მოქმედების ან უმოქმედობის შედეგად გამოწვეული პირად დაზიანებასთან დაკავშირებით საქმეებთან პრაქტიკა იყო უდავოდ უნივერსალური (*მაკელჰინი ირლანდიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §38)³⁰⁷.

ამის გარდა, 2014 წელს სასამართლომ დაადგინა, რომ მიუხედავად საერთაშორისო საჯარო სამართალში სპეციალური წესის ან გამონაკლისის სასარგებლოდ აშკარა მხარდაჭერისა ისეთ საქმეებზე, რომლებიც ეხებოდა წამებასთან დაკავშირებულ სამოქალაქო მოთხოვნებს უცხო ქვეყნის სახელმწიფო მოხელეების წინააღმდეგ, სახელმწიფო ორგანოების დიდი ნაწილი ემხრობოდა მოსაზრებას, რომ სახელმწიფოს იმუნიტეტის უფლება ვერ იქნება გვერდავლილი სახელმწიფოს მომსახურე პერსონალის წინააღმდეგ სასამართლოში საქმის აღძვრის გზით (*ჯოუნსი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §§213-15)³⁰⁸, რომელიც ეხება წამებასთან დაკავშირებით სამოქალაქო სარჩელზე უარს, მოწინააღმდეგე სახელმწიფოს და მისი წარმომადგენლების მხრიდან გამოყენებული იმუნიტეტის საფუძველზე). □ სახელმწიფოს აღსრულებასთან დაკავშირებული იმუნიტეტი, თავისთავად არ არის 6.1 მუხლის საწინააღმდეგო. 2005 წელს სასამართლომ აღნიშნა, რომ ყველა საერთაშორისო ინსტრუმენტი, რომელიც აწესრიგებს სახელმწიფოს იმუნიტეტის საკითხებს, ადგენდა ზოგად პრინციპს, რომ მკაცრად განსაზღვრული კონკრეტული გამონაკლისების გათვალისწინებით, უცხო ქვეყნები სარგებლობდნენ სახელმწიფოს აღსრულებასთან დაკავშირებული იმუნიტეტით იმ სახელმწიფოში,

³⁰³ Sabeh El Leil v. France [დიდი პალატა], N 34869/05, §§53-54 და 57-58, 29 ივნისი 2011.

³⁰⁴ Naku v. Lithuania and Sweden, N 26126/07, §89, 8 ნოემბერი 2016.

³⁰⁵ Wallishauser v. Austria, N 156/04, 17 ივლისი 2012.

³⁰⁶ Oleynikov v. Russia, N 36703/04, §61 და 66, 14 მარტი 2013.

³⁰⁷ McElhinney v. Ireland [დიდი პალატა], N 31253/96, §38, ECHR 2001-XI (ამონარიდები).

³⁰⁸ Jones and Others v. the United Kingdom, N 34356/06 და 40528/06, §213-15, ECHR 2014.

რომელშიც მდებარეობს სასამართლო (*მანოილესკუ და დობრესკუ რუმინეთის წინააღმდეგ* (განჩინება), §73)³⁰⁹. 2002 წელს სასამართლომ დაადგინა, რომ „მიუხედავად იმისა, რომ ბერძნულმა სასამართლოებმა დაავალეს გერმანიის სახელმწიფოს მომჩივნებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ეს ქმედება აუცილებლად არ ავალდებულებდა საბერძნეთის სახელმწიფოს რომ უზრუნველყო მომჩივნების მიერ ვალის მიღება საბერძნეთში სააღსრულებო წარმოების გზით“ (*კალოგეროპულუ და სხვები საბერძნეთის და გერმანიის წინააღმდეგ* (განჩინება))³¹⁰. ეს გადაწყვეტილებები მოქმედია საერთაშორისო სამართლის არსებულ მდგომარეობასთან მიმართებით და არ ზღუდავს მის სამომავლო განვითარებას.

81. საპარლამენტო იმუნიტეტი: წარმოადგენს დიდ ხნიან პრაქტიკას სახელმწიფოებისთვის, რისი მეშვეობითაც პარლამენტარების ანიჭებს სხვადასხვა ხარისხის იმუნიტეტს, ხალხის წარმომადგენლებისთვის თავისუფალი სიტყვის საშუალების მიცემის მიზნით და მიკერძოებული საჩივრების გზით საპარლამენტო ფუნქციების შესრულებისთვის ხელის შეშლის თავიდან ასარიდებლად (*სი.ჯი.აი.ელი. და კოფერატი იტალიის წინააღმდეგ* (N 2), § 44)³¹¹. აქედან გამომდინარე, საპარლამენტო იმუნიტეტი შეიძლება შეესაბამებოდეს მე-6 მუხლს, რომელიც:

- ატარებს ლეგიტიმურ მიზნებს: იცავს სიტყვის თავისუფლებას პარლამენტში და მხარს უჭერს საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებას შორის უფლებამოსილების გადანაწილებას (*ა. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §§ 75-77 და 79)³¹²;
- არის დასახული მიზნების პროპორციული (თუ დაინტერესებულ პირს გააჩნია გონივრული ალტერნატიული საშუალებები საკუთარი უფლებების დასაცავად (იქვე, §86) და იმუნიტეტი ვრცელდება მხოლოდ საპარლამენტო ფუნქციების განხორციელების მიზნებისათვის (იქვე, §84; *ზოლმანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (განჩინება))³¹³. საპარლამენტო საქმიანობასთან რაიმე მკაფიო კავშირის არარსებობა საჭიროებს დაწვრილებით ინტერპრეტაციას დასახული მიზნისა და საშუალებების პროპორციულობის კონცეფციასთან დაკავშირებით (*კორდოვა იტალიის წინააღმდეგ* (N2), §64³¹⁴; *სინგელიდისი საბერძნეთის წინააღმდეგ*, §44³¹⁵). პირის სასამართლოს ხელმისაწვდომობის

³⁰⁹ *Manoilescu and Dobrescu v. Romania and Russia* (განჩინება), N 60861/00, §73, ECHR 2005-VI.

³¹⁰ *Kalogeropoulou and Others v. Greece and Germany* (განჩინება), N 59021/00, ECHR 2002-X.

³¹¹ *C.G.I.L. and Cofferati v. Italy* (N 2), N 2/08, §44, 6 აპრილი 2010.

³¹² *A. v. the United Kingdom*, N 35373/97, §75,-77 და 79, ECHR 2002-X.

³¹³ *Zollmann v. the United Kingdom* (განჩინება), N 62902/00, ECHR 2003-XII.

³¹⁴ *Cordova v. Italy* (N 2), N 45649/99, § 64, ECHR 2003-I (ამონარიდები).

³¹⁵ *Syngelidis v. Greece*, N 24895/07, § 44, 11 თებერვალი 2010.

უფლება არ შეიძლება შეიზღუდოს 6§1 მუხლით გათვალისწინებულ დებულებათა ფარგლებს გარეთ, როდესაც სადავო შენიშვნები გაკეთებულია პარლამენტის წევრის მიერ (*კორდოვა იტალიის წინააღმდეგ* (N1), §63³¹⁶; *სი.ჯი.აი.ელი. და კოფერატი იტალიის წინააღმდეგ* (N 2), §§46-50³¹⁷, სადაც, მსხვერპლებს ასევე არ გააჩნდათ გონივრული ალტერნატიული საშუალებები საკუთარი უფლებების დასაცავად).

82. მოსამართლეთა გათავისუფლება დაკისრებული ვალდებულებისგანასევე არ შეესაბამება 6§1 მუხლის ლეგიტიმურ მიზანს, კერძოდ მართლმსაჯულების სწორ ადმინისტრირებას (*ერნსტი და სხვები ბელგიის წინააღმდეგ*, §50)³¹⁸ და იცავს პროპორციულობის პრინციპს იმ მნიშვნელობით, რომ მომჩივნებს გააჩნიათ გონივრული ალტერნატიული საშუალებები კონვენციით გათვალისწინებული უფლებების ეფექტურად დასაცავად (*ერნსტი და სხვები ბელგიის წინააღმდეგ*, §53-55)³¹⁹.

83. იმუნიტეტია სახეები რომლითაც სარგებლობენ საჯარო მოხელეები: პირის მიერ სამართალწარმოების დაწყების შესაძლებლობის შეზღუდვა, და ის რომ სადავო გახადოს საჯარო მოხელეთა განცხადებები და დასკვნები, რომლებიც ზიანს აყენებს მის რეპუტაციას შეიძლება წარმოადგენდეს საჯარო ინტერესის ლეგიტიმურ მიზანს (*ფაიედი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §70)³²⁰; თუმცა, გამოყენებულ საშუალებებსა და ლეგიტიმურ მიზანს შორის უნდა არსებობდეს პროპორციული კავშირი(იქვე, §§75-82). საქმე *ჯონსი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (§§ 213-15)³²¹ ეხება მომჩივნის სამოქალაქო საჩივარის განხილვაზე უარს წამების ბრალდებასთან დაკავშირებით, სახელმწიფოსა და თანამდებობის პირთა იმუნიტეტის გათვალისწინებით. სასამართლომ დააკმაყოფილა, რომ აღნიშნულ შემთხვევაში, სახელმწიფო თანამდებობის პირთათვის იმუნიტეტის მინიჭება ექცევა ზოგადად აღიარებულ საჯარო საერთაშორისო სამართლის ნორმებში, იმ პირობით, რომ საჭიროა ამ სფეროში განვითარებულ მოვლენათა გაკონტროლება.

84. სახელმწიფოს მეთაურის იმუნიტეტი: სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციების გათვალისწინებით, სასამართლომ მისაღებად მიიჩნია მათთვის ფუნქციონალური

³¹⁶ Cordova v. Italy (N 1), N 40877/98§63, ECHR 2003-I.

³¹⁷ C.G.I.L. and Cofferati v. Italy (N. 2), N 2/08, §46-50, 6 აპრილი 2010.

³¹⁸ Ernst and Others v. Belgium, N 33400/96, § 50, 15 July 2003.

³¹⁹ Ernst and Others v. Belgium, N 33400/96, §35-55, 15 ივლისი 2003.

³²⁰ Fayed v. the United Kingdom, 21 სექტემბერი 1994, §70, Series A N 294-B.

³²¹ Jones and Others v. the United Kingdom, N 34356/06 და 40528/06, § 213-15, ECHR 2014.

იმუნიტეტის მინიჭება, მათი გამოხატვის თავისუფლების დასაცავად და სახელმწიფოში არსებული ძალაუფლებისგანცალკევების მიზნით. ამგვარი იმუნიტეტის ზღვარი უნდა რეგულირდებოდეს. უვადო და აბსოლუტური იმუნიტეტი, რომლის მოხსნაც არ შეიძლება, გამოიწვევს სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების არაპროპორციულ შეზღუდვას (*ურეჩინი და პავლიჩენკო მოლდოვის რესპუბლიკის წინააღმდეგ*, §§47-55)³²².

85. იმუნიტეტის შეზღუდვები: სახელმწიფოს მეთაურს, კონვენციის აღმასრულებელი ორგანოების შეზღუდვის ან კონტროლის გარეშე რომ შეეძლოს, მთელ რიგ სამოქალაქო სახის დავებზე სასამართლო იურისდიქციის გავრცელების შეზღუდვა ან სამოქალაქო პასუხისმგებლობისგან გამათავისუფლებელი იმუნიტეტით პირთა დიდი ჯგუფების ან კატეგორიების აღჭურვა, აღნიშნული ცალსახად შეუსაბამო იქნება როგორც დემოკრატიულ საზოგადოებისთვის დამახასიათებელ კანონიერების პრინციპთან, ასევე კონვენციის მე-6 მუხლის პირველ ნაწილში დაცულ საბაზისო პრინციპთან რომლის თანახმადაც, უპირობოდ უნდა იყოს შესაძლებელი სამოქალაქო დავების სასამართლოში შეტანა მოსამართლის მიერ განსახილველად და მართლმსაჯულების აღსასრულებლად (*მაქელჰინი ირლანდიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], № 31253/96, §§ 23-26, ECHR 2001-XI³²³; *საბეჰ ელ ლეილი საფრანგეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], № 34869/05, § 50, ECHR 2011³²⁴).

86. გადაწყვეტილება საქმეზე *ალ-დულიმი და შპს მონტანა მენეჯმენტის კორპორაცია შვეიცარიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა]³²⁵ ეხებოდა გაეროს უშიშროების საბჭოს 1483-ე (2003) რეზოლუციის თანახმად გათვალისწინებული აქტივების კონფისკაციას. აღნიშნული გადაწყვეტილება აყალიბებს პრინციპებს, ეროვნულ დონეზე სასამართლოების მიერ შესაბამისი სასამართლო ზედამხედველობის შესაძლებლობასთან დაკავშირებით, გაეროს სანქციების სისტემაში მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე დაადგინა, რომ 1483-ე (2003) რეზოლუციაში არ არსებობდა დანაწესი, რომელიც ცალსახად არ მისცემდა შესაძლებლობას ეროვნულ სასამართლოებს, ეროვნულ დონეზე მიღებული ზომები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით განეხილათ რეზოლუციის შესაბამისად/. როდესაც რეზოლუცია ერთმნიშვნელოვნად არ გამორიცხავს სასამართლო კონტროლის შესაძლებლობას,

³²² Urechean and Pavlicenco v. the Republic of Moldova, N 27756/05 და 41219/07, §47-55, 2 დეკემბერი 2014.

³²³ McElhinney v. Ireland [დიდი პალატა], N 31253/96, §23-36, ECHR 2001-XI.

³²⁴ Sabeh El Leil v. France [დიდი პალატა], N 34869/05, §50, 29 ივნისი 2011.

³²⁵ Al-Dulimi and Montana Management Inc. v. Switzerland [დიდი პალატა], N 5809/08, 21 ივნისი 2016.

ყოველთვის მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი სახელმწიფოები ვალდებული არიან, გამოიყენონ დაკვირვების მხოლოდ ადეკვატური ზომები, რათა თავიდან აიცილონ ნებისმიერი სახის თვითნებობა აღნიშნულ ზომათა იმპლემენტაციის პროცესში. ეს ყოველივე კი უნდა განხორციელდეს შეპირისპირებულ ინტერესთა შორის სამართლიანი ბალანსის დაცვის მიზნით. თვითნებობის პრევენციის მიზნით, სასამართლო კონტროლის შესაძლებლობის გარეშე, უშიშროების საბჭოს რეზოლუციის ნებისმიერი ფორმით იმპლემენტაცია განაპირობებდა კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ სახელმწიფოს პასუხიმგებლობაში შეჭრას.

B. უარის თქმა

1. პრინციპი

87. შეუძლებელია მივიჩნიოთ, რომ პირმა უარი თქვა უფლებაზე თუ მან არ იცოდა ამ უფლების არსებობის ან მასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ. (*შმიდტილატვიის წინააღმდეგ*, §96³²⁶ და ციტირებული პრეცედული სამართალი).

88. ხელშემკვრელ სახელმწიფოთა ეროვნულ სასამართლო სისტემებში, სამოქალაქო საქმეებში ხშირია პირის მიერ მისი დავის სასამართლოს ან ტრიბუნალის მიერ მოსმენის უფლებაზე უარის თქმის შემთხვევები, კერძოდ, ხელშეკრულებებში იმ პირობის არსებობის გამო, რომლის მიხედვითაც დავის შემთხვევაში საქმე განხილულ უნდა იქნეს არბიტრაჟში. უარის თქმა, რომელსაც უპირობო უპირატესობება გააჩნია როგორც დაინტერესებული მხარის მიმართ, ასევე მართლმსაჯულების აღსრულების კუთხით, პრინციპში არ ეწინააღმდეგება კონვენციას (*დევეერი ბელგიის წინააღმდეგ*, § 49³²⁷; *პასტორე იტალიის წინააღმდეგ* (განჩინება)³²⁸). შესაბამისად, მე-6 მუხლი არ გამორიცხავს საარბიტრაჟო სასამართლოს დანიშვნას გარკვეულ დავათა გადასაწყვეტად (*Transado - Transportes Fluviais Do Sado, S.A. პორტუგალიის წინააღმდეგ* (განჩინება)³²⁹). დავის მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად გადაწყვიტონ, რომ ჩვეულებრივ სასამართლოებს არ ევალებათ განიხილონ გარკვეული სპეციფიკის დავები, რომლებიც პოტენციურად გამოწვეულია კონკრეტული ხელშეკრულების შესრულებისგან. საარბიტრაჟო პირობაზე დათანხმებით, მხარეები ნებაყოფლობით ამბობენ უარს კონვენციით

³²⁶ Schmidt v. Latvia, N 22493/05, § 96, 27 აპრილი 2017.

³²⁷ Deweer v. Belgium, 27 თებერვალი 1980, § 49, Series A N 35.

³²⁸ Pastore v. Italy (განჩინება), N 46483/99.

³²⁹ Transado-Transportes Fluviais Do Sado S.A. v. Portugal (განჩინება), N 35943/02, ECHR 2003-XII.

დაცულ გარკვეულ უფლებებზე (*ეიფაჟ ს.ა. და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ* (განჩინება)³³⁰; *ტაბანი შვეიცარიის წინააღმდეგ* (განჩინება), §27³³¹).

2. პირობები

89. პირს შეუძლია უარი თქვას მისთვის გარანტირებულ სასამართლოს უფლებაზე არბიტრაჟის სასარგებლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი უარის თქმა ნებადართულია და ჩამოყალიბებულია თავისუფლად და ერთმნიშვნელოვნად (*სუდა ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ*, §§46-47³³² და ციტირებული პრეცედენტული სამართლი; *ტაბანი შვეიცარიის წინააღმდეგ* (განჩინება), §§26-27 და 30³³³). დემოკრატიულ საზოგადოებაში სასამართლოს უფლებას ძალზედ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მისი მომგებიანობის თვალსაზრისით, ვინაიდან მასზე უარის თქმა ხდება მხოლოდ სასამართლო პროცესის განმავლობაში მორიგების ფაქტის დადგომის შედეგად (*სუდა ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ*, § 48³³⁴). უფლებაზე უარის თქმა დაცული უნდა იყოს მისი მნიშვნელობის შესაბამისი, დაცვის მინიმალური მექანიზმებით (*ეიფაჟ ს.ა. და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ* (განჩინება)³³⁵; *ტაბანი შვეიცარიის წინააღმდეგ* (განჩინება), §31³³⁶).

90. ნებაყოფლობით და სავალდებულო საარბიტრაჟო განხილვას შორის განსხვავება განსაზღვრულია პრეცედენტულ სამართალში. პრინციპში, მე-6 მუხლთან დაკავშირებით ნებაყოფლობით საარბიტრაჟო განხილვასთან დაკავშირებული რაიმე საკითხი არ დაყენებულა, რადგან ის ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგადაა არჩეული. თუმცა, სავალდებულო საარბიტრაჟო განხილვის შემთხვევაში, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი კანონის საფუძველზე სავალდებულოა, მხარეებს არ აქვთ შესაძლებლობა, მოხსნან მათი დავა საარბიტრაჟო ტრიბუნალის იურისდიქციიდან, რაც შესაბამისად დაცული უნდა იყოს კონვენციის 6.1 მუხლით გათვალისწინებული გარანტიებით (*ტაბანი შვეიცარიის წინააღმდეგ* (განჩინება), §§ 26-27)³³⁷. ციტირებულ განჩინებაში ევროსასამართლომ დაადგინა, რომ უფლებაზე უარის თქმის პირობა და რელევანტური სამართლებრივი ნორმა ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს, კერძოდ,

³³⁰ Eiffage S.A. and Others v. Switzerland (განჩინება), N 1742/05.

³³¹ Tabbane v. Switzerland (განჩინება), §27, 41069/12.

³³² Suda v. the Czech Republic, N 1643/06, §46-47, 28 ოქტომბერი 2010.

³³³ Tabbane v. Switzerland (განჩინება), §§ 26-27 და 30, 41069/12.

³³⁴ Suda v. the Czech Republic, N 1643/06, §38,28 ოქტომბერი 2010.

³³⁵ Eiffage S.A. and Others v. Switzerland (განჩინება), N 1742/05.

³³⁶ Tabbane v. Switzerland (განჩინება), §31, 41069/12.

³³⁷ Tabbane v. Switzerland (განჩინება), §§ 26-27 და 30, N41069/12.

მოქნილი და სწრაფი პროცედურების მეშვეობით წინა პლანზე აყენებდა შვეიცარიის სახელმწიფოს, როგორც არბიტრაჟის განხორციელებაზე უფლებამოსილი სუბიექტის როლს და ამავდროულად, ითვალისწინებდა მომჩივნის ხელშეკრულების თავისუფლებას (§ 36).

C. იურიდიული დახმარება

1. იურიდიული დახმარებით უზრუნველყოფა

91. მე-6 მუხლის პირველი ნაწილი არ გულისხმობს, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს უფასო იურიდიული დახმარება „სამოქალაქო უფლებასთან“ დაკავშირებულ ნებისმიერ დავასთან დაკავშირებით. (*აირეი ირლანდიის წინააღმდეგ*, §26)³³⁸. აღსანიშნავია, რომ აშკარა განსხვავებაა მე-6 მუხლის 1-ელ ნაწილსა და მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტს შორის, ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს გარკვეული პირობების არსებობისას სისხლის სამართლის სამართალწარმოებაში უფასო იურიდიული დახმარების უფლებას, ხოლო 6.1 მუხლი იურიდიულ დახმარებაზე არანაირ აქცენტს არ აკეთებს. (*ესაადი საფრანგეთის წინააღმდეგ*, § 30)³³⁹.

92. თუმცა, კონვენციის მიზანია უზრუნველყოს დაცვითი მექანიზმების შექმნა ისეთი უფლებებისთვის, რომლებიც პრაქტიკული და ეფექტურია, განსაკუთრებით კი სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლებისთვის. ამდენად, 6.1 მუხლი შესაძლოა ზოგჯერ ავალდებულებდეს სახელმწიფო, რათა ამ უკანასკნელმა უზრუნველყოს მხარისთვის დამხმარე საადვოკატო მომსახურება, როდესაც აღნიშნული არსებითია სასამართლოს ეფექტური ხელმისაწვდომობის განხორციელებისთვის (*აირეი ირლანდიის წინააღმდეგ*, § 26)³⁴⁰.

93. მოითხოვს თუ არა მე-6 მუხლი ინდივიდუალური მოსარჩელისთვის იურიდიული წარმომადგენლის უზრუნველყოფას, დამოკიდებულია უშუალოდ, დავის კონკრეტულ გარემოებებზე (იქვე; *სთილი და მორისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 61³⁴¹; *მაქვიქარი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 48³⁴²). უმთავრესია, შეფასდეს ის ფაქტი, გარემოებების გათვალისწინებით იურიდიული

³³⁸ Airey v. Ireland, 9 ოქტომბერი 1979, §26, Series A N 32.

³³⁹ Essaadi v. France, N 49384/99, §30, 26 თებერვალი 2002.

³⁴⁰ Airey v. Ireland, 9 ოქტომბერი 1979, §26, Series A N 32.

³⁴¹ Steel and Morris v. the United Kingdom, N 68416/01, §61, ECHR 2005-II.

³⁴² McVicar v. the United Kingdom, N 46311/99, §48, ECHR 2002-III.

დახმარების არარსებობა წაართმევს თუ არა მომჩივანს საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას (იქვე, § 51).

94. მე-6 მუხლი გულისხმობს თუ არა იურიდიული დახმარების უზრუნველყოფის სავალდებულობას, სხვა ფაქტორებთან ერთად, დამოკიდებული იქნება :

- იმის მნიშვნელობა, თუ რა დგას მომჩივნისთვის სასწორზე (*სთილი და მორისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §61³⁴³; *პი., სი. და ესი. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 100³⁴⁴);
- შესაბამისი სამართლის ან პროცედურის კომპლექსურობაზე (*აირეი ირლანდიის წინააღმდეგ*, § 24)³⁴⁵;
- მომჩივნის მიერ საკუთარი თავის ეფექტურად წარმოდგენის შესაძლებლობაზე (*სთილი და მორისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 61³⁴⁶; *მაქვიქარი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §§ 48-62³⁴⁷);
- იურიდიული წარმომადგენლი არსებობის მოთხოვნა, რომელიც გათვალისწინებულია კანონმდებლობით. (*აირეი ირლანდიის წინააღმდეგ*, § 26³⁴⁸; *ნაორე საფრანგეთის წინააღმდეგ*, § 41³⁴⁹).

95. თუმცა, აღნიშნული უფლება არ არის აბსოლუტური და შესაბამისად შესაძლებელია კონკრეტული პირობების დაწესება იურიდიული დახმარების უზრუნველსაყოფად, წინამდებარე პარაგრაფში მითითებულ გარემოებებთან ერთად, შემდეგ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- მოსარჩელის ფინანსური მდომარეობა (*სთილი და მორისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 61³⁵⁰);
- სამართალწარმოებაში მისი წარმატების ალბათობა (იქვე).

ამდენად, შესაძლოა არსებობდეს იურიდიული დახმარების სისტემა, რომელიც შეარჩევს საქმეებს, რომლებიც აკმაყოფილებენ შესაბამის მოთხოვნებს. თუმცა, საკანონმდებლო ორგანოს მიერ დამკვიდრებულმა სისტემამ უნდა შემოგვთავაზოს არსებითი გარანტიები რათა უზრუნველყოს შესაბამისი დაცვა თვითნებობისგან

³⁴³ Steel and Morris v. the United Kingdom, N 68416/01, §61, ECHR 2005-II.

³⁴⁴ P., C. and S. v. the United Kingdom, N 56547/00, §100, ECHR 2002-VI.

³⁴⁵ Airey v. Ireland, 9 ოქტომბერი 1979, §24, Series A N 32.

³⁴⁶ Steel and Morris v. the United Kingdom, N 68416/01, §61, ECHR 2005-II.

³⁴⁷ McVicar v. the United Kingdom, N 46311/99, §48-62, ECHR 2002-III.

³⁴⁸ Airey v. Ireland, 9 ოქტომბერი 1979, §26, Series A N 32.

³⁴⁹ Gnahoré v. France, N 40031/98, §41, ECHR 2000-IX.

³⁵⁰ Steel and Morris v. the United Kingdom, N 68416/01, ECHR 2005-II.

(ნაორე საფრანგეთის წინააღმდეგ, §41³⁵¹; ესაადი საფრანგეთის წინააღმდეგ, §36³⁵²; დელ სოლი საფრანგეთის წინააღმდეგ §26³⁵³; ბაკანი თურქეთის წინააღმდეგ, §§75-76³⁵⁴ - საქმეზე აერცი ბელგიის წინააღმდეგ მითითებით, რომელიც ეხება სასამართლოს უფლების არსისთვის ზიანის მიყენებას). მაშასადამე, მნიშვნელოვანია, სათანადო ყურადღება მიექცეს სახელმწიფოში იურიდიული დახმარების ხარისხიანი სისტემის არსებობას (ესაადი საფრანგეთის წინააღმდეგ, §35)³⁵⁵ და გამოიკვეთოს, ხელისუფლების ორგანოების მიერ არჩეული მეთოდი შეესაბამება თუ არა კონვენციას (სანტამბროჯიო იტალიის წინააღმდეგ, §52³⁵⁶; ბაკანი თურქეთის წინააღმდეგ, §§74-78³⁵⁷; პედრო რამოსი შვეიცარიის წინააღმდეგ, §§41-45³⁵⁸).

96. აუცილებელია, რომ სასამართლომ წარმოადგინოს იურიდიული დახმარების უზრუნველყოფაზე უარის თქმის მიზეზები და გულმოდგინედ მიუდგეს მოთხოვნებს აღნიშნული დახმარების თაობაზე (ტაბორი პოლონეთის წინააღმდეგ, §§45-46³⁵⁹; საოუდი საფრანგეთის წინააღმდეგ, §§ 133-136³⁶⁰).

97. უფრო მეტიც, უნდა ითქვას, რომ უცხოელი იურიდიული პირებისთვის იურიდიული დახმარების უზრუნველყოფაზე უარის თქმა არ ეწინააღმდეგება მე-6 მუხლს (*Granos Organicos Nacionales S.A გერმანიის წინააღმდეგ*, §§48-53³⁶¹).

2. მიღებული იურიდიული დახმარების ეფექტურობა

98. სახელმწიფო არ არის პასუხისმგებელი ოფიციალურად დანიშნული იურისტის ქმედებებზე. რაც გამომდინარეობს იურიდიული პროფესიის სახელმწიფოსგან დამოუკიდებლობის პრინციპიდან (სტაროსზცზიკი პოლონეთის წინააღმდეგ, § 133³⁶²), რომლის თანხმადაც დაცვის მხარის მოქმედება უშუალოდ, დაზარალებულსა და მის წარმომადგენელს შორის განსახილველ საკითხს წარმოადგენს, განურჩევლად იმისა, აღნიშნული წარმომადგენელი იურიდიული დახმარების სქემის შესაბამისად დანიშნულია თუ კერძოდ დაქირავებული. დაცვის მხარის დაუშვებელი მოქმედება,

³⁵¹ Gnahoré v. France, N 40031/98, §41, ECHR 2000-IX.

³⁵² Essaadi v. France, N 49384/99, §36, 26 თებერვალი 2002.

³⁵³ Del Sol v. France, N 46800/99, §26, ECHR 2002-II.

³⁵⁴ Bakan v. Turkey, N 50939/99, §§75-76, 12 ივნისი 2007.

³⁵⁵ Essaadi v. France, N 49384/99, §35, 26 თებერვალი 2002

³⁵⁶ Santambrogio v. Italy, N 61945/00, §52, 21 სექტემბერი 2004.

³⁵⁷ Bakan v. Turkey, N 50939/99, §74-78, 12 ივნისი 2007.

³⁵⁸ Pedro Ramos v. Switzerland, N 10111/06, §§41-45, 14 ოქტომბერი 2010.

³⁵⁹ Tabor v. Poland, N 12825/02, §45-46, 27 ივნისი 2006.

³⁶⁰ Saoud v. France, N 9375/02, §§133-36, 9 ოქტომბერი 2007.

³⁶¹ Granos Organicos Nacionales S.A. v. Germany, N 19508/07, §§48-53, 22 მარტი 2012.

³⁶² Staroszczyk v. Poland, N 59519/00, §133, 22 მარტი 2007.

იწვევს სახელმწიფოს კონვენციით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას, გარდა იმ შემთხვევებისა, რომელთა დროსაც სახეზე გვაქვს განსაკუთრებული გარემოებები. (ტუზინსკი პოლონეთის წინააღმდეგ (განჩინება))³⁶³.

99. თუმცა, იურისტის გამწესება მხარის წარმოსადგენად თავის მხრივარ იძლევა ეფექტური დახმარების გარანტიას (*სიალკოვსკა პოლონეთის წინააღმდეგ*, §§ 110 და 116³⁶⁴). იურიდიული დახმარების გაწევის მიზნით დანიშნულმა იურისტმა შესაძლოა გააჭინაუროს საქმე ან თავი აარიდოს საკუთარ მოვალეობებს. თუ ისინი შემჩნეულნი იქნებიან ამგვარ ქმედებებში, კომპეტენტურმა ეროვნულმა ორგანოებმა უნდა შეცვალონ ისინი; თუკი მათი შეცვლა ვერ მოხერხდება, მიუხედავად უფასო იურიდიული დახმარებით უზრუნველყოფის დადგენილებისა, მოსარჩელე ვერ მიიღებს ეფექტურ დახმარებას პრაქტიკაში (*ბერტუზი საფრანგეთის წინააღმდეგ*, § 30)³⁶⁵.

100. სახელმწიფოს უწინარესი პასუხისმგებლობაა, უზრუნველყოს სათანადო ბალანსი ერთი მხრივ, სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლებით ეფექტურ სარგებლობასა და მეორე მხრივ, იურიდიული პროფესიის დამოუკიდებლობას შორის. სასამართლომ ცალსახად გაუსვა ხაზი, რომ იურიდიული დახმარების ფარგლებში დანიშნული ადვოკატის მხრიდან ქმედებაზე ნებისმიერი სახით უარის თქმამ უნდა გაიაროს ხარისხის გარკვეული მოთხოვნების შესაბამისი კონტროლი. აღნიშნული მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება იმ შემთხვევაში, თუ იურიდიული დახმარების სისტემაში არსებული ხარვეზები ართმევენ ინდივიდებს სასამართლოს ხელმისაწვდომობით „პრაქტიკული და ეფექტური“ სარგებლობის შესაძლებლობას, რისი უფლებაც მათ გააჩნიათ. (*სტაროსზცზიკი პოლონეთის წინააღმდეგ*, §135³⁶⁶; *სიალკოვსკა პოლონეთის წინააღმდეგ*, §114³⁶⁷ - დარღვევა).

³⁶³ Tuziński v. Poland (განჩინება), N 40140/98, 30 მარტი 1999.

³⁶⁴ Siatkowska v. Poland, N 8932/05, §§110 და 116, 22 მარტი 2007.

³⁶⁵ Bertuzzi v. France, N 36378/97, §30, ECHR 2003-III.

³⁶⁶ Staroszczyk v. Poland, N 59519/00, §135, 22 მარტი 2007.

³⁶⁷ Siatkowska v. Poland, N 8932/05, §114, 22 მარტი 2007.

III. ინსტიტუციონალური მოთხოვნები

კონვენციის 6.1 მუხლი

„1. სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას... ყველას აქვს ... მისი საქმის... განხილვის უფლება ... კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. ...”

A. „სასამართლოს“ ცნება

1. ავტონომიურობის ცნება

101. ორგანო, რომელიც არ არის კლასიფიცირებული როგორც სახელმწიფოს ერთ-ერთი სასამართლო, მიუხედავად ამისა, კონვენციის 6.1 მუხლის მიზნებისათვის ტერმინის მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობით, შეიძლება მოექცეს „სასამართლოს“ ცნებაში (*სრამეკი ავსტრიის წინააღმდეგ*, §36)³⁶⁸.

102. სასამართლოს ან ტრიბუნალის არსს განაპირობებს სასამართლოს ფუნქციები, ანუ სასამართლოს კომპეტენციაში არსებულ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღება კანონის დაცვით და დადგენილი პროცედურების შესაბამისად. (იქვე, §36; *კვიპროსი თურქეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §233)³⁶⁹.

103. „სასამართლოს“ ცნება მოიაზრებს სავალდებულო გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას. სამართალწარმოება უნდა უზრუნველყოფდეს „ტრიბუნალის მიერ სადავო საკითხების განსაზღვრას“, რომელიც სავალდებულოა კონვენციის 6.1 მუხლის მიხედვით (*ბენსემი ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §40)³⁷⁰.

104. შესაბამისად, არასავალდებულო საკონსულტაციო დასკვნების გამოცემის უფლებამოსილება არ არის საკმარისი, მაშინაც კი თუ აღნიშნული დასკვნები გამოყენებულია საქმეთა უმრავლესობაში (იქვე).

105. კონვენციის 6.1 მუხლის მიზნებისთვის სავალდებულო არ არის, რომ „ტრიბუნალი“ შესაბამისი ქვეყნის სასამართლო სისტემის ფარგლებში არსებული სასამართლო იყოს. ის შესაძლებელია შეიქმნას კონკრეტული საკითხის

³⁶⁸ Sramek v. Austria, N 8790/79, §36, 22 ოქტომბერი 1984, §36.

³⁶⁹ Cyprus v. Turkey [დიდი პალატა], N 25781/94, §233, ECHR 2001-IV.

³⁷⁰ Benthem v. the Netherlands, 23 ოქტომბერი 1985, §40, Series A N 97.

გადასაწყვეტად, რომლის სათანადოდ გადაჭრა შესაძლებელია სასამართლო სისტემის გარეთაც. მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილ იქნას კონვენციის 6.1 მუხლის მატერიალურ-სამართლებრივ და პროცედურული გარანტიებთან შესაბამისობა (*როლფ გუსტაფსონი შვედეთის წინააღმდეგ*, §45)³⁷¹.

106. აქედან გამომდინარე, „ტრიბუნალი“ შეიძლება წარმოადგენდეს ორგანოს, რომელიც შექმნილია შეზღუდული რაოდენობის სპეციფიკურ საკითხთა განსახილველად და უზრუნველყოფს შესაბამის გარანტიებს (*ლისგოუ და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §201³⁷², საარბიტრაჟო ტრიბუნალის კონტექსტში).

107. ის ფაქტი, რომ ორგანო ასრულებს ბევრ ფუნქციას (ადმინისტრაციული, მარეგულირებელი, სასამართლო, საკონსულტაციო და დისციპლინური), თავისთავად არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ის იყოს „ტრიბუნალი“ (*ჰ. ბელგის წინააღმდეგ*, §50)³⁷³.

108. „სასამართლოს“ ცნება მოიაზრებს სავალდებულო გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას, რომელიც ინდივიდუალური მხარის საზიანოდ არ შეიძლება შეიცვალოს არა-სასამართლო ორგანოს მიერ (*ვან დე ჰურკი ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §45)³⁷⁴. კანონის უზენაესობის ერთ-ერთი ფუნდამენტური ასპექტი არის სამართლებრივი სიცხადის პრინციპი რომელიც, ყველაფერთან ერთად, მოითხოვს, რომ სასამართლოების მიერ საბოლოოდ მიღებული გადაწყვეტილება ეჭვქვეშ არ უნდა დადგეს (*ბრუმარესკუ რუმინეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], § 61)³⁷⁵.

109. „ტრიბუნალი“ ასევე უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს - დამოუკიდებლობა, განსაკუთრებით აღმასრულებელი ხელისუფლებისგან; მიუკერძოებლობა; მისი წევრის უფლებამოსილების ვადის ხანგრძლივობა; შესაბამისი პროცედურით გათვალისწინებული გარანტიები - რომელთაგან ზოგიერთი მოცემულია კონვენციის 6.1 მუხლის ტექსტში (*ლე კომპტი, ვან ლიუვენი და დე მეიერი ბელგის წინააღმდეგ*, §55³⁷⁶, *კვიპროსი თურქეთის წინააღმდეგ* [დიდი

³⁷¹ Rolf Gustafson v. Sweden, 1 ივლისი 1997, § 45, გადაწყვეტილებათა და განჩინებათა ანგარიშები 1997-IV.

³⁷² Lithgow and Others v. the United Kingdom, 8 ივლისი 1986, § 201, Series A N 102.

³⁷³ H. v. Belgium, 30 ნოემბერი 1987, § 50, Series A N 127-B.

³⁷⁴ Van de Hurk v. the Netherlands, 19 აპრილი 1994, § 45, Series A N 288.

³⁷⁵ Brumărescu v. Romania [დიდი პალატა], N 28342/95, § 61, ECHR 1999-VII.

³⁷⁶ Le Compte, Van Leuven and De Meyere v. Belgium, 23 ივნისი 1981, § 55, Series A N 43.

პალატა], §233³⁷⁷). მართლაც, როგორც დამოუკიდებლობა, ასევე მიუკერძოებლობა „ტრიბუნალის“ კონცეფციის ძირითად შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

110. კონვენციის 6.1 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში "ტრიბუნალის" სტატუსის მქონე ორგანოებია:

- რეგიონალური უძრავი ქონების ტრანზაქციების ორგანო (*სრამეკი ავსტრიის წინააღმდეგ*, §36)³⁷⁸;
- სისხლის სამართლებრივი ზიანის კომპენსაციის საბჭო (*როლფ გუსტაფსონი შვედეთის წინააღმდეგ*, § 48)³⁷⁹;
- სატყვე მეურნეობასთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტის კომიტეტი (*არგიროუ და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ*, §27)³⁸⁰.

2. იურისდიქცია

111. მიუხედავად იმისა, რომ კონვენციის 6.1 მუხლი არ ავალდებულებს ხელშემკვრელ სახელმწიფოებს სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოების შექმნას, სახელმწიფო, რომელიც ქმნის ასეთ სასამართლოებს ვალდებულია უზრუნველყოს, კანონის წინაშე პასუხისმგებელი პირების მიერ სასამართლოში 6.1 მუხლით გათვალისწინებული ფუნდამენტური გარანტიებით სარგებლობა (*პლატაკუ საბერძნეთის წინააღმდეგ*, §38)³⁸¹:

- კონკრეტული შეფასება: ის ფორმა თუ როგორ უნდა გავრცელდეს კონვენციის 6.1 მუხლი სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოზე დამოკიდებული იქნება საქმისწარმოების განსაკუთრებულ მახასიათებლებზე. სამართლის საკითხების გასაჩივრების მოსაღებობის პირობები შეიძლება უფრო მკაცრი იყოს, ვიდრე ჩვეულებრივი საჩივრის (*Levages Prestations Services საფრანგეთის წინააღმდეგ*, §45)³⁸².
- ზოგადი შეფასება: მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ეროვნულ დონეზე განხორციელებული ეროვნული სამართალწარმოებები მთლიანობაში (იქვე). შესაბამისად, ზემდგომმა ან უმაღლესმა სასამართლომ შეიძლება, გარკვეულ

³⁷⁷ Cyprus v. Turkey [დიდი პალატა], N 25781/94, §233, ECHR 2001-IV.

³⁷⁸ Sramek v. Austria, N 8790/79, §36, 22 ოქტომბერი 1984, §36.

³⁷⁹ Rolf Gustafson v. Sweden, N 23196/94, §48, 1 ივლისი 1997, §48.

³⁸⁰ Argyrou and Others v. Greece, N 10468/04, § 27, 15 იანვარი 2009.

³⁸¹ Platakou v. Greece, N 38460/97, §38, ECHR 2001-I.

³⁸² Levages Prestations Services v. France, 23 ოქტომბერი 1996, §45, გადაწყვეტილებათა და განჩინებათა ანგარიშები 1996-V.

გარემოებებში, გამოასწოროს კონვენციის რომელიმე დებულების თავდაპირველი დარღვევა (*დე ჰაანი ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §54)³⁸³.

112. მოქნილობისა და ეფექტურობის მოთხოვნებმა, რომლებიც სრულად შეესაბამებიან ადამიანის უფლებათა დაცვას, შეიძლება გაამართლონ ადმინისტრაციული ან პროფესიული ორგანოების მიერ განხორციელებული ჩარევა და მითუმეტეს სასამართლო ორგანოების, რომლებიც ყველა მიმართებაში არ აკმაყოფილებენ მე-6 მუხლის მოთხოვნებს (*ლე კომპტი, ვან ლუვენი და დე მეიერი ბელგიის წინააღმდეგ*, §51)³⁸⁴. კონვენციის დარღვევა ვერ დადგინდება, თუ ამ ორგანოების წინაშე არსებული სამართალწარმოება „ექვემდებარება შემდგომ კონტროლს იმ სასამართლო ორგანოს მიერ, რომელსაც აქვს სრული იურისდიქცია“ და უზრუნველყოფს მე-6 მუხლით დაცულ გარანტიებს (*ზუმტობელი ავსტრიის წინააღმდეგ*, §§29-32³⁸⁵; *ბრაიანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §40³⁸⁶).

113. ასევე, თავად ფაქტი, რომ დავის გადაწყვეტის ვალდებულება ეკისრება პროფესიონალურ დისციპლინურ ორგანოებს, არ არღვევს კონვენციას. თუმცა, ასეთ გარემოებებში, კონვენცია მოუწოდებს სახელმწიფოებს შემდეგი ორი მოთხოვნიდან სულ მცირე ერთ-ერთის შესრულებას: ან პროფესიონალური დისციპლინური ორგანოები თავად დააკმაყოფილებენ მე-6 მუხლის მოთხოვნებს ან არ დააკმაყოფილებენ და დაექვემდებარებიან შემდგომ შემოწმებას „სასამართლო ორგანოს მიერ, რომელსაც აქვს სრული იურისდიქცია“ და უზრუნველყოფს 6.1 მუხლის გარანტიებს (*ალბერტი და ლე კომპტე ბელგიის წინააღმდეგ*, §29³⁸⁷, *გოტრინი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ*, §57³⁸⁸, *ფაზია ალი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §75³⁸⁹).

114. შესაბამისად, სასამართლომ არაერთგზის თანმიმდევრულად განმარტა, რომ 6.1 მუხლის საფუძველზე აუცილებელია ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც არ შეესაბამება ამ მუხლის მოთხოვნებს,

³⁸³ De Haan v. the Netherlands, 26 აგვისტო 1997, § 54, გადაწყვეტილებათა და განჩინებათა ანგარიშები 1997-IV.

³⁸⁴ Le Compte, Van Leuven and De Meyere v. Belgium, 23 ივნისი 1981, § 51, Series A N 43.

³⁸⁵ Zumtobel v. Austria, 21 სექტემბერი 1993, § 29-32, Series A N 268-A.

³⁸⁶ Bryan v. the United Kingdom, 22 ნოემბერი 1995, § 40, Series A N 335-A.

³⁸⁷ Albert and Le Compte v. Belgium, 10 თებერვალი 1983, § 29, Series A N 58.

³⁸⁸ Gautrin and Others v. France, 20 მაისი 1998, § 57, გადაწყვეტილებათა და განჩინებათა ანგარიშები 1998-III.

³⁸⁹ Fazia Ali v. the United Kingdom, N 40378/10, § 75, 20 ოქტომბერი 2015.

დაექვემდებაროს შემდგომ კონტროლს „სასამართლო ორგანოს მიერ, რომელსაც აქვს სრული იურისდიქცია“ (*ორტენბერგი ავსტრიის წინააღმდეგ*, §31)³⁹⁰.

3. გადაწყვეტილების გადასინჯვა სრული იურისდიქციის მქონე სასამართლოს მიერ

115. კონვენციის 6.1 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში მხოლოდ ის ორგანო წარმოადგენს „ტრიბუნალს“, რომელსაც აქვს სრული იურისდიქცია (*ბომარტინი საფრანგეთის წინააღმდეგ*, §38)³⁹¹. კონვენციის 6.1 მუხლი მოითხოვს, რომ სასამართლოებმა ჩაატარონ ეფექტიანი სასამართლო გადასინჯვა (*ობერმეიერი ავსტრიის წინააღმდეგ*, §70)³⁹². პრინციპი, რომ სასამართლომ უნდა განახორციელოს სრული იურისდიქცია, არ მოითხოვს მისი მხრიდან სასამართლო ფუნქციის რომელიმე ელემენტზე უარის თქმას (*შევროლი საფრანგეთის წინააღმდეგ*, §63)³⁹³.

116. კონვენციის 6.1 მუხლი მოითხოვს, რომ სასამართლოს ან ტრიბუნალს ჰქონდეს იურისდიქცია, რათა შეისწავლოს ყველა სადავო ფაქტი და კანონი, რომელიც არსებულ დავასთან დაკავშირებით რელევანტურია (*ტერა ვონინგენი ბ.ვ. ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §52³⁹⁴; *შპს სიგმა რადიო ტელევიზია კვიპროსის წინააღმდეგ*, §§151-57³⁹⁵). კერძოდ, ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება დეტალურად განიხილოს საქმის არსებით გარემოებებთან დაკავშირებული მომჩივნის თითოეული არგუმენტი, რომელიმე მათგანის შესწავლაზე უარის თქმის გარეშე და გარკვევით უნდა მიუთითოს მათი უარყოფის მიზეზი. რაც შეეხება ფაქტებს, სასამართლოს უნდა შეეძლოს მომჩივნის საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტების ხელახლა შესწავლა (*ბრაიანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §§44-45)³⁹⁶.

117. სრული იურისდიქციის პრინციპი სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკაში რამდენიმე საქმეში იქნა შეფასებული; აღნიშნული პრინციპი ხშირად მოქნილად განიმარტება, განსაკუთრებით ადმინისტრაციულ-სამართლებრივ საქმეებში, სადაც სააკველიაციო სასამართლოს იურისდიქცია შეზღუდულია დავის საგნის ტექნიკური

³⁹⁰ *Ortenberg v. Austria*, 25 ნოემბერი 1994, § 31, Series A N 295-B.

³⁹¹ *Beaumartin v. France*, 24 ნოემბერი 1994, § 38, Series A N 296-B.

³⁹² *Obermeier v. Austria*, 28 ივნისი 1990, § 70, Series A N 179.

³⁹³ *Chevol v. France*, N 49636/99, § 63, ECHR 2003-III.

³⁹⁴ *Terra Woning B.V. v. the Netherlands*, 17 დეკემბერი 1996, § 52, გადაწყვეტილებათა და განჩინებათა ანგარიშები 1996-VI.

³⁹⁵ *Sigma Radio Television Ltd v. Cyprus*, N 32181/04 და 35122/05, § 151-57, 21 ივლისი 2011.

³⁹⁶ *Bryan v. the United Kingdom*, 22 ნოემბერი 1995, § 44-45, Series A N 335-A.

ბუნებით (*შოდე საფრანგეთის წინააღმდეგ*, §37³⁹⁷, *ალ-დულიმი და მონტანა მენეჯმენტის კორპორაცია შვეიცარიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §130³⁹⁸).

118. მართლაც, სხვადასხვა წევრი სახელმწიფოების სამართლებრივ სისტემებში არსებობს კანონის რამდენიმე სპეციალიზირებული სფერო (მაგალითად, ქალაქისა და ქვეყნის დაგეგმარების სფეროში), სადაც ფაქტებთან მიმართებით სასამართლოებს შეზღუდული იურისდიქცია აქვთ, მაგრამ მათ შეუძლიათ გააუქმონ ადმინისტრაციული ორგანოების გადაწყვეტილება, თუ ის დაფუძნებულია ფაქტებიდან გამომდინარე დასკვნაზე, რომელიც დამახინჯებული ან ირაციონალურია. კონვენციის მე-6 მუხლი არ ითხოვს იურისდიქციის ისეთ დონეზე ხელმისაწვდომობას, რომლის ფარგლებში სასამართლოს შეეძლება ადმინისტრაციული ორგანოს დასკვნის შეცვლა (იხ. მაგალითად, გადაწყვეტილება ქალაქგარეთ დაგეგმარებასთან დაკავშირებით, *ზუმტობელი ავსტრიის წინააღმდეგ*, §§31-32³⁹⁹, ქალაქის დაგეგმარებაზე, *ბრაიანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §§44-47⁴⁰⁰; გარემოს დაცვაზე, *ალათულკილა და სხვები ფინეთის წინააღმდეგ*, §52⁴⁰¹, აზარტული თამაშების რეგულაცია, *ქინგსლი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §32⁴⁰²; და პრეცედენტული სამართლის შეჯამებისთვის, *ფაზია ალი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §§75-78⁴⁰³).

119. გადაწყვეტილება საქმე *ფაზია ალი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*⁴⁰⁴ ეხებოდა სოციალური კეთილდღეობის სფეროში უსახლკარო ოჯახების საცხოვრებელ პირობებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების შეზღუდულ სასამართლო გადასინჯვას. საქმეში არსებული სადავო სქემა გამიზნული იყო უსახლკარო ადამიანებისთვის საცხოვრებლის უზრუნველსაყოფად; ის მოიცავდა უამრავ პატარა საქმეს და მიზნად ისახავდა ღარიბი ადამიანებისათვის რაც შეიძლება დიდი სარგებლის მოტანას, ეკონომიკური და სამართლიანი ფორმით. სტრასბურგის სასამართლოს მოსაზრებით, როდესაც საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით ჩატარებულია საფუძვლიანი ადმინისტრაციული გამოძიება, კონვენციის 6.1 მუხლი არ უნდა იქნეს წაკითხული

³⁹⁷ Chaudet v. France, N49037/06, § 37, 29 ოქტომბერი 2009.

³⁹⁸ Al-Dulimi and Montana Management Inc. v. Switzerland [დიდი პალატა], N 5809/08, § 130, ECHR 2016.

³⁹⁹ Zumtobel v. Austria, 21 სექტემბერი 1993, §§31-32, Series A N 268-A.

⁴⁰⁰ Bryan v. the United Kingdom, 22 ნოემბერი 1995, § 44-47, Series A N 335-A.

⁴⁰¹ Alatulkkila and Others v. Finland, N 33538/96, § 52, 28 ივლისი 2005.

⁴⁰² Kingsley v. the United Kingdom [დიდი პალატა], N 35605/97, §32, ECHR 2002-IV.

⁴⁰³ Fazia Ali v. the United Kingdom, N 40378/10, §75-78, 20 ოქტომბერი 2015.

⁴⁰⁴ იქვე.

იმგვარად, რომ სამართალწარმოების დროს ეროვნული სასამართლოებისგან ის მოითხოვს საქმის ხელახლა განხილვას, მოწმეების ხელახალი დაკითხვისთან ერთად.

120. პრეცედენტული სამართლით დადგინდა გარკვეული კრიტერიუმები, რომელთა მიხედვით ფასდება, განიხილა თუ არა საქმე „სრული იურისდიქციის მქონე“ ორგანომ, კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე (*შპს სიგმა რადიო ტელევიზია კვიპროსის წინააღმდეგ*, §§151-57)⁴⁰⁵. ამდენად, იმის დასადგენად სასამართლო ორგანომ უზრუნველყო თუ არა საქმის განხილვა, შემდეგი სამი კრიტერიუმი უნდა იყოს გათვალისწინებული:

- გასაჩივრებული გადაწყვეტილების დავის საგანი:
 - თუ ადმინისტრაციული გადაწყვეტილება ეხება ფაქტებთან დაკავშირებულ მარტივ საკითხს, სასამართლომ უფრო საფუძვლიანად უნდა შეისწავლოს საქმე, ვიდრე მაშინ როცა ის ეხება სპეციალიზებულ სფეროს, რომელიც საჭიროებს სპეციფიკურ ტექნიკურ ცოდნას;
 - ევროპაში არსებული სისტემები, როგორც წესი, ზღუდავენ სასამართლოების უფლებამოსილებას განიხილონ ფაქტობრივი საკითხები, თუმცა არ კრძალავენ მათ მიერ გადაწყვეტილების შეცვლას სხვადასხვა საფუძველზე. პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ეს საკითხი არ განხილულა.

- მეთოდი, რომლითაც მოხდა გადაწყვეტილების მიღება: რომელი პროცედურული გარანტიები იყო გამოყენებული ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე?
 - თუ მომჩივანი წინა ადმინისტრაციული წარმოების დროს სარგებლობდა საპროცესო გარანტიებით, რომლებიც აკმაყოფილებდა მე-6 მუხლის ბევრ მოთხოვნას, ამან შეიძლება გაამართლოს მომდევნო სასამართლო კონტროლის მსუბუქი ფორმა (*ბრაიანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §§46-47⁴⁰⁶; *ჰოლდინგი და ბარნსი ღია საჯარო კომპანია შეზღუდული პასუხისმგებლობით (PLC) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (განჩინება)⁴⁰⁷).

⁴⁰⁵ Sigma Radio Television Ltd v. Cyprus, N 32181/04 და 35122/05, § 151-57, 21 ივლისი 2011.

⁴⁰⁶ Bryan v. the United Kingdom, 22 ნოემბერი 1995, §§46-47, Series A N 335-A.

⁴⁰⁷ Holding and Barnes PLC v. the United Kingdom (განჩინება), N 2352/02, ECHR 2002-IV.

- დავის შინაარსი, მათ შორის, საჩივრის სასურველი და რეალური საფუძვლები (*ბრაიანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §45)⁴⁰⁸:
- გადაწყვეტილებაში დეტალურად უნდა იქნეს შესწავლილი ყველა მომჩივნის არგუმენტები საქმის არსებითი გარემოებების გათვალისწინებით, რომელიმე მათგანის განხილვაზე უარის თქმის გარეშე და მოცემული უნდა იყოს აღნიშნული არგუმენტების უარყოფის მკაფიო მიზეზები. რაც შეეხება ფაქტებს, სასამართლოს უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება, ხელახლა შეისწავლოს ის ფაქტები, რომლებიც მთავარია მომჩივნის საქმეში. აქედან გამომდინარე, თუ მომჩივანი საკუთარ პოზიციას წარადგენს მხოლოდ პროცედურულ ასპექტთან დაკავშირებით, მას არ შეუძლია შემდგომში გააკრიტიკოს სასამართლო, იმასთან დაკავშირებით, რომ ამ უკანასკნელმა არ გადაწყვიტა საქმე ფაქტებზე დაყრდნობით (*პოტოცკა და სხვები პოლონეთის წინააღმდეგ*, §57)⁴⁰⁹.

121. მაგალითად, სასამართლოს უარმა გადაწყვეტილება მიიღოს ფაქტებთან დაკავშირებულ იმ კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით, რომლებიც გადამწყვეტია დავის მოსაგვარებლად, შეიძლება გამოიწვიოს 6.1 მუხლის დარღვევა (*ტერა ვონინგენი ბ.ვ. ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §§53-55)⁴¹⁰. იგივე წესი მოქმედებს, თუ სასამართლოს არ გააჩნია იურისდიქცია, განსაზღვროს დავის არსებითი საკითხი (*თსფაიო გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §48)⁴¹¹. ასეთ შემთხვევებში საკითხი, რომელიც გადამწყვეტია საქმის შედეგისთვის, არ ექვემდებარება დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ შემოწმებას.

122. თუ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდება, განხილველ სასამართლოს უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება გააუქმოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და თავად მიიღოს ახალი გადაწყვეტილება ან გადაწყვეტილების მისაღებად გადასცეს საქმე იმავე ან სხვა ორგანოს (*კინგსლი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §§ 32 და 34)⁴¹².

123. როდესაც კვაზი-სასამართლო პროცედურის დროს, რომელიც აკმაყოფილებს 6.1 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილია ფაქტები და მათ საფუძველზე გამოტანილი გადაწყვეტილებები არ

⁴⁰⁸ Bryan v. the United Kingdom, 22 ნოემბერი 1995, § 45, Series A N 335-A.

⁴⁰⁹ Potocka and Others v. Poland, N 33776/96, § 57, ECHR 2001-X.

⁴¹⁰ Terra Woning B.V. v. the Netherlands, 17 დეკემბერი 1996, §§53-55, გადაწყვეტილებათა და განჩინებათა ანგარიშები 1996-VI.

⁴¹¹ Tsfayo v. the United Kingdom, N 60860/00, § 48, 14 ნოემბერი 2006.

⁴¹² Kingsley v. the United Kingdom [დიდი პალატა], N 35605/97, §§ 32 და 34, ECHR 2002-IV.

არის სადავო და როცა სასამართლოს დეტალურად აქვს განხილული საჩივრის სხვა საფუძვლები, სააპელაციო სასამართლოს მიერ ჩატარებული განხილვის ფარგლები საკმარისი იქნება კონვენციის 6.1 მუხლის შესაბამისობისთვის (*ბრაიანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §§44-47)⁴¹³.

124. ქვემოთ მოცემულია მაგალითები, როდესაც სასამართლო ორგანოები არ იქნენ მიჩნეული „სრული იურისდიქციის“ მქონედ:

- ადმინისტრაციული სასამართლო, რომლის უფლებამოსილება შემოფარგლული იყო მხოლოდ იმის განსაზღვრით, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გამოყენებული დისკრეცია შეესაბამებოდა თუ არა კანონმდებლობის მიზანს (*ობერმიერი ავსტრიის წინააღმდეგ*, §70)⁴¹⁴;
- სასამართლო, რომელმაც განიხილა სამართლის საკითხები პროფესიული გაერთიანებების დისციპლინარული დანაყოფის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, როდესაც არ ჰქონდა უფლებამოსილება შეეფასებინა, განხორციელებულ ქმედებასთან მიმართებით რამდენად პროპორციული იყო სასჯელი (*დიენე საფრანგეთის წინააღმდეგ*, §34⁴¹⁵, სამედიცინო გაერთიანების კონტექსტში; *მერიგო საფრანგეთის წინააღმდეგ*, §69⁴¹⁶, მკვლევართა ასოციაციის კონტექსტში);
- საკონსტიტუციო სასამართლო, რომელსაც საქმის განხილვა შეეძლო მხოლოდ კონსტიტუციასთან შესაბამისობის თვალსაზრისით და ამგვარად ვერ უზრუნველყოფდა ყველა რელევანტური ფაქტის შესწავლას (*ზუმტობელი ავსტრიის წინააღმდეგ*, §§29-30)⁴¹⁷;
- სახელმწიფო საბჭო, რომელიც თავისი პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, ვალდებული იყო, მის წინაშე არსებული საერთაშორისო ხელშეკრულებების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტის დროს, გაეთვალისწინებინა მინისტრის დასკვნა, ამ მოსაზრების თაობაზე მხარეების მხრიდან რაიმე კრიტიკის გამოთქმის ან მისი დისკუსიის საგნად ქცევის გარეშე; აღსანიშნავია, რომ მინისტრი გარე ორგანოს წარმოადგენდა, რომელიც ასევე იყო აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელი. მინისტრის ჩართულობას, რომელიც სამართალწარმოების შედეგებისთვის გადამწყვეტი იყო, სადავოდ ვერ გახდიდა მომჩივანი, რომელსაც, უფრო

⁴¹³ Bryan v. the United Kingdom, 22 ნოემბერი 1995, §§ 44-47, Series A N 335-A.

⁴¹⁴ Obermeier v. Austria, 28 ივნისი 1990, § 70, Series A N 179.

⁴¹⁵ Diennet v. France, 26 სექტემბერი 1995, § 34, Series A N 325-A.

⁴¹⁶ Mérigaud v. France, N 32976/04, § 69, 24 სექტემბერი 2009.

⁴¹⁷ Zumtobel v. Austria, 21 სექტემბერი 1993, §§29-30, Series A N 268-A.

მეტიც, არ მიეცა შესაძლებლობა მინისტრის საპასუხოდ საკუთარი არგუმენტები წარედგინა (*შევროლი საფრანგეთის წინააღმდეგ*, §§81-82)⁴¹⁸.

125. განსხვავებით ზემოხსენებული საქმეებისგან:

- *შოდე საფრანგეთის წინააღმდეგ*⁴¹⁹: სახელმწიფო საბჭომ საჩივარი განიხილა როგორც პირველი და საბოლოო ინსტანციის სასამართლომ. ამ საქმეში სახელმწიფო საბჭოს არ ჰქონდა „სრული იურისდიქცია“, რის შედეგადაც მას შეეძლებოდა სამოქალაქო ავიაციის სამედიცინო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა. თუმცა, საქმის მასალებიდან აშკარა იყო, რომ სასამართლომ განიხილა მომჩივნის მიერ წარდგენილი ყველა დოკუმენტი, მათი ფაქტობრივი და იურიდიული საფუძვლები და შეაფასა სამედიცინო დოკუმენტაციაში არსებული ყველა მტკიცებულება, მათ შორის ის სამედიცინო დასკვნები, რომლებიც მხარეებმა მის წინაშე განიხილეს. შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის საქმე განხილულ იქნა კონვენციის 6.1 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად (§§37-38).
- *ზუმტობელი ავსტრიის წინააღმდეგ*⁴²⁰: ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ავსტრიის ადმინისტრაციულმა სასამართლომ დააკმაყოფილა 6.1 მუხლის მოთხოვნები არამხოლოდ ადმინისტრაციულ ორგანოთა დისკრეციასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით; გარდა ამისა, სასამართლოს დეტალურად ჰქონდა განხილული ყველა წარდგენილი დოკუმენტი საქმის არსებითი გარემოებების შესახებ და რელევანტური ფაქტების დადგენის ან მხარეთა არგუმენტებზე პასუხის გაცემის დროს არასდროს უარყვიათ იურისდიქცია (§§31-32 – იხ. აგრეთვე *ორტენბერგი ავსტრიის წინააღმდეგ*, §§33-34⁴²¹; *ფიშერი ავსტრიის წინააღმდეგ*, §34⁴²²).
- *მაკმაიკლი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*⁴²³: წინამდებარე საქმეზე შერიფი სასამართლოს⁴²⁴ ბრძანება (შერიფი სასამართლო არის შოტლანდიის მთავარი ადგილობრივი სამოქალაქო და სისხლის სამართლის სასამართლო), რომლის მიხედვით შესაძლებელი იყო ბავშვის გაშვილება, უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრეს. უზენაეს სასამართლოს საკითხთან მიმართებაში

⁴¹⁸ Chevrol v. France, N 49636/99, §§81-82, ECHR 2003-III.

⁴¹⁹ Chaudet v. France, N 49037/06, 29 ოქტომბერი 2009.

⁴²⁰ Zumtobel v. Austria, 21 სექტემბერი 1993, Series A N 268-A.

⁴²¹ Ortenberg v. Austria, 25 ნოემბერი 1994, §§33-34, Series A N 295-B.

⁴²² Fischer v. Austria, 26 აპრილი 1995, § 34, Series A N 312.

⁴²³ McMichael v. the United Kingdom, 24 თებერვალი 1995, Series A N 307-B.

⁴²⁴ სასამართლო შოტლანდიაში.

ჰქონდა სრული იურისდიქცია; ჩვეულებრივ, ის მოქმედებდა შერიფი სასამართლოს დადგენილი ფაქტების საფუძველზე, მაგრამ ამის გაკეთება არ იყო სავალდებულო. საჭიროების შემთხვევაში, მას შეეძლო თავად განეხილა მტკიცებულება ან დაებრუნებინა საქმე შერიფი სასამართლოსთვის ხელახლა განსახილველად ინსტრუქციების მითითებით, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო (§66). გარდა ამისა, როდესაც შერიფი სასამართლო იხილავდა ბავშვებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების თაობაზე საჩივრებს, ასევე სარგებლობდა სრული იურისდიქციით; ის უფლებამოსილი იყო გამოეკვლია როგორც საქმის არსებითი გარემოებები, ასევე სავარაუდო პროცედურული დარღვევები (§82).

- *პოტოცკა და სხვები პოლონეთის წინააღმდეგ*⁴²⁵: ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით განსაზღვრული უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოს იურისდიქციის ფარგლები შეზღუდული იყო სადავო ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების კანონიერების შეფასებით. თუმცა, სასამართლო ასევე უფლებამოსილი იყო გადაწყვეტილება მთლიანად ან ნაწილობრივ გაეუქმებინა, თუ დაადგენდა რომ სამართალწარმოების დროს დარღვეული იყო სამართლიანობის პროცედურული მოთხოვნები, რამაც განაპირობა ამ გადაწყვეტილების მიღება. უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოს დასაბუთებამ აჩვენა, რომ სასამართლომ გამოიკვლია საქმის მიზაშეწონილობის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს შეეძლო შეეზღუდა თავისი ანალიზი იმის დადგენით, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებები ძალაში უნდა დარჩენილიყო მომჩივნების საჩივარში არსებული პროცედურული და მატერიალურ-სამართლებრივი ხარვეზების გათვალისწინებით, სასამართლოს დეტალურად ჰქონდა განხილული ყველა წარდგენილი დოკუმენტი და რელევანტური ფაქტების დადგენის ან მხარეთა არგუმენტებზე პასუხის გაცემის დროს არასდროს უთქვამს უარი იურისდიქციაზე. შესაბამისად, უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოს საქმის გადასინჯვის ფარგლები საკმარისი იყო კონვენციის 6.1 მუხლის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად (§§56-59).

⁴²⁵ Potocka and Others v. Poland, N 33776/96, ECHR 2001-X.

4. გადაწყვეტილებების აღსრულება

a. საბოლოო და სავალდებულო სასამართლო გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების მოთხოვნის უფლება

126. კონვენციის 6.1 მუხლი იცავს საბოლოო, სავალდებულო სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებას (რომელიც განსხვავდება იმ გადაწყვეტილებების აღსრულებისგან, რომელიც შეიძლება განხილულ იქნეს ზემდგომი სასამართლოს მიერ) (*უოზოუნისი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ*, §21)⁴²⁶.

127. სასამართლოს მიერ მიღებული ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულების უფლება არის „სამართლიანი სასამართლოს უფლების“ განუყოფელი ნაწილი (*ჰორნსბი საბერძნეთის წინააღმდეგ*, §40⁴²⁷; *სკორდინო იტალიის წინააღმდეგ* (N1) [დიდი პალატა], §196⁴²⁸). სხვაგვარად, კონვენციის 6.1 მუხლის დებულებებს ჩამოერთმეოდა ყველა სასარგებლო ეფექტი (*ბურდოვი რუსეთის წინააღმდეგ*, §§34 და 37)⁴²⁹.

128. აღსრულების უფლება კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული სამართალწარმოების კონტექსტში. სახელმწიფოს უმაღლეს ადმინისტრაციულ სასამართლოებში სარჩელის შეტანის გზით მოსარჩელე ცდილობს არამხოლოდ სადავო გადაწყვეტილების, არამედ უპირველეს ყოვლისა მისი შედეგების გაუქმებას.

129. შესაბამისად, მომჩივნის ეფექტური დაცვა და კანონიერების აღდგენა წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოების ვალდებულებას, რომ შეასრულონ გადაწყვეტილება (*ჰორნსბი საბერძნეთის წინააღმდეგ*, §41⁴³⁰, *კირტატოსი საბერძნეთის წინააღმდეგ*, §§31-32⁴³¹).

130. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების აღსრულების გაჭიანურება შეიძლება გამართლებული იყოს კონკრეტულ გარემოებებში, ამით არ უნდა ირღვეოდეს მომჩივნის გადაწყვეტილების აღსრულების უფლება (*ბურდოვი რუსეთის წინააღმდეგ*, §§35-37).

⁴²⁶ Ouzounis and Others v. Greece, N 49144/99, §21, 18 აპრილი 2002.

⁴²⁷ Hornsby v. Greece, 19 მარტი 1997, გადაწყვეტილებათა და განჩინებათა ანგარიშები 1997-II

⁴²⁸ Scordino v. Italy (N 1) [დიდი პალატა], N 36813/97, § 196, ECHR 2006-V .

⁴²⁹ Bourdov v. Russia, N 59498/00, §34-37, 07 მაისი 2002.

⁴³⁰ Hornsby v. Greece, N 18357/91, §41, 19 მარტი 1997.

⁴³¹ Kyrtatos v. Greece, N 41666/98, §§31-32, 22 აგვისტო 2003.

131. ამგვარი გაგებით, აღსრულება უნდა იყოს სრული და ამომწურავი და არა ნაწილობრივი (*მათეუსი საფრანგეთის წინააღმდეგ*, §58⁴³²; *საბინ პოპესკუ რუმინეთის წინააღმდეგ*, §§68-76⁴³³) და არ შეიძლება ის თავიდან იქნეს აცილებული, ძალადაკარგული ან უკანონოდ გაჭიანურებული (*იმობილიარ საფი იტალიის წინააღმდეგ*, [დიდი პალატა] §74)⁴³⁴.

132. უფლებამოსილი ორგანოს უარი აღსრულოს ზემდგომი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება - რომელმაც პოტენციურად შეიძლება შეცვალოს ერთი და იმავე სამართალწარმოების კონტექსტში გადაწყვეტილებების მთელი რიგი - ასევე ეწინააღმდეგება კონვენციის 6.1 მუხლს (*თურც ზანიკი პოლონეთის წინააღმდეგ*, §§ 49-51)⁴³⁵.

133. კონვენციის დარღვევა შეიძლება განაპირობოს სავალდებულო გადაწყვეტილების აღსრულების დაუსაბუთებლად დიდი ხნით გაჭიანურებამ. გაჭიანურების მიზანშეწონილობა უნდა განისაზღვროს სააღსრულებო წარმოების კომპლექსურობის, მომჩივნის და კომპეტენტური ორგანოების საქციელისა და სასამართლოს მიერ მინიჭებული კომპენსაციის მოცულობისა და ხასიათის გათვალისწინებით (*რაილიანი რუსეთის წინააღმდეგ*, §31)⁴³⁶.

134. მაგალითად, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ საბოლოო, აღსასრულებელი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის საჭირო ზომების მიღებისაგან, 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, თავის შეკავებით ეროვნულმა ხელისუფლების ორგანოებმა კონვენციის 6.1 მუხლის დებულებებს ჩამოართვა ყველა სასარგებლო ეფექტი (*ჰორნსბი საბერძნეთის წინააღმდეგ*, §45)⁴³⁷.

135. სხვა საქმეში, სრული 9 თვიანი პერიოდი რაც ხელისუფლების ორგანოებმა გადაწყვეტილების აღსასრულებლად გამოიყენეს, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, არ დადგინდა მიზანშეუწონლად (*მოროკო რუსეთის წინააღმდეგ*, §§ 43-45)⁴³⁸.

136. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის 6.1 მუხლით დაცული სამართლიანი სასამართლოს უფლება დაირღვა ხელისუფლების ორგანოების უარის

⁴³² Matheus v. France, N 62740/00, §58, 31 მარტი 2005.

⁴³³ Sabin Popescu v. Romania, N 48102/99, §§68-76, 02 მარტი 2004.

⁴³⁴ Immobiliare Saffi v. Italy [დიდი პალატა], N 22774/93, §74, 28 ივლისი 1999.

⁴³⁵ Turczanik v. Poland, N 38064/97, §§49-51, 05 ივლისი 2005.

⁴³⁶ Raylyan v. Russia, N 22000/03, §31,15 თებერვალი 2007.

⁴³⁷ Hornsby v. Greece, N 18357/91, §45, 19 მარტი 1997.

⁴³⁸ Moroko v. Russia, N 20937/07, §43-45, 12 ივნისი 2008.

საფუძველზე, დაახლოებით 4 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, გამოეყენებინათ პოლიციის დახმარება დამქირავებლის წინააღმდეგ გამოსახლების ბრძანების აღსასრულებლად (*ლუნარი იტალიის წინააღმდეგ*, §§38-42)⁴³⁹; 6.1 მუხლის დარღვევა ასევე განაპირობა აღსრულების გაჭიანურებამ – 6 წელზე მეტი ხნის განმავლობაში – რომელიც გამოიწვია საკანონმდებლო ორგანოების მიერ სასამართლო ბრძანების გასაჩივრებამ დამქირავებლის გამოსახლების თაობაზე, რომელსაც სადავო საკანონმდებლო დებულებებით ჩამოერთვა ყველა სასარგებლო ეფექტი (*იმობილიარე საფი იტალიის წინააღმდეგ*, [დიდი პალატა], §§70 და 74)⁴⁴⁰.

137. იმ პირისგან, რომელმაც სამართალწარმოების შედეგად მოიპოვა სახელმწიფოს წინააღმდეგ გადაწყვეტილება, ცალკე სააღსრულებო საქმის წარმოების აღძვრა არ უნდა იყოს მოსალოდნელი (*ბურდოვი რუსეთის წინააღმდეგ* (№2), §68)⁴⁴¹. სახელმწიფოს წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ტვირთი ეკისრება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს (*იავორივსკაია რუსეთის წინააღმდეგ*, §25)⁴⁴², იმ დღიდან, როდესაც გადაწყვეტილება ხდება სავალდებულო და აღსასრულებელი (*ბურდოვი რუსეთის წინააღმდეგ* (№2), §69)⁴⁴³. აქედან გამომდინარე, სააღსრულებლო წარმოების შემდეგ მომჩივნისათვის თანხის დაგვიანებით ანაზღაურება ვერ გამოასწორებს ეროვნული ხელისუფლების ორგანოების გრძელვადიან მარცხს, აღსრულებინა სასამართლო გადაწყვეტილება და არ წარმოადგენს ადეკვატურ კომპენსაციას (*სკორდინო იტალიის წინააღმდეგ* (№1) [დიდი პალატა], §198)⁴⁴⁴.

138. წარმატებულ მოსარჩელეს შეიძლება დაეკისროს გარკვეული პროცედურული ნაბიჯების გადადგმის ვალდებულება, რათა დაუშვას ან დააჩქაროს გადაწყვეტილების აღსრულება. მიუხედავად ამისა, კრედიტორების თანამშრომლობის მოთხოვნა არ უნდა გასცდეს მკაცრად დადგენილ საჭიროებას და ის შესაბამის ორგანოებს არ ათავისუფლებს თავიანთი ვალდებულებებისგან (*ბურდოვი რუსეთის წინააღმდეგ* (№2), §69)⁴⁴⁵.

139. სასამართლომ, ასევე, დაადგინა, რომ ხელისუფლების ორგანოების პოზიცია - მომჩივანს დააკისროს მის სასარგებლოდ არსებული აღსასრულებელი

⁴³⁹ Lunari v. Italy, N 21463/93, §§38-42, 11 იანვარი 2001.

⁴⁴⁰ Immobiliare Saffi v. Italy [დიდი პალატა], N 22774/93, §§70 და 74, 28 ივლისი 1999.

⁴⁴¹ Burdov v. Russia (N 2), N 33509/04, §68, 15 იანვარი 2009.

⁴⁴² Yavorivskaya v. Russia, N 34687/02, §25, 21 ივლისი 2005.

⁴⁴³ Burdov v. Russia (N 2), N 33509/04, §69, 15 იანვარი 2009.

⁴⁴⁴ Scordino v. Italy (N1) [დიდი პალატა], N 36813/97, § 198, ECHR 2006-V.

⁴⁴⁵ Burdov v. Russia (N 2), N 33509/04, §69, 15 იანვარი 2009.

გადაწყვეტილების სააღსრულებლო წარმოების დაწყების პასუხისმგებლობა, რასაც თან ერთვის მათი მხრიდან მომჩივნის ფინანსური მდგომარეობის უგულვებელყოფა, წარმოადგენს გადაჭარბებულ ტვირთს და ზღუდავს სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლებას, ამ უფლების არსისთვის ზიანის მიყენებით (*აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ*, §65)⁴⁴⁶.

140. შიდა სააღსრულებლო პროცედურის ან სახელმწიფო საბიუჯეტო სისტემის კომპლექსურობის მიუხედავად, მომჩივანს ვერ ჩამოერთმევა საბოლოო გადაწყვეტილებით მისთვის მინიჭებული სარგებელი, რაც გულისხმობს გონივრულ ვადაში ზიანის ანაზღაურებას (*ბურდოვი რუსეთის წინააღმდეგ*, §35)⁴⁴⁷, ან საცხოვრებლის მიკუთვნებას (*ტეტერინი რუსეთის წინააღმდეგ*, §§41-42)⁴⁴⁸. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობის საპატიო მიზეზად არ შეუძლიათ მიუთითონ სახსრების ან სხვა რესურსების არარსებობა (*ბურდოვი რუსეთის წინააღმდეგ*, §35⁴⁴⁹; *შპს ამატ-ჯი და მებაღიშვილი საქართველოს წინააღმდეგ*, §47⁴⁵⁰; *სკორდინო იტალიის წინააღმდეგ* (N 1), [დიდი პალატა] §199⁴⁵¹). გადაწყვეტილების აღუსრულებლობის მიზეზად ასევე ვერ იქნება მითითებული ალტერნატიული საცხოვრებლის არარსებობა (*პროდანი მოლდოვეთის წინააღმდეგ*, §53⁴⁵²; *ჩოკონტიო ჰაპი საფრანგეთის წინააღმდეგ*, §50⁴⁵³, *ბურდოვი რუსეთის წინააღმდეგ* (N 2), §70⁴⁵⁴).

141. ხელისუფლების ორგანოების მიერ გამოყენებული დრო იმ გადაწყვეტილების აღსასრულებლად, რომელიც გასცემს ფულადი ანაზღაურების შესახებ ბრძანებას, დათვლილი უნდა იქნეს იმ დღიდან, როდესაც გადაწყვეტილება საბოლოო და აღსასრულებელი გახდა, დაკისრებული თანხის გადახდის დღემდე. ორი წლისა და ერთი თვის ვადით სასამართლო გადაწყვეტილებით განსაზღვრული კომპენსაციის ანაზღაურების გაჭიანურება არ შეესაბამება კონვენციის მოთხოვნებს, თუ არ არსებობს რაიმე გამამართლებელი გარემოებები (*ბურდოვი რუსეთის წინააღმდეგ* (N 2), §§73-76 და 83)⁴⁵⁵.

⁴⁴⁶ Apostol v. Georgia, N 40765/02, §65, 28 ნოემბერი 2006.

⁴⁴⁷ Burdov v. Russia (N 2), N 33509/04, §35, 15 იანვარი 2009.

⁴⁴⁸ Teteriny v. Russia, N 11931/03, §§41-42, 30 ივნისი 2005.

⁴⁴⁹ Burdov v. Russia, N 59498/00, §35, ECHR 2002-III.

⁴⁵⁰ Amat-G LTD and Mebagishvili v. Georgia, N 2507/03, §47, 27 სექტემბერი 2005.

⁴⁵¹ Scordino v. Italy (N 1) [დიდი პალატა], N 36813/97, § 199, ECHR 2006-V.

⁴⁵² Prodan v. Moldova, N 49806/99, §53, 18 მაისი 2004.

⁴⁵³ Tchokontio Happi v. France, N 65829/12, §50, 09 აპრილი 2015.

⁴⁵⁴ Burdov v. Russia (N 2), N 33509/04, §70, 15 იანვარი 2009.

⁴⁵⁵ Burdov v. Russia (N 2), N 33509/04, §§73-76 და 83, 15 იანვარი 2009.

142. გარდა ამისა, არგუმენტი იმის შესახებ, რომ ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები ავტონომიით სარგებლობენ არაეფექტურია, კონვენციიდან გამომდინარე სახელმწიფოს საერთაშორისო პასუხისმგებლობის პრინციპის გათვალისწინებით (*Société de gestion du port de Campoloro and Société fermière de Campoloro საფრანგეთის წინააღმდეგ*, §62)⁴⁵⁶.

143. განსხვავება უნდა გაკეთდეს *სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ვალებსა (ბურდოვი რუსეთის წინააღმდეგ (N 2), §§68-69, 72)*⁴⁵⁷ და *ინდივიდის ვალებს* შორის, რადგან კონვენციის თანახმად სახელმწიფოს ვალდებულების ხარისხი იცვლება მოვალის სტატუსის შესაბამისად.

144. პირი, რომელმაც მოიგო დავა *ხელისუფლების ორგანოს წინააღმდეგ*, როგორც წესი, არ არის ვალდებული ცალკე დაიწყოს სააღსრულებლო წარმოება. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, როდესაც სამართალწარმოების შედეგად, პირის სასარგებლოდ გადაწყდება, სახელმწიფოს წინააღმდეგ გადაწყვეტილება, შეუსაბამოა, რომ მას დაეკისროს სააღსრულებლო წარმოების დაწყების ვალდებულება, კმაყოფილების მისაღწევად (*მეტაქსასი საბერძნეთის წინააღმდეგ*, §19⁴⁵⁸; *კუკალო რუსეთის წინააღმდეგ*, §49⁴⁵⁹). საკმარისია პირმა აღნიშნულის თაობაზე სათანადო წესით აცნობოს სახელმწიფოს შესაბამის ორგანოს (*აკაშევი რუსეთის წინააღმდეგ*, §21)⁴⁶⁰ ან გადადგას ფორმალური ხასიათის კონკრეტული პროცედურული ნაბიჯები (*კოსმიდისი და კოსმიდუ საბერძნეთის წინააღმდეგ*, §24)⁴⁶¹.

145. როდესაც მოვალე არის *კერძო პირი*, აღსასრულებელი ვალის გადაუხდელობისათვის სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ვერ დაეკისრება, თუ ეს გამოწვეულია „კერძო“ მოვალის გადახდისუუნარობით (*სანგლიერი საფრანგეთის წინააღმდეგ*, §39⁴⁶²; *კიპროვა ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ* (განჩინება)⁴⁶³; *კუბანიტი რუმინეთის წინააღმდეგ* (განჩინება)⁴⁶⁴). მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს აქვს პოზიტიური ვალდებულება, მოაწესრიგოს კერძო პირებს შორის არსებულ დავებთან მიმართებით საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულების სისტემა,

⁴⁵⁶ Société de Gestion du Port de Campoloro and Société fermière de Campoloro v. France, N 57516/00, §62, 26 სექტემბერი 2006.

⁴⁵⁷ Burdov v. Russia (N 2), N 33509/04, §§68,69 და 72, 15 იანვარი 2009.

⁴⁵⁸ Metaxas v. Greece, N 8415/02, §19, 27 მაისი 2004.

⁴⁵⁹ Kukalo v. Russia, N 63995/00, §49, 03 ნოემბერი 2005.

⁴⁶⁰ Akashev v. Russia, N 30616/05, §21, 12 ივნისი 2008.

⁴⁶¹ Kosmidis and Kosmidou v. Greece, N 32141/04, § 24, 08 ნოემბერი 2007.

⁴⁶² Sanglier v. France N50342/99, §39, 27 მაისი 2003.

⁴⁶³ Ciprová v. the Czech Republic, (განჩინება), N33273/03, 22 მარტი 2005.

⁴⁶⁴ Cubanit v. Romania, (განჩინება), N31510/02, 04 იანვარი 2007.

რომელიც ეფექტური იქნება როგორც სამართლებრივი, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით (*ფუკლევი უკრაინის წინააღმდეგ*, §84)⁴⁶⁵. ამრიგად, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს თუ სააღსრულებლო წარმოებაში ჩართული საჯარო ხელისუფლება ვერ ახერხებს აჩვენოს საჭირო გულმოდგინება ან, უფრო მეტიც, ახდენს აღსრულების პრევენციას (იქვე, §67). აღსრულების უზრუნველსაყოფად ეროვნული ხელისუფლების ორგანოების მიერ მიღებული ზომები უნდა იყოს ადეკვატური და საკმარისი (*რიანუ რუმინეთის წინააღმდეგ*, §66)⁴⁶⁶, აღსრულებასთან დაკავშირებით მათი ვალდებულებების გათვალისწინებით, რადგანაც სწორედ ისინი არიან საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელი პირები (იქვე, §§72-73; *სეკული ხორვატიის წინააღმდეგ* (განჩენა), §§54-55⁴⁶⁷).

146. ამრიგად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ხელისუფლების ორგანოებმა კონვენციის 6.1 მუხლის დებულებებს დაუკარგეს ყველა სასარგებლო ეფექტი, როდესაც არ დააკისრეს სანქცია მესამე (კერძო) პირებს, იმის გამო, რომ ისინი წარმატებით ვერ თანამშრომლობდნენ საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებაზე პასუხისმგებელ ორგანოებთან. (*პინი და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ*, §§ 186-88⁴⁶⁸, კერძო დაწესებულება, სადაც ორი ბავშვი ცხოვრობდა, 3 წელზე მეტი ხნის განმავლობაში არ ახორციელებდა ბავშვთა შვილების შესახებ ბრძანებების აღსრულებას).

147. მიუხედავად ამისა, იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფომ მიიღო კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა უზრუნველყო, რომ კერძო პირი ასრულებდა გადაწყვეტილებას, სახელმწიფოს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა მოვალის უარზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები (*ფოკიაკი რუმინეთის წინააღმდეგ*, §§74 და 78)⁴⁶⁹.

148. და ბოლოს, სამართლიანი სასამართლოს უფლება ასევე იცავს სააღსრულებლო წარმოებაზე ხელმისაწვდომობის უფლებას, რაც წარმოადგენს, სააღსრულებლო წარმოების დაწყების უფლებას (*აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ*, §56)⁴⁷⁰.

⁴⁶⁵ Fuklev v. Ukraine, N 71186/01, §84, 07 ივნისი 2005.

⁴⁶⁶ Ruianu v. Romania, N 34647/97, §66, 17 ივნისი 2003.

⁴⁶⁷ Sekul v. Croatia, (განჩენა) N 43569/13, §54-55, 30 ივნისი 2015.

⁴⁶⁸ Pini and Others v. Romania, N. 78028/01 and 78030/01, §§186-88, ECHR 2004-V (ამონარიდები).

⁴⁶⁹ Fociac v. Romania, N 2577/02, §§74 და 78, 3 თებერვალი 2005.

⁴⁷⁰ Apostol v. Georgia, N 40765/02, §56, ECHR 2006-XIV.

b. უფლება, რომ საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილება არ გასაჩივრდეს

149. გარდა ამისა, სამართლიანი სასამართლოს უფლება უნდა განიმარტოს კანონის უზენაესობის ჭრილში. კანონის უზენაესობის ერთ-ერთი ფუნდამენტური ასპექტი არის სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპი (*ოკაი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ*, §73)⁴⁷¹, რომელიც, ყველაფერთან ერთად, მოითხოვს, რომ სასამართლოების მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება ეჭვქვეშ არ დადგეს (*ბრუმარესკუ რუმინეთის წინააღმდეგ*, [დიდი პალატა] §61⁴⁷²; *აგროკომპლექსი უკრაინის წინააღმდეგ*, §148⁴⁷³).

150. სასამართლო სისტემები, რომლის ფარგლებშიც საბოლოო გადაწყვეტილებები განუსაზღვრელი ვადით შეიძლება გადაისინჯოს და მუდმივად გაუქმების რისკის ქვეშ დგანან, არღვევენ კონვენციის 6.1 მუხლს (*სოვტრანსავტო ჰოლდინგი უკრაინის წინააღმდეგ*, §§74, 77 და 82⁴⁷⁴, რომელიც ეხება გასაჩივრების სამართალწარმოებას, სადაც უზენაესი საარბიტრაჟო ტრიბუნალის პრეზიდენტს, გენერალურ პროკურორს და მათ მოადგილეებს სამეთვალყურეო განხილვის საქმისწარმოების საფუძველზე ჰქონდათ დისკრეციული უფლებამოსილება, საჩივრის შეტანის გზით ეჭვქვეშ დაეყენებინათ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას).

151. გადაწყვეტილების ამგვარი სახით ეჭვქვეშ დაყენება მიუღებელია, იქნება ეს განხორციელებული მოსამართლეების და აღმასრულებელი ხელისუფლების წევრების (*თრეგუბენკო უკრაინის წინააღმდეგ*, §36)⁴⁷⁵ თუ არასასამართლო ხელისუფლების ორგანოების მიერ (*აგროკომპლექსი უკრაინის წინააღმდეგ*, §§150-51)⁴⁷⁶.

152. საბოლოო გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს აუცილებელია არსებითი და დამაჯერებელი ხასიათის გარემოებებით, როგორცაა სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომა (*რიაბიხი რუსეთის წინააღმდეგ*, §52⁴⁷⁷; იხ. აგრეთვე, *ვარდანიანი და ნანუშიანი სომხეთის წინააღმდეგ*, §70⁴⁷⁸, და შეადარეთ საქმესთან *ტრაპეზნიკოვი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ*⁴⁷⁹, სადაც სამეთვალყურეო

⁴⁷¹ *Okyay and Others v. Turkey*, N 36220/97, §73, ECHR 2005-VII ..

⁴⁷² *Brumărescu v. Romania* [დიდი პალატა], N 28342/95, §61, ECHR 1999-VII ..

⁴⁷³ *Agrokompleks v. Ukraine*, N 23465/03, §148, 6 October 2011

⁴⁷⁴ *Sovtransavto Holding v. Ukraine*, N 48553/99, §§74,77 და 82, ECHR 2002-VII.

⁴⁷⁵ *Tregubenko v. Ukraine*, N 61333/00, §36, 02 ნოემბერი 2004.

⁴⁷⁶ *Agrokompleks v. Ukraine*, N 23465/03, § 150-151, 6 ოქტომბერი 2011.

⁴⁷⁷ *Ryabykh v. Russia*, N 52854/99, §52, ECHR 2003-IX.

⁴⁷⁸ *Vardanyan and Nanushyan v. Armenia*, N 8001/07, §70, 27 ოქტომბერი 2016.

⁴⁷⁹ *Trapeznikov and Others v. Russia*, N 5623/09.12460/09. 33656/09. 20758/10, §39-40, 05 აპრილი 2016.

განხილვის საქმისწარმოებას, რომელიც მხარეთა მოთხოვნით განხორციელდა, არ დაურღვევია სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპი, §§39-40).

c. უცხო ქვეყნის ან ევროკავშირის ქვეყნების სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ორმხრივი ცნობა და აღსრულება

153. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ გადაწყვეტილება არ შეესაბამება კონვენციის 6.1 მუხლის მოთხოვნებს, თუ იგი მიიღეს ისე, რომ არ იქნა უზრუნველყოფილი ამ გადაწყვეტილების მისაღებად განხორციელებული სამართალწარმოების არასამართლიანობასთან დაკავშირებული საჩივრის ეფექტურად განხილვა, თავად გადაწყვეტილების მიმღებ ან სახელმწიფოში სადაც იგი უნდა აღსრულდეს. ევროპული სასამართლო ყოველთვის იყენებდა ზოგად პრინციპს, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების მოთხოვნას სასამართლო პირდაპირ ვერ დააკმაყოფილებს თუ, პირველ რიგში, არ მოხდება გარკვეული თვალსაზრისით გადაწყვეტილების განხილვა, სამართლიანი სასამართლოს გარანტიების ჭრილში; განხილვის ინტენსივობა შეიძლება განსხვავდებოდეს საქმის არსიდან გამომდინარე (*პელეგრინი იტალიის წინააღმდეგ*, §40)⁴⁸⁰.

154. გადაწყვეტილება საქმეზე *ავოტინსი ლატვიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა]⁴⁸¹ ეხებოდა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას. ევროკავშირში ფუნდამენტური უფლებების თანაბრად დაცვის პრეზუმფციასთან დაკავშირებული (ცნობილი როგორც “ზოსფორის პრეზუმფცია”) სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკა პირველად იქნა გამოყენებული ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ორმხრივი აღსრულების მექანიზმებთან მიმართებით, რომლებიც ეფუძნება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ორმხრივი ნდობის პრინციპს. აღნიშნული საქმე ეხებოდა ლატვიაში სხვა ქვეყნის (კვიპროსის) სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას, მოვალის არყოფნის პირობებში. ევროპულმა სასამართლომ ამ საკითხთან დაკავშირებით დაადგინა ზოგადი პრინციპები და მიუთითა იმ გარემოებებზე, რომელთა შემთხვევაშიც პრეზუმფცია შეიძლება იქნეს უარყოფილი (იხ. კერძოდ, §§115-17). ამ პრინციპებზე დაყრდნობით, ევროპულმა სასამართლომ ფუნდამენტური უფლებების დაცვის აშკარა ხარვეზი ვერ დაადგინა, რათა უარი ეთქვა თანაბარი დაცვის პრეზუმფციაზე.

⁴⁸⁰ Pellegrini v. Italy, N 30882/96, §40, ECHR 2001-VIII.

⁴⁸¹ Avotiņš v. Latvia [დიდი პალატა], N 17502/07, 23 მაისი 2016.

B. კანონის საფუძველზე შექმნილი

155. კონვენციის სისტემისთვის დამახასიათებელი კანონის უზენაესობის პრინციპის გათვალისწინებით, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ „ტრიბუნალი“ ყოველთვის „კანონის საფუძველზე“ უნდა იყოს შექმნილი, რადგან სხვაგვარად მას არ ექნება დემოკრატიულ საზოგადოებაში ინდივიდუალური საქმეების განსახილველად საჭირო ლეგიტიმურობა (*ლავენცი ლატვიის წინააღმდეგ*, §81⁴⁸²; *ბიაჯიოლი სან-მარინოს წინააღმდეგ* (განჩინება), §71⁴⁸³).

156. ფრაზა „კანონის საფუძველზე შექმნილი“ გულისხმობს არამხოლოდ სასამართლო ორგანოების საქმიანობის განმსაზღვრელ კანონმდებლობას, არამედ ასევე სასამართლო ორგანოების მიერ მისი საქმიანობის მარეგულირებელი წესების დაცვას (*სოკურენკო და სტრიგუნი უკრაინის წინააღმდეგ*, §24)⁴⁸⁴. სასამართლოს ან ტრიბუნალის კანონიერება, განმარტებიდან გამომდინარე აუცილებლად უნდა მოიცავდეს მის შემადგენლობას (*ბუსკარინი სან-მარინოს წინააღმდეგ* (განჩინება))⁴⁸⁵. მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადის ავტომატურად განუსაზღვრელი ვადით განახლების პრაქტიკა, მას შემდეგ, რაც მათი უფლებამოსილების ვადა ამოიწურება და ელოდებიან ხელახლა დანიშვნას, არის „კანონის საფუძველზე შექმნილი“ სასამართლოს პრინციპის საწინააღმდეგო (*ოლექსანდრ ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ*, §151)⁴⁸⁶. მოსამართლეთა დანიშვნასთან დაკავშირებულ პროცედურებს არ შეიძლება მიენიჭოს შიდა პრაქტიკის სტატუსი (იქვე, §§154-56). მოსამართლის ჩანაცვლება ასევე არ უნდა იყოს თვითნებური (*ბიაჯიოლი სან-მარინოს წინააღმდეგ* (განჩინება), §§77-78 და 80)⁴⁸⁷, მცირე ზომის იურისდიქციის კონკრეტული საქმისთვის და სასამართლოსთვის, სადაც მოსამართლეები შეზღუდული რაოდენობით ჰყავთ).

157. კონვენციის 6.1 მუხლის მნიშვნელობით „კანონში“ იგულისხმება არამხოლოდ სასამართლო ორგანოების კომპეტენციების განმსაზღვრელი კანონმდებლობა, არამედ ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა ნორმები, რომელთა დარღვევის შემთხვევაში საქმის განხილვაში ერთი ან მეტი მოსამართლის მონაწილეობა შეიძლება უკანონოდ იქნას მიჩნეული (*დმდ ჯგუფი, ა.ს., სლოვაკეთის წინააღმდეგ*, §59)⁴⁸⁸. კერძოდ, აღნიშნული მოიცავს „სასამართლოს“ წევრების

⁴⁸² Lavents v. Latvia, N 58442/00, §81, 28 ნოემბერი 2002.

⁴⁸³ Biagioli v. San Marino (განჩინება), N 8162/13, § 71, 08 ივლისი 2014.

⁴⁸⁴ Sokurenko and Strygun v. Ukraine, N 29458/04, 29465/04, § 24, 20 ივლისი 2006.

⁴⁸⁵ Buscarini v. San Marino, (განჩინება), N 31657/96, 04 მაისი 2000.

⁴⁸⁶ Oleksandr Volkov v. Ukraine, N 21722/11, §151, ECHR 2013.

⁴⁸⁷ Biagioli v. San Marino (განჩინება), N 8162/13 § 77-78 და 80, 08 ივლისი 2014.

⁴⁸⁸ DMD GROUP, A.S., v. Slovakia, N 19334/03, §59, 5 ოქტომბერი 2010.

დამოუკიდებლობის, უფლებამოსილების ვადის, მიუკერძოებლობისა და პროცედურული გარანტიების არსებობის შესახებ დებულებებს (*გუროვი მოლდოვას წინააღმდეგ*, §36)⁴⁸⁹.

158. სასამართლოს მიერ ზემოხსენებული შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი ნორმების დარღვევა იწვევს 6.1 მუხლის დარღვევას (*დმდ ჯგუფი, ა.ს., სლოვაკეთის წინააღმდეგ*, §61)⁴⁹⁰. ამგვარად, სასამართლო უფლებამოსილია შეაფასოს თუ რამდენად იქნა დაცული მოცემული თვალსაზრისით ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნები. თუმცა, ზოგადი პრინციპის გათვალისწინებით, რომლის შესაბამისადაც პირველ რიგში ეროვნული სასამართლოების ფუნქციას წარმოადგენს ეროვნული კანონმდებლობის დებულებათა ინტერპრეტაცია, ევროპულმა სასამართლომ შეიძლება არ დააყენოს კითხვის ნიშნის ქვეშ ეროვნული სასამართლოს მიერ კანონმდებლობის ინტერპრეტაცია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნები უხეშად დაირღვა (იქვე., *ბიაჯიოლი სან-მარინოს წინააღმდეგ* (განჩინება), §75⁴⁹¹). სასამართლო, რომელიც მოცემული სამართალწარმოების დროს, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, კანონის დარღვევის წინასწარი განზრახვით გასცდება იურისდიქციის ფარგლებს, არ წარმოადგენს „კანონის საფუძველზე შექმნილ სასამართლოს“ (*სოკურენკო და სტრიგუნის უკრაინის წინააღმდეგ*, §§27-28)⁴⁹².

159. კონვენციის 6.1 მუხლში ტერმინის - „კანონის საფუძველზე შექმნილი“, ჩაწერა მიზნად ისახავს, იმის თავიდან აცილებას, რომ მართლმსაჯულების სისტემის ორგანიზაცია აღმასრულებელი ხელისუფლების დისკრეციაზე არ იყოს დამოკიდებული და აღნიშნული საკითხის რეგულირება პარლამენტის მიერ მიღებული კანონის საფუძველზე უნდა ხდებოდეს (*ბიაჯიოლი სან მარინოს წინააღმდეგ* (განჩინება), §74⁴⁹³; *სავინო და სხვები იტალიის წინააღმდეგ*, §94⁴⁹⁴).

160. არც, კოდიფიცირებული სამართლის მქონე ქვეყნებში, არ უნდა იყოს მართლმსაჯულების სისტემის ორგანიზება მხოლოდ სასამართლო უწყებების დისკრეციაზე დამოკიდებული, თუმცა ეს არ გამორიცხავს მათთვის აღნიშნულ სფეროში არსებული ეროვნული კანონმდებლობის ინტერპრეტაციის გარკვეული უფლების აღიარებას (იქვე).

⁴⁸⁹ Gurov v. Moldova, N 36455/02, §36, 11 ივლისი 2006.

⁴⁹⁰ DMD GROUP, a.s., v. Slovakia, N 19334/03, §61, 5 ოქტომბერი 2010.

⁴⁹¹ Biagioli v. San Marino (განჩინება), N 8162/13 § 75, 08 ივლისი 2014.

⁴⁹² Sokurenko and Strygun v. Ukraine, N 29458/04 და 29465/04, §§27-28, 20 ივლისი 2006.

⁴⁹³ Biagioli v. San Marino (განჩინება), N 8162/13 § 74, 08 ივლისი 2014.

⁴⁹⁴ Savino and Others v. Italy, N 17214/05 და 2 სხვა, §94, 28 აპრილი 2009.

161. გარდა ამისა, სასამართლო სისტემის ორგანიზებასთან დაკავშირებული უფლებამოსილებების დელეგირება დასაშვებია, ვინაიდან აღნიშნული შესაძლებლობა განსაზღვრულია სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობით, მათ შორის კონსტიტუციის შესაბამისი ნორმებით (იქვე).

C. დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა

1. ზოგადი მიდგომები

162. 6.1 მუხლით უზრუნველყოფილი სამართლიანი სასამართლოს უფლება მოითხოვს, რომ საქმე „დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა“ სასამართლომ განიხილოს. „დამოუკიდებელი“ და „მიუკერძოებელი“ სასამართლოს გარანტიებს შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. აღნიშნული მიზეზის გამო სასამართლო ამ ორ მოთხოვნას ერთობლიობაში განიხილავს (*კლეინი და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §192)⁴⁹⁵.

163. საქმის განხილვაში იურიდიული განათლების არმქონე მოსამართლეთა მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება კონვენციის 6.1 მუხლს. მოსამართლის თავმჯდომარეობით, სასამართლო კოლეგიის არსებობა შერეული წევრებით, საჯარო მოხელეებისა და დაინტერესებული ორგანოების წარმომადგენლების შემადგენლობით, თავისთავად არ წარმოადგენს მიკერძოებულობის მტკიცებულებას (*ლე კომპტი, ვან ლიუვენის და დე მეიერის ბელგიის წინააღმდეგ*, §§57-58)⁴⁹⁶ და არ არსებობს რაიმე წინააღმდეგობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში იურიდიული განათლების არმქონე პირების მონაწილეობასთან დაკავშირებით (*პაბლა კი ფინეთის წინააღმდეგ*, §32)⁴⁹⁷.

164. მიუკერძოებლობის შესახებ პრეცედენტული სამართლით დამკვიდრებული პრინციპები ვრცელდება როგორც პროფესიონალ, ასევე იურიდიული განათლების არმქონე მოსამართლეებზე (*ლანგბორგერი შვედეთის წინააღმდეგ*, §§34-35)⁴⁹⁸, *კუპერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §123⁴⁹⁹).

165. კონვენციის 6.1 მუხლის დარღვევის საფუძვლად ვერ მიეთითება გადაწყვეტილების მიმღები სასამართლოს მხრიდან დამოუკიდებლობის ან

⁴⁹⁵ *Kleyn and Others v. the Netherlands* [დიდი პალატა], N 39343/98 და 3 სხვა, §192, ECHR 2003-VI.

⁴⁹⁶ *Le Compte, Van Leuven and De Meyere v. Belgium*, 23 ივნისი 1981, §§57-58, Series A N 43.

⁴⁹⁷ *Pabla Ky v. Finland*, N 47221/99, §32, ECHR 2004-V.

⁴⁹⁸ *Agrokompleks v. Ukraine*, N 23465/03, §136, 6 ოქტომბერი 2011.

⁴⁹⁹ *Langborger v. Sweden*, 22 ივნისი 1989, §§34-35, Series A N 155.

⁴⁹⁹ *Cooper v. the United Kingdom* [დიდი პალატა], N 48843/99, §123, ECHR 2003-XII.

მიუკერძოებლობის არარსებობა ან ამ სასამართლოს მიერ არსებითი საპროცესო გარანტიის დარღვევა, თუ მიღებული გადაწყვეტილება შესწავლილ იქნა „სრული იურისდიქციის“ მქონე ზემდგომი სასამართლოს მიერ, რომელმაც განსახილველი ხარვეზის გამოსწორების გზით უზრუნველყო რელევანტური გარანტიების დაცვა (დე ჰაანი ნიდერლანდების წინააღმდეგ , §52-55⁵⁰⁰; კრომპტონი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ , §79⁵⁰¹).

166. ევროკულმა სასამართლომ თანმიმდევრულად აღნიშნა, რომ კონვენციის 6.1 მუხლით გათვალისწინებული - „დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს“ მიერ სასამართლო პროცესის უზრუნველყოფის შესახებ სახელმწიფოს ვალდებულების ფარგლები, არ არის შეზღუდული სასამართლოთი. ის ასევე ავალდებულებს აღმასრულებელ, საკანონმდებლო და ნებისმიერ სხვა სახელმწიფო ორგანოს, მიუხედავად მათი დონისა, პატივი სცენ და შეასრულონ სასამართლოების მიერ მიღებული განჩინებები და გადაწყვეტილებები, მაშინაც კი, როდესაც არ ეთანხმებიან მათ. ამდენად, სახელმწიფო ორგანოების მხრიდან სასამართლოების უფლებამოსილების პატივისცემა აუცილებელი წინაპირობაა იმისა, რომ საზოგადოება ნდობით აღიჭურვოს სასამართლოს და, უფრო ფართოდ რომ ვთქვათ კანონის უზენაესობის მიმართ. ამისათვის, სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის კონსტიტუციური გარანტიები არ არის საკმარისი. ისინი ეფექტურად უნდა იყოს გამოყენებული ყოველდღიურ ადმინისტრაციულ საქმიანობასა და პრაქტიკაში (აგროკომპლექსი უკრაინის წინააღმდეგ , §136)⁵⁰².

2. დამოუკიდებელი ტრიბუნალი

167. ტერმინი „დამოუკიდებელი“ ეხება სასამართლოს დამოუკიდებლობას ხელისუფლების სხვა შტოებთან (აღმასრულებელი და საპარლამენტო) (ბომარტინი საფრანგეთის წინააღმდეგ, §38)⁵⁰³ და ასევე მხარეებთან მიმართებით (სრამეკი ავსტრიის წინააღმდეგ , §42)⁵⁰⁴. დაცულია თუ არა ეს მოთხოვნები ფასდება კანონით დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე, როგორცაა სასამართლოს წევრების დანიშვნის მეთოდები, უფლებამოსილების ვადის ხანგრძლივობა ან გარეშე ზეწოლისგან დაცვის სათანადო გარანტიების არსებობა. ამ კონტექსტში ასევე რელევანტურია რამდენად აღიქმება სასამართლო ორგანო დამოუკიდებლად

⁵⁰⁰ De Haan v. the Netherlands, 26 აგვისტო 1997, §52-55 , გადაწყვეტილებათა და განჩინებათა ანგარიშები, 1997-IV.

⁵⁰¹ Crompton v. the United Kingdom, N 42509/05, §79, 27 ოქტომბერი 2009.

⁵⁰² Agrokompleks v. Ukraine, N 23465/03, §136, 6 ოქტომბერი 2011.

⁵⁰³ Beaumartin v. France, 24 ნოემბერი 1994, §38, Series A N 296-B.

⁵⁰⁴ Sramek v. Austria, 22 ოქტომბერი 1984, §42, Series A N 84.

(*ოლექსანდრ ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ*, §103)⁵⁰⁵. გამოვლენილი ხარვეზები სამართალწარმოების შემდგომ ეტაპებზე შეიძლება გამოსწორდეს ან ვერ გამოსწორდეს (იქვე, §§118, 123 და 131).

168. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში პოლიტიკურ სახელისუფლებო ორგანოებსა და სასამართლო ხელისუფლებას შორის ძალაუფლების გამიჯვნა სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს, კონვენციის მე-6 მუხლი ან კონვენციის რომელიმე სხვა დებულება არ მოითხოვს სახელმწიფოებისგან დაიცვან რაიმე თეორიული კონსტიტუციური მოთხოვნები ხელისუფლების ურთიერთქმედების დასაშვები ფარგლების თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში საკითხი ყოველთვის შეეხება იმას, თუ რამდენად იყო დაცული კონვენციის მოთხოვნები (*კლეინი და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §193)⁵⁰⁶. მართლაც, სასამართლოს დამოუკიდებლობის ცნება მოიცავს პროცედურული გარანტიების არსებობას, რომლებიც მიზნად ისახავს ხელისუფლების სხვა ორგანოებისაგან სასამართლო ხელისუფლების განცალკევებას.

169. გადაწყვეტილებაში საქმეზე *მუსტაფა ტუნჩი და ფესირ ტუნჩი თურქეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა]⁵⁰⁷ განისაზღვრა დამოუკიდებლობის კრიტერიუმების განსხვავებული შეფასებები, იმის მიხედვით, ეხება თუ არა ისინი კონვენციის მე-6 მუხლს ან მე-2 ან/და მე-3 მუხლებს (§§217-21). მე-6 მუხლის ფარგლებში სასამართლოს დამოუკიდებლობის შეფასებისთვის კანონით დადგენილი კრიტერიუმი აუცილებელი არ არის განხილულ იქნეს იმავე წესით, როგორც გამოძიების დამოუკიდებლობის საკითხი მე-2 მუხლით გათვალისწინებული პროცედურული ვალდებულებების ჭრილში (§§219-25).

170. *სამხედრო სასამართლოები* (იხ. მაგალითად, *მიხნო უკრაინის წინააღმდეგ*, §§162-64 და 166-70)⁵⁰⁸. მოცემულ საქმეში, სასამართლომ ხაზი გაუსვა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში არსებულ ტენდენციას, რომელიც სახელმწიფოებს მოუწოდებს სიფრთხილით იმოქმედონ სამხედრო სასამართლოების გამოყენების დროს; კერძოდ, თავიანთი იურისდიქციისგან გამორიცხონ ადამიანის უფლებათა ისეთი სერიოზული დარღვევების დადგენა, როგორებიცაა სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე მკვლელობის განხორციელება, იძულებითი გაუჩინარება და წამება. ასეთი მიდგომა, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის უფლებათა

⁵⁰⁵ Oleksandr Volkov v. Ukraine, N 21722/11, §103, ECHR 2013.

⁵⁰⁶ Kleyn and Others v. the Netherlands [დიდი პალატა], N 39343/98 და 3 სხვა, §193, ECHR 2003-VI.

⁵⁰⁷ Mustafa Tunç and Fecire Tunç v. Turkey [დიდი პალატა], N 24014/05, §§217-21, 14 აპრილი 2015.

⁵⁰⁸ Mikhno v. Ukraine, N 32514/12, §§162-64 და 166-70, 1 სექტემბერი 2016.

სერიოზულ და საერთაშორისო დარღვევებთან, სტრასბურგის სასამართლოს აზრით ავტომატურად არ ვრცელდება იმ შემთხვევაზე, სადაც სამხედრო მოსამსახურეების გულგრილობამ გამოიწვია სერიოზული, მაგრამ არამიზანმიმართული ზიანი (*მიხნო უკრაინის წინააღმდეგ*, §165)⁵⁰⁹.

a. სასამართლოს დამოუკიდებლობა აღმასრულებელ ხელისუფლებასთან მიმართებით

171. მოსამართლეთა დამოუკიდებლობა ეჭვქვეშ დადგება, თუ აღმასრულებელი ხელისუფლება ჩაერევა სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეში, სასამართლოს გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენის მიზნით (*სოვტრანსავტო ჰოლდინგი უკრაინის წინააღმდეგ*, §80⁵¹⁰; *მოსტეანუ და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ*, §42⁵¹¹).

172. ის ფაქტი, რომ მოსამართლეები ინიშნებიან და შეიძლება თანამდებობიდან გათავისუფლდნენ აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ არსობრივად არ წარმოადგენს კონვენციის 6.1 მუხლის დარღვევას (*კლარკი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (განჩინება))⁵¹². აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მოსამართლეთა დანიშვნა დასაშვებია იმის გათვალისწინებით, რომ მოსამართლეები სამოსამართლო საქმიანობის განხორციელების დროს თავისუფლები არიან ნებისმიერი ზეწოლისა და ზეგავლენისგან (*ფლუქსი მოლდოვის წინააღმდეგ* (N 2), §27)⁵¹³.

173. ის ფაქტი, რომ საკასაციო სასამართლოს თავმჯდომარე დანიშნულია აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ეჭვქვეშ არ აყენებს მის დამოუკიდებლობას, რადგან თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ ის არ ექვემდებარება არანაირ ზეწოლას, არ იღებს არანაირ ინსტრუქციას და დამოუკიდებლად ასრულებს დაკისრებულ ვალდებულებებს (*ზოლოტასი საბერძნეთის წინააღმდეგ*, §24)⁵¹⁴.

174. ანალოგიურად, ეროვნული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნა ვერ გამოიწვევს ეჭვს მათ დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაზე, რადგან დანიშვნის შემდეგ ისინი არ ექვემდებარებიან ზეწოლას, არ იღებენ არანაირ ინსტრუქციას და სრულიად დამოუკიდებლად ახორციელებენ სამოსამართლო საქმიანობას (*მაჯორანა იტალიის წინააღმდეგ* (განჩინება))⁵¹⁵.

⁵⁰⁹ იქვე, §165.

⁵¹⁰ *Sovtransavto Holding v. Ukraine*, N 48553/99, §80, ECHR 2002-VII.

⁵¹¹ *Mosteanu and Others v. Romania*, N 33176/96, §42, 26 ნოემბერი 2002.

⁵¹² *Clarke v. the United Kingdom* (განჩინება), N 23695/02, ECHR 2005-X.

⁵¹³ *Flux v. Moldova* (N 2), N 31001/03, §27, 3 ივლისი 2007.

⁵¹⁴ *Zolotas v. Greece*, N 38240/02, §24, 2 ივნისი 2005.

⁵¹⁵ *Majorana v. Italy*, (განჩინება), N 75117/01, 26 მაისი 2005.

b. სასამართლოს დამოუკიდებლობა პარლამენტთან მიმართებით

175. ის ფაქტი, რომ მოსამართლეები ინიშნებიან პარლამენტის მიერ, თავისთავად არ გულისხმობს მათ სუბორდინაციულ დაქვემდებარებას, თუ თანამდებობაზე დანიშვნის მერე მოსამართლეების მიმართ არ განხორციელდება ზეწოლა და დაკისრებული მოვალეობის შესრულების დროს არ მიიღებენ ინსტრუქციებს (*საცილორ ლორმინესი საფრანგეთის წინააღმდეგ*, §67)⁵¹⁶. უფრო მეტიც, ის ფაქტი, რომ ძირითადად პროფესიონალი მოსამართლეებისგან შემდგარი სააპელაციო სასამართლოს ერთ-ერთ ექსპერტი წევრი ასევე პარლამენტის წევრიც იყო, თავისთავად, არ არღვევდა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს უფლებას (*პაბლა კაი ფინეთის წინააღმდეგ*, §§31-35)⁵¹⁷.

c. სასამართლოს დამოუკიდებლობა მხარეებთან მიმართებით

176. თუ სასამართლოს შემადგენლობაში არის პირი, რომელიც თავისი მოვალეობების განხორციელების თვალსაზრისით რომელიმე მხარესთან მიმართებით დაქვემდებარებულ მდგომარეობაშია, მომჩივნებს შესაძლოა აღნიშნული პირის დამოუკიდებლობის შესახებ გაუჩნდეთ ლეგიტიმური ეჭვი. ასეთი შემთხვევა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ნდობაზე, რომელიც დემოკრატიულ საზოგადოებაში სასამართლოების მიმართ უნდა არსებობდეს (*სრამეკი ავსტრიის წინააღმდეგ*, §42)⁵¹⁸.

d. სასამართლოს დამოუკიდებლობის შეფასების კრიტერიუმები

177. იმის განსაზღვრისას, თუ რამდენად შეიძლება ჩაითვალოს სასამართლო ორგანო „დამოუკიდებლად“, სასამართლომ შემდეგი კრიტერიუმები უნდა გაითვალისწინოს (*ლანგბორგერი შვედეთის წინააღმდეგ*, §32⁵¹⁹, *კლეინი და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §190⁵²⁰):

- i. სასამართლო ორგანოს წევრების დანიშვნის წესი და
- ii. მათი უფლებამოსილების ვადის ხანგრძლივობა;
- iii. გარეშე ზეწოლისგან დაცვის გარანტიების არსებობა; და
- iv. რამდენად ტოვებს სასამართლო ორგანო დამოუკიდებელი ორგანოს შთაბეჭდილებას.

⁵¹⁶ Sacilor-Lormines v. France, N 65411/01, §67, ECHR 2006-XIII.

⁵¹⁷ Pabla Ky v. Finland, N 47221/99, §§31-35, ECHR 2004-V.

⁵¹⁸ Sramek v. Austria, 22 ოქტომბერი 1984, §42, Series A N 84.

⁵¹⁹ Langborger v. Sweden, 22 ივნისი 1989, §32, Series A N 155.

⁵²⁰ Kleyn and Others v. the Netherlands [დიდი პალატა], N 39343/98 და 3 სხვა, §190, ECHR 2003-VI.

i. სასამართლოში წევრების დანიშვნის წესი

178. გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს წევრების დანიშვნის და მათი თანამდებობიდან გათავისუფლების პროცესში იუსტიციის მინისტრის ჩართულობასთან დაკავშირებით წარმოიშვა კითხვები (*სრამეკი ავსტრიის წინააღმდეგ*, §38⁵²¹; *ბრუდნიკა და სხვები პოლონეთის წინააღმდეგ*, §41⁵²²; *კლარკი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (განჩინება)⁵²³).

179. მიუხედავად იმისა, რომ საქმის კონკრეტული მოსამართლისთვის ან სასამართლოსთვის გადაცემა ხვდება ეროვნული ხელისუფლების ორგანობისთვის მიკუთვნებული თავისუფალი შეფასების ფარგლებში, სტრასბურგის სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ ეს შესაბამისობაშია კონვენციის 6.1 მუხლის მოთხოვნებთან,, კერძოდ კი დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მოთხოვნასთან (*ბოჩანი უკრაინის წინააღმდეგ*, §71)⁵²⁴.

ii. მოსამართლეების თანამდებობაზე ყოფნის ვადა

180. სტრასბურგის სასამართლოს არ აქვს განსაზღვრული გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს წევრებისთვის რაიმე კონკრეტული სავალდებულო მინიმალური ვადა, თუმცა მოსამართლეთა თანამდებობაზე ყოფნის განმავლობაში მათი შეუცვლელია მოსამართლეთა დამოუკიდებლობიდან გამომდინარეობს. მიუხედავად ამისა აღსანიშნავია, რომ თუ მოსამართლეთა შეუცვლელია კანონით დადგენილი არ არის, ეს თავისთავად არ ნიშნავს, რომ მოსამართლეები არ არიან დამოუკიდებელი, რადგან მოცემული პრინციპი აღიარებულია ფაქტობრივად და სხვა სავალდებულო გარანტიები არსებობს (*საცილორ ლორმინესი საფრანგეთის წინააღმდეგ*, §67⁵²⁵; *ლუკა რუმინეთის წინააღმდეგ*, §44⁵²⁶).

iii. გარეშე ზეწოლისგან დაცვის გარანტიები

181. სასამართლო დამოუკიდებლობა მოითხოვს, რომ მოსამართლეები თავისუფალი იყვნენ როგორც სასამართლოს გარე, ასევე შიდა ზეწოლისგან. მოსამართლეთა შიდა დამოუკიდებლობაში იგულისხმება, რომ მოსამართლეები არ უნდა დაექვემდებარონ კოლეგა მოსამართლეების ან სასამართლოს ადმინისტრაციული თანამდებობის პირების, მაგალითად, სასამართლოს თავმჯდომარის ან სასამართლოს რომელიმე პალატის თავმჯდომარის მხრიდან ზეწოლას. მოსამართლეთა სასამართლოს შიგნით

⁵²¹ Sramek v. Austria, 22 ოქტომბერი 1984, §38, Series A N 84.

⁵²² Brudnicka and Others v. Poland, N 54723/00, §41, ECHR 2005-II.

⁵²³ Clarke v. the United Kingdom (განჩინება), N 23695/02, ECHR 2005-X.

⁵²⁴ Bochan v. Ukraine, N 7577/02, §71, 3 მაისი 2007.

⁵²⁵ Sacilor-Lormines v. France, N 65411/01, §67, ECHR 2006-XIII.

⁵²⁶ Luka v. Romania, N 34197/02, §44, 21 ივლისი 2009.

დამოუკიდებლობის, განსაკუთრებით კი სასამართლოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირებისგან დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად საკმარისი გარანტიების არარსებობის გამო, ევროპულმა სასამართლომ შეიძლება მიიჩნიოს, რომ მომჩივნის ეჭვი სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან მიმართებით ობიექტურად გამართლებულია (*აგროკომპლექსი უკრაინის წინააღმდეგ*, §137⁵²⁷; *პარლოვ-ტკალჩიცი ხორვატიის წინააღმდეგ*, §86⁵²⁸).

182. დადგინდა, რომ საოლქო სასამართლოს მოსამართლეები საკმარისად დამოუკიდებლები იყვნენ სასამართლოს თავმჯდომარისგან, რადგან სასამართლოს თავმჯდომარეები ასრულებდნენ მხოლოდ ადმინისტრაციულ (მენეჯერული და ორგანიზაციული) ფუნქციებს, რომლებიც სამოსამართლო ფუნქციებისგან მკაცრად იყო გამიჯნული. სამართლებრივი სისტემა სასამართლოს თავმჯდომარის მიერ მოსამართლეებისთვის თვითნებურად საქმეების გადაცემის წინააღმდეგ ადეკვატურ გარანტიებს ითვალისწინებდა (იქვე, §§88-95).

iv. დამოუკიდებლობის შთაბეჭდილება

183. იმის დადგენისას, შეიძლება თუ არა სასამართლო მიჩნეული იყოს დამოუკიდებლად კონვენციის 6.1 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, უაღრესად მნიშვნელოვანია ის, თუ რამდენად ტოვებს სასამართლო დამოუკიდებელი ორგანოს შთაბეჭდილებას (*სრამეკი ავსტრიის წინააღმდეგ*, §42)⁵²⁹. რაც შეეხება დამოუკიდებლობის გამოვლინებას, მხარის პოზიცია მნიშვნელოვანია, მაგრამ არა გადამწყვეტი; გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას თუ რამდენად არის მხარის ეჭვი „ობიექტურად გამართლებული“ (*საცილორ ლორმინესი საფრანგეთის წინააღმდეგ*, §63)⁵³⁰. ამრიგად, სასამართლოს დამოუკიდებლობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს, როდესაც სასამართლო მიიჩნევს, რომ „ობიექტური დამკვირვებლის” თვალში, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო დამოუკიდებელია (*კლარკი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (განჩინება))⁵³¹.

3. მიუკერძოებელი ტრიბუნალი

184. კონვენციის 6.1 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად „სასამართლო” მიუკერძოებელი უნდა იყოს. ზოგადად მიუკერძოებლობა გულისხმობს, რომ სასამართლო არ არის მიკერძოებული ან არ გააჩნია უარყოფითი წინასწარგანწყობა,

⁵²⁷ Agrokomples v. Ukraine, N 23465/03, §137, 6 ოქტომბერი 2011.

⁵²⁸ Parlov-Tkalčić v. Croatia, N 24810/06, §86, 22 დეკემბერი 2009.

⁵²⁹ Sramek v. Austria, 22 ოქტომბერი 1984, §42, Series A N 84.

⁵³⁰ Sacilor-Lormines v. France, N 65411/01, §63, ECHR 2006-XIII.

⁵³¹ Clarke v. the United Kingdom (განჩინება), N 23695/02, ECHR 2005-X.

რაც შეიძლება სხვადასხვა გზით შემოწმდეს (*ვეტშტეინი შვეიცარიის წინააღმდეგ*, §43⁵³², *მიკალეფი მალტის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §93⁵³³). დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ცნებები მჭიდროდაა დაკავშირებული და გარემოებების გათვალისწინებით, შეიძლება საჭირო იყოს მათი ერთობლივი განხილვა (*საცილორ ლორმინესი საფრანგეთის წინააღმდეგ*, §62⁵³⁴, *ოლექსანდრ ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ*, §107⁵³⁵). გამოვლენილი ხარვეზები სამართალწარმოების შემდგომ ეტაპებზე შეიძლება გამოსწორდეს (იქვე, §§118, 123 და 131).

a. მიუკერძოებლობის შეფასების კრიტერიუმი

185. მიუკერძოებლობის არსებობა უნდა განისაზღვროს შემდეგ საფუძვლებზე დაყრდნობით (*მიკალეფი მალტის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §93)⁵³⁶:

i. *სუბიექტური ტესტი*, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს კონკრეტული მოსამართლის პირადი განზრახვა და ქცევა, კერძოდ, უნდა დადგინდეს კონკრეტულ საქმესთან მიმართებით მოსამართლემ გამოიყენა თუ არა პირადი ეჭვი ან წინასწარ შექმნილი აზრი;

ii. *ობიექტური ტესტი*, რომელიც ითვალისწინებს იმის დადგენას, უზრუნველყო თუ არა სასამართლომ საკმარისი გარანტიები იმისთვის, რომ მიუკერძოებლობასთან მიმართებით ყოველგვარი ეჭვი გამორიცხულიყო.

186. თუმცა, არ არსებობს ამ ორ ცნებას შორის მკაფიო გამყოფი, რადგანაც მოსამართლის ქცევა შეიძლება არამხოლოდ ხელს უწყობდეს გარეშე დამკვირვებლის ობიექტურ ეჭვს მის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით (ობიექტურობის ტესტი), არამედ შეიძლება ასევე განაპირობებდეს ვარაუდს, რომ იგი თავისი შინაგანი რწმენის მიხედვით მოქმედებდა (სუბიექტური ტესტი).

187. ამგვარად, ზოგიერთ საქმეში შეიძლება რთული იყოს იმ მტკიცებულებების მოპოვება, რომლებიც უარყოფდა მოსამართლის სუბიექტური მიუკერძოებლობის პრეზუმფციას და ასეთ შემთხვევებში ობიექტური მიუკერძოებლობის მოთხოვნა მნიშვნელოვან დამატებით გარანტიას წარმოადგენს (იქვე, §§95 და 101).

188. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ გარეგნულ მხარესაც კი შეიძლება მიენიჭოს გარკვეული მნიშვნელობა; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ,

⁵³² Wettstein v. Switzerland, N 33958/96, §43, ECHR 2000-XII.

⁵³³ Micallef v. Malta [დიდი პალატა], N 17056/06, §93, ECHR 2009.

⁵³⁴ Sacilor-Lormines v. France, N 65411/01, §62, ECHR 2006-XIII.

⁵³⁵ Oleksandr Volkov v. Ukraine, N 21722/11, §107, ECHR 2013.

⁵³⁶ Micallef v. Malta [დიდი პალატა], N 17056/06, §93, ECHR 2009.

"მართლმსაჯულება არა მხოლოდ უნდა აღსრულდეს, არამედ უნდა გამოჩნდეს კიდევ, რომ ის აღსრულდა". წინააღმდეგ შემთხვევაში საფრთხე ექმნება ნდობას, რომელიც დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებას უნდა ჰქონდეს სასამართლოს მიმართ. ამრიგად, უნდა მოხდეს ნებისმიერი მოსამართლის აცილება, რომლის მიმართაც არსებობს მიკერძოების გამოვლენის ლეგიტიმური საფუძველი (*მიკალეფი მალტის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §98)⁵³⁷. მოსამართლის აცილების მოთხოვნის განხილვისას სასამართლომ უნდა იმსჯელოს აცილების მომთხოვნი მხარის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებზე (*ჰარაბინი სლოვაკეთის წინააღმდეგ*, §136)⁵³⁸.

189. სასამართლოს მიუკერძოებლობის შესახებ სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილი პრინციპები ვრცელდება როგორც ნაფიც მსაჯულებზე, არაიურისტ და ასევე პროფესიონალ მოსამართლეებზე, სხვა თანამდებობის პირებზე რომლებიც ახორციელებენ სამოსამართლო ფუნქციებს, როგორცაა, სასამართლოს ექსპერტ-კონსულტანტები და სასამართლო მოხელეები - მაგალითად თანაშემწეები (*ბელიზი მალტის წინააღმდეგ*, §51)⁵³⁹. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მე-6 მუხლით გათვალისწინებული გარანტიების დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წინააღმდეგ მიმდინარეობს დისციპლინური სამართალწარმოება, ვინაიდან საფრთხის ქვეშ დგება საზოგადოების ნდობა ეროვნულ დონეზე უმაღლესი სასამართლოს მიმართ (*ჰარაბინი სლოვაკეთის წინააღმდეგ*, §133)⁵⁴⁰.

i. სუბიექტური მიდგომა

190. სუბიექტური ტესტის გამოყენებისას სასამართლომ არაერთგზის აღნიშნა, რომ დაცული უნდა იყოს „მოსამართლის პირადი მიუკერძოებლობის პრეზუმფცია, სანამ არ იქნება საკმარისი მტკიცებულება საწინააღმდეგო ვარაუდისთვის” (*ლე კომპტე, ვან ლიუვენი და დე მეიერი ბელგიის წინააღმდეგ*, §58⁵⁴¹; *მიკალეფი მალტის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §94⁵⁴²). რაც შეეხება სასამართლოს მიერ მოთხოვნილი მტკიცებულებების სახეებს, სასამართლომ, მაგალითად, შეიძლება მოითხოვოს მტკიცებულებები იმის დასადგენად, გამოავლინა თუ არა მოსამართლემ მტრული დამოკიდებულება (*ბუსკემი იტალიის წინააღმდეგ*, §§67-68)⁵⁴³. ის ფაქტი, რომ

⁵³⁷ იქვე, §98.

⁵³⁸ Harabin v. Slovakia, N 58688/11, §136, 20 ნოემბერი 2012.

⁵³⁹ Bellizzi v. Malta, N 46575/09, §51, 21 ივნისი 2011.

⁵⁴⁰ Harabin v. Slovakia, N 58688/11, §133, 20 ნოემბერი 2012.

⁵⁴¹ Le Compte, Van Leuven and De Meyere v. Belgium, 23 ივნისი 1981, §58, Series A N 43.

⁵⁴² Micallef v. Malta [დიდი პალატა], N 17056/06, §93, ECHR 2009.

⁵⁴³ Buscemi v. Italy, N 29569/95, §§67-68, ECHR 1999-VI.

მოსამართლემ აცილება არ გააკეთა სააპელაციო სამართალწარმოების დროს იმ სამოქალაქო საქმის განხილვისას, რომელთან დაკავშირებული სხვა დავის განხილვაში ადრე თავად იღებდა მონაწილეობას, მიუკერძოებლობის პრეზუმფციის უარყოფისთვის სათანადო მტკიცებულებას არ წარმოადგენს (*გოლუბოვიჩი ხორვატიის წინააღმდეგ*, §52)⁵⁴⁴.

191. პრინციპი, რომ სასამართლო უნდა იყოს წინასწარ პირადი შექმნილი აზრისაგან ან მიკერძოებისგან თავისუფალი, სასამართლოს პრაქტიკაში დიდი ხნის დამკვიდრებულია (*ლე კომპტი, ვან ლიუვენის და დე მეიერი ბელგიის წინააღმდეგ*, §58⁵⁴⁵, *დრიზა ალბანეთის წინააღმდეგ*, §75⁵⁴⁶).

ii. ობიექტური მიდგომა

192. აუცილებელია დადგინდეს, მოსამართლის ქცევისგან დამოუკიდებლად, არსებობდა თუ არა რაიმე ფაქტები, რომელთა გამო შეიძლება არსებობდეს საფუძვლიანი ეჭვი სასამართლოს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით, რამაც ეჭვქვეშ შეიძლება დააყენოს მისი მიუკერძოებლობა. როდესაც საქმე ეხება სასამართლო კოლეგიის მიუკერძოებლობას, სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს, კოლეგიის თითოეული წევრის ქცევისგან დამოუკიდებლად, ხომ არ არსებობს ისეთი ფაქტები, რომელთა გამო შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს კოლეგიის მიუკერძოებლობა. იმის დადგენისას, მოცემულ საქმეში არსებობს თუ არა ეჭვის სათანადო საფუძველი, რომ კონკრეტული მოსამართლე (*მორელი საფრანგეთის წინააღმდეგ*, §§45-50⁵⁴⁷; *პესკადორ ვალერო ესპანეთის წინააღმდეგ*, §23⁵⁴⁸) ან კოლეგია (*ლუკა რუმინეთის წინააღმდეგ*, §40)⁵⁴⁹ არ იყო მიუკერძოებელი, იმ პირის პოზიცია, რომელიც ამტკიცებს, რომ სასამართლო მიკერძოებული იყო, მნიშვნელოვანია, თუმცა არა გადამწყვეტი. მოცემულ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ის, თუ რამდენად არის ასეთი ვარაუდი ობიექტურად გამართლებული (*ვეტშტეინი შვეიცარიის წინააღმდეგ*, §44⁵⁵⁰; *პაბლა კი ფინეთის წინააღმდეგ*, §30⁵⁵¹, *მიკალეფი მალტის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §96⁵⁵²).

⁵⁴⁴ Golubović v. Croatia, N 43947/10, §52, 27 ნოემბერი 2012.

⁵⁴⁵ Le Compte, Van Leuven and De Meyere v. Belgium, 23 ივნისი 1981, §58, Series A N 43.

⁵⁴⁶ Driza v. Albania, N 33771/02, §75, ECHR 2007-V (ამონარიდები).

⁵⁴⁷ Morel v. France, N 34130/96, §§45-50, ECHR 2000-VI.

⁵⁴⁸ Pescador Valero v. Spain, N 62435/00, §23, ECHR 2003-VII.

⁵⁴⁹ Luka v. Romania, N 34197/02, §40, 21 ივლისი 2009.

⁵⁵⁰ Wettstein v. Switzerland, N 33958/96, §44, ECHR 2000-XII.

⁵⁵¹ Pabla Ky v. Finland, N 47221/99, §30, ECHR 2004-V.

⁵⁵² Micallef v. Malta [დიდი პალატა], N 17056/06, §96, ECHR 2009.

193. ობიექტურობის ტესტი ძირითადად შეეხება მოსამართლესა და სამართალწარმოებაში მონაწილე რომელიმე სხვა პირებს შორის იერარქიულ ან სხვა კავშირებს (იხ. მოსამართლის ორმაგ როლთან დაკავშირებული საქმეები, მაგალითად *მეჟნარიჩი ხორვატიის წინააღმდეგ*, §36⁵⁵³ და *ვეტშტეინი შვეიცარიის წინააღმდეგ*, §47⁵⁵⁴), რომელთა გამო სასამართლოს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებული ეჭვი შეიძლება გამართლებული იყოს და შესაბამისად, კონვენციის სტანდარტი ობიექტურობის ტესტის საფუძველზე არ იქნება მიჩნეული შესრულებულად.

194. აქედან გამომდინარე, ყოველ კონკრეტულ საქმეზე უნდა გადაწყდეს, არის თუ არა კითხვის ნიშნის ქვეშ მყოფი ურთიერთობა ისეთი ბუნებისა და ხარისხის, რომ მიანიშნებდეს სასამართლოს მიკერძოებულობაზე (*მიკალეფი მალტის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §§97 და 102)⁵⁵⁵.

195. მოცემული თვალსაზრისით ის, გარეგნული მხარესაც შეიძლება იყოს გარკვეული მნიშვნელობის, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ "მართლმსაჯულება არა მხოლოდ უნდა აღსრულდეს, არამედ უნდა გამოჩნდეს კიდეც, რომ ის აღსრულდა". მოცემულ შემთხვევაში სასწორზეა დემოკრატიულ საზოგადოებაში სასამართლოსადმი ნდობა, ამრიგად, ნებისმიერმა მოსამართლემ, რომლის მიმართაც არსებობს ლეგიტიმური ეჭვი მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით, უარი უნდა თქვას საქმის განხილვაზე (იქვე, §98).

196. იმისათვის, რომ სასამართლოებმა საზოგადოების ნდობა მოიპოვონ, რაც აუცილებელია, ასევე გათვალისწინებული უნდა იქნას შიდა ორგანიზაციული საკითხები. ეროვნულ დონეზე მიუკერძოებლობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პროცედურების, კერძოდ კი მოსამართლეთა საქმიდან ჩამოცილებასთან დაკავშირებული წესების არსებობა, მნიშვნელოვანი ფაქტორია. (იხ. კონკრეტული დებულებები მოსამართლეთა აცილების შესახებ, *მიკალეფი მალტის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §§99-100)⁵⁵⁶. ასეთი წესების არსებობა ადასტურებს ეროვნული კანონმდებლის სურვილს უზრუნველყოს მოსამართლის ან სასამართლოს მიუკერძოებლობაში რაიმე ეჭვის გაქარწყლება და ასეთი ეჭვის საფუძვლების აღმოფხვრა. მოცემული წესები, გარდა იმისა, რომ რეალურად არსებული მიკერძოებულობის აღკვეთას უზრუნველყოფენ, ასევე ხელს უწყობენ დემოკრატიულ საზოგადოებაში სასამართლოსადმი ნდობის ამაღლებას (*მეჟნარიჩი ხორვატიის*

⁵⁵³ Mežnarić v. Croatia, N 71615/01, §36, 15 ივლისი 2005.

⁵⁵⁴ Wettstein v. Switzerland, N 33958/96, §47, ECHR 2000-XII.

⁵⁵⁵ Micallef v. Malta [დიდი პალატა], N 17056/06, §97 და 102, ECHR 2009.

⁵⁵⁶ იქვე, §§99-100.

წინააღმდეგ, §27⁵⁵⁷; იხ. აგრეთვე *ოლექსანდრ ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ*⁵⁵⁸, რომელიც ეხება სასამართლოს სისტემაში არსებულ სტრუქტურულ ხარვეზებს, და *ა.კ. ლიხტენშტეინის წინააღმდეგ*, §§82-83⁵⁵⁹, რომელიც ეხება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა აცილებას მცირე იურისდიქციის ფარგლებში).

b. ვითარებები, რომლებიც ეჭვს ბადებენ სასამართლოს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით
197. არსებობს ორი შესაძლო შემთხვევა, როდესაც სასამართლოს მიკერძოებულობაში შეიძლება ეჭვის შეტანა:

i. პირველი შემთხვევა ფუნქციონალური ხასიათისაა და ეხება, მაგალითად ერთი და იგივე პირის მიერ სხვადასხვა ფუნქციების შესრულება სამართალწარმოების პროცესში, ან ამ პროცესში მონაწილე სხვა პირებთან იერარქიული ან სხვა კავშირები;

ii. მეორე შემთხვევა *პირადი ხასიათისაა* და დაკავშირებულია მოსამართლეების ქცევასთან განსაზღვრული საქმის განხილვის პროცესში ან მის კავშირთან საქმის მხარეებთან და მხარეთა წარმომადგენლებთან.

i. ფუნქციონალური ხასიათის შემთხვევები

ა. ერთსა და იმავე საქმეზე საკონსულტაციო და სასამართლო ფუნქციების განხორციელება

198. ერთ ორგანოში საკონსულტაციო და სასამართლო ფუნქციების თანმიმდევრულმა განხორციელებამ გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება ორგანოს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით ობიექტური გადმოსახედიდან წარმოშვას 6.1 მუხლის საფუძველზე განსახილველი საკითხი (*პროკოლა ლუქსემბურგის წინააღმდეგ*, §45 - დარღვევა)⁵⁶⁰.

199. მნიშვნელოვანია იმის გარკვევა საკონსულტაციო და სასამართლო ფუნქციები განხორციელდა „იმავე საქმეზე“, „იმავე გადაწყვეტილებაზე“ თუ „ანალოგიურ საკითხებზე“ (*კლეინი და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §200⁵⁶¹; *საცილორ ლორმინესი საფრანგეთის წინააღმდეგ*, §74⁵⁶² – დარღვევა არ დადგინდა).

⁵⁵⁷ Mežnarić v. Croatia, N 71615/01, §27, 15 ივლისი 2005.

⁵⁵⁸ Oleksandr Volkov v. Ukraine, N 21722/11, ECHR 2013.

⁵⁵⁹ A.K. v. Liechtenstein, N 38191/12, §§82-83, 9 ივლისი 2015.

⁵⁶⁰ Procola v. Luxembourg, 28 სექტემბერი 1995, §45, Series A N 326.

⁵⁶¹ Kleyn and Others v. the Netherlands [დიდი პალატა], N 39343/98 და 3 სხვა, §200, ECHR 2003-VI.

⁵⁶² Sacilor-Lormines v. France, N 65411/01, §74, ECHR 2006-XIII.

ბ. სასამართლო და არასასამართლო ფუნქციების განხორციელება ერთსა და იმავე საქმეზე
200. იმის განსაზღვრისას, გამართლებულია თუ არა ობიექტურად მომჩივნის შიში მოსამართლის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით, მხედველობაში შეიძლება იქნეს მიღებული ისეთი ფაქტორები, როგორცაა სამართალწარმოების პროცესში მოსამართლის ორმაგი როლი, დროდომელიც გავიდა იმ ორ შემთხვევას შორის, სადაც ის მონაწილეობდა და აგრეთვე, რამდენად იყო მოსამართლე ჩართული სამართალწარმოებაში (*მაკგონელი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §§52-57)⁵⁶³.

201. მთავრობის განკარგულების ან კანონის მიღებაში ნებისმიერი სახის პირდაპირი მონაწილეობა შეიძლება წარმოადგენდეს საკმარის საფუძველს, რათა ექვი შეიტანონ იმ მოსამართლის დამოუკიდებლობაში, რომელსაც შემდგომში უნდა გადაეწყვიტა, ხომ არ არსებობდა საფუძველები, რომლებიც კანონის ან მთავრობის განკარგულების ტექსტის ფორმულირების შეცვლის შესაძლებლობას იძლეოდა (იქვე, §§55-58, სადაც სასამართლომ დაადგინა 6.1 მუხლის დარღვევა სამართალწარმოების ფარგლებში სადავოდ გამხდარი განვითარების გეგმის მიღებაში მოსამართლის უშუალო მონაწილეობის გამო; *პაბლა კაი ფინეთის წინააღმდეგ*, §34⁵⁶⁴ - დარღვევა არ დადგინდა).

202. როდესაც მიმდინარეობს ორი პარალელური სამართალწარმოება, სადაც ერთი და იმავე პირს ორმაგი როლი ეკისრება, ერთი მხრივ, მოსამართლის და მეორე მხრივ, მოწინააღმდეგე მხარის სამართლებრივი წარმომადგენლის, მომჩივანს შეიძლება ჰქონდეს იმის საფუძველი რათა მიიჩნიოს, რომ მოსამართლე განაგრძობს მის მოწინააღმდეგე მხარედ მიჩნევას (*ვეტშტეინი შვეიცარიის წინააღმდეგ*, §§44-47)⁵⁶⁵.

203. საკონსტიტუციო საჩივრის განხილვამ იმ მოსამართლის მიერ, რომელიც სამართალწარმოების დასაწყისში მომჩივნის ოპონენტისადვოკატი იყო გამოიწვია 6.1 მუხლის დარღვევა (*მეჟნარიჩი ხორვატიის წინააღმდეგ*, §36)⁵⁶⁶. რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის მიუკერძოებლობას, რომელიც მომჩივნის მოწინააღმდეგე მხარის სამართლებრივ მრჩევლად მუშაობდა პირველ ინსტანციაში სამოქალაქო საქმის წარმოებისას, იხილეთ *შვარცი და კავნიკი სლოვენის წინააღმდეგ*, §44⁵⁶⁷).

⁵⁶³ McGonnell v. the United Kingdom, N 28488/95, §§52-57, ECHR 2000-II.

⁵⁶⁴ Pabla Ky v. Finland, N 47221/99, §34, ECHR 2004-V.

⁵⁶⁵ Wettstein v. Switzerland, N 33958/96, §§44-47, ECHR 2000-XII.

⁵⁶⁶ Mežnarić v. Croatia, N 71615/01, §36, 15 ივლისი 2005.

⁵⁶⁷ Švarc and Kavnik v. Slovenia, N 75617/01, §44, 8 თებერვალი 2007.

χ. სამართალწარმოების პროცესში სხვადასხვა სასამართლო ფუნქციის შესრულება

204. იმის შეფასება, აკმაყოფილებს თუ არა ერთი და იგივე მოსამართლის მონაწილეობა სამოქალაქო საქმის წარმოების სხვადასხვა ეტაპზე 6.1 მუხლით გათვალისწინებულ მიუკერძოებლობის მოთხოვნებს, უნდა გაკეთდეს თითოეული საქმის საფუძველზე, ინდივიდუალური საქმის გარემოებების გათვალისწინებით.

205. მხოლოდ ის გარემოება, რომ მოსამართლემ წინასასამართლო ეტაპზეც მიიღო საქმესთან დაკავშირებით გადაწყვეტილება, თავისთავად არ არის საკმარისი იმ ექვსის ობიექტურობის დასაბუთებისთვის, რომ მოსამართლე არ იქნება მიუკერძოებელი; მოცემულ შემთხვევაში, გამამწყვეტი მნიშვნელობისაა მოსამართლის მიერ მიღებული ზომების ხასიათი და ფარგლები. ანალოგიურად, ის ფაქტი, რომ მოსამართლე დეტალურად იცნობს საქმის მასალებს, არ იწვევს ექვს მის წინასწარგანწყობასთან დაკავშირებით, რომ ვერ შეძლებს მიუკერძოებლად გადაწყვეტილების მიღებას საქმის არსებით გარემოებებზე დაყრდნობით. არც ხელმისაწვდომი ინფორმაციის წინასწარი ანალიზი არ ნიშნავს, რომ საბოლოო ანალიზი წინასწარ შექმნილ აზრზე დაყრდნობით გაკეთდა. მნიშვნელოვანია, რომ გადაწყვეტილების მიღების დროს გაკეთდეს ანალიზი და გადაწყვეტილება ეფუძნებოდეს სასამართლო პროცესზე წარმოდგენილ მტკიცებულებებსა და არგუმენტებს (*მორელი საფრანგეთის წინააღმდეგ*, §45)⁵⁶⁸.

206. საჭიროა შეფასდეს, ხომ არ არის სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე განსაზღვრულ ძირითად საკითხებს შორის იმდენად ახლო კავშირი, რომ ექვსეცემ დადგეს ამ ეტაპებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილე მოსამართლის მიუკერძოებლობა (*ტოზიჩკა პოლონეთის წინააღმდეგ*, §36)⁵⁶⁹.

207. საქმის კოლეგიურად განხილვის შემთხვევაში, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, ის ფაქტი, რომ ზოგიერთ მოსამართლეს წინასწარ ეკავა გარკვეული პოზიცია, არ არის საკმარისი იმის დასადგენად, რომ მთლიანად სასამართლოს შემადგენლობა არ იყო მიუკერძოებელი. ასეთ შემთხვევებში, აუცილებელია სხვა ფაქტორების გათვალისწინება, როგორცაა შესაბამისი გადაწყვეტილების მიმღები მოსამართლეების რიცხვი და მათი როლი საქმის განხილველ კოლეგიაში (*ფაზლი ასლანერი თურქეთის წინააღმდეგ*, §§36-43⁵⁷⁰, და მითითებული პრეცედენტული სამართალი).

⁵⁶⁸ Morel v. France, N 34130/96, §45, ECHR 2000-VI.

⁵⁶⁹ Toziczka v. Poland, N 29995/08, §36, 24 ივლისი 2012.

⁵⁷⁰ Fazlı Aslaner v. Turkey, N 36073/04, §§36-43, 4 მარტი 2014.

208. უნდა აღინიშნოს სხვა შემთხვევებიც:

- მიუკერძოებლობის ვალდებულებიდან გამომდინარე, ზოგად წესად ვერ დადგინდება, რომ ზემდგომი ინსტანციის სასამართლო, რომელიც ადმინისტრაციული ან სასამართლო ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას აუქმებს, ვალდებულია საქმე სხვა იურისდიქციის მქონე სასამართლო ორგანოს ან სხვა დანაყოფს დაუბრუნოს, რომლის მოსამართლეთა შემადგენლობა განსხვავებული იქნება (*რინგეისენი ავსტრიის წინააღმდეგ*, §97)⁵⁷¹.
- საკითხი შეიძლება წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლე მონაწილეობს ერთი და იგივე ფაქტებთან დაკავშირებულ ორ სამართალწარმოებაში (*ინდრა სლოვაკეთის წინააღმდეგ*, §§51-53)⁵⁷².
- სააპელაციო სასამართლოში საქმის განმხილველი კოლეგიის თავმჯდომარემ, რომელთან ერთადაც კოლეგიაში ორი არამოსამართლე წევრია, მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით სააპელაციო საჩივარი არ უნდა განიხილოს (*დე ჰაანი ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §51)⁵⁷³.
- როდესაც სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებმა უნდა შეაფასონ საკუთარი თავი, ხომ არ დაუშვეს შეცდომა განმარტების გაკეთების დროს მიღებულ ძველ გადაწყვეტილებებში, შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს მათი მიუკერძოებლობა (*სან ლეონარდ ბენდ კლუბი მალტის წინააღმდეგ*, §64)⁵⁷⁴.
- მიუკერძოებლობის მოთხოვნებთან, ერთი შეხედვით, შეუსაბამო არ არის, თუ ერთი და იგივე მოსამართლე არის ჩართული არსებით გარემოებებზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღებასა და შემდგომში აღნიშნული გადაწყვეტილების წინააღმდეგ წარდგენილი საჩივრის დასაშვებობის განხილვაში (*ვარსიკა პოლონეთის წინააღმდეგ*, §§38-47)⁵⁷⁵.
- როდესაც მოსამართლეს ორმაგი როლი აქვს, როგორც სამართალწარმოების პირველ ეტაპზე მომჩივნების კომპანიის მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელს, ხოლო მეორე ეტაპზე სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეს: სტრასბურგის სასამართლომ მხედველობაში მიიღო რა სამართალწარმოების პროცესებს შორის დროის ხანგრძლივი პერიოდი, აგრეთვე განსხვავებული დავის საგანი და ის ფაქტი, რომ ადვოკატისა და

⁵⁷¹ Ringeisen v. Austria, 16 ივლისი 1971, §97, Series A N 13.

⁵⁷² Indra v. Slovakia, N 46845/99, §§51-53, 1 თებერვალი 2005.

⁵⁷³ De Haan v. the Netherlands, 26 აგვისტო 1997, §51, გადაწყვეტილებათა და განჩინებათა ანგარიშები, 1997-IV.

⁵⁷⁴ San Leonard Band Club v. Malta, N 77562/01, §64, ECHR 2004-IX.

⁵⁷⁵ Warsicka v. Poland, N 2065/03, §§38-47, 16 იანვარი 2007.

მოსამართლის ფუნქციები დროში არ კვეთდა ერთმანეთს, დაადგინა, რომ მომჩივნებს არ შეეძლოთ ობიექტურად დაესაბუთებინათ მოსამართლის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებული ეჭვები (*პუოლიტაივალი და ფირტიაო ფინეთის წინააღმდეგ*, §§46-54)⁵⁷⁶.

- სასამართლომ დაადგინა მიუკერძოებლობის პრინციპის დარღვევა საქმეში, სადაც ზოგიერთ მოსამართლეს, რომლებსაც საქმეზე გადაწყვეტილება გამოტანილი ჰქონდათ, უნდა შეეფასებინა, დაუმშვეს თუ არა შეცდომა ადრე მიღებულ გადაწყვეტილებაში და სადაც დანარჩენ სამ მოსამართლეს ამ საკითხთან დაკავშირებით უკვე გამოთქმული ჰქონდა მოსაზრება (*დრიზა ალბანეთის წინააღმდეგ*, §§78-83)⁵⁷⁷.
- სამართლის საკითხებთან დაკავშირებული საჩივრის განმხილველი ერთ-ერთი მოსამართლე ადრე ჩართული იყო საქმეში, როგორც ზემდგომი სასამართლოს მოსამართლე (*პერუში სლოვენის წინააღმდეგ*, §§38-39)⁵⁷⁸.
- შემთხვევა, სადაც საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის თანაშემწე იყო იმ ადვოკატთა გუნდის წევრი, რომლებიც წარმოადგენდნენ მომჩივნის მოწინააღმდეგე მხარეს წინა სამოქალაქო სამართალწარმოებაში, შესწავლილი იქნა საქმეში *ბელიზი მალტის წინააღმდეგ*⁵⁷⁹ (§§60-61).
- სასამართლომ დაადგინა მიუკერძოებელი ტრიბუნალის უფლების დარღვევა გაითვალისწინა რა, როგორც მოსამართლეთა ოდენობა, რომლებმაც უკვე მიიღეს მონაწილეობა საქმეში და აგრეთვე მათი, როგორც კოლეგიის თავმჯდომარის ან მომხსენებლის ვალდებულებები (იხ. მაგალითად, *ოლუჯიჩი ხორვატიის წინააღმდეგ*, §67)⁵⁸⁰. ამასთანავე, სასამართლოს ობიექტური მიუკერძოებლობა ეჭვქვეშ დადგა, რადგან შვიდი მოსამართლიდან ოთხი უკვე მონაწილეობდა საქმის განხილვაში, ამ ოთხი მოსამართლის მიერ შესრულებული ფუნქციების ბუნებისა და მოცულობის გათვალისწინებით (*პერეირა და სილვა პორტუგალის წინააღმდეგ*, §§59-60)⁵⁸¹.
- გადაწყვეტილება საქმეზე *ფაზლი ასლანერი თურქეთის წინააღმდეგ*⁵⁸² ეხებოდა ოცდათერთმეტი მოსამართლისგან შემდგარ სასამართლო კოლეგიას, რომელთაგან სამს უკვე ჰქონდა მონაწილეობა მიღებული საქმის განხილვის

⁵⁷⁶ Puolitaival and Pirttiahio v. Finland, N 54857/00, §§46-54, 23 ნოემბერი 2004.

⁵⁷⁷ Driza v. Albania, N 33771/02, §§78-83, ECHR 2007-V (ამონარიდები).

⁵⁷⁸ Peruš v. Slovenia, N 35016/05, §§38-39, 27 სექტემბერი 2012.

⁵⁷⁹ Bellizzi v. Malta, N 46575/09, §60-61, 21 ივნისი 2011.

⁵⁸⁰ Olujić v. Croatia, N 22330/05, §67, 5 თებერვალი 2009.

⁵⁸¹ Pereira da Silva v. Portugal, N 77050/11, §§59-60, 22 მარტი 2016.

⁵⁸² Fazlı Aslaner v. Turkey, N 36073/04, 4 მარტი 2014.

ადრეულ ეტაპზე. მიუხედავად იმისა, რომ იმ მოსამართლეთა რიცხვი, რომლის მიუკერძოებლობის საკითხიც ეჭვქვეშ დადგა, კოლეგიის სრულ შემადგენლობასთან მიმართებით პროპორციულად ცოტა იყო, სტრასბურგის სასამართლომ დარღვევა დაადგინა, რადგან, პირველ რიგში, არ იყო დასაბუთებული სადავო მოსამართლეების კოლეგიაში ყოფნის საჭიროება და მეორე რიგში, ამ სამი მოსამართლიდან ერთ-ერთი გახლდათ ოცდათერთმეტი მოსამართლისაგან შემდგარი კოლეგიის თავმჯდომარე და საქმის განხილვას ის ხელმძღვანელობდა. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის ეჭვი - კოლეგიის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით, ობიექტურად გამართლებული იყო (§§40-43; შედარებისთვის იხილეთ სხვა საქმეები §38-ში).

ii. პირადი ხასიათის გარემოებები

209. მიუკერძოებლობის პრინციპი ასევე დაირღვევა იმ შემთხვევაში, როდესაც მოსამართლეს საქმესთან მიმართებით აქვს პირადი ინტერესი (*ლანგბორგერი შვედეთის წინააღმდეგ*, §35⁵⁸³, *გოტრინი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ*, §59⁵⁸⁴).

210. მოსამართლესა და მხარის ან მხარის ადვოკატს შორის პროფესიულმა ან პირადმა კავშირებმა, ასევე შეიძლება წარმოშვას კითხვები სასამართლოს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით (*პესკადორ ვალერო ესპანეთის წინააღმდეგ*, §27⁵⁸⁵; *ტოკონო და პროფესორი პრომეტიშტი მოლდოვას წინააღმდეგ*, §31⁵⁸⁶; *მიკალეფი მალტის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §102⁵⁸⁷; *ვეტშტეინი შვეიცარიის წინააღმდეგ*, §47⁵⁸⁸). არაპირდაპირი ფაქტორებიც კი შეიძლება იყოს გათვალისწინებული (*პეტურ თორ სიგურდსონი ისლანდიის წინააღმდეგ*, §45)⁵⁸⁹.

211. მოსამართლის მიერ გამოყენებული ენა შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი და აჩვენებდეს, რომ მოსამართლე არ არის საკმარისად დამოუკიდებელი თავისი ფუნქციების განსახორციელებლად (*ვარდანიანი და ნანუშიანი სომხეთის წინააღმდეგ*, §82)⁵⁹⁰.

⁵⁸³ Langborger v. Sweden, 22 ივნისი 1989, §35, Series A N 155.

⁵⁸⁴ Gautrin and Others v. France, 20 მაისი 1998, §59, გადაწყვეტილებათა და განჩინებათა ანგარიშები, 1998-III.

⁵⁸⁵ Pescador Valero v. Spain, N 62435/00, §27, ECHR 2003-VII.

⁵⁸⁶ Tocono and Profesorii Prometeiști v. Moldova, N 32263/03, §31, 26 ივნისი 2007.

⁵⁸⁷ Micallef v. Malta [დიდი პალატა], N 17056/06, §102, ECHR 2009.

⁵⁸⁸ Wettstein v. Switzerland, N 33958/96, §47, ECHR 2000-XII.

⁵⁸⁹ Pétur Thór Sigurðsson v. Iceland, N 39731/98, §45, ECHR 2003-IV.

⁵⁹⁰ Vardanyan and Nanushyan v. Armenia, N 8001/07, §82, 27 ოქტომბერი 2016.

IV პროცედურული გარანტიები

A. სამართლიანობა

კონვენციის 6.1 მუხლი:

სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ყველას აქვს სამართლიანი ... განხილვის უფლება... სასამართლოს მიერ.

1. ზოგადი პრინციპები

212. მნიშვნელოვანი ადგილი: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდა სამართლიანი სასამართლოს მნიშვნელოვან ადგილს დემოკრატიულ საზოგადოებაში (*აირეი ირლანდიის წინააღმდეგ*, §24,⁵⁹¹ *სტანევი ბულგარეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §231⁵⁹²). აღნიშნული გარანტია, „კონვენციის მნიშვნელობის ფარგლებში, ნებისმიერი დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია“ (*პრეტო და სხვები იტალიის წინააღმდეგ*, §21)⁵⁹³. შესაბამისად, მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის შეზღუდულად განმარტებას გამართლება ვერ ექნება (*მორეირა დე აზევედო პორტუგალიის წინააღმდეგ*, §66)⁵⁹⁴. სამართლიანობის მოთხოვნა მიემართება მთლიანად სასამართლო პროცესს; იგი არ არის შემოფარგლული მხარეებს შორის დავის წარმოებით (*Stran Greek Refineries and Stratis Andreadis საბერძნეთის წინააღმდეგ*, §49)⁵⁹⁵.

213. თუმცა, სასამართლომ განმარტა, რომ პირის პროცედურულ უფლებებზე (მათ შორის კონკრეტულ ინფორმაციაზე წვდომის უფლებაზე) დაწესებული შეზღუდვები, შესაძლოა გამართლებული იყოს განსაკუთრებული გარემოებების არსებობის დროს (*ადორისიო და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ* (განჩინება))⁵⁹⁶.

214. შინაარსი: სამოქალაქო საჩივრები იმგვარი ბუნების უნდა იყოს, რომ მათი წარდგენა შესაძლებელი იყოს მოსამართლისთვის (*გაიედი გაერთიანებული სამეფოს*

⁵⁹¹ Airey v. Ireland, 9 ოქტომბერი 1979, §24, Series A N 32.

⁵⁹² Stanev v. Bulgaria [დიდი პალატა], N 36760/06, §231, ECHR 2012.

⁵⁹³ Pretto and Others v. Italy, 8 დეკემბერი 1983, §21, Series A N 71.

⁵⁹⁴ Moreira de Azevedo v. Portugal, 23 ოქტომბერი 1990, §66, Series A N 189.

⁵⁹⁵ Stran Greek Refineries and Stratis Andreadis v. Greece, 9 დეკემბერი 1994, §49, Series A N 301-B.

⁵⁹⁶ Adorasio and Others v. the Netherlands (განჩინება), N 47315/13, 17 მარტი 2015.

წინააღმდეგ, §65; ⁵⁹⁷ საბეჰ ელ ლეილი საფრანგეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა], §46⁵⁹⁸). კონვენციის 6.1 მუხლი დეტალურად აღწერს სამოქალაქო სამართალწარმოებაში მხარეებისთვის უზრუნველყოფილ პროცედურულ გარანტიებს. პირველ რიგში, მისი მიზანია დაიცვას მხარეთა ინტერესები (ნიდეროსტ-ჰუბერი შვეიცარიის წინააღმდეგ, §30) ⁵⁹⁹. ამრიგად, მოდავე მხარეებს უნდა ჰქონდეთ საკუთარი პოზიციების წარდგენის ეფექტური საშუალება (*H. ბელგიის წინააღმდეგ*, §53) ⁶⁰⁰.

215. ეროვნული ხელისუფლების როლი: სტრასბურგის სასამართლო ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ თითოეულ საქმეზე უნდა უზრუნველყოს, რომ „სამართლიანი სასამართლოს“ მოთხოვნები კონვენციის მნიშვნელობის ფარგლებში, დაცულია (*დომბო ბეჰერი ბ.ვ. ნიდერლანდების წინააღმდეგ*, §33) ⁶⁰¹.

216. მხარეთა საჩივრები: პრინციპული მნიშვნელობის საკითხია, რომ სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლით განმარტებული „სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების“ განსაზღვრისას ყველასთვის უზრუნველყოფილი იყოს დამოუკიდებელი ტრიბუნალის მიერ საქმის სამართლიანი განხილვა. აღნიშნულ უფლებას ემატება სასამართლოს შემადგენლობასა და მოწყობასთან დაკავშირებული კონვენციის 6.1 მუხლით განმტკიცებული გარანტიები. საბოლოო ჯამში, ეს ყოველივე ქმნის სამართლიანი სასამართლოს უფლებას (*გოლდერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §36) ⁶⁰².

217. განმარტების პრინციპები:

- პრინციპი, რომლის მიხედვით სამოქალაქო საჩივრები იმგვარი ბუნების უნდა იყოს, რომ მათი წარდგენა შესაძლებელი იყოს მოსამართლისთვის, სამართლის ერთ-ერთი საყოველთაოდ აღიარებული ფუნდამენტური პრინციპია; იგივე შეიძლება ითქვას საერთაშორისო სამართლის პრინციპზე, რომელიც კრძალავს მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმას. კონვენციის მე-6

⁵⁹⁷ Fayed v. the United Kingdom, 21 სექტემბერი 1994, §65, Series A N 294-B.

⁵⁹⁸ Sabeh El Leil v. France [დიდი პალატა], N 34869/05, §46, 29 ივნისი 2011.

⁵⁹⁹ Nideröst-Huber v. Switzerland, 18 თებერვალი 1997, §30, გადაწყვეტილებათა და განჩინებათა ანგარიშები, 1997-I.

⁶⁰⁰ H. v. Belgium, 30 ნოემბერი 1987, §53, Series A N 127-B.

⁶⁰¹ Dombo Beheer B.V. v. the Netherlands, 27 ოქტომბერი 1993, §33, Series A N 274.

⁶⁰² Golder v. the United Kingdom, 21 თებერვალი 1975, §36, Series A N 18.

მუხლის 1-ლი პარაგრაფი წაკითხული უნდა იქნეს აღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით (*გოლდერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §35)⁶⁰³;

- კონვენციის 6.1 მუხლით უზრუნველყოფილი საქმის სამართლიანი განხილვის უფლება უნდა განიმარტოს კონვენციის პრეამბულის ჭრილში, რომელიც აცხადებს, რომ კანონის უზენაესობა ხელშემკვრელი მხარეების საერთო მემკვიდრეობას წარმოადგენს (*ბრუმარესკუ რუმინეთის წინააღმდეგ*, §61; ⁶⁰⁴ *ნეჯდეტ შაჰინი და ფერიჰან შაჰინი თურქეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §57⁶⁰⁵);
- სამართლებრივი სიცხადის პრინციპი კანონის უზენაესის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია (*ბეიანი რუმინეთის წინააღმდეგ* (N 1), §39 ⁶⁰⁶; *ლოუპენის ბერძნული კათოლიკური სამრევლო და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა] § 116⁶⁰⁷).
- კონვენციის მნიშვნელობის ფარგლებში, დემოკრატიულ საზოგადოებაში იმდენად დიდი ადგილი უჭირავს მართლმსაჯულების სამართლიანად განხორციელების უფლებას, რომ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის შეზღუდულად განმარტება ვერ იქნება აღნიშნული მუხლის მიზნისა და ამოცანის შესაბამისი (*რიაკიბ ბირიუკოვი რუსეთის წინააღმდეგ*, §37)⁶⁰⁸;
- დამატებით, კონვენცია მიზნად ისახავს უზრუნველყოს არა თეორიული და ილუზორული, არამედ პრაქტიკული და ეფექტიანი უფლებები (*აირეი ირლანდიის წინააღმდეგ*, §24)⁶⁰⁹.

218. სამოქალაქო საქმეებში სახელმწიფოებს უფრო ფართო მიხედულების ფარგლები აქვთ: სტრასბურგის სასამართლომ აღიარა, რომ სამოქალაქო უფლებათა და ვალდებულებათა განსაზღვრისას „სამართლიანი განხილვის“ კონცეფციით დადგენილი მოთხოვნები არ არის აუცილებლად სისხლისსამართლებრივი ბრალდების დადგენისას არსებული მოთხოვნების მსგავსი: „ხელშემკვრელს მხარეებს სამოქალაქო საქმეების განხილვისას, რომელიც სამოქალაქო უფლებებსა და ვალდებულებებს შეეხება, უფრო ფართო მიხედულების ფარგლები აქვთ, ვიდრე სისხლისსამართლებრივი საქმეების განხილვის დროს (*დომბო ბეჰეერი ბ.გ.*

⁶⁰³ *Golder v. the United Kingdom*, 21 თებერვალი 1975, §35, Series A N 18.

⁶⁰⁴ *Brumărescu v. Romania* [დიდი პალატა], N 28342/95, §61, ECHR 1999-VII.

⁶⁰⁵ *Nejdet Şahin and Perihan Şahin v. Turkey* [დიდი პალატა], N 13279/05, §57, 20 ოქტომბერი 2011.

⁶⁰⁶ *Beian v. Romania* (N1), N 30658/05, §39, ECHR 2007-V (ამონარიდები).

⁶⁰⁷ *Lupeni Greek Catholic Parish and Others v. Romania* [დიდი პალატა], N 76943/11, § 116, 29 ნოემბერი 2016.

⁶⁰⁸ *Ryakib Biryukov v. Russia*, N 14810/02, §37, ECHR 2008.

⁶⁰⁹ *Airey v. Ireland*, 9 ოქტომბერი 1979, §24, Series A N 32.

ნიდერლანდების სამეფოს წინააღმდეგ § 32; ⁶¹⁰, *Levages Prestations Services საფრანგეთის წინააღმდეგ*, §46⁶¹¹). სამოქალაქო უფლებებთან დაკავშირებული მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის მოთხოვნები უფრო ნაკლებად მკაცრია, ვიდრე სისხლისსამართლებრივ ბრალდებასთან მიმართებით (*კიონიგი გერმანიის წინააღმდეგ*, § 96)⁶¹².

219. მიუხედავად ამისა, როდესაც სტრასბურგის სასამართლო იხილავს მე-6 მუხლის სამოქალაქო ასპექტთან დაკავშირებულ საქმეს, მან შესაძლოა გამოიყენოს სისხლისსამართლებრივ საკითხებთან მიმართებით დამკვიდრებული მიდგომა (*დილიპაკი და კარაკაია თურქეთის წინააღმდეგ*, §80⁶¹³, აღნიშნული საქმე ეხება თანხის გადახდას, რომელიც დაუსწრებელი გადაწყვეტილების შედეგად დაეკისრა იმ პირს, რომელსაც უწყება არ ჩაბარებია; *კარმელ სალიბა მალტის წინააღმდეგ*, §§ 67 და 70-71⁶¹⁴, აღნიშნული საქმე ეხება სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობას, რომელიც სისხლისსამართლებრივი დანაშაულიდან გამომდინარეობს; *რ.ს. გერმანიის წინააღმდეგ* (განჩინება), §§ 35 და 43⁶¹⁵, აღნიშნული საქმე ეხება სამხედრო სამსახურში დისციპლინურ სამართალწარმოებას). იმ საქმეებში, სადაც სამოქალაქო პასუხისმგებლობა განპირობებულია სისხლისსამართლებრივი დანაშაულით, აუცილებელია, რომ ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებები ეფუძნებოდეს, წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძვლიან შესწავლასა და ადეკვატურ მიზეზებს (*კარმელ სალიბა მალტის წინააღმდეგ*, § 73)⁶¹⁶.

220. და ბოლოს, კონკრეტული საქმის განსაკუთრებული გარემოებებიდან გამომდინარე, სტრასბურგის სასამართლომ მხედველობაში მიიღო ეროვნული სასამართლოების მხრიდან „გადაწყვეტილების დროულად მიღების საჭიროება“ (*ადორისიო და სხვები ნიდერლანდების სამეფოს წინააღმდეგ* (განჩინება))⁶¹⁷.

2. ფარგლები

221. ეფექტიანი უფლება: სამართალწარმოების მხარეებს უფლება აქვთ წარადგინონ დასკვნები, რომლებსაც ისინი მათ საქმესთან მიმართებით რელევანტურად

⁶¹⁰ *Dombo Beheer B.V. v. the Netherlands*, 27 ოქტომბერი 1993, §32, Series A N 274.

⁶¹¹ *Levages Prestations Services v. France*, 23 ოქტომბერი 1996, §46, გადაწყვეტილება და განჩინებათა ანგარიშები 1996-V.

⁶¹² *König v. Germany*, 28 ივნისი 1978, §96, Series A N 27.

⁶¹³ *Dilipak and Karakaya v. Turkey*, N 7942/05 და 24838/05, §80, 4 მარტი 2014;

⁶¹⁴ *Carmel Saliba v. Malta*, N 24221/13, §§37 და 70-71, 29 ნოემბერი 2016;

⁶¹⁵ *R.S. v. Germany* (განჩინება), N 19600/15, §§ 35 და 43, 28 მარტი 2017;

⁶¹⁶ *Carmel Saliba v. Malta*, N 24221/13, §73, 29 ნოემბერი 2016;

⁶¹⁷ *Adorisio and Others v. the Netherlands* (განჩინება), N 47315/13, 17 მარტი 2015;

მიიჩნევენ. აღნიშნული უფლება ეფექტურად მიიჩნევა იმ შემთხვევაში თუ დასკვნებს რეალურად „განიხილავენ“, რაც სასამართლოს მიერ მის სათანადო შესწავლას გულისხმობს (*დონადე საქართველოს წინააღმდეგ*, §35)⁶¹⁸. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „სასამართლოს“ ეკისრება ვალდებულება, სათანადოდ იმსჯელოს მხარეთა მიერ წარდგენილ დოკუმენტებზე, აგრუმენტებსა და მტკიცებულებებზე (*კრასკა შვეიცარიის წინააღმდეგ*, §30;⁶¹⁹ *ვან დე ჰურკი ნიდერლანდების სამეფოს წინააღმდეგ*, §59;⁶²⁰ *პერეზი საფრანგეთის წინააღმდეგ*, §80⁶²¹). იმისათვის, რომ მე-6 მუხლით უზრუნველყოფილი გარანტიები ეფექტიანი იყოს, ხელისუფლებამ „გულისხმიერად“ უნდა იმოქმედოს: იმ მხარესთან მიმართებით, რომელსაც ადვოკატი არ წარმოადგენს (იხ., *კეროიარვი ფინეთის წინააღმდეგ*, §42⁶²² და *ფრეტე საფრანგეთის წინააღმდეგ*, § 49⁶²³); და ასევე იმ მხარესთან მიმართებით, რომელსაც ჰყავს ადვოკატი (იხ. *გიოჩი თურქეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], § 57⁶²⁴).

222. სამართალწარმოებაში საჩივრის წარმდგენი მხარის სრულფასოვანი მონაწილეობა სასამართლოებისგან მოითხოვს, რომ საკუთარი ინიციატივით, გადასცეს მას მის ხელთ არსებული დოკუმენტები. ამრიგად, გადამწყვეტი არ არის ის ფაქტი, რომ აპლიკანტი არ ასაჩივრებდა მისთვის შესაბამისი დოკუმენტების გადაუცემლობას ან არ იჩენდა ინიციატივას საქმის მასალების წვდომასთან დაკავშირებით (*კეროიარვი ფინეთის წინააღმდეგ*, §42)⁶²⁵. აპელანტისთვის საქმის მასალების გაცნობისა და მისი ასლების მოპოვების შესაძლებლობის არსებობა, თავისთავად, არ არის საკმარისი გარანტია (იხ. *გიოჩი თურქეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §57)⁶²⁶. გარდა ამისა, აპელანტს უნდა მიეცეს დრო, რათა ეროვნულ სასამართლოს წარუდგინოს არგუმენტები და მტკიცებულებები (იხ. მაგალითად, *ადორისიო და სხვები ნიდერლანდების სამეფოს წინააღმდეგ* (განჩინება)⁶²⁷, აღნიშნულ საქმეში პირი დავობდა გასაჩივრებისთვის მცირე დროის არსებობის შესახებ).

⁶¹⁸ Donadze v. Georgia, N 74644/01, §35, 7 მარტი 2006;

⁶¹⁹ Kraska v. Switzerland, 19 აპრილი 1993, §30, Series A N 254-B;

⁶²⁰ Van de Hurk v. the Netherlands, 19 აპრილი 1994, §59, Series A N 288;

⁶²¹ Perez v. France [დიდი პალატა], N 47287/99, § 80, ECHR 2004-I;

⁶²² Kerojärvi v. Finland, 19 ივლისი 1995, § 42, Series A N 322;

⁶²³ Fretté v. France, N 36515/97, §49, ECHR 2002-I;

⁶²⁴ Göç v. Turkey [დიდი პალატა], N 36590/97, §57, ECHR 2002-V;

⁶²⁵ Kerojärvi v. Finland, 19 ივლისი 1995, § 42, Series A N 322;

⁶²⁶ Göç v. Turkey [დიდი პალატა], N 36590/97, §57, ECHR 2002-V;

⁶²⁷ Adorisio and Others v. the Netherlands (განჩინება), N 47315/13, 17 მარტი 2015;

223. ადმინისტრაციული ორგანოებისთვის დაკისრებული ვალდებულება: აპელანტისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანოების მფლობელობაში არსებული დოკუმენტები, საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნული მიღწეულ უნდა იქნეს დოკუმენტების გამჟღავნებისათვის საჭირო პროცედურის მეშვეობით (*მაქინლი და ეგანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §§ 86 და 90)⁶²⁸. როდესაც მოპასუხე სახელმწიფო, სათანადო მიზეზის არარსებობის პირობებში, აპელანტებს ხელს უშლის მის ხელთ არსებული დოკუმენტების გაცნობაში, რომლებიც გაამყარებდა ამ უკანასკნელთა პოზიციას ან მოჩვენებით უარყოფს აღნიშნული დოკუმენტების არსებობას, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის საწინააღმდეგოდ, ირღვევა სამართლიანი სასამართლოს უფლება (იქვე).

224. სამართალწარმოების, როგორც ერთი მთლიანობის, შეფასება: სამართალწარმოების სამართლიანობის დადგენა ხდება მთლიანობაში მისი შესწავლით (*ანკერლი შვეიცარიის წინააღმდეგ*, §38;⁶²⁹ *Centro Europa 7 S.R.L. და დი სტეფანო იტალიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §197⁶³⁰).

225. ამდენად, სამართალწარმოების სამართლიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარვეზი, გარკვეული პირობების საფუძველზე, შეიძლება გამოსწორებულ იქნეს შემდგომ ან იმავე დონეზე (*ჰელე ფინეთის წინააღმდეგ*, § 54)⁶³¹ ან ზედა ინსტანციის სასამართლოს მიერ (*შულერ-ზგრაგენი შვეიცარიის წინააღმდეგ*, §52;⁶³² *შედარება ალბერტი და ლო კომპტი ბელგიის წინააღმდეგ*, § 36;⁶³³ *ფელდბრუგე ნიდერლანდების სამეფოს წინააღმდეგ*, §§ 45-46⁶³⁴).

226. ნებისმიერ შემთხვევაში, თუ ხარვეზი არსებობს მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლეს დონეზე - მაგალითად, თუ არ არსებობს აღნიშნული ორგანოსთვის წარდგენილ დასკვნებზე პასუხის გაცემის შესაძლებლობა- ადგილი აქვს სამართლიანი სასამართლოს უფლების ხელყოფას (*რუიზ-მატეოსი ესპანეთის წინააღმდეგ*, §§ 65-67)⁶³⁵.

⁶²⁸ McGinley and Egan v. the United Kingdom, 9 ივნისი 1998, §§ 86 და 90, Reports of Judgments and Decisions 1998-III;

⁶²⁹ Ankerl v. Switzerland, 23 ოქტომბერი 1996, §38, Reports of Judgments and Decisions 1996-V;

⁶³⁰ Centro Europa 7 S.r.l. and Di Stefano v. Italy [დიდი პალატა], N 38433/09, § 197, ECHR 2012;

⁶³¹ Helle v. Finland, 19 დეკემბერი 1997, § 54, Reports of Judgments and Decisions 1997-VIII;

⁶³² Schuler-Zraggen v. Switzerland, 24 ივნისი 1993, § 52, Series A N 263;

⁶³³ Albert and Le Compte v. Belgium, 10 თებერვალი 1983, § 36, Series A N 58;

⁶³⁴ Feldbrugge v. the Netherlands, 29 მაისი 1986, §§ 45-46, Series A N 99;

⁶³⁵ Ruiz-Mateos v. Spain, 23 ივნისი 1993, §§65-67, Series A N 262;

227. პროცედურული ხარვეზები შეიძლება აღმოფხვრილ იქნეს მხოლოდ მაშინ, როდესაც სადავო გადაწყვეტილება ექვემდებარება იურისდიქციის მქონე დამოუკიდებელი სასამართლო ორგანოს მიერ განხილვას, რომელიც უზრუნველყოფს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფით მოთხოვნილ გარანტიებს. მნიშვნელოვანია საჩივრის განმხილველი სასამართლოს მიერ საჩივრის შესწავლის ფარგლები; შესწავლა უნდა განხორციელდეს საქმეში არსებული გარემოებების გათვალისწინებით (*ობერმეიერი ავსტრიის წინააღმდეგ*, § 70)⁶³⁶.

228. წინარე გადაწყვეტილებები, რომლებიც არ იცავს სამართლიანი სამართალწარმოების გარანტიებს: მსგავს შემთხვევებში არ წამოიჭრება საკითხი, იყო თუ არა აპლენტისთვის ხელმისაწვდომი სამართლებრივი დაცვის საშუალება დამოუკიდებელი სასამართლოს წინაშე, რომელსაც ჰქონდა სრული იურისდიქცია და რომელიც უზრუნველყოფდა კონვენციის 6.1 მუხლით გათვალისწინებულ გარანტიებს (*ოერლემანსი ნიდერლანდების სამეფოს წინააღმდეგ*, §§53-58;⁶³⁷ *British-American Tobacco Company Ltd ნიდერლანდების სამეფოს წინააღმდეგ*, §78⁶³⁸). მნიშვნელოვანია მსგავსი სამართლებრივი დაცვის საშუალების არსებობა, რომელიც პირს სთავაზობს საკმარის გარანტიებს (*Air Canada გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 62)⁶³⁹.

229. სააპელაციო სასამართლოს წინაშე: კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი ხელშემკვრელ სახელმწიფოებს არ აიძულებს, დაარსონ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოები, თუმცა სადაც ასეთი სასამართლოები არსებობს სახელმწიფოს მოეთხოვება, უზრუნველყოს, რომ დავის მხარეები აღნიშნული სასამართლოების წინაშე სარგებლობენ მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფით გათვალისწინებული ფუნდამენტური უფლებებით (*ანდრეიევა ლატვიის წინააღმდეგ [დიდი პალატა]*, § 97)⁶⁴⁰. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლოების წინაშე მიმდინარე სამართალწარმოებასთან მიმართებით მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის გამოყენების ფორმა დამოკიდებულია აღნიშნული სამართალწარმოების სპეციალურ მახასიათებლებზე; ყურადღება უნდა მიექცეს ეროვნულ მართლწესრიგში სამართალწარმოებას მთლიანობაში და, აგრეთვე, სააპელაციო სასამართლოს (*ჰელმერსი შვედეთის წინააღმდეგ*, § 31)⁶⁴¹ ან საკასაციო სასამართლოს როლს

⁶³⁶ Obermeier v. Austria, 28 ივნისი 1990, § 70, Series A N 179;

⁶³⁷ Oerlemans v. the Netherlands, 27 ნოემბერი 1991, §§53-58, Series A N 219;

⁶³⁸ British-American Tobacco Company Ltd v. the Netherlands, 20 ნოემბერი 1995, § 78, Series A N 331;

⁶³⁹ Air Canada v. the United Kingdom, 5 მაისი 1995, § 62, Series A N 316-A;

⁶⁴⁰ Andrejeva v. Latvia [დიდი პალატა], N 55707/00, § 97, ECHR 2009;

⁶⁴¹ Helmers v. Sweden, 29 ოქტომბერი 1991, § 31, Series A N 212-A;

(Levages Prestations Services საფრანგეთის წინააღმდეგ, §§44-45,⁶⁴² კ.დ.ბ. ნიდერლანდების წინააღმდეგ, § 41)⁶⁴³.

230. საკასაციო სასამართლოს როლის განსაკუთრებული ბუნების გათვალისწინებით, რომელიც საქმის განხილვისას შემოფარგლულია მხოლოდ იმის შემოწმებით თუ რამდენად სწორად იქნა კანონმდებლობა გამოყენებული, პროცედურა შეიძლება უფრო ფორმალური იყოს (*Levages Prestations Services საფრანგეთის წინააღმდეგ, §48*)⁶⁴⁴. საკასაციო სასამართლოს წინაშე სპეციალიზებული ადვოკატის სავალდებულოობასთან დაკავშირებული მოთხოვნა თავითავად არ ეწინააღმდეგება კონვენციის მე-6 მუხლს (*გ.ლ. და ს.ლ. საფრანგეთის წინააღმდეგ (განჩინება)*)⁶⁴⁵ *თაბორი პოლონეთის წინააღმდეგ, § 42*⁶⁴⁶).

231. შეზღუდვები: როგორც წესი, ფაქტების შეფასება ეროვნული სასამართლოს კომპეტენციას მიეკუთვნება: სტრასბურგის სასამართლოს ამოცანას არ წარმოადგენს ფაქტებთან დაკავშირებით საკუთარი შეფასებები გააკეთოს (*დომბო ბეჰერი ბ.ვ. ნიდერლანდების სამეფოს წინააღმდეგ, § 31*)⁶⁴⁷. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ მომჩივნებს აქვთ საკუთარი დასკვნების წარდგენის უფლება, რომლებსაც ისინი საქმესთან დაკავშირებით რელევანტურად მიიჩნევენ, მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი არ უზრუნველყოფს მომჩივნისთვის ხელსაყრელ შედეგს (*ანდრონიკუ და კონსტანტინუ კვიპროსის წინააღმდეგ, §201*)⁶⁴⁸. გარდა ამისა, 6.1 მუხლი სასამართლოებისგან არ მოითხოვს, გადაწყვეტილების ტექსტში მიუთითონ დეტალური ინფორმაცია გასაჩივრების შესაძლებლობის და ვადების თაობაზე (*ავოტინში ლატვიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], § 123)⁶⁴⁹.

232. სასამართლომ შეიძლება დაადგინოს, რომ აპლიკანტმა, უმოქმედობის ან არაგულისხმიერი დამოკიდებულების შედეგად, დიდი წვლილი შეიტანა გასაჩივრებულ სიტუაციაში, რომლის თავიდან არიდებაც მას შეეძლო (*ავოტინში*

⁶⁴² *Levages Prestations Services v. France*, 23 ოქტომბერი 1996, §§44-45, Reports of Judgments and Decisions 1996-V;

⁶⁴³ *K.D.B. v. the Netherlands*, 27 მარტი 1998, § 41, Reports of Judgments and Decisions 1998-II;

⁶⁴⁴ *Levages Prestations Services v. France*, 23 ოქტომბერი 1996, §48, Reports of Judgments and Decisions 1996-V;

⁶⁴⁵ *G.L. and S.L. v. France (განჩინება)*, N 58811/00, ECHR 2003-III (extracts);

⁶⁴⁶ *Tabor v. Poland*, N 12825/02, § 42, 27 ივნისი 2006;

⁶⁴⁷ *Dombo Beheer B.V. v. the Netherlands*, 27 ოქტომბერი 1993, §31, Series A N 274;

⁶⁴⁸ *Andronicou and Constantinou v. Cyprus*, 9 ოქტომბერი 1997, § 201, Reports of Judgments and Decisions 1997-VI;

⁶⁴⁹ *Avotiņš v. Latvia* [დიდი პალატა], N 17502/07, §§123, ECHR 2016;

ლატვიის წინააღმდეგ [დიდი პალატა] §§ 123-24;⁶⁵⁰ ბარიკ ედიდი ესპანეთის წინააღმდეგ (განჩინება), §45;⁶⁵¹ და შესადარებლად ზავოდნიკი სლოვენის წინააღმდეგ, §§ 79-80⁶⁵²).

233. გამოჩენის თეორია: ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა მართლმსაჯულების ადმინისტრაციის ეფექტიანად გამოჩენის მნიშვნელობას; მნიშვნელოვანია, დავრწმუნდეთ, რომ სამართალწარმოების სამართლიანობა აშკარაა. სტრასბურგის სასამართლომ განაცხადა, რომ სამართალწარმოების მონაწილე მხარეების თვალსაზრისი თავისთავად არ არის გადაწყვეტი; სამართალწარმოების სამართლიანობასთან დაკავშირებით პირთა შიშები შეიძლება ობიექტურად გამართლებული იყოს (*კრასკა შვეიცარიის წინააღმდეგ*, §32)⁶⁵³. შესაბამისად, საჭიროა გამოკვლევულ იქნეს როგორ განიხილა სასამართლომ საქმე.

234. სხვა შემთხვევებში, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მართლმსაჯულების სამართლიან განხორციელებასთან დაკავშირებით საზოგადოების სენსიტიურობის გაზრდა ამართლებდა მართლმსაჯულების ეფექტიანად აღსრულების გამოჩენისთვის მინიჭებულ მნიშვნელობას (*კრესი საფრანგეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა]*, § 82;⁶⁵⁴ *მარტინიე საფრანგეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა]*, §53;⁶⁵⁵ *მენჩინსკაია რუსეთის წინააღმდეგ*, §32)⁶⁵⁶. სტრასბურგის სასამართლომ მართლმსაჯულების ეფექტიანად აღსრულების გამოჩენაზე ყურადღება გაამახვილა მოცემულ საქმეებში: (იხ. ასევე *ვერმოლენი ბელგიის წინააღმდეგ*, § 34;⁶⁵⁷ *ლობო მაჩადო პორტუგალიის წინააღმდეგ*, § 32⁶⁵⁸).

235. სასამართლო პრაქტიკა: იმისათვის, რომ მხედველობაში მიიღოს ეროვნული მართლწესრიგი, ევროპული სასამართლო ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სასამართლო პრაქტიკას ეროვნული კანონმდებლობის კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ პარაგრაფთან შესაბამისობის განხილვისას (*კეროიარვი ფინეთის წინააღმდეგ*, §42;⁶⁵⁹ *გორუ საბერძნეთის წინააღმდეგ* (No. 2) [დიდი პალატა], §32⁶⁶⁰). მართლაც, საქმის

⁶⁵⁰ Avotiņš v. Latvia [დიდი პალატა], N 17502/07, §§123-24, ECHR 2016;

⁶⁵¹ Barik Edidi v. Spain (განჩინება), N 21780/13, §45, 26 აპრილი 2016;

⁶⁵² Zavodnik v. Slovenia, N 53723/13, §§79-80, 21 მაისი 2015;

⁶⁵³ Kraska v. Switzerland, 19 აპრილი 1993, §32, Series A N 254-B;

⁶⁵⁴ Kress v. France [დიდი პალატა], N 39594/98, § 82, ECHR 2001-VI;

⁶⁵⁵ Martinie v. France [დიდი პალატა], N 58675/00, § 53, ECHR 2006;

⁶⁵⁶ Menchinskaya v. Russia, N 42454/02, § 32, 15 იანვარი 2009;

⁶⁵⁷ Vermeulen v. Belgium, 20 თებერვალი 1996, § 34, Reports of Judgments and Decisions 1996-I;

⁶⁵⁸ Lobo Machado v. Portugal, 20 თებერვალი 1996, § 32, Reports of Judgments and Decisions 1996-I;

⁶⁵⁹ Kerojärvi v. Finland, 19 ივლისი 1995, § 42, Series A N 322;

⁶⁶⁰ Gorou v. Greece (N 2) [დიდი პალატა], N 12686/03, § 32, 20 მარტი 2009;

ზოგადი ფაქტობრივი და სამართლებრივი ფონი არ უნდა დარჩეს ყურადღების მიღმა, როდესაც ხდება იმის შეფასება, სამართალწარმოების მხარეებისთვის უზრუნველყოფილი იყო თუ არა სამართლიანი განხილვა (*სტანკიევიჩი პოლონეთის წინააღმდეგ*, § 70)⁶⁶¹.

236. ეროვნულ ხელისუფლებას, ეროვნული უსაფრთხოების ან ტერორიზმის საფუძველზე, არ შეუძლია თავიდან აირიდოს სასამართლოების მიერ ეფექტური კონტროლის განხორციელება: არსებობს საშუალებები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ეროვნული უსაფრთხოების, აგრეთვე პირის პროცედურული უფლებების დაცვისათვის (*დალთეკინი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ*, §34)⁶⁶².

237. სამართალწარმოების შედეგის პრინციპული დამოუკიდებლობა: მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის პროცედურული გარანტიები ვრცელდება პროცესის ყველა მონაწილეზე და არა მხოლოდ მათზე, ვინც ეროვნულ სასამართლოებში საქმე წააგო (*ფილისი საბერძნეთის წინააღმდეგ* (No. 2), § 45)⁶⁶³.

მაგალითები:

238. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი მოიცავს სხვადასხვა შემთხვევებს, მათ შორის:

239. სასამართლოს მიერ სააპელაციო სასამართლოსთვის წარდგენილი დასკვნები აშკარად მიზნად ისახავს გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენას: მხარეებს უნდა ჰქონდეთ დასკვნებთან მიმართებით კომენტარების გაკეთების საშუალება, მიუხედავად იმისა თუ რა რეალური გავლენა შეიძლება მოახდინოს კომენტარებმა სასამართლოზე; მაშინაც კი, როდესაც დასკვნები არ შეიცავს რაიმე ფაქტს ან არგუმენტს, რომელიც სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით არ იყო მოცემული გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში (*ნიდეროსტ-ჰუბერი შვეიცარიის წინააღმდეგ*, §§ 26-32)⁶⁶⁴ ან მოპასუხე სახელმწიფოს (*APEH Üldözötteinek Szövetsége და სხვები უნგრეთის წინააღმდეგ*, §42)⁶⁶⁵ მიერ სტრასბურგის სასამართლოს წინაშე დაფიქსირებულ პოზიციაში.

⁶⁶¹ Stankiewicz v. Poland, N 46917/99, § 70, ECHR 2006-VI;

⁶⁶² Dağtekin and Others v. Turkey, N 70516/01, §34, 13 დეკემბერი 2007;

⁶⁶³ Philis v. Greece (N 2), 27 თებერვალი 1997, § 45, Reports of Judgments and Decisions 1997-IV;

⁶⁶⁴ Nideröst-Huber v. Switzerland, 18 თებერვალი 1997, §§26-32, Reports of Judgments and Decisions 1997-I;

⁶⁶⁵ APEH Üldözötteinek Szövetsége and Others v. Hungary, N 32367/96, § 42, ECHR 2000-X;

240. პირველადი კითხვები: კონვენცია არ უზრუნველყოფს უფლებას, რომ ეროვნულმა სასამართლომ საქმე გადასცეს სხვა ეროვნულ ან საერთაშორისო სასამართლოს წინასწარი გადაწყვეტილებისთვის (*კოემი და სხვები ბელგიის წინააღმდეგ*, § 114)⁶⁶⁶.

241. შესაბამისად, კონვენციის 6.1 მუხლი არ უზრუნველყოფს აბსოლუტურ უფლებას, რომ ეროვნულმა სასამართლომ საქმე განსახილველად გადასცეს ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) (*დოტა იტალიის წინააღმდეგ (განჩინება)*)⁶⁶⁷. სადაც არსებობს პირველადი მიმართვის მექანიზმი, ეროვნული სასამართლოს უარმა, მოითხოვოს პირველადი განხილვა, გარკვეულ გარემოებებში, შეიძლება დაარღვიოს სამართლიანი განხილვის უფლება (*Ullens de Schooten და რეზაბეკი ბელგიის წინააღმდეგ*, §§57-67)⁶⁶⁸. აღნიშნული უფლება ირღვევა, როდესაც უარი თვითნებურია:

- იქ, სადაც ნებართვა არ გაიცა იმის მიუხედავად, რომ მოქმედი წესები არ ითვალისწინებდა პირველადი მიმართვის პრინციპიდან გამონაკლისს ან რაიმე ალტერნატივას აღნიშნულთან დაკავშირებით;
- როდესაც უარი დაფუძნებულია ისეთ მიზეზებზე, რომელიც არ არის კანონით დადგენილი;
- ან როდესაც ნებართვის გაუცემლობა, ზემოთ ხსენებული წესების შესაბამისად, არ იყო სათანადოდ დასაბუთებული.

242. მიუთითებს რა ზემოთ ხსენებულ პრეცედენტულ სამართალზე, ევროპული სასამართლო იხილავს, იყო თუ არა უარი თვითნებური (*კანელა სანტიაგო ესპანეთის წინააღმდეგ (განჩინება)*)⁶⁶⁹. გადაწყვეტილება საქმეზე *ვერგოვენნი და სხვები ბელგიის წინააღმდეგ (განჩინება)*⁶⁷⁰ ადგენს შემდეგს (§§ 87-92):

- კონვენციის 6.1 მუხლი ეროვნული სასამართლოებისგან მოითხოვს, გამოყენებადი სამართლის საფუძველზე, მიუთითონ მიზეზები, რომელთა საფუძველზეც უარს აცხადებენ საქმის გადაცემაზე წინასწარი გადაწყვეტილების მისაღებად;
- როდესაც აღნიშნულ საფუძველზე სტრასბურგის სასამართლო იხილავს კონვენციის 6.1 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით წარდგენილ საჩივარს,

⁶⁶⁶ Coëme and Others v. Belgium, N 32492/96 და 4 სხვა, § 114, ECHR 2000-VII;

⁶⁶⁷ Dotta v. Italy (განჩინება), N 38399/97, 7 სექტემბერი 1999;

⁶⁶⁸ Ullens de Schooten and Rezabek v. Belgium, nos. 3989/07 და 38353/07, §§57-67, 20 სექტემბერი 2011;

⁶⁶⁹ Canela Santiago v. Spain (განჩინება), N 60350/00, 4 ოქტომბერი 2001;

⁶⁷⁰ Vergauwen v. Belgium and Others (განჩინება), N 4832/04, 10 აპრილი 2012;

მისი ამოცანაა, უზრუნველყოს, რომ გასაჩივრებულ უარს თან ახლდა შესაბამისი დასაბუთება;

- მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულის შეფასება უნდა მოხდეს საფუძვლიანად, სტრასბურგის სასამართლოს ამოცანას არ წარმოადგენს გამოიკვლიოს შეცდომები, რომლებიც შესაძლოა ეროვნულ სასამართლოებს დაემშავათ შესაბამისი სამართლის განმარტების ან გამოყენების დროს;
- რაც ნიშნავს იმას, რომ ევროკავშირის ფარგლებში ეროვნულ სასამართლოებს, რომელთა მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით არ არსებობს სამართლებრივი დაცვის საშუალება და რომლებიც უარს აცხადებენ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადასცენ საკითხი განსახილველად, მოეთხოვებათ მიუთითონ საქმის გადაცემაზე უარის თქმის მიზეზები, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკით დადგენილი გამონაკლისების გათვალისწინებით. ამრიგად, ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა ნათელყონ მიზეზები, რატომ მიიჩნიეს, რომ განსახილველი ევროკავშირის სამართლის დებულება უკვე განმარტებულია ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ და ევროკავშირის სამართლის გამოყენების ჭეშმარიტება იმდენად ნათელია, რომ არ ტოვებს გონივრული ეჭვის საფუძველს.

243. გადაწყვეტილებაში საქმეზე *დაჰბი იტალიის წინააღმდეგ*⁶⁷¹ სტრასბურგის სასამართლომ პირველად დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა იმის გამო, რომ ეროვნულ სასამართლოს არ ჰქონდა მითითებული მიზეზები, რომელთა საფუძველზეც უარი განაცხადა საკითხის ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსთვის გადაცემაზე. საკასაციო სასამართლომ ყურადღების მიღმა დატოვა მომჩივნის მოთხოვნა, მართლმსაჯულების ევროკავშირის სასამართლოსთვის საკითხის გადაცემის შესახებ, ასევე არ მიუთითა მიზეზები, რატომ ჩათვალა, რომ აღნიშნული საკითხი არ იყო მნიშვნელოვანი; ეროვნულმა სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას ასევე არ მოიხმო ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკა. შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებიდან არ იკვეთებოდა, სადავო საკითხი მიჩნეულ იქნა თუ არა შეუსაბამოდ ან იმ დებულებასთან კავშირში მყოფად, რომელიც ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს უკვე განმარტებული ჰქონდა და ნათელი იყო თუ ის უბრალოდ ყურადღების მიღმა დატოვეს (§§ 32-34).

⁶⁷¹ Dhahbi v. Italy, N 17120/09, 8 აპრილი 2014;

244. ცვლილებები ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში: სამართლებრივი სიცხადისა და ლეგიტიმური მოლოდინის დაცვის მოთხოვნა არ მოიცავს დადგენილ სასამართლო პრაქტიკაზე უფლებას (*უნედიკი საფრანგეთის წინააღმდეგ*, §74)⁶⁷². სასამართლო პრაქტიკის განვითარება, თავისთავად, წინააღმდეგობაში არ მოდის მართლმსაჯულების სათანადოდ ადმინისტრირებასთან ((*ლუპენი ბერძნული კათოლიკური სამრევლო და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], § 116)⁶⁷³, ვინაიდან დინამიური და ევოლუციური მიდგომის გამოუყენებლობა ხელს შეუშლიდა ნებისმიერ რეფორმას ან გაუმჯობესებას (*ნეჯდეტ შაჰინი და ფერიჰან შაჰინი თურქეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §58;⁶⁷⁴ ალბუ და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ, § 34⁶⁷⁵). გადაწყვეტილებაში საქმეზე *ატანასოვსკი მაკედონიის ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკის წინააღმდეგ*, §38⁶⁷⁶ სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ კარგად დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის არსებობა უზენაეს სასამართლოებს აკისრებდა ვალდებულებას, სასამართლო პრაქტიკიდან გადახვევის შემთხვევაში მიეთითებინა დასაბუთებული მიზეზები აღნიშნული ქმედების გასამართლებლად; მიზეზების მიუთითებლობა დაარღვევს პირის უფლებას სათანადოდ დასაბუთებული გადაწყვეტილების შესახებ. ზოგიერთ საქმეებში ეროვნული სასამართლო პრაქტიკის ცვლილებამ, რომელიც გავლენას ახდენს განსახილველ სამოქალაქო სამართალწარმოებაზე, შესაძლოა კონვენციის დარღვევა განაპირობოს (*პეტკო პეტკოვი ბულგარეთის წინააღმდეგ*, §§ 32-34)⁶⁷⁷.

245. ეროვნულ სასამართლოებს ან ერთსა და იმავე სასამართლოს შორის განსხვავებული პრაქტიკის არსებობა თავისთავად არ არის კონვენციასთან შეუსაბამო (*ნეჯდეტ შაჰინი და ფერიჰან შაჰინი თურქეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §51⁶⁷⁸, და (*ლუპენი ბერძნული კათოლიკური სამრევლო და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §116⁶⁷⁹). თუმცა, სტრასბურგის სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმგვარი მექანიზმების შექმნის მნიშვნელობაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ სასამართლოების პრაქტიკის თანმიმდევრულობასა და ერთგვაროვნებას. კონვენციის ხელშემკვრელი მხარეების ვალდებულებაა, საკუთარი

⁶⁷² Unédic v. France, N 20153/04, § 74, 18 დეკემბერი 2008;

⁶⁷³ Lupeni Greek Catholic Parish and Others v. Romania [დიდი პალატა], N 76943/11, §116, ECHR 2016 (extracts);

⁶⁷⁴ Nejdett Şahin and Perihan Şahin v. Turkey [დიდი პალატა], N 13279/05, § 58, 20 ოქტომბერი 2011;

⁶⁷⁵ Albu and Others v. Romania, N 34796/09 და 63 სხვა, § 34, 10 მაისი 2012;

⁶⁷⁶ Atanasovski v. the former Yugoslav Republic of Macedonia, N 36815/03, § 38, 14 იანვარი 2010;

⁶⁷⁷ Petko Petkov v. Bulgaria, N 2834/06, §§32-34, 19 თებერვალი 2013;

⁶⁷⁸ Nejdett Şahin and Perihan Şahin v. Turkey [დიდი პალატა], N 13279/05, § 51, 20 ოქტომბერი 2011;

⁶⁷⁹ Lupeni Greek Catholic Parish and Others v. Romania [დიდი პალატა], N 76943/11, §116, ECHR 2016 (extracts);

ეროვნული მართლწესრიგი ისე მოაწყონ, რომ თავიდან აირიდონ შეუსაბამო გადაწყვეტილებების მიღება (*ნეჯდეტ შაჰინი და ფერიჰან შაჰინი თურქეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], § 55)⁶⁸⁰.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ფუნქციას არ წარმოადგენს ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებების შედარება, თუნდაც ისინი მიღებული იყოს მსგავსი ან ერთმანეთთან დაკავშირებული სამართალწარმოების შედეგად; მან პატივი უნდა სცეს ეროვნული სასამართლოების დამოუკიდებლობას. სტრასბურგის სასამართლომ განმარტა, რომ ორ დავასთან მიმართებით სხვადასხვა გადაწყვეტილების მიღება არ იწვევს ეროვნული პრაქტიკის არაერთგვაროვნებას, როდესაც განსხვავებული გადაწყვეტილებების მიღება განპირობებულია დავის ფაქტობრივი გარემოებებით (*ჰაიათი ჩელები და სხვები თურქეთის წინააღმდეგ*, §52⁶⁸¹, და *ფერეირა სანდტოს პარდალი პორტუგალიის წინააღმდეგ*, § 42⁶⁸²).

- გადაწყვეტილება საქმეზე *ნეჯდეტ შაჰინი და ფერიჰან შაჰინი თურქეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა]⁶⁸³ ეხებოდა ორი განცალკევებული, დამოუკიდებელი და იერარქიულად შემხებლობაში არ მყოფი უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებს. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ წინაშე ინდივიდუალური საჩივრის წარდგენის შესაძლებლობა ვერ იქნებოდა გამოყენებული როგორც საშუალება, რომელიც აღმოფხვრავს ან გაუმკლავდება ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში არსებულ არაერთგვაროვნებას; ინდივიდუალური საჩივარი ასევე ვერ მიიჩნევა ისეთ მექანიზმად, რომელიც გამოასწორებს სხვადასხვა ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებებს შორის არსებულ შეუსაბამობებს (§ 95).
- გადაწყვეტილება საქმეზე (*ლუპენი ბერძნული კათოლიკური სამრევლო და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა]⁶⁸⁴ ეხებოდა უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში არსებულ „საფუძვლიან განსხვავებას“ და იმგვარი მექანიზმის გამოუყენებლობას, რომელიც უზრუნველყოფდა სასამართლო პრაქტიკის ჰარმონიზაციას. სტრასბურგის სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა ქვეყნის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოში თანმიმდევრული პრაქტიკის არსებობის მნიშვნელობა, რათა არ წარმოიქმნას ეჭვები სამართლებრივ სიცხადესთან მიმართებით. აღნიშნული პრინციპი, რომელიც ნაგულვებია

⁶⁸⁰ Nejdet Şahin and Perihan Şahin v. Turkey [დიდი პალატა], N 13279/05, § 55, 20 ოქტომბერი 2011;

⁶⁸¹ Hayati Çelebi and Others v. Turkey, N 582/05, § 52, 9 თებერვალი 2016;

⁶⁸² Ferreira Alves v. Portugal, N 53937/00, § 42, 27 თებერვალი 2003;

⁶⁸³ Nejdet Şahin and Perihan Şahin v. Turkey [დიდი პალატა], N 13279/05, 20 ოქტომბერი 2011;

⁶⁸⁴ Lupeni Greek Catholic Parish and Others v. Romania [დიდი პალატა], N 76943/11, ECHR 2016 (extracts);

კონვენციის ყველა მუხლში, კანონის უზენაესობის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ასპექტს წარმოადგენს. კონფლიქტურ სასამართლო გადაწყვეტილებს შეუძლია შექმნას სამართლებრივი გაურკვეველობა, რომელიც შეამცირებს სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობას, როდესაც მსგავსი ნდობის არსებობა არის კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული სახელმწიფოს უმთავრესი კომპონენტი (§ 116).

246. ეროვნული სასამართლოს მიერ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების განმარტება: გადაწყვეტილებაში საქმეზე *ბოჩანი უკრაინის წინააღმდეგ* (N2) [დიდი პალატა]⁶⁸⁵ გამოყენებადი სამართლებრივი ჩარჩო აპლიკანტისთვის უზრუნველყოფდა სამართლებრივი დაცვის საშუალებას, რომლის მეშვეობით მის სამოქალაქო საქმეს განიხილავდა უზენაესი სასამართლო, სტრასბურგის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მხედველობაში მიღებით. მიუხედავად ამისა, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ უზენაესმა სასამართლომ „არასწორად განმარტა“ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. ეს არ ნიშნავდა იმას, რომ სამართლებრივი ტექსტი უბრალოდ არასწორად წაიკითხეს, არამედ ის არასწორად იქნა განმარტებული. შესაბამისად, ეროვნული სასამართლოს დასაბუთება შეიძლებოდა მოხსენიებული ყოფილიყო როგორც „თვითნებური“ ან „მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმის“ შემცველი და ის არღვევდა კონვენციის 6.1 მუხლს (*ბოჩანი უკრაინის წინააღმდეგ* (N2) [დიდი პალატა], §§ 63-65)⁶⁸⁶.

247. *კანონის ძალაში შესვლა მაშინ, როდესაც მოპასუხე სახელმწიფოს მონაწილეობით საქმის წარმოება კვლავ მიმდინარეობს*: სტრასბურგის სასამართლო განსაკუთრებით ყურადღებიანია რეტროსპექტული ძალის მქონე კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებულ საფრთხეებთან მიმართებით; აღნიშნულ კანონმდებლობას გავლენა აქვს სასამართლო გადაწყვეტილების განსაზღვრაზე იმ დავასთან მიმართებით, სადაც სახელმწიფო მხარეს წარმოადგენს. ამ გავლენამ შესაძლოა განსახილველი დავა მოგების პერსპექტივის გარეშე დატოვოს. ნებისმიერი მიზეზი, რომელიც შეიძლება მოყვანილ იქნეს მსგავსი ღონისძიების გასამართლებლად, დაწვრილებით უნდა შეისწავლოს (*National & Provincial Building Society, Leeds Permanent Building Society and Yorkshire Building Society გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §112)⁶⁸⁷. პრინციპში, სამოქალაქო საქმეებში კანონმდებლობას არ ეკრძალება მიიღოს ახალი

⁶⁸⁵ *Bochan v. Ukraine* (N 2) [დიდი პალატა], N 22251/08, ECHR 2015;

⁶⁸⁶ იქვე, §§ 63-65;

⁶⁸⁷ *National & Provincial Building Society, Leeds Permanent Building Society and Yorkshire Building Society v. the United Kingdom*, 23 ოქტომბერი 1997, §112, Reports of Judgments and Decisions 1997-VII;

რეტროსპექტული დებულებები, რათა დაარეგულიროს არსებული კანონებიდან გამომდინარე უფლებები. თუმცა, კონვენციის მე-6 მუხლი კრძალავს კანონმდებლობის ნებისმიერი ხასიათის ჩარევას მართლმსაჯულების აღსრულებაში, რომელიც მიზნად ისახავს სასამართლო გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს „საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე მყარი საფუძვლები“ (*ზიელინსკი და პრადალი და გონზალესი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა]*, §57;⁶⁸⁸ *სკორდინო იტალიის წინააღმდეგ (No. 1) [დიდი პალატა]*, §126⁶⁸⁹).

სტრასბურგის სასამართლომ დარღვევა დაადგინა ქვემოთ მოყვანილ შემთხვევებში:

- კანონმდებლობის მეშვეობით განხორციელებული ჩარევა - ჩარევა იმ დროს განხორციელდა, როდესაც სახელმწიფოს მონაწილეობით სასამართლოს წინაშე დავა ცხრა წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და როდესაც აპლიკანტებს ხელთ ეპყრათ საბოლოო, აღსასრულებელი გადაწყვეტილება სახელმწიფოს წინააღმდეგ - რათა გავლენა მოეხდინა საქმის შედეგზე (*Stran Greek Refineries and Stratis Andreadis საბერძნეთის წინააღმდეგ*, §§ 49-50)⁶⁹⁰;
- კანონმდებლობა, რომელიც გადამწყვეტ გავლენას ახდენდა საქმის საბოლოო შედეგზე, სახელმწიფოს სასარგებლოდ (*ზიელინსკი და პრადალი და გონზალესი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა]*, § 59)⁶⁹¹;
- საკასაციო სასამართლოს წინაშე მიმდინარე სამართალწარმოების გადამწყვეტ ეტაპზე კანონის მიღება, რომელიც პრაქტიკული მიზნებისათვის გადაჭრიდა მნიშვნელოვან საკითხებს და სამართალწარმოების გაგრძელებას აზრს უკარგავდა (*პაპაგეორგიუ საბერძნეთის წინააღმდეგ*)⁶⁹²;
- სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც, დამატებით, ეყრდნობოდა კანონს, რომელიც სამართალწარმოების მიმდინარეობის დროს მიიღეს და რომელიც გავლენას ახდენდა სამართალწარმოების შედეგზე (*ანაგნოსტოპულოსი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ*, §§ 20-21)⁶⁹³.
- სახელმწიფოს მიერ რეტროსპექტული კანონმდებლობის გამოყენება, რომელიც გავლენას ახდენდა სასამართლოს მიერ განსახილველი საქმის შედეგზე,

⁶⁸⁸ Zielinski and Pradal and Gonzalez and Others v. France [დიდი პალატა], N 24846/94 და 34165/96 to 34173/96, § 57, ECHR 1999-VII;

⁶⁸⁹ Scordino v. Italy (N 1) [დიდი პალატა], N 36813/97, § 126, ECHR 2006-V;

⁶⁹⁰ Stran Greek Refineries and Stratis Andreadis v. Greece, 9 დეკემბერი 1994, §§49-50, Series A N 301-B;

⁶⁹¹ Zielinski and Pradal and Gonzalez and Others v. France [დიდი პალატა], N 24846/94 და 34165/96 to 34173/96, § 59, ECHR 1999-VII;

⁶⁹² Papageorgiou v. Greece, 22 ოქტომბერი 1997, Reports of Judgments and Decisions 1997-VI;

⁶⁹³ Anagnostopoulos and Others v. Greece, N 39374/98, §§20-21, ECHR 2000-XI;

რომლის მხარესაც სახელმწიფო წარმოადგენდა; სახელმწიფოს არ წარმოუდგენია „საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე მყარი საფუძვლები“, რომელიც გაამართლებდა რეტროსპექტული კანონმდებლობის გამოყენებას. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ფინანსური საკითხები ვერ მიცემდა საკანონმდებლო ორგანოს უფლებამოსილებას დაეკავებინათ სასამართლოების ადგილი და გადაეწყვიტათ დავები (*Azienda Agricola Silverfunghi S.a.s. და სხვები იტალიის წინააღმდეგ*, §§ 76 და 88-89)⁶⁹⁴.

თუმცა, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი ვერ იქნება იმგვარად განმარტებული, რომ იგი კრძალავს ხელისუფლების ორგანოს მხრიდან ნებისმიერ ჩარევას იმ მიმდინარე სამართალწარმოებაში, სადაც ეს უკანასკნელი მხარეს წარმოადგენს. ევროპულმა სასამართლომ, სხვა საქმეებზე დაადგინა, რომ დასკვნები, რომელთაც ეყრდნობოდა მოპასუხე სახელმწიფო, ეფუძნებოდა საზოგადოებრივი ინტერესის მოტივებს, რომელიც მოითხოვდა კანონის უკუძალის გამოყენების გამართლებას (*National & Provincial Building Society, Leeds Permanent Building Society and Yorkshire Building Society გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 112;⁶⁹⁵ *Forrer-Niedenthal გერმანიის წინააღმდეგ*, §64;⁶⁹⁶ *OGISInstitut Stanislas, OGEC Saint-Pie X and Blanche de Castille და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ*, §§71-72;⁶⁹⁷ *EEG-Slachthuis Verbist Izegem ბელგიის წინააღმდეგ (განჩინება)*⁶⁹⁸).

248. აღნიშნული პრაქტიკა, აგრეთვე, ვრცელდება ისეთ საქმეებზე, სადაც სახელმწიფო, მიუხედავად იმისა, რომ არ არის დავის მონაწილე, საკანონმდებლო ხელისუფლების მეშვეობით სამართალწარმოებას აზრს უკარგავს (*დუკრეტი საფრანგეთის წინააღმდეგ*, §§ 33-42)⁶⁹⁹.

249. საკანონმდებლო ჩარევის სხვა ფორმები:

- კანონი შეიძლება მიღებულ იქნეს საქმის წარმოების დაწყებამდე (*Organisation nationale des syndicats d'infirmiers libéraux (O.N.S.I.L.) საფრანგეთის წინააღმდეგ*

⁶⁹⁴ *Azienda Agricola Silverfunghi S.a.s. and Others v. Italy*, N 48357/07 და 3 სხვა, §§ 76 და 88-89, 24 ივნისი 2014;

⁶⁹⁵ *National & Provincial Building Society, Leeds Permanent Building Society and Yorkshire Building Society v. the United Kingdom*, 23 ოქტომბერი 1997, § 112, Reports of Judgments and Decisions 1997-VII;

⁶⁹⁶ *Forrer-Niedenthal v. Germany*, N 47316/99, § 64, 20 თებერვალი 2003;

⁶⁹⁷ *OGIS-Institut Stanislas, OGEC Saint-Pie X and Blanche de Castille and Others v. France*, N 42219/98 და 54563/00, §§71-72, 27 მაისი 2004;

⁶⁹⁸ *EEG-Slachthuis Verbist Izegem v. Belgium (განჩინება)*, N60559/00, ECHR 2005-XII;

⁶⁹⁹ *Ducret v. France*, N 40191/02, §§ 33-42, 12 ივნისი 2007;

(განჩინება)⁷⁰⁰ ან დასრულების შემდეგ (პრედა და დარდარი იტალიის წინააღმდეგ (განჩინება)⁷⁰¹, რაც არ წარმოშობს მე-6 მუხლიდან გამომდინარე საკითხს;

- ზოგადი კანონმდებლობის მიღებას შესაძლოა, დანამდვილებით არასახარბიელო შედეგი ჰქონდეს დავის მონაწილე მხარეებისთვის, თუმცა რეალურად მისი მიღების მიზანი არ იყოს მიმდინარე სასამართლო პროცესზე გავლენის მოხდენა და კანონის უზენაესობის პრინციპის საწინააღმდეგოდ მოქმედება (გორაიზ ლიზარაგა და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ, § 72)⁷⁰²;
- სამართალწარმოების მიმდინარეობის დროს, სასამართლო პროცესზე ზეგავლენის მოხდენის განზრახვის გარეშე, კანონი შეიძლება არაკონსტიტუციურად იქნეს მიჩნეული (დოლკა და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ (განჩინება)⁷⁰³.

250. უზენაესი სასამართლოს წინაშე მიმდინარე დავის მონაწილეებისთვის „ეროვნული იურიდიული სამსახურის დამოუკიდებელი წევრის“ დასკვნის გადაუცემლობა (პროკურატურის განყოფილების წევრები: ვერმოლენი ბელგიის წინააღმდეგ⁷⁰⁴, ვან ორშოვენ ბელგიის წინააღმდეგ⁷⁰⁵; კ.დ.ბ. ნიდერლანდების სამეფოს წინააღმდეგ⁷⁰⁶ - მთავარი პროკურორი/გენერალური პროკურორი: გოჩი თურქეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა]⁷⁰⁷; ლობო მაჩადო პორტუგალიის წინააღმდეგ⁷⁰⁸ – მთავრობის კომისარი: კრესი საფრანგეთის წინააღმდეგ⁷⁰⁹; მარტინიე საფრანგეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა]⁷¹⁰, და ასეთ დასკვნაზე პასუხის გაცემის შესაძლებლობის არ ქონა: ბევრი მოპასუხე სახელმწიფო ამტკიცებდა, რომ ეროვნული იურიდიული სამსახურის წევრები არც სამართალწარმოების მხარეები იყვნენ და არც მხარეთა მოკავშირეები ან მოწინააღმდეგეები, თუმცა სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ყურადღება უნდა მიექცეს სამართალწარმოებაში აღნიშნული პირების როლს, კერძოდ, მათ მიერ წადგენილი დასკვნების შინაარსა და ეფექტს

⁷⁰⁰ Organisation nationale des syndicats d’infirmiers libéraux (O.N.S.I.L.) v. France (განჩინება), N 39971/98, 29 აგვისტო 2000;

⁷⁰¹ Preda and Dardari v. Italy (განჩინება), N 28160/95 and 28382/95, ECHR 1999-III;

⁷⁰² Gorraiz Lizarraga and Others v. Spain, N 62543/00, § 72, ECHR 2004-III;

⁷⁰³ Dolca and Others v. Romania (განჩინება), N 59282/11, 4 სექტემბერი 2012;

⁷⁰⁴ Vermeulen v. Belgium, 20 თებერვალი 1996, § 34, Reports of Judgments and Decisions 1996-I;

⁷⁰⁵ Van Orshoven v. Belgium, 25 ივნისი 1997, Reports of Judgments and Decisions 1997-III;

⁷⁰⁶ K.D.B. v. the Netherlands, 27 მარტი 1998, Reports of Judgments and Decisions 1998-II;

⁷⁰⁷ Göç v. Turkey [დიდი პალატა], N 36590/97, §57, ECHR 2002-V;

⁷⁰⁸ Lobo Machado v. Portugal, 20 თებერვალი 1996, Reports of Judgments and Decisions 1996-I;

⁷⁰⁹ Kress v. France [დიდი პალატა], N 39594/98, ECHR 2001-VI;

⁷¹⁰ Martinie v. France [დიდი პალატა], N 58675/00, ECHR 2006;

(ვერმოლენი ბელგიის წინააღმდეგ, § 31; ⁷¹¹ კრესი საფრანგეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა], § 71⁷¹²).

251. სტრასბურგის სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა შეჯიბრებითი სამართალწარმოების მნიშვნელობა იმ საქმეებში, სადაც სამოქალაქო საქმესთან დაკავშირებული ეროვნული იურიდიული სამსახურის დამოუკიდებელი წევრის დასკვნები, წინასწარ არ გადაეცა მხარეებს, რამაც მათ პასუხის გაცემის შესაძლებლობა ჩამოართვა (ვერმოლენი ბელგიის წინააღმდეგ, §33⁷¹³; ლობო მაჩადო პორტუგალიის წინააღმდეგ, §31⁷¹⁴; ვან ორშოვენი ბელგიის წინააღმდეგ, § 41⁷¹⁵; გოჩი თურქეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა], §§55-56⁷¹⁶; კრესი საფრანგეთის წინააღმდეგ, § 76⁷¹⁷; *Immeubles Groupe Kosser* საფრანგეთის წინააღმდეგ, § 26⁷¹⁸).

252. ეროვნული იურიდიული სამსახურის ზემოთ ხსენებული წევრების მიერ საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღება ან უბრალოდ მათი სასამართლო პროცესზე დასწრება, „აქტიური“ თუ „პასიური“ როლით, მათ მიერ საქმესთან დაკავშირებით საჯაროდ საკუთარი მოსაზრების დაფიქსირების შემდეგ, დაგმობილ იქნა (ვერმოლენი ბელგიის წინააღმდეგ, §34⁷¹⁹; ლობო მაჩადო პორტუგალიის წინააღმდეგ, §32⁷²⁰; კრესი საფრანგეთის წინააღმდეგ, §87⁷²¹). აღნიშნული პრეცედენტული სამართალი დიდწილად ეფუძნება მართლმსაჯულების აღსრულების გამოჩენის თეორიას (მარტინიე საფრანგეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა], § 53)⁷²².

253. შესაბამისად, გამოკვლეულ უნდა იქნეს სამართალწარმოების მიმდინარეობა, კერძოდ, საქმის განხილვა რამდენად იყო შეჯიბრებითი და რამდენად შეესაბამებოდა მხარეთა თანასწორობის პრინციპს (შეადარე კრესი საფრანგეთის წინააღმდეგ, § 76⁷²³, და გოჩი თურქეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა], §§ 55-57⁷²⁴), რათა დადგინდეს რა იყო პრობლემის განმაპირობებელი ფაქტორი - დავის მონაწილის ქცევა,

⁷¹¹ Vermeulen v. Belgium, 20 თებერვალი 1996, § 31, Reports of Judgments and Decisions 1996-I;

⁷¹² Kress v. France [დიდი პალატა], N 39594/98, §71, ECHR 2001-VI;

⁷¹³ Vermeulen v. Belgium, 20 თებერვალი 1996, § 33, Reports of Judgments and Decisions 1996-I;

⁷¹⁴ Lobo Machado v. Portugal, 20 თებერვალი 1996, § 31, Reports of Judgments and Decisions 1996-I;

⁷¹⁵ Van Orshoven v. Belgium, 25 ივნისი 1997, §41, Reports of Judgments and Decisions 1997-III;

⁷¹⁶ Göç v. Turkey [დიდი პალატა], N 36590/97, §§55-56, ECHR 2002-V;

⁷¹⁷ Kress v. France [დიდი პალატა], N 39594/98, §76, ECHR 2001-VI;

⁷¹⁸ Immeubles Groupe Kosser v. France, N 38748/97, § 26, 21 მარტი 2002;

⁷¹⁹ Vermeulen v. Belgium, 20 თებერვალი 1996, § 34, Reports of Judgments and Decisions 1996-I;

⁷²⁰ Lobo Machado v. Portugal, 20 თებერვალი 1996, § 32, Reports of Judgments and Decisions 1996-I;

⁷²¹ Kress v. France [დიდი პალატა], N 39594/98, §87, ECHR 2001-VI;

⁷²² Martinie v. France [დიდი პალატა], N 58675/00, §53, ECHR 2006;

⁷²³ Kress v. France [დიდი პალატა], N 39594/98, §76, ECHR 2001-VI;

⁷²⁴ Göç v. Turkey [დიდი პალატა], N 36590/97, §§55-57, ECHR 2002-V;

სახელმწიფოს დამოკიდებულება თუ მოქმედი კანონმდებლობა (*ფრეტე საფრანგეთის წინააღმდეგ*, §§49-51)⁷²⁵. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს წინაშე საქმის წარმოებისთვის: *Coöperatieve Producentenorganisatie van de Nederlandse Kokkelvisserij U.A. ნიდერლანდების სამეფოს წინააღმდეგ (განჩინება)*⁷²⁶.

254. შეზღუდვები:

- მხარეთა თანასწორობის უფლება არ მოიცავს მხარის უფლებას, სასამართლო პროცესამდე გაეცნოს იმ დოკუმენტებს, რომლებიც მეორე მხარისთვის ან საქმის განმხილველი მოსამართლისთვის ჯერ არ არის ცნობილი (*კრესი საფრანგეთის წინააღმდეგ*, § 73)⁷²⁷;
- აზრი არ აქვს ისეთი უფლების აღიარებას, რომელსაც არ აქვს რეალური გავლენა: აღნიშნულ ფაქტს იმ შემთხვევაში ექნებოდა ადგილი თუ კონვენციით გათვალისწინებულ უფლებას არ ექნებოდა საქმის შედეგზე გავლენა, ვინაიდან მიღებული სამართლებრივი გადაჭრის გზა იურიდიულ გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა (*სტეპინსკა საფრანგეთის წინააღმდეგ*, §18)⁷²⁸.

3. მეოთხე ინსტანცია

a. ზოგადი პრინციპები

255. სტრასბურგის სასამართლოსთვის წარდგენილი საჩივრების ერთი კონკრეტული კატეგორია შედგება „მეოთხე ინსტანციის“ სახელით ცნობილი საჩივრებისგან. აღნიშნული ტერმინი, რომელიც კონვენციის ტექსტში არ ფიგურირებს და პრეცედენტული სამართლის მეშვეობით დამკვიდრდა, გარკვეულწილად პარადოქსულია, ვინაიდან იგი აქცენტს აკეთებს იმაზე, რაც სასამართლო არ არის: სტრასბურგის სასამართლო არ წარმოადგენს სააპელაციო სასამართლოს ან სასამართლოს, რომელიც შეცვლის კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოების სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ან ხელახლა განიხილავს აღნიშნულ საქმეებს; სტრასბურგის სასამართლო, აგრეთვე, ვერ გადასინჯავს საქმეს იმავე გზით, როგორც უზენაესი სასამართლო. ამრიგად, მეოთხე ინსტანციის საჩივრები არასწორი წარმოდგენებისგან მომდინარეობს.

⁷²⁵ Fretté v. France, N 36515/97, §§49-51, ECHR 2002-I;

⁷²⁶ Coöperatieve Producentenorganisatie van de Nederlandse Kokkelvisserij U.A. v. the Netherlands (განჩინება), N 13645/05, ECHR 2009;

⁷²⁷ Kress v. France [დიდი პალატა], N 39594/98, §73, ECHR 2001-VI;

⁷²⁸ Stepinska v. France, N 1814/02, § 18, 15 ივნისი 2004;

256. პირველ რიგში, ხშირად სტრასბურგის სასამართლოს როლსა და კონვენციით დადგენილ სასამართლო მექანიზმთან მიმართებით მომჩივნების მხრიდან არასწორ შეხედულებებს აქვს ადგილი. ევროპული სასამართლოს როლი არ არის ეროვნული სასამართლოების ჩანაცვლება; მისი უფლებამოსილება შემოფარგლულია კონვენციასთან მიერთებისას ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიერ აღებული ადამიანის უფლებათა ვალდებულებების შესრულების შემოწმებით. გარდა ამისა, მონაწილე სახელმწიფოების სამართლებრივ სისტემაში პირდაპირ ჩარევის უფლებამოსილების არქონისას, ევროპულმა სასამართლომ პატივი უნდა სცეს მოცემულ სამართლებრივ სისტემებს. ეს იმას ნიშნავს, რომ სტრასბურგის სასამართლოს ამოცანა არ არის გაუმკლავდეს ეროვნული სასამართლოს მიერ სავარაუდოდ დაშვებულ სამართლებრივ ან ფაქტობრივ შეცდომებს, მანამ სანამ აღნიშნული შეცდომები არ დაარღვევენ კონვენციით გათვალისწინებულ უფლებებსა და თავისუფლებებს. სტრასბურგის სასამართლომ შესაძლოა თავად არ შეაფასოს ფაქტები, რომლებმაც ეროვნული სასამართლო სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღებამდე მიიყვანა. წინააღმდეგ შემთხვევაში ევროპული სასამართლო იქნებოდა მესამე ან მეოთხე ინსტანციის სასამართლო, რაც უგულვებელყოფდა მის მოქმედებებთან მიმართებით დაწესებულ შეზღუდვებს (*გარსია რუიზი ესპანეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა], §28⁷²⁹; Centro Europa 7 S.r.l. და დი სტეფანო იტალიის წინააღმდეგ [დიდი პალატა], §197⁷³⁰; ავოტინში ლატვიის წინააღმდეგ [დიდი პალატა], §99⁷³¹; (ლოუპენი ბერძნული კათოლიკური სამრევლო და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა], §90⁷³²; დე ტომასო იტალიის წინააღმდეგ [დიდი პალატა], §§ 170-72⁷³³).*

257. მეორე რიგში, ხშირად არსებობს გაუგებრობა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფით გათვალისწინებული ტერმინის - „სამართლიანი“, ზუსტ მნიშვნელობასთან დაკავშირებით. მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფით მოთხოვნილი „სამართლიანობა“ არის არა „მატერიალურ-სამართლებრივი“ სამართლიანობა (კონცეფცია, რომელიც ნაწილობრივ სამართლებრივი, ხოლო ნაწილობრივ ეთიკურია და რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ), არამედ „პროცედურული“ სამართლიანობა. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი უზრუნველყოფს მხოლოდ „პროცედურულ“

⁷²⁹ García Ruiz v. Spain [დიდი პალატა], N 30544/96, § 28, ECHR 1999-I;

⁷³⁰ Centro Europa 7 S.r.l. and Di Stefano v. Italy [დიდი პალატა], N 38433/09, § 197, ECHR 2012;

⁷³¹ Avotiņš v. Latvia [დიდი პალატა], N 17502/07, § 99, ECHR 2016;

⁷³² Lupeni Greek Catholic Parish and Others v. Romania [დიდი პალატა], N 76943/11, §90, ECHR 2016 (extracts);

⁷³³ De Tommaso v. Italy [დიდი პალატა], N 43395/09, §§170-172, ECHR 2017 (extracts);

სამართლიანობას, რომელიც პრაქტიკული თვალსაზრისით გულისხმობს შეჯიბრებით სასამართლო პროცესს, სადაც მხარეები წარადგენენ საკუთარ პოზიციებს და სასამართლოს წინაშე თანაბარ პირობებში არიან (*Star Cate Epilekta Gevmata* და *სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ* (განჩინება))⁷³⁴. სამართალწარმოების სამართლიანობა ყოველთვის ფასდება მთლიანად მისი შემოწმებით, ამდენად იზოლირებული უსწორობა შეიძლება არ იყოს საკმარისი, რათა სამართალწარმოება მთლიანობაში არასამართლიანად იქნეს მიჩნეული (*მიროლუბოვსი და სხვები ლატვიის წინააღმდეგ*, § 103)⁷³⁵.

258. გარდა ამისა, სტრასბურგის სასამართლო პატივს სცემს ევროპის სამართლისა და სასამართლო სისტემების მრავალფეროვნებას; ევროპული სასამართლოს ამოცანა არ არის მათი სტანდარტიზაცია. ისევე როგორც მისი ამოცანა არ არის შეამოწმოს ეროვნული სასამართლების გადაწყვეტილებების სისწორე, როდესაც არ არსებობს თვითნებობასთან დაკავშირებული მტკიცებულებები (*ნეჯდეტ შაჰინი და ფერიჰან შაჰინი თურქეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §§ 68, 89 და 94)⁷³⁶.

b. სტრასბურგის სასამართლოს ზედამხედველობის ფარგლები

259. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ყოველთვის აცხადებდა, რომ მისი ამოცანა არ არის ეროვნული სასამართლოების მიერ სავარაუდოდ დაშვებული ფაქტობრივი ან სამართლებრივი შეცდომის გამოსწორება, სანამ აღნიშნული შეცდომები არ დაარღვევს კონვენციით განმტკიცებულ უფლებებსა და თავისუფლებებს (*გარსია რუიზი ესპანეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §28⁷³⁷; *პერეზი საფრანგეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §82⁷³⁸). ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კონვენციის 6.1 მუხლის საფუძველზე ძალიან იშვიათად აყენებს ეჭვქვეშ ეროვნული სასამართლოს შეფასებას იმ საფუძველით, რომ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება თვითნებური ან აშკარად დაუსაბუთებელი იყოს (მაგ., იხ., საქმე *დულორანსი საფრანგეთის წინააღმდეგ*⁷³⁹ (§38), სადაც სასამართლომ „გადაწყვეტილებაში არსებული აშკარა შეცდომის“ გამო კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის დარღვევა დაადგინა; საქმე *ხამიდოვი რუსეთის წინააღმდეგ*, §170⁷⁴⁰, სადაც გასაჩივრებულს სამართალწარმოება „აშკარად

⁷³⁴ *Star Cate Epilekta Gevmata and Others v. Greece* (განჩინება), N 54111/07, 6 ივლისი 2010;

⁷³⁵ *Miroļubovs and Others v. Latvia*, N 798/05, § 103, 15 სექტემბერი 2009;

⁷³⁶ *Nejdet Şahin and Perihan Şahin v. Turkey* [დიდი პალატა], N 13279/05, §§68, 89 და 94, 20 ოქტომბერი 2011;

⁷³⁷ *García Ruiz v. Spain* [დიდი პალატა], N 30544/96, § 28, ECHR 1999-I;

⁷³⁸ *Perez v. France* [დიდი პალატა], N 47287/99, § 82, ECHR 2004-I;

⁷³⁹ *Dulaurans v. France*, N 34553/97, § 38, 21 მარტი 2000;

⁷⁴⁰ *Khamidov v. Russia*, N 72118/01, § 170, 15 ნოემბერი 2007;

თვითნებური” იყო; *ანდელკოვიჩი სერბეთის წინააღმდეგ*, §24⁷⁴¹, სადაც მართლმსაჯულების განხორციელებას უარი ეთქვა; *ბოჩანი უკრაინის წინააღმდეგ (N 2)* [დიდი პალატა], §§ 63-65⁷⁴², სადაც ეროვნული სასამართლოს დასაბუთება მიჩნეულ იქნა „აშკარად თვითნებურად” ან „მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმის” ტოლფასად; თუმცა, მაგალითისთვის, შეადარე *Société anonyme d’habitations à loyers modérés terre et famille საფრანგეთის წინააღმდეგ (განჩინება)*⁷⁴³.

260. ეს ნიშნავს, რომ სტრასბურგის სასამართლო, როგორც წესი, ეჭვქვეშ არ აყენებს ეროვნული სასამართლოების დასკვნებს, რომლებიც ეხება ქვემოთ მოცემულ საკითხებს:

- საქმეზე ფაქტების დადგენა: სასამართლოს არ შეუძლია ეჭვქვეშ დააყენოს ეროვნული სასამართლოების დასკვნები ფაქტებთან მიმართებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი არასწორი და აშკარად თვითნებურია (*გარსია რუიზი ესპანეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §§ 28-29)⁷⁴⁴.
- ეროვნული კანონმდებლობის გამოყენება და განმარტება: პირველ ყოვლისა, ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა გადაჭრან ეროვნული კანონმდებლობის განმარტების პრობლემა (*პერეზი საფრანგეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §82)⁷⁴⁵ და არა სტრასბურგის სასამართლომ, რომლის როლს წამრმოადგენს იმის დადგენა თუ რამდენად შესაბამისია ზემოთ ხსენებული განმარტების შედეგი ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან (*ნეჯდეტ შაჰინი და ფერიჰან შაჰინი თურქეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §49)⁷⁴⁶. გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც ხელშემკვრელი სახელმწიფოს ეროვნული სასამართლოები ეროვნულ კანონმდებლობას აშკარად თვითნებურად ან არასწორად განმარტავს, სტრასბურგის სასამართლომ შეიძლება გააკეთოს შესაბამისი დასკვნები (*ბარაკი და სხვები მონტენეგროს წინააღმდეგ*, §§32-34⁷⁴⁷; *ანდელკოვიჩი სერბეთის წინააღმდეგ*, §§24-27⁷⁴⁸ (მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარი; *ლასკოვსკა პოლონეთის წინააღმდეგ*, §61⁷⁴⁹), თუმცა,

⁷⁴¹ *Andelković v. Serbia*, N 1401/08, § 24, 9 აპრილი 2013;

⁷⁴² *Bochan v. Ukraine (N 2)* [დიდი პალატა], N 22251/08, §§63-65, ECHR 2015;

⁷⁴³ *Société anonyme d’habitations à loyers modérés terre et famille v. France (განჩინება)*, N 62033/00, 17 თებერვალი 2004;

⁷⁴⁴ *García Ruiz v. Spain* [დიდი პალატა], N 30544/96, §§ 28-29, ECHR 1999-I;

⁷⁴⁵ *Perez v. France* [დიდი პალატა], N 47287/99, § 82, ECHR 2004-I;

⁷⁴⁶ *Nejdet Şahin and Perihan Şahin v. Turkey* [დიდი პალატა], N 13279/05, §49, 20 ოქტომბერი 2011;

⁷⁴⁷ *Barać and Others v. Montenegro*, N 47974/06, §§32-34, 13 დეკემბერი 2011;

⁷⁴⁸ *Andelković v. Serbia*, N 1401/08, §§ 24-27, 9 აპრილი 2013;

⁷⁴⁹ *Laskowska v. Poland*, N 77765/01, §61, 13 მარტი 2007;

ზოგადად, ევროპული სასამართლო ამგვარ შეფასებას აკეთებს არა კონვენციის 6.1, არამედ სხვა მუხლების საფუძველზე (*ქუშოღლუ ბულგარეთის წინააღმდეგ*, §50⁷⁵⁰; *იშიარი ბულგარეთის წინააღმდეგ*, §48⁷⁵¹; *ფაბრისი საფრანგეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], § 60⁷⁵²).

- სტრასბურგის სასამართლოს როლს ასევე არ წარმოადგენს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და ევროკავშირის სამართალთან ფორმალური შესაბამისობის განსაზღვრა. ევროკავშირის სამართლით გათვალისწინებული დებულებების გამოყენებისა და განმარტების საკითხი პირველ რიგში ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს კომპეტენციაა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისდიქცია შემოსაზღვრულია კონვენციით, მაგ. კონვენციის 6.1 მუხლით დადგენილი მოთხოვნების შესრულების დადგენასთან. შესაბამისად, როდესაც ეროვნული სასამართლოს მხრიდან ადგილი არ ჰქონია თვითნებობას, რაც თავისთავად წარმოშობდა 6.1 მუხლის საფუძველზე განსახილველ საკითხს, სტრასბურგის სასამართლოს როლს არ წარმოადგენდა, იმის შეფასება თუ რამდენად სწორად გამოიყენა ეროვნულმა სასამართლომ ევროკავშირის სამართალი (*ავოტინში ლატვიის წინააღმდეგ*, § 100⁷⁵³).
- მტკიცებულების დასაშვებობა და შეფასება: კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი უზრუნველყოფს პროცესუალურ დონეზე მტკიცებულების ადმინისტრაციას. მტკიცებულების დასაშვებობა ან ის გზა, თუ როგორ უნდა შეფასდეს ის, პირველ ყოვლისა ეროვნული სასამართლოების კომპეტენციაა; ეროვნული სასამართლოების ამოცანაა, შეაფასონ მათ წინაშე არსებული მტკიცებულებები (*გარსია რუიზი ესპანეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], § 28⁷⁵⁴; *Farange S.A. საფრანგეთის წინააღმდეგ* (განჩინება)⁷⁵⁵).

261. ამრიგად, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი სტრასბურგის სასამართლოს შესაძლებლობას არ აძლევს ეჭვქვეშ დააყენოს სამოქალაქო დავის შედეგის სამართლიანობა, სადაც ხშირ შემთხვევაში ერთი მხარე იგებს და მეორე აგებს.

⁷⁵⁰ Kushoglu v. Bulgaria, N 48191/99, §50, 10 მაისი 2007;

⁷⁵¹ Işyar v. Bulgaria, N 391/03, § 48, 20 ნოემბერი 2008;

⁷⁵² Fabris v. France [დიდი პალატა], N 16574/08, § 60, ECHR 2013 (extracts);

⁷⁵³ Avotiņš v. Latvia [დიდი პალატა], N 17502/07, § 100, ECHR 2016;

⁷⁵⁴ García Ruiz v. Spain [დიდი პალატა], N 30544/96, § 28, ECHR 1999-I;

⁷⁵⁵ Farange S.A. v. France (განჩინება), N 77575/01, 13 ივლისი 2006;

262. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი პარაგრაფის საფუძველზე წარდგენილ „მეოთხე ინსტანციის“ საჩივარს სტრასბურგის სასამართლო არ დააკმაყოფილებს შემდეგი საფუძვლებით: მომჩივანი შეჯიბრებითი სამართალწარმოების მონაწილე იყო; აგრეთვე, მომჩივანს სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე შეეძლო საქმისთვის რელევანტური არგუმენტებისა და მტკიცებულებების წარდგენა; მეორე მხარის მიერ წარდგენილი არგუმენტებისა და მტკიცებულებების ეფექტურად გასაჩივრება; ყველა მისი არგუმენტი, რომელიც, ობიექტურად, საქმის გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვანი იყო სასამართლოებმა სათანადოდ მოისმინეს და განიხილეს; სადავო გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი მიზეზები დეტალურად იყო მოცემული; და შესაბამისად, სამართალწარმოება მთლიანობაში სამართლიანი იყო (*გარსია რუიზი ესპანეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §29⁷⁵⁶). „მეოთხე ინსტანციის“ საჩივრების უმეტესობა დაუშვებლად ცხადდება *de plano* ერთი ან სამი მოსამართლისგან შემდგარი კომიტეტის მიერ (კონვენციის 27-ე და 28-ე მუხლები).

c. ეროვნული სასამართლო პრაქტიკის შესაბამისობა

263. მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი არ უზრუნველყოფს სასამართლო პრაქტიკის თანმიმდევრულობის უფლებას. სასამართლო პრაქტიკის განვითარება, თავისთავად, არ არის მართლმსაჯულების სათანადოდ აღსრულების საწინააღმდეგო, ვინაიდან დინამიური და ევოლუციური მიდგომის გამოუყენებლობა ხელს შეუშლიდა ნებისმიერ რეფორმას ან გაუმჯობესებას (*ნეჯდეტ შაჰინი და ფერიჰან შაჰინი თურქეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], § 58⁷⁵⁷; (*ლუპენი ბერძნული კათოლიკური სამრევლო და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], § 116⁷⁵⁸). უზენაესი სასამართლოს როლს წარმოადგენს ქვედა ინსტანციის სასამართლოების პრაქტიკაში არსებული განსხვავების აღმოფხვრა (*ბეიანი რუმინეთის წინააღმდეგ* (N1), § 37)⁷⁵⁹.

264. პრინციპში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს როლი არ არის ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებული სხვადასხვა გადაწყვეტილებების შედარება, მაშინაც კი, როდესაც ერთი შეხედვით საქმეები ერთმანეთთან დაკავშირებული ჩანს. ევროსასამართლომ პატივი უნდა სცეს ეროვნული სასამართლოების დამოუკიდებლობას. სასამართლო პრაქტიკაში განსხვავების არსებობა ნებისმიერი სასამართლო სისტემის თანდაყოლილი შედეგია, რომელიც მოიცავს პირველი ინსტანციის სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოს ჩარჩოს,

⁷⁵⁶ *García Ruiz v. Spain* [დიდი პალატა], N 30544/96, § 29, ECHR 1999-I;

⁷⁵⁷ *Nejdet Şahin and Perihan Şahin v. Turkey* [დიდი პალატა], N 13279/05, §58, 20 ოქტომბერი 2011;

⁷⁵⁸ *Lupeni Greek Catholic Parish and Others v. Romania* [დიდი პალატა], N 76943/11, § 116, ECHR 2016 (extracts);

⁷⁵⁹ *Beian v. Romania* (N 1), N 30658/05, § 37, ECHR 2007-V (extracts);

რომელთა უფლებამოსილება ვრცელდება მათი ტერიტორიული იურისდიქციის ფარგლებში. განსხვავებული სასამართლო პრაქტიკა შეიძლება არსებობდეს ერთი და იმავე სასამართლოშიც კი. ეს, თავისთავად, ვერ ჩაითვლება კონვენციის საწინააღმდეგოდ (*სანტოს პინტო პორტუგალიის წინააღმდეგ*, §41)⁷⁶⁰. გარდა ამისა, „განსხვავებულობა“ ვერ იარსებებს, როდესაც ფაქტობრივი მოცემულობები ობიექტურად სხვადასხვაა (*უჩარი თურქეთის წინააღმდეგ* (განჩინება))⁷⁶¹.

265. თუმცა, არსებობს შემთხვევები, როდესაც სასამართლო პრაქტიკის განსხვავებულობა იწვევს მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის დარღვევას. აქ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა განსხვავებულია იმაზე დაყრდნობით, განსხვავებული სასამართლო პრაქტიკა ერთი და იმავე სასამართლო განშტოებაში არსებობს თუ სხვადასხვა სასამართლო განშტოებებს შორის, რომლებიც ერთმანეთისგან აბსოლუტურად დამოუკიდებელნი არიან.

266. პირველ შემთხვევაში (განსხვავებული პრაქტიკა აქვს უმაღლესი ეროვნულ სასამართლოს), სტრასბურგის სასამართლო დარღვევის განხილვისას იყენებს სამ კრიტერიუმს:

- სასამართლო პრაქტიკაში არსებული განსხვავებულობა რამდენად „საფუძვლიანი და ხანგრძლივია“;
- ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს თუ არა მექანიზმებს, რომლებსაც შეუძლია შეუსაბამოების აღმოფხვრა; და
- გამოყენებული იქნა თუ არა ზემოხსენებული მექანიზმები და რა შედეგი ჰქონდა მის გამოყენებას (*ბეიანი რუმინეთის წინააღმდეგ* (N1), §§ 37 და 39⁷⁶²; (*ლუპენი ბერძნული კათოლიკური სამრევლო და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §§ 116-35⁷⁶³).

ბოლოს მითითებულ საქმეში, უმაღლესმა ეროვნულმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილებები, რომლებიც ერთმანეთისგან „რადიკალურად განსხვავდებოდა“ და ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული მექანიზმები, რომლებიც განკუთვნილი იყო ერთიანი სასამართლო პრაქტიკის უზრუნველსაყოფად, არ იქნა სათანადოდ გამოყენებული; შესაბამისად, ეჭვქვეშ დადგა სამართლებრივი სიცხადის პრინციპი.

⁷⁶⁰ Santos Pinto v. Portugal, N39005/04, §41, 20 მაისი 2008;

⁷⁶¹ Ucar v. Turkey (განჩინება), N 12960/05, 29 სექტემბერი 2009;

⁷⁶² Beian v. Romania (N 1), N 30658/05, § 37 და 39, ECHR 2007-V (extracts);

⁷⁶³ Lupeni Greek Catholic Parish and Others v. Romania [დიდი პალატა], N 76943/11, § 116-35, ECHR 2016 (extracts);

267. უმაღლეს ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში არსებული საფუძვლიანი და ხანგრძლივი განსხვავება, თავისთავად, შეუსაბამოა სამართლებრივი სიცხადის პრინციპთან; აღნიშნული პრინციპი კონვენციის ყველა მუხლშია ნაგულვები და წარმოადგენს კანონის უზენაესობის ერთ-ერთ ძირითად ელემენტს (*ბეიანი რუმინეთის წინააღმდეგ* (N1), §39)⁷⁶⁴. ციტირებულ საქმეში, სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ უზენაესი სასამართლომ, ერთიანი სასამართლო პრაქტიკის დადგენის ნაცვლად, თავად შექმნა სამართლებრივი გაურკვეველობა და შესაბამისად, ამით შეარყია საზოგადოების ნდობა სასამართლო სისტემის მიმართ. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სასამართლო პრაქტიკასთან მიმართებით სამართლებრივი სიცხადის არარსებობა უტოლდებოდა აპლიკანტისთვის კანონით უზრუნველყოფილი გარანტიებით სარგებლობის უფლების ჩამორთმევას, მაშინ როცა, იმავე სიტუაციაში მყოფი სხვა პირებისთვის აღნიშნული გარანტიები დაცული იყო (§§ 39-40). მიუხედავად ამისა, უმაღლესი ინსტანციის მიერ სასამართლო პრაქტიკაში არსებული წინააღმდეგობის აღმოფხვრამდე, დროის მოკლე მონაკვეთში ერთი და იმავე საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული გადაწყვეტილებების არსებობა, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებები გავლენას ახდენდა ბევრ ადამიანზე, არ წარმოადგენდა კონვენციის დარღვევას (*ალბუ და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ*, §§ 42-43).⁷⁶⁵

268. დამატებითი კრიტერიუმი, რომელსაც სასამართლო მხედველობაში იღებს, არის შემდეგი გარემოება - შეუსაბამობას ერთ საქმეზე ჰქონდა ადგილი თუ მან გავლენა მოახდინა დიდი რაოდენობით ადამიანზე (*ალბუ და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ*, § 38)⁷⁶⁶.

269. მეორე შემთხვევაში, განსხვავებული გადაწყვეტილებები მიიღება საბოლოო ინსტანციის სასამართლოების ორი სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის შტოს ფარგლებში, სადაც ორი დამოუკიდებელი უზენაესი სასამართლო არსებობს, რომლებიც საერთო სამართლებრივ იერარქიას არ ექვემდებარება. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი არ მოითხოვს გადასინჯვის ვერტიკალური მექანიზმის ან საერთო მარეგულირებელი ორგანოს (როგორცაა იურისდიქციის შესახებ დავების მომწესრიგებელი სასამართლო) არსებობას. სასამართლო სისტემაში, სადაც რამდენიმე უზენაესი სასამართლო თანარსებობს და ისინი ვალდებულნი არიან კანონის განმარტება ერთსა და იმავე დროს, პარალელურად, გააკეთონ, სასამართლო

⁷⁶⁴ *Beian v. Romania* (N 1), N 30658/05, §39, ECHR 2007-V (extracts);

⁷⁶⁵ *Albu and Others v. Romania*, N 34796/09 and 63 others, § 42-43, 10 მაისი 2012;

⁷⁶⁶ იქვე, §38;

პრაქტიკის თანმიმდევრულობის მიღწევას დრო ჭირდება; ამ პერიოდში გამოვლენილი შეუსაბამობები შეწყნარებულ უნდა იქნეს სამართლებრივი სიცხადის არსებობის ეჭვქვეშ დაყენების გარეშე. ამდენად, ორმა სასამართლომ, მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის დარღვევის გარეშე, საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში, სხვადასხვა საქმეების განხილვისას, მსგავსი ფაქტობრივი გარემოებებისგან წარმოშობილი ერთი და იგივე სამართლებრივი საკითხი შეიძლება განსხვავებულად გადაწყვიტოს, თუმცა მაინც რაციონალური და დასაბუთებული გადაწყვეტილება მიიღოს (*ნეჯდეტ შაჰინი და ფერიჰან შაჰინი თურქეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §§ 81-83 & 86)⁷⁶⁷.

4. შეჯიბრებითი სამართალწარმოება

270. შეჯიბრებითობის პრინციპი: სამართლიანი სასამართლოს ცნება შედგება შეჯიბრებითი სამართალწარმოების ფუნდამენტური უფლებისგან.

271. შეჯიბრებითი სამართალწარმოების უფლებიდან გამომდინარე მოთხოვნები სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეზე, ძირითადად, ერთი და იგივეა (*ვერნერი ავსტრიის წინააღმდეგ*, § 66)⁷⁶⁸.

272. დროის ეკონომიურობისა და სამართალწარმოების დაჩქარების სურვილი არ ამართლებს ისეთი ფუნდამენტური უფლების უგულებელყოფას, როგორცაა შეჯიბრებითი სამართალწარმოების უფლება (*ნიდეროსტ-ჰუბერი შვეიცარიის წინააღმდეგ*, § 30)⁷⁶⁹.

273. შინაარსი: შეჯიბრებითი პროცესის უფლება ნიშნავს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმის მონაწილე მხარეების უფლებას, გაიცნონ და კომენტარები გააკეთონ ყველა წარდგენილი მტკიცებულების ან დასკვნის შესახებ, რათა გავლენა მოახდინონ სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (*რუის-მატეოსი ესპანეთის წინააღმდეგ*, §63⁷⁷⁰; *მაკმაიქელი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §80⁷⁷¹; *ვერმოლენი ბელგიის წინააღმდეგ*, §33⁷⁷²; *ლობო მაჩადო პორტუგალიის წინააღმდეგ*, §31⁷⁷³; *კრესი საფრანგეთის წინააღმდეგ*, §74⁷⁷⁴). აღნიშნული მოთხოვნა შეიძლება

⁷⁶⁷ Nejdet Şahin and Perihan Şahin v. Turkey [დიდი პალატა], N 13279/05, §§81-83 და 86, 20 ოქტომბერი 2011;

⁷⁶⁸ Werner v. Austria, 24 ნოემბერი 1997, § 66, Reports of Judgments and Decisions 1997-VII;

⁷⁶⁹ Nideröst-Huber v. Switzerland, 18 თებერვალი 1997, § 30, Reports of Judgments and Decisions 1997-I;

⁷⁷⁰ Ruiz-Mateos v. Spain, 23 ივნისი 1993, § 63, Series A N 262;

⁷⁷¹ McMichael v. the United Kingdom, 24 თებერვალი 1995, § 80, Series A N 307-B;

⁷⁷² Vermeulen v. Belgium, 20 თებერვალი 1996, § 33, Reports of Judgments and Decisions 1996-I;

⁷⁷³ Lobo Machado v. Portugal, 20 თებერვალი 1996, § 31, Reports of Judgments and Decisions 1996-I;

⁷⁷⁴ Kress v. France [დიდი პალატა], N 39594/98, §74, ECHR 2001-VI;

გავრცელდეს საკონსტიტუციო სამართალწარმოებაზეც (*მილატოვა ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ*, §§ 63-66⁷⁷⁵; *გასპარი სლოვენის წინააღმდეგ*, § 53⁷⁷⁶).

- სასამართლოს გადაწყვეტილებაზე არ აქვს რეალური გავლენა (*ნიდეროსტ-ჰუბერი შვეიცარიის წინააღმდეგ*, §27⁷⁷⁷; *ზიეგლერი შვეიცარიის წინააღმდეგ*, § 38⁷⁷⁸);
- შეჯიბრებითი სამართალწარმოების უფლება დამაკმაყოფილებელ პირობებში უნდა განხორციელდეს: სამართალწარმოების მხარეს უნდა ჰქონდეს სასამართლოს წინაშე არსებული მტკიცებულებების გაცნობის შესაძლებლობა, ისევე, როგორც მის შინაარსსა და ავთენტურობასთან დაკავშირებით, შესაბამისი ფორმითა და გონივრული დროის განმავლობაში, კომენტარის გაკეთების საშუალება (*კრჩმარი და სხვები ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ*, §42⁷⁷⁹; *Immeubles Groupe Kosser საფრანგეთის წინააღმდეგ*, §26⁷⁸⁰), საჭიროების შემთხვევაში, ამ უფლების განხორციელების მიზნით უნდა გადაიდოს საქმე (*ივონი საფრანგეთის წინააღმდეგ*, § 39⁷⁸¹);
- მხარეებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, ცნობილი გახადონ ნებისმიერი მტკიცებულება, რომელიც მათი პოზიციის გასამყარებლად არის საჭირო (*Clinique des Acacias და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ*, § 37⁷⁸²);
- სასამართლომ პატივი უნდა სცეს შეჯიბრებითობის პრინციპს (*Clinique des Acacias და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ*, § 38⁷⁸³; შეადარეთ საქმეს *ანდრე და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ* (განჩინება)⁷⁸⁴, აღნიშნულ საქმეში საკასაციო სასამართლომ მხარეებს აცნობა, რომ ახალი არგუმენტები მხედველობაში მიიღებოდა და აპლიკანტებს ჰქონდათ შესაძლებლობა საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე წარმოედგინათ არგუმენტები).
- მხოლოდ დავის მონაწილე მხარეების გადასაწყვეტია, მეორე მხარის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი ან მოწმის ჩვენება საჭიროებს თუ არა საპასუხო კომენტარს. მართლმსაჯულების საქმიანობის მიმართ სამართალწარმოების

⁷⁷⁵ Milatová and Others v. the Czech Republic, N 61811/00, §§ 63-66, ECHR 2005-V;

⁷⁷⁶ Gaspari v. Slovenia, no. 21055/03, § 53, 21 ივლისი 2009;

⁷⁷⁷ Nideröst-Huber v. Switzerland, 18 თებერვალი 1997, §27, Reports of Judgments and Decisions 1997-I;

⁷⁷⁸ Ziegler v. Switzerland, N 33499/96, § 38, 21 თებერვალი 2002;

⁷⁷⁹ Krčmář and Others v. the Czech Republic, N 35376/97, §42, 3 მარტი 2000;

⁷⁸⁰ Immeubles Groupe Kosser v. France, N 38748/97, §26, 21 მარტი 2002;

⁷⁸¹ Yvon v. France, N 44962/98, § 39, ECHR 2003-V;

⁷⁸² Clinique des Acacias and Others v. France, N 65399/01 და 3 სხვა, §37, 13 ოქტომბერი 2005;

⁷⁸³ იქვე, §38;

⁷⁸⁴ Andret and Others v. France (განჩინება), N 1956/02, 25 მაისი 2004;

მონაწილეების ნდობა დაფუძნებულია იმის ცოდნაზე, რომ მათ აქვს საქმეში არსებული ყველა დოკუმენტის შესახებ აზრის გამოთქმის უფლება (მათ შორის სასამართლოს მიერ საკუთარი შუამდგომლობით მოპოვებული დოკუმენტების თაობაზე: კ.ს. ფინეთის წინააღმდეგ, §22⁷⁸⁵; ნიდეროსტ-ჰუბერი შვეიცარიის წინააღმდეგ, § 29⁷⁸⁶; პელეგრინი იტალიის წინააღმდეგ, § 45⁷⁸⁷).

274. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება გამართლებული იყოს გარკვეული მტკიცებულების დაცვის მხარისთვის გადაუცემლობა იმ მიზნით, რომ დაცულ იქნეს სხვა პირის უფლებები ან მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესი. კონვენციის 6.1 მუხლი დასაშვებად მიიჩნევს მხოლოდ ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც მკაცრად აუცილებელია და კონფიდენციალურობის საფუძველზე ზღუდავს მეორე მხარისთვის დოკუმენტების გადაცემას, მოწმის დაცვის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიზნით. უფრო მეტიც, შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპებზე დაწესებული ნებისმიერი მსგავსი შეზღუდვა დაბალანსებული უნდა იყოს საკმარისი პროცედურული გარანტიებით (*უჟუკაუსკასი ლიეტუვას წინააღმდეგ*, § 51⁷⁸⁸; *პოციუსი ლიეტუვას წინააღმდეგ*, §§ 52-53⁷⁸⁹).

275. დოკუმენტების ან მტკიცებულებების გაუმჟღავნებლობის შედეგად შეჯიბრებითი პროცესის უფლების დარღვევის მაგალითები:

- ბავშვის საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებულ სამართალწარმოებაში, სოციალური მომსახურების სააგენტოს დასკვნის საიდუმლოდ შენახვა, რომელიც შეიცავდა ინფორმაციას საქმის გარემოებებსა და ბავშვთან დაკავშირებით და სადაც მოცემული იყო რეკომენდაციები, მიუხედავად იმისა, რომ მშობლებს სასამართლო პროცესზე ეცნობათ სოციალური მომსახურების დადებითი პასუხი (*მაკმაიქელი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 80)⁷⁹⁰;
- პროკურორის მიერ წარდგენილი მტკიცებულების საიდუმლოდ შენახვა, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ის საქმეში მონაწილე „მხარე“; ვინაიდან, თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე მინიჭებული უფლებამოსილების მეშვეობით, პროკურორი იმგვარ პოზიციაში იყო, რომ შეეძლო გავლენა მოეხდინა სასამართლოს გადაწყვეტილებაზე და მომჩივანი არასახარბიელო

⁷⁸⁵ K.S. v. Finland, N 29346/95, § 22, 31 მაისი 2001;

⁷⁸⁶ Nideröst-Huber v. Switzerland, 18 თებერვალი 1997, §29, Reports of Judgments and Decisions 1997-I;

⁷⁸⁷ Pellegrini v. Italy, N 30882/96, § 45, ECHR 2001-VIII;

⁷⁸⁸ Užkauskas v. Lithuania, N 16965/04, § 51, 6 ივლისი 2010;

⁷⁸⁹ Pocius v. Lithuania, N 35601/04, §§52-53, 6 ივლისი 2010

⁷⁹⁰ McMichael v. the United Kingdom, 24 თებერვალი 1995, §80, Series A N 307-B;

მდგომარეობაში აღმოჩენილიყო (ფერეირა ალვესი პორტუგალიის წინააღმდეგ (N 3), §§ 36-39)⁷⁹¹;

- ქვედა ინსტანციის მიერ სააპელაციო სასამართლოსთვის გაკეთებული მითითება, რომელიც მიზნად ისახავდა ამ უკანასკნელის გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენას, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ მითითებაში მოცემული არ იყო რაიმე ახალი ფაქტი ან არგუმენტი (ფერეირა ალვესი პორტუგალიის წინააღმდეგ (N 3), § 41)⁷⁹²;
- უშუალოდ მოსამართლეების მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გაუმჟღავნებლობა, რომლებიც საქმის არსებით ნაწილთან დაკავშირებით დასაბუთებულ მოსაზრებებს შეიცავდა (კ.ს. ფინეთის წინააღმდეგ, §§ 23-24)⁷⁹³.

276. შეზღუდვა: შეჯიბრებითი სამართალწარმოების უფლება არ არის აბსოლუტური და მისი ფარგლები შეიძლება განსხვავდებოდეს საქმის კონკრეტული მახასიათებლებიდან გამომდინარე (ჰუდაკოვა და სხვები სლოვაკეთის წინააღმდეგ, §§ 26-27)⁷⁹⁴.

- შეჯიბრებითობის პრინციპი არ მოითხოვს, რომ თითოეულმა მხარემ ოპონენტს გადასცეს დოკუმენტები, რომლებიც მანამდე სასამართლოს წინაშე არ ყოფილა წარდგენილი (ივონი საფრანგეთის წინააღმდეგ, § 38)⁷⁹⁵.
- რამდენიმე საქმეში, განსაკუთრებული გარემოებების საფუძველზე, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ მტკიცებულების მხარისთვის გადაუცემლობა და მომჩივნისთვის მასზე კომენტარის გაკეთების საშუალების არ ქონა ეჭვქვეშ აყენებდა სამართალწარმოების სამართლიანობას, ვინაიდან აპლიკანტისთვის აღნიშნული შესაძლებლობის მინიჭება გავლენას არ მოახდენდა საქმის შედეგზე; გარდა ამისა, მიღებული სამართლებრივი შედეგი არ იყო ღია დისკუსიისთვის (სტეპინსკა საფრანგეთის წინააღმდეგ, §18⁷⁹⁶; სალე საფრანგეთის წინააღმდეგ, §19⁷⁹⁷; ასნარი საფრანგეთის წინააღმდეგ (N 2), § 26⁷⁹⁸).

⁷⁹¹ Ferreira Alves v. Portugal (N 3), N 25053/05, §§36-39, 21 ივნისი 2007;

⁷⁹² იქვე, §41;

⁷⁹³ K.S. v. Finland, N 29346/95, § 23-24, 31 მაისი 2001;

⁷⁹⁴ Hudáková and Others v. Slovakia, N 23083/05, § 26-27, 27 აპრილი 2010;

⁷⁹⁵ Yvon v. France, N 44962/98, § 38, ECHR 2003-V;

⁷⁹⁶ Stepinska v. France, N 1814/02, § 18, 15 ივნისი 2004;

⁷⁹⁷ Sale v. France, N 39765/04, § 19, 21 მარტი 2006;

⁷⁹⁸ Asnar v. France (N 2), N 12316/04, §26, 18 ოქტომბერი 2007;

5. მხარეთა თანასწორუფლებიანობა

277. სამართლიანი სასამართლოს ფართო კონცეფცია მოიცავს „მხარეთა თანასწორობის“ პრინციპს. „მხარეთა თანასწორობის“ მოთხოვნა, მხარეებს შორის „სამართლიანი ბალანსის“ დაცვის მნიშვნელობით, ვრცელდება როგორც სამოქალაქო, ასევე სისხლის სამართლის საქმეებზე (*ფელდბრუგე ნიდერლანდების სამეფოს წინააღმდეგ*, § 44)⁷⁹⁹.

278. შინაარსი: მხარეებს შორის „სამართლიანი ბალანსის“ შენარჩუნება. მხარეთა თანასწორობა გულისხმობს იმას, რომ თითოეულ მხარეს უნდა ჰქონდეს მისი საქმის, მათ შორის, მტკიცებულების, წარმოდგენის გონივრული შესაძლებლობა ისეთ პირობებში, რომელიც მას მოწინააღმდეგე მხარესთან შედარებით არახელსაყრელ პოზიციაში არ ჩააყენებს (*Dombo Beheer B.V. ნიდერლანდების სამეფოს წინააღმდეგ*, § 33)⁸⁰⁰.

- აღნიშნული პრინციპი, რომელიც ხელშემკვრელი სახელმწიფოების პროცედურული კანონმდებლობის ყველა ასპექტს მოიცავს, ვრცელდება მხარეებისთვის სასამართლო დოკუმენტების გადაცემის სპეფიციკურ სფეროზე, მიუხედავად იმისა, რომ კონვენციის 6.1 მუხლი ვერ განიმარტება იმგვარად, რომ ის ადგენს დოკუმენტების გადაცემის განსაზღვრულ ფორმას (*ავოტინში ლატვიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], § 119)⁸⁰¹.
- დაუშვებელია მხარემ სასამართლოს წარუდგინოს დოკუმენტები და ამის თაობაზე მეორე მხარემ არ იცოდეს; მეორე მხარეს უნდა მიეცეს აღნიშნულ მასალასთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთების შესაძლებლობა. მხოლოდ მხარეების გადასაწყვეტია საჭიროებს თუ არა წარდგენილი დოკუმენტების საპასუხო რეაქციას (*APEH Üldözötteinek Szövetsége და სხვები უნგრეთის წინააღმდეგ*, § 42)⁸⁰²;
- თუმცა, თუ სასამართლოსთვის წარდგენილი დოკუმენტები არ გადაეცემა არცერთ მხარეს დაირღვევა არა მხარეთა თანასწორობის უფლება, არამედ სამართალწარმოების სამართლიანობა (*ნიდეროსტ-ჰუმბერი შვეიცარიის*

⁷⁹⁹ Feldbrugge v. the Netherlands, 29 მაისი 1986, § 44, Series A N 99;

⁸⁰⁰ Dombo Beheer B.V. v. the Netherlands, 27 ოქტომბერი 1993, § 33, Series A N 274;

⁸⁰¹ Avotiņš v. Latvia [დიდი პალატა], N 17502/07, § 119, ECHR 2016;

⁸⁰² APEH Üldözötteinek Szövetsége and Others v. Hungary, N 32367/96, §42, ECHR 2000-X;

წინააღმდეგ, §§23-24⁸⁰³; *Clinique des Acacias* და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ, §§ 36-37⁸⁰⁴).

279. მხარეთა თანასწორობის პრინციპის დარღვევის მაგალითები: ქვემოთ მოცემულ საქმეებში აღნიშნული პრინციპის დარღვევა დადგინა, ვინაიდან ერთ-ერთი მხარე მეორესთან მიმართებით აშკარად არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენეს:

- მხარის საჩივარი არ ჩაბარდა მეორე მხარეს, რომელსაც, შესაბამისად, არ ჰქონდა პასუხის გაცემის შესაძლებლობა (*ბერი ავსტრიის წინააღმდეგ*, § 19)⁸⁰⁵;
- საპროცესო ვადის დინება შეწყდა მხოლოდ ერთი მხარის მიმართ, რის გამოც მეორე არახელსაყრელ ვითარებაში აღმოჩნდა (*პლატაკუ საბერძნეთის წინააღმდეგ*, §48⁸⁰⁶; *Wynen and Centre hospitalier interrégional Edith-Cavell ბელგიის წინააღმდეგ*, § 32⁸⁰⁷).
- ორი მთავარი მოწმიდან მხოლოდ ერთ-ერთის დაკითხვის ნებართვა გაიცა (*Dombo Beheer B. V. ნიდერლანდების სამეფოს წინააღმდეგ*, §§ 34-35)⁸⁰⁸;
- მოპასუხე მხარე, შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი უპირატესობით სარგებლობდა, სამართალწარმოებაში იკავებდა დომინანტურ პოზიციას და სასამართლოს გადაწყვეტილებასთან მიმართებით მას დიდი გავლენა ჰქონდა (*ივონი საფრანგეთის წინააღმდეგ*, § 37)⁸⁰⁹;
- მოპასუხე მხარე, დაკავებული პოზიციიდან ან დაკისრებული ფუნქციებიდან გამომდინარე უპირატესობით სარგებლობდა და სასამართლო, შესაბამისი დოკუმენტების ან მოწმეთა ჩვენებების გადაუცემლობით, მეორე მხარეს ურთულებდა მის წინააღმდეგ დავას (*De Haes and Gijssels ბელგიის წინააღმდეგ*, §§ 54 და 58)⁸¹⁰;
- ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოცემული მიზეზები ძალიან მოკლე და ზოგადი იყო, რათა მომჩივანი დასაბუთებულად შეპასუხებოდა მათ შეფასებას; ამასთანავე, სასამართლომ

⁸⁰³ Nideröst-Huber v. Switzerland, 18 თებერვალი 1997, §23-24, Reports of Judgments and Decisions 1997-I;

⁸⁰⁴ Clinique des Acacias and Others v. France, N 65399/01 და 3 სხვა, §36-37, 13 ოქტომბერი 2005;

⁸⁰⁵ Beer v. Austria, N 30428/96, §19, 6 თებერვალი 2001;

⁸⁰⁶ Platakou v. Greece, N 38460/97, §48, ECHR 2001-I;

⁸⁰⁷ Wynen and Centre hospitalier interrégional Edith-Cavell v. Belgium, N 32576/96, §32, 5 თებერვალი 2003;

⁸⁰⁸ Dombo Beheer B.V. v. the Netherlands, 27 ოქტომბერი 1993, § 34-35, Series A N 274;

⁸⁰⁹ Yvon v. France, N 44962/98, § 37, ECHR 2003-V;

⁸¹⁰ De Haes and Gijssels v. Belgium, 24 თებერვალი 1997, § 54 და 58, Reports of Judgments and Decisions 1997-I;

მომჩივანს საკუთარი პოზიციის გამამყარებელი არგუმენტების წარმოდგენის შესაძლებლობა არ მისცა (*ჰენტრიხი საფრანგეთის წინააღმდეგ*, § 56)⁸¹¹;

- ერთ-ერთი მხარისთვის უფასო სამართლებრივ დახმარებაზე უარმა, მას ჩამოართვა სასამართლოს წინაშე საკუთარი პოზიციის ეფექტურად წარმოჩენის შესაძლებლობა, როდესაც მოწინააღმდეგე მხარე ფინანსურად გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იყო (*სთილი და მორისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 72)⁸¹²;
- გადაწყვეტილებაში საქმეზე *მარტინიე საფრანგეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა]⁸¹³ (§50), ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ აუდიტის სასამართლოს წინაშე საქმის წარმოებისას, სახელმწიფოს წარმომადგენლის პოზიციის საფუძველზე, მხარეებს შორის სამართლიანი ბალანსი დარღვეული იყო: მეორე მხარისგან განსხვავებით, სახელმწიფოს წარმომადგენელი ესწრებოდა საქმის განხილვას; მას წინასწარ ეცნობა მომხსენებელი მოსამართლის მოსაზრება; სასამართლო პროცესზე მოისმინა არგუმენტები; მონაწილეობა მიიღო სამართალწარმოებაში და მიეცა საკუთარი პოზიციის წარდგენის შესაძლებლობა, მეორე მხარის საპირისპირო არგუმენტების მოსმენის გარეშე; აღნიშნული დისბალანსი განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ სასამართლო სხდომა არ იყო საჯარო;
- სამართალწარმოებაში ჩაერია პროკურორი, მომჩივნის ოპონენტის არგუმენტების მხარდაჭერის გზით (*მენჩინსკაია რუსეთის წინააღმდეგ*, §§ 35-39)⁸¹⁴;
- მოსამართლემ უარი განაცხადა სასამართლო პროცესის გადადებაზე, მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანი სასწრაფოდ საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი და ადვოკატს არ შეეძლო სასამართლო სხდომაზე მისი ინტერესების წარმოდგენა; შესაბამისად, მომჩივანს ჩამოერთვა ოპონენტის არგუმენტებზე ადეკვატური პასუხის გაცემის უფლება (*ვარდანიანი და ნანუშიანი სომხეთის წინააღმდეგ*, §§ 88-90)⁸¹⁵.

280. თუმცა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის 6.1 მუხლთან შესაბამისად ცნო მხარეთა მოწმეების დაკითხვასთან დაკავშირებული განსხვავებული მოპყრობა (ერთი მხარის მოწმემ ფიცის ქვეშ მიცა, ხოლო მეორე

⁸¹¹ Hentrich v. France, 22 სექტემბერი 1994, § 56, Series A N 296-A;

⁸¹² Steel and Morris v. the United Kingdom, N 68416/01, § 72, ECHR 2005-II;

⁸¹³ Martinie v. France [დიდი პალატა], N 58675/00, § 50, ECHR 2006;

⁸¹⁴ Menchinskaya v. Russia, N 42454/02, § 35-39, 15 იანვარი 2009;

⁸¹⁵ Vardanyan and Nanushyan v. Armenia, N 8001/07, § 88-90, 27 ოქტომბერი 2016;

მხარის მოწმემ ფიცის გარეშე), ვინაიდან, პრაქტიკულად, ამას სამართალწარმოების შედეგზე გავლენა არ მოუხდენია (*ანკერლი შვეიცარიის წინააღმდეგ*, § 38)⁸¹⁶.

281. პირის მიერ წარდგენილი სარჩელი: სტრასბურგის სასამართლომ ერთმანეთისგან განასხვავა სისტემები, სადაც სარჩელს წარადგენს სამოქალაქო მხარე და სადაც საქმის წარმოებას იწყებს სახელმწიფო ბრალმძებელი, რომელიც აღჭურვილია საჯარო უფლებამოსილებით და პასუხს აგებს საჯარო ინტერესის დაცვაზე (*Guigue and SGEN-CFDT საფრანგეთის წინააღმდეგ (განჩინება)*)⁸¹⁷. შედეგად, საჩივრის წარდგენისთვის დადგენილი განსხვავებული ფორმალური პირობები და საპროცესო ვადები (სამოქალაქო მხარისთვის უფრო მოკლე ვადა) არ წარმოადგენს „მხარეთა თანასწორობის“ პრინციპის დარღვევას, გამომდინარე იქედან, რომ შესაძლებელი იყო ხსენებული სამართლებრივი დაცვის საშუალების ეფექტიანი გამოყენება.

282. სტრასბურგის სასამართლომ მხარეთა თანასწორობის პრინციპთან შესაბამისად ცნო სამოქალაქო მხარის გასაჩივრების უფლების შეზღუდვა, მაშინ როცა სახელმწიფო ბრალმძებელს აღნიშნული უფლება არ შეზღუდვია - ვინაიდან მათი როლი და ამოცანები ცალსახად განსხვავებულია (*ბერგერი საფრანგეთის წინააღმდეგ*, § 38)⁸¹⁸.

283. რაც შეეხება საქმეებს, სადაც ერთმანეთს უპირისპირდება პროკურატურა და კერძო პირი, დევნის განმახორციელებელი ორგანო შეიძლება იყოს პრივილეგირებულ მდგომარეობაში, რაც გამართლებულია საჯარო წესრიგის დაცვით. თუმცა, ამან არ უნდა გამოიწვიოს პროკურატურასთან შედარებით, სამოქალაქო სამართალწარმოების მხარის არახელსაყრელ პირობებში ჩაყენება (*სტანკიევიჩი პოლონეთის წინააღმდეგ*, § 68)⁸¹⁹.

284. ზოგიერთ საქმეში შეიძლება გამართლებული იყოს გარკვეული მტკიცებულების გაუმჟღავნებლობა, რათა დაცულ იქნეს სხვა პირის უფლებები ან მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესი. კონვენციის 6.1 მუხლი დასაშვებად მიიჩნევს მხოლოდ ასეთ ღონისძიებებს, რომლებიც მკაცრად აუცილებელია. ევროპულმა სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ შეჯიბრებითობის პრინციპის და მხარეთა თანასწორობის ნებისმიერ მსგავს შეზღუდვას თან უნდა ახლდეს საკმარისი პროცედურული

⁸¹⁶ Ankerl v. Switzerland, 23 ოქტომბერი 1996, § 38, Reports of Judgments and Decisions 1996-V;

⁸¹⁷ Guigue and SGEN-CFDT v. France (განჩინება), N 59821/00, ECHR 2004-I;

⁸¹⁸ Berger v. France, N 48221/99, § 38, ECHR 2002-X (extracts);

⁸¹⁹ Stankiewicz v. Poland, N 46917/99, § 68, ECHR 2006-VI;

გარანტიები (*უჟუკაუსკასი ლიეტუვას წინააღმდეგ*, §51⁸²⁰; *პოციუსი ლიეტუვას წინააღმდეგ*, §§ 52-53⁸²¹).

6. მტკიცებულებათა გამოყენება

285. ზოგადი პრინციპები: კონვენცია არ ადგენს წესებს მტკიცებულებების შესახებ (*მანტოვანელი საფრანგეთის წინააღმდეგ*, § 34)⁸²². მტკიცებულებათა დასაშვებობა და მათი შეფასება, პირველ რიგში, ეხება ეროვნულ კანონმდებლობასა და სასამართლოებს (*მორეირა დე აზევედო პორტუგალიის წინააღმდეგ*, §§83-84⁸²³; *გარსია რუიზი ესპანეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §28⁸²⁴). იგივე ეხება მტკიცებულებათა სავარაუდო ღირებულებას და მტკიცების ტვირთს (*ტიემანი საფრანგეთის და გერმანიის წინააღმდეგ (განჩინება)*)⁸²⁵. ასევე ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა შეაფასონ წარმოდგენილი მტკიცებულებების შესაბამისობა (*Centro Europa 7 S.r.l. და დი სტეფანო იტალიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], § 198)⁸²⁶.

თუმცა, კონვენციის მიხედვით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ამოცანაა, შეაფასოს, სამართალწარმოება მთლიანობაში იყო თუ არა სამართლიანი, რაც მოიცავს მტკიცებულებათა განხილვას (*ელშოლცი გერმანიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], § 66)⁸²⁷. ამრიგად, სტრასბურგი სასამართლო ადგენს, წარდგენილ იქნა თუ არა მტკიცებულება იმ ფორმით, რომ უზრუნველყოფილიყო სამართლიანი განხილვა (*ბლუხერი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ*, § 65)⁸²⁸.

მხარეთა არგუმენტებისა და მტკიცებულებების სათანადოდ შესწავლა ეროვნული სასამართლოების ვალდებულებას წარმოადგენს (*ვან დე ჰურკი ნიდერლანდების სამეფოს წინააღმდეგ*, § 59)⁸²⁹.

a. მოწმეთა ჩვენება

286. კონვენციის 6.1 მუხლი ცალსახად არ უზრუნველყოფს მოწმის გამოძახების უფლებას და, პრინციპში, მოწმის ჩვენების დასაშვებად ცნობა ეროვნული კანონმდებლობით უნდა იყოს მოწესრიგებული. მიუხედავად ამისა,

⁸²⁰ Użukauskas v. Lithuania, N 16965/04, § 51, 6 ივლისი 2010;

⁸²¹ Pocius v. Lithuania, N 35601/04, § 52-53, 6 ივლისი 2010;

⁸²² Mantovanelli v. France, 18 მარტი 1997, § 34, Reports of Judgments and Decisions 1997-II;

⁸²³ Moreira de Azevedo v. Portugal, 23 ოქტომბერი 1990, § 83-84, Series A N 189;

⁸²⁴ García Ruiz v. Spain [დიდი პალატა], N 30544/96, § 28, ECHR 1999-I;

⁸²⁵ Tiemann v. France and Germany (განჩინება), N 47457/99 და 47458/99, ECHR 2000-IV;

⁸²⁶ Centro Europa 7 S.r.l. and Di Stefano v. Italy [დიდი პალატა], N 38433/09, § 198, ECHR 2012;

⁸²⁷ Elsholz v. Germany [დიდი პალატა], N 25735/94, § 66, ECHR 2000-VIII;

⁸²⁸ Blücher v. the Czech Republic, N 58580/00, § 65, 11 იანვარი 2005;

⁸²⁹ Van de Hurk v. the Netherlands, 19 აპრილი 1994, § 59, Series A N 288;

სამართალწარმოება მთლიანობაში, რაც მოიცავს მტკიცებულებათა დასაშვებობასაც, „სამართლიანი“ უნდა იყოს კონვენციის 6.1 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში (*Dombo Beheer B.V. ნიდერლანდების სამეფოს წინააღმდეგ*, § 31)⁸³⁰.

- როდესაც სასამართლოები უარს ამბობენ მხარის მოთხოვნაზე - მოწმეთა დაკითხვის შესახებ, მათ უნდა მიუთითონ საკმარისი მიზეზები და უარი თვითნებობით არ უნდა იყოს განპირობებული: უარი არაპროპორციულად არ უნდა ზღუდავდეს მოსარჩელის უფლებას, საკუთარი პოზიციის მხარდასაჭერად არგუმენტები წარადგინოს (*ვიერზბიკი პოლონეთის წინააღმდეგ*, § 45)⁸³¹.
- მხარეთა მოწმეების დაკითხვასთან დაკავშირებულმა განსხვავებულმა მოპყრობამ შეიძლება დაარღვიოს „მხარეთა თანასწორობის“ პრინციპი (*ანკერლი შვეიცარიის წინააღმდეგ*, § 38⁸³², სადაც სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ განსხვავებულმა მოპყრობამ მომჩივანი ოპონენტთან შედარებით არახელსაყრელ მდგომარეობაში არ ჩააყენა; შეადარე, *Dombo Beheer B.V. ნიდერლანდების სამეფოს წინააღმდეგ*, § 35⁸³³, სადაც მოვლენებში მონაწილე მხოლოდ 2 პირს მიეცა ჩვენების წარდგენის უფლება (დარღვევა)).

ბ. ექსპერტების მოსაზრება

287. ექსპერტის დანიშვნაზე უარი:

- ექსპერტის დანიშვნასთან დაკავშირებული უარი, თავისთავად, არასამართლიანი არ არის; ევროპულმა სასამართლომ სამართალწარმოება მთლიანობაში უნდა შეაფასოს (*H. საფრანგეთის წინააღმდეგ*, § 61 და 70)⁸³⁴. ექსპერტის დანიშვნაზე უარი დასაბუთებული უნდა იყოს;
- ბავშვის მეურვეობასა და ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებულ საქმეზე ფსიქოლოგის დასკვნის მოპოვებაზე უარი განხილული უნდა იყოს საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (*ელშოლცი გერმანიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §66⁸³⁵, და *mutatis mutandis* *სომერფელდი გერმანიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], § 71⁸³⁶).

⁸³⁰ *Dombo Beheer B.V. v. the Netherlands*, 27 ოქტომბერი 1993, § 31, Series A N 274;

⁸³¹ *Wierzbicki v. Poland*, N 24541/94, § 45, 18 ივნისი 2002;

⁸³² *Ankerl v. Switzerland*, 23 ოქტომბერი 1996, § 38, Reports of Judgments and Decisions 1996-V;

⁸³³ *Dombo Beheer B.V. v. the Netherlands*, 27 ოქტომბერი 1993, §35, Series A N 274;

⁸³⁴ *H. v. France*, 24 ოქტომბერი 1989, §61 და 70, Series A N 162-A;

⁸³⁵ *Elsholz v. Germany* [დიდი პალატა], N 25735/94, § 66, ECHR 2000-VIII;

⁸³⁶ *Sommerfeld v. Germany* [დიდი პალატა], N 31871/96, § 71, ECHR 2003-VIII (extracts);

- ბავშვის გატაცების საქმეზე (*ტიემანი საფრანგეთის და გერმანიის წინააღმდეგ* (განჩინება))⁸³⁷ სტრასბურგის სასამართლომ იმისათვის, რომ შეეფასებინა იყო თუ არა სასამართლოს უარი გონივრული, განიხილა, მიუთითა თუ არა სააპელაციო სასამართლომ საკმარისი მიზეზები, როდესაც არ დააკმაყოფილა მომჩივნის მოთხოვნა მეორე ექსპერტის დაკითხვის თაობაზე.

288. ექსპერტის დანიშვნა: მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა პროცედურული გარანტიის მსგავსად, შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვა დაკავშირებულია „ტრიბუნალის“ წინაშე საქმის განხილვასთან; შესაბამისად, აღნიშნული დებულებიდან არცერთი ზოგადი, აბსტრაქტული პრინციპი არ შეიძლება განიმარტოს იმგვარად, რომ მხარეებს ყველა ინსტანციაში აქვთ სასამართლოს მიერ დანიშნული ექსპერტის დაკითხვაზე დასწრების ან მის მიერ მხედველობაში მიღებული დოკუმენტების გაცნობის უფლება.

289. მთავარია მხარეებს სათანადოდ შეეძლოთ სამართალწარმოებაში მონაწილეობის მიღება (*მანტოვანელი საფრანგეთის წინააღმდეგ*, § 33)⁸³⁸.

290. ექსპერტის მხრიდან ნეიტრალურობის დაუცველობამ, სამართალწარმოებაში მის როლსა და პოზიციასთან ერთად, შესაძლოა, თანასწორობის პრინციპის საწინააღმდეგოდ, ერთ-ერთი მხარის საზიანოდ დაარღვიოს მხარეებს შორის ბალანსი (*სარა ლინ ეგერტდოტირი ისლანდიის წინააღმდეგ*, §53)⁸³⁹; აგრეთვე, ექსპერტს სამართალწარმოებაში შესაძლოა გაბატონებული ადგილი ეკავოს; გარდა ამისა, ის მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სასამართლოს შეფასებაზე (*ივონი საფრანგეთის წინააღმდეგ*, § 37)⁸⁴⁰.

291. როდესაც სამედიცინო ექსპერტის დასკვნა ეხება ტექნიკურ საკითხს, რასთან დაკავშირებითაც მოსამართლეს სპეციალური ცოდნა არ გააჩნია, სავარაუდოდ, ექსპერტის დასკვნას სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასებაზე დიდი გავლენა ექნება; სამედიცინო ექსპერტის დასკვნა მტკიცებულების არსებითი ნაწილია და მხარეებს უნდა ჰქონდეთ მასზე კომენტარის გაკეთების შესაძლებლობა (*მანტოვანელი საფრანგეთის წინააღმდეგ*, § 36⁸⁴¹; *სტორკი გერმანიის წინააღმდეგ*, § 135⁸⁴²).

⁸³⁷ *Tiemann v. France and Germany* (განჩინება), N 47457/99 და 47458/99, ECHR 2000-IV;

⁸³⁸ *Mantovanelli v. France*, 18 მარტი 1997, § 33, Reports of Judgments and Decisions 1997-II;

⁸³⁹ *Sara Lind Eggertsdóttir v. Iceland*, N 31930/04, § 53, 5 ივლისი 2007;

⁸⁴⁰ *Yvon v. France*, N 44962/98, § 37, ECHR 2003-V;

⁸⁴¹ *Mantovanelli v. France*, 18 მარტი 1997, § 36, Reports of Judgments and Decisions 1997-II;

⁸⁴² *Storck v. Germany*, N 61603/00, § 135, ECHR 2005-V;

- გადაწყვეტილებაში საქმეზე *მანტოვანელი საფრანგეთის წინააღმდეგ*⁸⁴³ იმ ფაქტმა, რომ მომჩივნებს მტკიცებულების ძირითად ნაწილზე, კერძოდ, ექსპერტის დასკვნაზე, არ მიეცათ კომენტარის გაკეთების საშუალება, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის დარღვევა განაპირობა;
- გადაწყვეტილებაში საქმეში *ოგუსტო საფრანგეთის წინააღმდეგ*⁸⁴⁴ აკრედიტებული ექიმის დასკვნის გაუმჟღავნებლობამ, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი დაარღვევა გამოიწვია, მიუხედავად იმისა, რომ ექიმის დასკვნას მოსამართლისთვის სავალდებულო ძალა არ ქონდა; თუმცა, დასკვნას, სავარაუდოდ, გადაწყვეტილებაზე არსებითი გავლენა ექნებოდა, ვინაიდან მასში შეფასებული იყო, აკმაყოფილებდა თუ არა მომჩივანი სოციალური კეთილდღეობის მიღებისთვის საჭირო სამედიცინო მოთხოვნებს.

292. რაც შეეხება მხარეთა უფლებებს ექსპერტთან მიმართებით: შეადარე *ფელდბრუგე ნიდერლანდების სამეფოს წინააღმდეგ*, § 44⁸⁴⁵ (დარღვევა დადგინდა), გადაწყვეტილებას საქმეზე *ოლსონი შვედეთის წინააღმდეგ* (N 1), §§ 89-91⁸⁴⁶ (დარღვევა არ დადგინდა). რაც შეეხება პირის საწინააღმდეგო დასკვნის გამჟღავნების მოთხოვნას, იხ., საქმე: *L. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (განჩინება)⁸⁴⁷.

7. სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთება

293. კონვენციის 6.1 მუხლით გათვალისწინებული გარანტიები მოიცავს სასამართლოს ვალდებულებას, მიუთითოს გადაწყვეტილების მიღების საკმარისი საფუძვლები (*H. ბელგიის წინააღმდეგ*, §53)⁸⁴⁸. დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარეებს აჩვენებს, რომ მათ ნამდვილად მოუსმინეს.

294. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული სასამართლო მტკიცებულებების დასაშვებად ცნობის და არგუმენტების შერჩევის დროს სარგებლობს შეფასების ფართო ფარგლებით, ის ვალდებულია, რომ საკუთარი ქმედებები გაამართლოს, გადაწყვეტილების მიღების შესაბამისი მიზეზების მითითებით (*სუომინენი ფინეთის წინააღმდეგ*, § 36⁸⁴⁹; *კარმელ სალიბა მალტის წინააღმდეგ*, § 73⁸⁵⁰).

⁸⁴³ Mantovanelli v. France, 18 მარტი 1997, Reports of Judgments and Decisions 1997-II;

⁸⁴⁴ Augusto v. France, N 71665/01, 11 იანვარი 2007;

⁸⁴⁵ Feldbrugge v. the Netherlands, 29 მაისი 1986, §44, Series A N 99;

⁸⁴⁶ Olsson v. Sweden (N 1), 24 მარტი 1988, §§89-91, Series A N 130;

⁸⁴⁷ L. v. the United Kingdom (განჩინება), N 34222/96, ECHR 1999-VI;

⁸⁴⁸ H. v. Belgium, 30 ნოემბერი 1987, § 53, Series A N 127-B;

⁸⁴⁹ Suominen v. Finland, N 37801/97, § 36, 1 ივლისი 2003;

⁸⁵⁰ Carmel Saliba v. Malta, N 24221/13, § 73, 29 ნოემბერი 2016;

295. სასამართლოს მიერ მითითებული გადაწყვეტილების მიღების საფუძვლები, მხარეებს უნდა აძლევდეს შესაძლებლობას, ეფექტიანად გამოიყენონ გასაჩივრების უფლება (*ჰირვისაარი ფინეთის წინააღმდეგ*, § 30 in fine)⁸⁵¹.

296. კონვენციის 6.1 მუხლი სასამართლოებს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი სასამართლოებს გადაწყვეტილების მიღების მიზეზების მითითებას ავალდებულებს, თუმცა აღნიშნული მუხლი იმგვარად არ უნდა იქნეს გაგებული, რომ იგი სასამართლოებისგან ყოველ არგუმენტთან დაკავშირებით დეტალურ პასუხს მოითხოვდეს (*ვან დე ჰურკი ნიდერლანდების სამეფოს წინააღმდეგ*, §61⁸⁵²; *გარსია რუიზი ესპანეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §26⁸⁵³; *იანკე და ლენობლი საფრანგეთის წინააღმდეგ* (განჩინება)⁸⁵⁴; *პერეზი საფრანგეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], § 81⁸⁵⁵).

297. მიზეზების მითითების ვალდებულების ფარგლები შეიძლება განსხვავდებოდეს გადაწყვეტილების ბუნების მიხედვით (*რუიზ ტორია ესპანეთის წინააღმდეგ*, § 29⁸⁵⁶; *ჰირო ბალანი ესპანეთის წინააღმდეგ*, §27⁸⁵⁷) და შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ საქმის გარემოებების გათვალისწინებით: აუცილებელია, მხედველობაში იქნეს მიღებული დავის მონაწილე მხარის მიერ სასამართლოებისთვის წარდგენილი დოკუმენტების განსხვავებულობა; აგრეთვე, კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოებში არსებული განსხვავებული გადაწყვეტილების მომზადების წესთან, საკანონმდებლო დებულებებთან, ჩვეულებით სამართალსა და სამართლებრივი შეხედულებებთან დაკავშირებით (*რუიზ ტორია ესპანეთის წინააღმდეგ*, §29⁸⁵⁸; *ჰირო ბალანი ესპანეთის წინააღმდეგ*, § 27⁸⁵⁹).

298. თუმცა, როდესაც მხარის არგუმენტს არსებითი მნიშვნელობა აქვს სამართალწარმოების შედეგზე, იგი საჭიროებს ნათელ და კონკრეტულ პასუხს (*რუიზ ტორია ესპანეთის წინააღმდეგ*, § 30⁸⁶⁰; *ჰირო ბალანი ესპანეთის წინააღმდეგ*, § 28⁸⁶¹).

⁸⁵¹ Hirvisaari v. Finland, N 49684/99, § 30, 27 სექტემბერი 2001;

⁸⁵² Van de Hurk v. the Netherlands, 19 აპრილი 1994, § 61, Series A N 288;

⁸⁵³ García Ruiz v. Spain [დიდი პალატა], N 30544/96, § 26, ECHR 1999-I;

⁸⁵⁴ Jahnke and Lenoble v. France (განჩინება), N 40490/98, ECHR 2000-IX;

⁸⁵⁵ Perez v. France [დიდი პალატა], N 47287/99, § 81, ECHR 2004-I;

⁸⁵⁶ Ruiz Torija v. Spain, 9 დეკემბერი 1994, § 29, Series A N 303-A;

⁸⁵⁷ Hiro Balani v. Spain, 9 დეკემბერი 1994, § 27, Series A N 303-B;

⁸⁵⁸ Ruiz Torija v. Spain, 9 დეკემბერი 1994, § 29, Series A N 303-A;

⁸⁵⁹ Hiro Balani v. Spain, 9 დეკემბერი 1994, § 27, Series A N 303-B;

⁸⁶⁰ Ruiz Torija v. Spain, 9 დეკემბერი 1994, § 30, Series A N 303-A;

⁸⁶¹ Hiro Balani v. Spain, 9 დეკემბერი 1994, § 28, Series A N 303-B;

299. შესაბამისად, სასამართლოებს მოეთხოვება გამოიკვილოს შემდეგი:

- მხარეთა ძირითადი არგუმენტები (*ბუზესკუ რუმინეთის წინააღმდეგ*, § 67⁸⁶²; *დონადე საქართველოს წინააღმდეგ*, §35⁸⁶³);
- კონვენციითა და მისი დამატებითი ოქმებით უზრუნველყოფილ უფლებებსა და თავისუფლებებთან დაკავშირებული განცხადებები; ეროვნული სასამართლოები ვალდებულები არიან აღნიშნული განცხადებები განსაკუთრებული სიმკაცრითა და სიფრთხილით შეისწავლონ (*ვაგნერი და J.M. W.L. ლუქსემბურგის წინააღმდეგ*, § 96)⁸⁶⁴.

300. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი სააპელაციო სასამართლოს არ ავალდებულებს მიუთითოს დეტალური მიზეზები, როდესაც იგი, სამართლის საკითხთან დაკავშირებულ საჩივარზე უარის თქმისას, იყენებს კონკრეტულ სამართლებრივ ნორმას, ახსნა-განმარტების გარეშე, იმ საფუძველით, რომ საჩივარს არ აქვს პერსპექტივა (*ბურგი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ*, (განჩინება)⁸⁶⁵; *გურუ საბერძნეთის წინააღმდეგ* (N2) [დიდი პალატა], § 41⁸⁶⁶).

301. გარდა ამისა, საჩივარზე უარის თქმისას, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია დაეთანხმოს ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოცემულ მიზეზებს (*გარსია რუიზი ესპანეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §26⁸⁶⁷ – შეადარე *ტატიშვილი რუსეთის წინააღმდეგ*, §62⁸⁶⁸). თუმცა, სამართლიანი სამართალწარმოება მოითხოვს, რომ ეროვნულმა სასამართლომ, რომელმაც, ქვედა ინსტანციის სასამართლოს არგუმენტების გამოყენებით ან სხვაგვარად, არ წარმოადგინა გადაწყვეტილების დეტალური მიზეზები, უპასუხოს წამოჭრილი საკითხების არსებით ნაწილს და არ შემოიფარგლოს მხოლოდ ქვედა ინსტანციის დასაბუთების გაზიარებით (*ელე ფინეთის წინააღმდეგ*, §60)⁸⁶⁹. წინამდებარე მოთხოვნა ძალიან მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც მხარეს შიდა სამართალწარმოების დროს არ მიეცა საკუთარი პოზიციის ზეპირად წარდგენის შესაძლებლობა (იქვე).

303. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლოებს (მეორე ინსტანცია), რომლებსაც ეკისრებათ დაუსაბუთებელის საჩივრების გაფილტვრის ვალდებულება და

⁸⁶² Buzescu v. Romania, N 61302/00, § 67, 24 მაისი 2005;

⁸⁶³ Donadze v. Georgia, N 74644/01, § 35, 7 მარტი 2006;

⁸⁶⁴ Wagner and J.M.W.L. v. Luxembourg, N 76240/01, § 96, 28 ივნისი 2007;

⁸⁶⁵ Burg and Others v. France (განჩინება), N 34763/02, ECHR 2003-II;

⁸⁶⁶ Gorou v. Greece (N 2) [დიდი პალატა], N 12686/03, § 41, 20 მარტი 2009;

⁸⁶⁷ Garcia Ruiz v. Spain [დიდი პალატა], N 30544/96, § 26, ECHR 1999-I;

⁸⁶⁸ Tatishvili v. Russia, N 1509/02, § 62, ECHR 2007-I;

⁸⁶⁹ Helle v. Finland, 19 დეკემბერი 1997, § 60, Reports of Judgments and Decisions 1997-VIII;

სამოქალაქო სამართალწარმოებასთან მიმართებით აქვთ ფაქტებსა და სამართალთან დაკავშირებული საკითხების განხილვის იურისდიქცია, მოეთხოვებათ მიუთითონ საჩივრის შესწავლაზე უარის თქმის მიზეზები (*ჰანსენი ნორვეგიის წინააღმდეგ*, §§ 77-83)⁸⁷⁰. ციტირებულ საქმეში, სააპელაციო სასამართლომ არ განიხილა სამოქალაქო საქმეზე მომჩივნის მიერ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების წინააღმდეგ წარდგენილი საჩივარი და განაცხადა, რომ „ცალსახა იყო საჩივრის წარუმატებლობა“, რის დამადასტურებლად მხოლოდ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმა მიუთითა.

304. გარდა ამისა, სტრასბურგის სასამართლომ დარღვევა არ დაადგინა საქმეზე, სადაც სასამართლომ პასუხი არ გასცა მხარის არგუმენტს, რომელიც საქმისთვის მნიშვნელოვანი არ იყო და ეხებოდა ხელმოწერისა და ბეჭდის არარსებობას, რომელიც წარმოადგენდა არა მატერიალურ-სამართლებრივი, არამედ ფორმალური ხასიათის დარღვევას და ამასთანავე დროულად იქნა გამოსწორებული (*მუგოშა მონტენეგროს წინააღმდეგ*, § 63)⁸⁷¹.

B. საჯარო განხილვა

სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ... ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება ... დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. სასამართლო გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ, თუმცა მთელ სასამართლო პროცესზე ან მის ნაწილზე პრესა და საზოგადოება შეიძლება არ დაუშვან, დემოკრატიულ საზოგადოებაში მორალის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე, აგრეთვე, როდესაც ამას მოითხოვს არასრულწლოვანთა ინტერესები ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა, ან რამდენადაც, სასამართლოს აზრით, ეს მკაცრად აუცილებელია განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას, როდესაც საქვეყნობა ზიანს მიაყენებდა მართლმსაჯულების ინტერესებს.

⁸⁷⁰ Hansen v. Norway, N 15319/09, § 77-83, 2 ოქტომბერი 2014;

⁸⁷¹ Mugoša v. Montenegro, N 76522/12, § 63, 21 ივნისი 2016;

1. საჯარო განხილვა

305. ზოგადი პრინციპები: მხარეებს აქვთ საჯარო განხილვის უფლება, რადგან აღნიშნული უფლება იცავს მათ მართლმსაჯულების ფარულად, საზოგადოებრივი კონტროლის გარეშე განხორციელებისგან. მართლმსაჯულების საჯაროობის უზრუნველყოფა ხელს უწყობს 6.1 მუხლით დასახული მიზნის მიღწევას, კერძოდ კი სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების რეალიზაციას (*მალჰუსი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §55-56)⁸⁷². მიუხედავად იმისა, რომ საჯარო განხილვა კონვენციის 6.1 მუხლით უზრუნველყოფილი ფუნდამენტური უფლებაა, ის არ არის აბსოლუტური (*დე ტომასო იტალიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §163)⁸⁷³. იმის დასადგენად საქმის განხილვა შესაბამისობაში იყო თუ არა საჯაროობის მოთხოვნასთან, აუცილებელია სამართალწარმოების მთლიანობაში შეფასება (*აქსენი გერმანიის წინააღმდეგ*, § 28)⁸⁷⁴.

306. პირველი და ერთადერთი ინსტანციის წინაშე საქმის წარმოების დროს კონვენციის 6.1 მუხლით გათვალისწინებული „საჯარო განხილვის“ უფლება მოიცავს „ზეპირი სასამართლო განხილვის“ უფლებას (*ფრედინი შვედეთის წინააღმდეგ* (no. 2), §§ 21-22⁸⁷⁵; *ალან იაკობსონი შვედეთის წინააღმდეგ* (N 2), § 46⁸⁷⁶; *გოჩი თურქეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §47⁸⁷⁷), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განსაკუთრებული გარემოებები ამართლებს ზეპირი განხილვის ჩაუტარებლობას (*ჰესე ანგერი და ანგერი გერმანიის წინააღმდეგ* (განჩინება))⁸⁷⁸. მსგავსი გარემოებების განსაკუთრებული ხასიათი გამომდინარეობს განსახილველი საკითხის ბუნებიდან, მაგალითად, როდესაც სამართალწარმოება ეხება მხოლოდ სამართლებრივ ან უადრესად ტექნიკურ საკითხებს (*ქუტუმელი ავსტრიის წინააღმდეგ*, §19)⁸⁷⁹.

307. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ განსაკუთრებულ გარემოებებში, რომლებიც უკავშირდება კომპეტენტური ეროვნული სასამართლოს მიერ გადასაწყვეტი საკითხების ბუნებას და არა მსგავსი შემთხვევების

⁸⁷² *Malhous v. the Czech Republic* [დიდი პალატა], N 33071/96, §55-56, 12 ივლისი 2001;

⁸⁷³ *De Tommaso v. Italy* [დიდი პალატა], N 43395/09, § 163, ECHR 2017 (extracts);

⁸⁷⁴ *Axen v. Germany*, 8 დეკემბერი 1983, § 28, Series A N 72;

⁸⁷⁵ *Fredin v. Sweden* (N 2), 23 თებერვალი 1994, § 21-22, Series A N 283-A;

⁸⁷⁶ *Allan Jacobsson v. Sweden* (N 2), 19 თებერვალი 1998, § 46, Reports of Judgments and Decisions 1998-I;

⁸⁷⁷ *Göç v. Turkey* [დიდი პალატა], N 36590/97, §47, ECHR 2002-V;

⁸⁷⁸ *Hesse-Anger and Anger v. Germany* (განჩინება), N 45835/99, ECHR 2001-VI (extracts);

⁸⁷⁹ *Koottummel v. Austria*, N 49616/06, § 19, 10 დეკემბერი 2009;

სიხშირეს, შესაძლებელია საქმეზე არ ჩატარდეს ზეპირი განხილვა (*მილერი შვედეთის წინააღმდეგ*, § 29)⁸⁸⁰.

308. როდესაც საქმე განხილულ იქნა პირველი ინსტანციის მიერ, მეორე და მესამე ინსტანციების წინაშე საქმის განუხილველობა შეიძლება გამართლებულ იქნას სამართალწარმოების სპეციალური მახასიათებლებით (*ჰელმერსი შვედეთის წინააღმდეგ*, §36⁸⁸¹, თუმცა, შეადარეთ §§ 38-39 *სალომონსონი შვედეთის წინააღმდეგ*, §36⁸⁸²). ამდენად, აპელაციის გარეშე დარჩენილი სამართალწარმოება და მხოლოდ სამართლის საკითხების შემცველი საქმის განხილვა შესაძლოა, შეესაბამებოდეს კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნებს, მიუხედავად იმისა, რომ აპელანტს არ მისცემია სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოს წინაშე საკუთარი პოზიციის წარდგენის შესაძლებლობა (*მილერი შვედეთის წინააღმდეგ*, §30)⁸⁸³. შესაბამისად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ზედა ინსტანციის სასამართლოებში საქმისწარმოების თავისებურებები.

309. ამრიგად, თუ არ არსებობს ზეპირი მოსმენის ჩაუტარებლობის გამამართლებელი განსაკუთრებული გარემოებები, მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფით უზრუნველყოფილი საჯარო განხილვის უფლება გულისხმობს ზეპირ მოსმენას სულ მცირე პირველი ინსტანციის წინაშე (*ფიშერი ავსტრიის წინააღმდეგ*, § 44⁸⁸⁴; *სალომონსონი შვედეთის წინააღმდეგ*, § 36⁸⁸⁵).

310. გადაწყვეტილებაში საქმეზე *ვილიო ესკელინენი და სხვები ფინეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §74⁸⁸⁶, სტრასბურგის სასამართლომ საჯარო განხილვის არარსებობის საფუძველზე კონვენციის 6.1 მუხლის დარღვევა არ დაადგინა. სასამართლომ გაითვალისწინა, რომ მომჩივნებს შეეძლოთ საჯარო განხილვის მოთხოვნა, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოებს უნდა გადაეწყვიტათ, აუცილებელი იყო თუ არა საქმის ზეპირად განხილვა; სასამართლომ ასევე გაითვალისწინა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა მიუთითეს საჯარო განხილვის ჩაუტარებლობის მიზეზები და მომჩივნებს ჰქონდათ შესაძლებლობა წერილობით დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია და კომენტარი გაეკეთებინათ მეორე მხარის მიერ წარდგენილ

⁸⁸⁰ Miller v. Sweden, N 55853/00, § 29, 8 თებერვალი 2005;

⁸⁸¹ Helmers v. Sweden, 29 ოქტომბერი 1991, § 36, Series A N 212-A;

⁸⁸² Salomonsson v. Sweden, N 38978/97, § 36, 12 ნოემბერი 2002;

⁸⁸³ Miller v. Sweden, N 55853/00, § 30, 8 თებერვალი 2005;

⁸⁸⁴ Fischer v. Austria, 26 აპრილი 1995, § 44, Series A N 312;

⁸⁸⁵ Salomonsson v. Sweden, N 38978/97, § 36, 12 ნოემბერი 2002;

⁸⁸⁶ Vilho Eskelinen and Others v. Finland [დიდი პალატა], N 63235/00, § 74, ECHR 2007-II;

არგუმენტებზე (იქვე). იხ. საქმე *ჰელმუტ ბლუმი ავსტრიის წინააღმდეგ*, §§ 70-74⁸⁸⁷, სადაც დროებითი ღონისძიებები იქნა მიღებული, საჯარო განხილვის ჩატარების გარეშე.

311. პრაქტიკული პრობლემა, რომელიც წარმოიშობა იმის გამო, რომ მომჩივანი სხვა ქვეყანაში იხდის საპატიმრო სასჯელს, არ გამოორიცხავს ალტერნატიული პროცედურული ვარიანტის განხილვას, როგორცაა თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება, რათა მომჩივნის უფლება - მოუსმინონ მას, უზრუნველყოფილ იქნეს (*პონკა ესტონეთის წინააღმდეგ*, §39)⁸⁸⁸.

312. სპეციფიკური შემთხვევები:

- ზეპირი განხილვა არ არის საჭირო, როდესაც არ არსებობს სადავო ფაქტები, რომელთა ზეპირი განხილვა აუცილებელია და სასამართლოებს მხარეთა მიერ წარდგენილი არგუმენტებისა და წერილობითი მასალების საფუძველზე შეუძლიათ სამართლიანად და გონივრულად გადაწყვიტონ დავა (*დორი შვედეთის წინააღმდეგ*, § 37⁸⁸⁹; *საკოკია ავსტრიის წინააღმდეგ*, § 73⁸⁹⁰).
- სტრასბურგის სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ საჯარო განხილვის ჩატარებლობა შეიძლება გამართლებული იყოს საქმეებზე, რომელიც ეხება შეზღუდული ხასიათის იურიდიულ საკითხებს (*ალან იაკობსონი შვედეთის წინააღმდეგ* (N2), §49⁸⁹¹; *ვალოვა, სლეზაკი და სლეზაკი სლოვაკეთის წინააღმდეგ*, §§65-68⁸⁹²) და არ არის კომპლექსური (*ვარელა ასალინო პორტუგალიის წინააღმდეგ* (განჩინება)⁸⁹³; *სპეილი ავსტრიის წინააღმდეგ* (განჩინება)⁸⁹⁴). იგივე მიდგომა ვრცელდება საქმეებზე, რომლებიც ეხება ტექნიკურ საკითხებს. სტრასბურგის სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სოციალურ დაცვასთან დაკავშირებული დავების ტექნიკურ ხასიათზე და აღნიშნა, რომ მათი განხილვა წერილობით უმჯობესია, ვიდრე ზეპირი არგუმენტებით. სასამართლომ არაერთხელ დაადგინა, რომ ამ სფეროში ეროვნულ ხელისუფლებას, ეკონომიურობისა და ეფექტიანობის მოთხოვნების გათვალისწინებით, შეუძლია არ გამართოს ზეპირი მოსმენა, ვინაიდან

⁸⁸⁷ Helmut Blum v. Austria, N 33060/10, § 70-74, 5 აპრილი 2016;

⁸⁸⁸ Pönkä v. Estonia, N 64160/11, § 39, 8 ნოემბერი 2016;

⁸⁸⁹ Döry v. Sweden, N 28394/95, § 37, 12 ნოემბერი 2002;

⁸⁹⁰ Saccoccia v. Austria, N 69917/01, § 73, 18 დეკემბერი 2008;

⁸⁹¹ Allan Jacobsson v. Sweden (N 2), 19 თებერვალი 1998, § 49, Reports of Judgments and Decisions 1998-I;

⁸⁹² Valová, Slezák and Slezák v. Slovakia, N 44925/98, § 65-68, 1 ივნისი 2004;

⁸⁹³ Varela Assalino v. Portugal (განჩინება), N 64336/01, 25 აპრილი 2002;

⁸⁹⁴ Speil v. Austria (განჩინება), N 42057/98, 5 სექტემბერი 2002;

სისტემატიურად საქმის ზეპირად განხილვამ შესაძლოა, დაბრკოლება წარმოქმნას სოციალური დაცვის სამართალწარმოებაში აუცილებელ განსაკუთრებულ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით (*შულერ-ზგრაგენი შვეიცარიის წინააღმდეგ*, §58⁸⁹⁵; *დორი შვედეთის წინააღმდეგ*, §41⁸⁹⁶; *შეადარეთ სალომონსონი შვედეთის წინააღმდეგ*, §§ 39-40⁸⁹⁷).

313. ამის საწინააღმდეგოდ, ზეპირი მოსმენის გამართვა აუცილებლად მიიჩნევა, მაგალითად, როდესაც სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება როგორც სამართლის საკითხებზე, აგრეთვე, მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებებზე (*ფიშერი ავსტრიის წინააღმდეგ*, §44)⁸⁹⁸ ან როდესაც სასამართლომ უნდა შეაფასოს ხელისუფლების ორგანოებმა რამდენად სწორად დაადგინეს ფაქტები (*მალჰაუსი ჩეხეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §60)⁸⁹⁹, განსაკუთრებით იმ პირობებში, რომლებიც სასამართლოებისგან მოითხოვს აპლიკანტებთან დაკავშირებით შეექმნას პირადი შთაბეჭდილება, რათა აპლიკანტისთვის უზრუნველყოფილ იქნეს საკუთარი არგუმენტების პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით წარმოდგენის უფლება (*მილერი შვედეთის წინააღმდეგ*, §34⁹⁰⁰; *ანდერსონი შვედეთის წინააღმდეგ*, § 57⁹⁰¹) - მაგალითად, როდესაც, კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისთვის, მომჩივანი საუბრობს მის მიერ განცდილ ზიანზე (*გოჩი თურქეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §51⁹⁰²; *ლორენზეტი იტალიის წინააღმდეგ*, §33⁹⁰³) ან როდესაც სასამართლო გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით მოითხოვს განმარტებებს (*ფრედინი შვედეთის წინააღმდეგ* (N 2), § 22⁹⁰⁴; *ლუნდევალი შვედეთის წინააღმდეგ*, § 39⁹⁰⁵).

314. გადაწყვეტილება საქმეზე *პონკა ესტონეთის წინააღმდეგ*⁹⁰⁶ ეხებოდა გამარტივებული პროცედურის გამოყენებასა და სასამართლოს უარს, ჩაეტარებინა საჯარო განხილვა, მიზეზების მითითების გარეშე (§§ 37-40).

⁸⁹⁵ Schuler-Zraggen v. Switzerland, 24 ივნისი 1993, § 58, Series A N 263;

⁸⁹⁶ Döry v. Sweden, N 28394/95, § 41, 12 ნოემბერი 2002;

⁸⁹⁷ Salomonsson v. Sweden, N 38978/97, § 39-40, 12 ნოემბერი 2002;

⁸⁹⁸ Fischer v. Austria, 26 აპრილი 1995, § 44, Series A N 312;

⁸⁹⁹ Malhous v. the Czech Republic [დიდი პალატა], N 33071/96, §60, 12 ივლისი 2001;

⁹⁰⁰ Miller v. Sweden, N 55853/00, § 34, 8 თებერვალი 2005;

⁹⁰¹ Andersson v. Sweden, N 17202/04, § 57, 7 დეკემბერი 2010;

⁹⁰² Göç v. Turkey [დიდი პალატა], N 36590/97, §51, ECHR 2002-V;

⁹⁰³ Lorenzetti v. Italy, N 32075/09, § 33, 10 აპრილი 2012;

⁹⁰⁴ Fredin v. Sweden (N 2), 23 თებერვალი 1994, § 22, Series A N 283-A;

⁹⁰⁵ Lundevall v. Sweden, N 38629/97, § 39, 12 ნოემბერი 2002;

⁹⁰⁶ Pönkä v. Estonia, N 64160/11, 8 ნოემბერი 2016;

315. საქმის საჯარო განხილვის დროს, მხარეებს უფლება აქვთ დაესწრონ სასამართლო პროცესს და წარადგინონ ზეპირი არგუმენტები ან აირჩიონ სამართალწარმოებაში მონაწილეობის სხვა გზა (მაგალითად, დანიშნონ წარმომადგენელი) ან ითხოვონ საქმის განხილვის გადადება. აღნიშნული უფლებების ეფექტიანი გამოყენებისთვის, მხარეებს უნდა ეცნობოთ საქმის განხილვის ადგილისა და დროის შესახებ გონივრულ ვადაში, რათა მათ შეძლონ სასამართლო პროცესზე დასწრება. სტრასბურგის სასამართლომ განაცხადა, რომ ეროვნული სასამართლოები ვალდებული არიან, საქმის არსებითი მხარის განხილვის დაწყებამდე, შეამოწმონ ჩაბარდა თუ არა მხარეს შეტყობინება. ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებაში მოცემული ანალიზი არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ იმის მითითებით, რომ მხარეს გაეგზავნა სასამართლო უწყება, არამედ განხილული უნდა იყოს ყველა ხელმისაწვდომი მტკიცებულება, რათა შეფასდეს, მხარეს, რომელიც არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე, დადგენილ ვადაში ეცნობა თუ არა სასამართლო პროცესის შესახებ. თუ ეროვნული სასამართლო ვერ უზრუნველყოფს იმის დადგენას, სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებელ მხარეს ჩაბარდა თუ არა სასამართლო უწყება დადგენილ ვადაში და თუ არ ჩაბარდა, არ გადადებს საქმის განხილვას, ეს არ იქნება თავსებადი სამართლიანი სასამართლო განხილვის პრინციპთან და შეიძლება გამოიწვიოს კონვენციის 6.1 მუხლის დარღვევა (იხ. *განკინი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ*, §§39 და 42⁹⁰⁷, და პრეცედენტული სამართლით დადგენილი პრინციპები სასამართლო პროცესის შესახებ შეტყობინების გაგზავნის, მხარეთათვის ინფორმაციის მიწოდების და საქმის განხილვის უფლებაზე უარის თქმის თაობაზე §§ 34-38).

316. პრესისა და საზოგადოების დასწრება: სასამართლო პროცესის საჯაროობა იცავს დავის მხარეებს მართლმსაჯულების ფარული აღსრულებისგან ისე, რომ მასზე საზოგადოების კონტროლი არ არსებობდეს და შესაბამისად, ის სასამართლოებისადმი ნდობის ხელშეწყობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა (*დიენე საფრანგეთის წინააღმდეგ*, §33⁹⁰⁸; *მარტინიე საფრანგეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], § 39⁹⁰⁹; *გოტრინი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ*, § 42⁹¹⁰; *ჰურტერი შვეიცარიის წინააღმდეგ*, § 26⁹¹¹; *ლორენზეტი იტალიის წინააღმდეგ*, §30⁹¹²). თუმცა, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი სასამართლოებს არ

⁹⁰⁷ Gankin and Others v. Russia, N 2430/06 და 3 სხვა, § 29 და 32, 31 მაისი 2016;

⁹⁰⁸ Diennet v. France, 26 სექტემბერი 1995, § 33, Series A N 325-A;

⁹⁰⁹ Martinie v. France [დიდი პალატა], N 58675/00, §39, ECHR 2006;

⁹¹⁰ Gautrin and Others v. France, 20 მაისი 1998, § 42, Reports of Judgments and Decisions 1998-III;

⁹¹¹ Hurter v. Switzerland, no. 53146/99, § 26, 15 დეკემბერი 2005;

⁹¹² Lorenzetti v. Italy, N 32075/09, § 30, 10 აპრილი 2012;

უკრძალავს, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, გადაწყვიტონ, აღნიშნული პრინციპიდან გადახვევა (*მარტინიე საფრანგეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა]*, §40)⁹¹³. სასამართლო პროცესის მთლიანად ან ნაწილობრივ დახურვა საქმის გარემოებებით მკაცრად უნდა იყოს მოთხოვნილი (*ლორენზეტი იტალიის წინააღმდეგ*, §30)⁹¹⁴. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის ფორმულირება ითვალისწინებს ამ წესიდან რამდენიმე გამონაკლისს.

317. კონვენციის 6.1 მუხლის თანახმად, „მთელ სასამართლო პროცესზე ან მის ნაწილზე პრესა და საზოგადოება შეიძლება არ დაუშვან“:

- „დემოკრატიულ საზოგადოებაში მორალის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე“ (*ზაგოროდნიკოვი რუსეთის წინააღმდეგ*, §26⁹¹⁵; *ბ. და პ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 39⁹¹⁶);
- „როდესაც ამას მოითხოვს არასრულწლოვანთა ინტერესები ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა“: არასრულწლოვანთა ინტერესები ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა განსახილველი საკითხია, მაგალითად, სამართალწარმოებაში, რომელიც ეხება არასრულწლოვნის საცხოვრებლის განსაზღვრას მშობლების განქორწინების შემდგომ ან ერთი და იმავე ოჯახის წევრებს შორის არსებულ დავას (*ბ. და პ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 38)⁹¹⁷; თუმცა, იმ საქმეებში, რომლებიც ეხება ბავშვის გადაცემას საჯარო დაწესებულებისთვის, საზოგადოებრივი კონტროლის გარეშე საქმის განხილვის საფუძვლები ყურადღებით უნდა იქნეს შესწავლილი (*მოსერი ავსტრიის წინააღმდეგ*, § 97)⁹¹⁸. რაც შეეხება ექიმის წინააღმდეგ დისციპლინურ სამართალწარმოებას, მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული კონფიდენციალობა და პაციენტთა პირადი ცხოვრება შეიძლება ამართლებდეს სხდომის დახურულად წარმართვას, საქმის საჯარო განხილვის შეზღუდვა მკაცრად უნდა გამომდინარეობდეს საქმის გარემოებებისგან (*დიენე საფრანგეთის წინააღმდეგ*, §34)⁹¹⁹; და ადვოკატის წინააღმდეგ მიმდინარე

⁹¹³ *Martinie v. France* [დიდი პალატა], N 58675/00, §40, ECHR 2006;

⁹¹⁴ *Lorenzetti v. Italy*, N 32075/09, § 30, 10 აპრილი 2012;

⁹¹⁵ *Zagorodnikov v. Russia*, N 66941/01, § 26, 7 ივნისი 2007;

⁹¹⁶ *B. and P. v. the United Kingdom*, N 36337/97 და 35974/97, §39, ECHR 2001-III;

⁹¹⁷ იქვე, §38;

⁹¹⁸ *Moser v. Austria*, N 12643/02, § 97, 21 სექტემბერი 2006;

⁹¹⁹ *Diennet v. France*, 26 სექტემბერი 1995, § 34, Series A N 325-A;

სამართალწარმოების მაგალითისთვის: *ჰურტერი შვეიცარიის წინააღმდეგ*, §§ 30-32⁹²⁰).

- „ან, რამდენადაც, სასამართლოს აზრით, ეს მკაცრად აუცილებელია განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას, როდესაც საქვეყნოობა ზიანს მიაყენებდა მართლმსაჯულების ინტერესებს“: სამართალწარმოების ღიაობისა და საქვეყნოობის შეზღუდვა შესაძლებელია მოწმეთა უსაფრთხოებისა და კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით ან მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, ინფორმაციისა და მოსაზრებების თავისუფლად გაცვლის ხელშესაწყობად (*ბ. და პ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 38⁹²¹; *ოსინგერი ავსტრიის წინააღმდეგ*, § 45⁹²²).

საჯარო განხილვის უფლებაზე უარის თქმა: კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის არც ფორმულირება და არც არსი არ უკრძალავს პირს, საკუთარი ნებით, გამოხატულად ან არაცხადად, უარი თქვას საჯარო განხილვის უფლებაზე; თუმცა, უფლებაზე უარი უნდა ითქვას აშკარად ნათლად და იგი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს რაიმე მნიშვნელოვან საჯარო ინტერესს (*ლო კომპტი, ვან ლოვენნი და დე მეიერი ბელგიის წინააღმდეგ*, §59⁹²³; *ჰაკანსონი და სტურესონი შვედეთის წინააღმდეგ*, §66⁹²⁴; *ექსელი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ*, §46⁹²⁵). გარდა ამისა, უწყება დროულად უნდა იქნეს მიღებული (*იაკოვლევი რუსეთის წინააღმდეგ*, §§ 20-22)⁹²⁶.

318. სასამართლომ აღნიშნა, რომ საჯარო განხილვასთან დაკავშირებული პრეცედენტული სამართალი, რომელიც ძირითადად უკავშირდება კონვენციის 6.1 მუხლით უზრუნველყოფილ სასამართლოსთვის მიმართვის უფლებას, ანალოგიით ვრცელდება იმ სამართალწარმოებაზე, რომელიც ღიაა. შესაბამისად, როდესაც საქმის განხილვა ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად ხდება, ის საჯარო უნდა იყოს. საჯარო განხილვის ჩატარების ვალდებულება არ არის აბსოლუტური, ვინაიდან გარემოებები, რომლებიც ამართლებს ამ მოთხოვნიდან გადახვევას, დამოკიდებულია ეროვნული სასამართლოების მიერ განსახილველი საკითხების ბუნებაზე (*დე ტომასო იტალიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §§163-67)⁹²⁷. „განსაკუთრებული

⁹²⁰ Hurter v. Switzerland, N 53146/99, § 30-32, 15 დეკემბერი 2005;

⁹²¹ B. and P. v. the United Kingdom, N 36337/97 და 35974/97, §38, ECHR 2001-III;

⁹²² Osinger v. Austria, N 54645/00, § 45, 24 მარტი 2005;

⁹²³ Le Compte, Van Leuven and De Meyere v. Belgium, 23 ივნისი 1981, § 59, Series A N 43;

⁹²⁴ Håkansson and Stureson v. Sweden, 21 თებერვალი 1990, § 66, Series A N 171-A;

⁹²⁵ Exel v. the Czech Republic, N 48962/99, § 46, 5 ივლისი 2005;

⁹²⁶ Yakovlev v. Russia, N 72701/01, § 20-22, 15 მარტი 2005;

⁹²⁷ De Tommaso v. Italy [დიდი პალატა], N 43395/09, § 163-67, ECHR 2017 (extracts);

გარემოებები- რაც მოიცავს განსახილველი საკითხების ტექნიკურ ხასიათს - შეიძლება ამართლებდეს საჯარო განხილვის ჩატარებლობას იმ შემთხვევაში თუ საქმის არსი არ მოითხოვს საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელებას” (ლორენზეტი იტალიის წინააღმდეგ, § 32)⁹²⁸.

319. საქმის მასალებში საიდუმლო ინფორმაციის არსებობა ავტომატურად არ გულისხმობს სასამართლო სხდომის დახურვის აუცილებლობის არსებობას. შესაბამისად, კონკრეტული საქმის განხილვის საჯაროობის შეზღუდვამდე, სასამართლოებმა უნდა განიხილონ სასამართლო სხდომის დახურვა აუცილებელია თუ არა საზოგადოებრივი ინტერესის დაცვისათვის და ასევე განსაზღვრონ, რა ღონისძიების გატარებაა მკაცრად აუცილებელი, მიზნის მისაღწევად (ნიკოლოვა და ვანდოვა ბულგარეთის წინააღმდეგ, §§74-77⁹²⁹, აღნიშნული გადაწყვეტილება ეხებოდა საქმის განხილვას დახურულ სასამართლო სხდომაზე, სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების გამო).

320. და ბოლოს, ზეპირი განხილვის არარსებობა შეიძლება ზედა ინსტანციების მიერ სათანადოდ ვერ გამოსწორდეს (ლო კომპტი, ვან ლოვენი და დე მეიერი ბელგიის წინააღმდეგ, §§ 60-61⁹³⁰; დიენე საფრანგეთის წინააღმდეგ, § 34⁹³¹; მალჰუსი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ [დიდი პალატა], § 62⁹³²).

321. საჯარო განხილვის უფლებაზე უარი: კონვენციის 6.1 მუხლის არც ფორმულირება და არც სულისკვეთება არ უკრძალავს პირს, საკუთარი ნებით, გამოხატულად ან უსიტყვოდ, უარი თქვას საჯარო განხილვის უფლებაზე; თუმცა, უფლებაზე უარი უნდა ითქვას აშკარად ნათლად და იგი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს რაიმე მნიშვნელოვან საჯარო ინტერესს (ლო კომპტი, ვან ლოვენი და დე მეიერი ბელგიის წინააღმდეგ, §59⁹³³; ჰაკანსონი და სტურესონი შვედეთის წინააღმდეგ, § 66⁹³⁴; ექსელი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ, § 46⁹³⁵). გარდა ამისა, უწყება დროულად უნდა იქნეს ჩაბარებული (იაკოვლევი რუსეთის წინააღმდეგ, §§ 20-22)⁹³⁶.

⁹²⁸ Lorenzetti v. Italy, N 32075/09, § 32, 10 აპრილი 2012;

⁹²⁹ Nikolova and Vandova v. Bulgaria, N 20688/04, § 74-77, 17 დეკემბერი 2013;

⁹³⁰ Le Compte, Van Leuven and De Meyere v. Belgium, 23 ივნისი 1981, § 60-61, Series A N 43;

⁹³¹ Diennet v. France, 26 სექტემბერი 1995, § 34, Series A N 325-A;

⁹³² Malhous v. the Czech Republic [დიდი პალატა], N 33071/96, § 62, 12 ივლისი 2001;

⁹³³ Le Compte, Van Leuven and De Meyere v. Belgium, 23 ივნისი 1981, § 59, Series A N 43;

⁹³⁴ Håkansson and Stureson v. Sweden, 21 თებერვალი 1990, § 66, Series A N 171-A;

⁹³⁵ Exel v. the Czech Republic, N 48962/99, § 46, 5 ივლისი 2005;

⁹³⁶ Yakovlev v. Russia, N 72701/01, § 20-22, 15 მარტი 2005;

322. საჯარო განხილვის უფლებაზე უარის თქმის მომწესრიგებელი პირობები: პირმა უნდა დაადასტუროს (*ლო კომპტი, ვან ლოვენ და დე მეიერი ბელგიის წინააღმდეგ*, § 59)⁹³⁷ საკუთარი თავისუფალი ნება (*ალბერტი და ლო კომპტი ბელგიის წინააღმდეგ*, § 35)⁹³⁸. წინამდებარე უფლებაზე უარი შეიძლება ითქვას გამოხატულად ან უსიტყვოდ (*ლო კომპტი, ვან ლოვენ და დე მეიერი ბელგიის წინააღმდეგ*, §59)⁹³⁹. თუმცა, უფლებაზე უარი უნდა ითქვას აშკარად ნათლად (*ალბერტი და ლო კომპტი ბელგიის წინააღმდეგ*, § 35⁹⁴⁰, და *ჰაკანსონი და სტურესონი შვედეთის წინააღმდეგ*, § 67⁹⁴¹) და იგი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს რაიმე მნიშვნელოვან საჯარო ინტერესს (*ჰაკანსონი და სტურესონი შვედეთის წინააღმდეგ*, § 66)⁹⁴².

323. თუ პირი არ ითხოვს საჯარო განხილვის ჩატარებას, ეს აუცილებლად არ ნიშნავს, რომ ის უარს ამბობს აღნიშნულ უფლებაზე; მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ეროვნული კანონმდებლობა (*ექსელი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ*, §47⁹⁴³; *გოჩი თურქეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა]*, § 48, in fine⁹⁴⁴). მოითხოვა თუ არა აპლიკანტმა საჯარო განხილვა არარელევანტურია თუ გამოყენებადი ეროვნული სამართალი აშკარად გამორიცხავს აღნიშნულ შესაძლებლობას (*ეიმენსტეკენი ავსტრიის წინააღმდეგ*, § 33)⁹⁴⁵.

324. მაგალითები: საჯარო განხილვის უფლებაზე უარის თქმა დისციპლინურ სამართალწარმოებაში: (*ლო კომპტი, ვან ლოვენ და დე მეიერი ბელგიის წინააღმდეგ*, §59⁹⁴⁶; *H. ბელგიის წინააღმდეგ*, §54⁹⁴⁷). საჯარო განხილვის უფლებაზე ცალსახად უარის თქმა: (*შულერ-ზგრაგენი შვეიცარიის წინააღმდეგ*, §58⁹⁴⁸; და შეადარე (*ექსელი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ*, §§ 48-53⁹⁴⁹).

⁹³⁷ Le Compte, Van Leuven and De Meyere v. Belgium, 23 ივნისი 1981, § 59, Series A N 43;

⁹³⁸ Albert and Le Compte v. Belgium, 10 თებერვალი 1983, § 35, Series A N 58;

⁹³⁹ Le Compte, Van Leuven and De Meyere v. Belgium, 23 ივნისი 1981, § 59, Series A N 43;

⁹⁴⁰ Albert and Le Compte v. Belgium, 10 თებერვალი 1983, § 35, Series A N 58;

⁹⁴¹ Håkansson and Sturesson v. Sweden, 21 თებერვალი 1990, § 67, Series A N 171-A;

⁹⁴² იქვე, § 66;

⁹⁴³ Exel v. the Czech Republic, N 48962/99, § 47, 5 ივლისი 2005;

⁹⁴⁴ Göç v. Turkey [დიდი პალატა], N 36590/97, §48, ECHR 2002-V;

⁹⁴⁵ Eisenstecken v. Austria, N 29477/95, § 33, ECHR 2000-X;

⁹⁴⁶ Le Compte, Van Leuven and De Meyere v. Belgium, 23 ივნისი 1981, § 59, Series A N 43;

⁹⁴⁷ H. v. Belgium, 30 ნოემბერი 1987, § 54, Series A N 127-B;

⁹⁴⁸ Schuler-Zraggen v. Switzerland, 24 ივნისი 1993, § 58, Series A N 263;

⁹⁴⁹ Exel v. the Czech Republic, N 48962/99, § 48-53, 5 ივლისი 2005;

2. გადაწყვეტილების გამოტანა

325. სასამართლო ორგანოების წინაშე მიმდინარე სამართალწარმოების საჯარო ხასიათი მოდავე მხარეებს იცავს საზოგადოებრივი კონტროლის გარეშე მართლმსაჯულების განხორციელებისგან (*ფაზლისკი ბულგარეთის წინააღმდეგ*, § 69)⁹⁵⁰. სამართალწარმოების საჯარო ხასიათი, აგრეთვე, სასამართლოების მიმართ ნდობის შენარჩუნების საშუალებაა (*პრეტო და სხვები იტალიის წინააღმდეგ*, § 21)⁹⁵¹.

326. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის მიხედვით „სასამართლო გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ“, რაც იმას გულისხმობს, რომ გადაწყვეტილების ღია სასამართლო სხდომაზე გამოცხადება სავალდებულოა. თუმცა, სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ „გადაწყვეტილების საჯაროდ გამოქვეყნების სხვა საშუალებები“ შესაძლოა, ასევე, თავსებადი იყოს მე-6 მუხლის 1-ელ პარაგრაფთან (*მოსერი ავსტრიის წინააღმდეგ*, § 101)⁹⁵².

327. იმისათვის, რომ დადგინდეს ეროვნული კანონმდებლობით უზრუნველყოფილი საჯაროობის ფორმების შესაბამისობა გადაწყვეტილების საჯაროდ გამოქვეყნების მოთხოვნასთან, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის მნიშვნელობის ფარგლებში, „თითოეულ საქმეზე ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული გადაწყვეტილების საჯაროობა... უნდა შეფასდეს სადავო სამართალწარმოების მახასიათებელი ნიშნების ფონზე და კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის მიზანსა და ამოცანაზე მითითებით (*პრეტო და სხვები იტალიის წინააღმდეგ*, §26⁹⁵³ და *აქსენი გერმანიის წინააღმდეგ*, §31⁹⁵⁴). ამ კონტექსტში მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის მიზანი - კერძოდ, სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვის მიზნით, საზოგადოების მიერ სასამართლო სისტემის კონტროლის უზრუნველყოფა - სამართალწარმოების დროს უნდა მიღწეულიყო; ნიშანდობლივია, რომ სამართალწარმოება მთლიანობაში უნდა იქნეს აღებული (*აქსენი გერმანიის წინააღმდეგ*, § 32)⁹⁵⁵.

328. როდესაც გადაწყვეტილება საჯაროდ არ გამოტანილა, უნდა შეფასდეს მიღწეულ იქნა თუ არა სხვა საშუალებებით საკმარისი საქვეყნოობა.

⁹⁵⁰ Fazliyski v. Bulgaria, N 40908/05, § 69, 16 აპრილი 2013;

⁹⁵¹ Pretto and Others v. Italy, 8 დეკემბერი 1983, § 21, Series A N 71;

⁹⁵² Moser v. Austria, N 12643/02, § 101, 21 სექტემბერი 2006;

⁹⁵³ Pretto and Others v. Italy, 8 დეკემბერი 1983, § 26, Series A N 71;

⁹⁵⁴ Axen v. Germany, 8 დეკემბერი 1983, § 31, Series A N 72;

⁹⁵⁵ იქვე, §32;

329. ქვემოთ მოცემულ მაგალითებში საკმარისი საქვეყნოობა გადაწყვეტილების გამოცხადების ნაცვლად, მიღწეულ იქნა სხვა საშუალებებით:

- მაღალი ინსტანციის სასამართლოები, რომლებიც საჯაროდ არ აცხადებდნენ გადაწყვეტილებას სამართლის საკითხებთან დაკავშირებულ საჩივრებზე უარის შესახებ: იმის დასადგენად საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების მეთოდი აკმაყოფილებს თუ არა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის მოთხოვნებს, ყურადღება უნდა მიექცეს ეროვნულ სამართლებრივ მართლწესრიგში ჩატარებულ სამართალწარმოებებს მთლიანად და, აგრეთვე, ზემოთ ხსენებული სასამართლოს როლს (*პრეტო და სხვები იტალიის წინააღმდეგ*, §27)⁹⁵⁶.

სტრასბურგის სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის 6.1 მუხლის დარღვევა და ყურადღება გაამახვილა პროცედურის ეტაპსა და სასამართლოების მიერ განხორციელებულ შემოწმებაზე- რომელიც შემოიფარგლებოდა მხოლოდ სამართლის საკითხებით, ასევე მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილების დადასტურებით, რაიმე ცვლილებების გარეშე. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ გადაწყვეტილების საჯაროდ გამოქვეყნების მოთხოვნა დაცული იყო, სადაც გადაწყვეტილების სრული ტექსტი, სასამართლოს კანცელარიისთვის გადაცემის გზით, ხელმისაწვდომი იყო ყველასთვის (იქვე, §§27-28) ან სადაც ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც საჯაროდ გამოცხადდა, ძალაში დარჩა ზეპირი მოსმენის გარეშე (*აქსენი გერმანიის წინააღმდეგ*, § 32)⁹⁵⁷.

- საქმის განმხილველი სასამართლო: სტრასბურგის სასამართლომ დარღვევა არ დაადგინა საქმეზე, სადაც სააპელაციო სასამართლომ საჯაროდ გამოაცხადა გადაწყვეტილება, სადაც შეჯამებული და ძალაში დატოვებული იყო პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება, სადაც გაიმართა საჯარო განხილვა, თუმცა გადაწყვეტილება საჯაროდ არ გამოცხადებულა (*ლამანა ავსტრიის წინააღმდეგ*, §§ 33-34)⁹⁵⁸.
- ბავშვის საცხოვრებლის განსაზღვრასთან დაკავშირებული საქმეები: ბავშვების და მხარეების პირადი ცხოვრების დაცვისა და მართლმსაჯულების ინტერესებისთვის ზიანის მიყენების თავიდან არიდების მიზნით, ეროვნულ

⁹⁵⁶ Pretto and Others v. Italy, 8 დეკემბერი 1983, § 27, Series A N 71;

⁹⁵⁷ Axen v. Germany, 8 დეკემბერი 1983, § 32, Series A N 72;

⁹⁵⁸ Lamanna v. Austria, N 28923/95, § 33-34, 10 ივლისი 2001;

ხელისუფლებას შეუძლია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული სამართალწარმოება დახურულად წარმართოს; გადაწყვეტილების საჯაროდ გამოცხადება, მეტწილად, შეუსაბამო იქნებოდა ზემოთ ჩამოთვლილ მიზნებთან. კონვენციის 6.1 მუხლის მოთხოვნა გადაწყვეტილებების საჯაროდ გამოქვეყნების თაობაზე შესრულებულია, როდესაც დაინტერესებულ მხარეს შეუძლია მოიპოვოს გადაწყვეტილების სრული ტექსტის ასლი და განსაკუთრებული ინტერესის მქონე გადაწყვეტილებები როგორც წესი ქვეყნდება და შესაბამისად, საზოგადოებას საშუალება ეძლევა, შეისწავლოს, სასამართლოებს რა მიდგომა აქვთ მსგავსი საქმეების მიმართ და რა პრინციპებს იყენებენ მათი გადაწყვეტისას (*ბ. და პ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 47)⁹⁵⁹.

330. ქვემოთ მოცემულ საქმეებში, გადაწყვეტილების საჯაროდ გამოუცხადებლობის გამო დადგინდა დარღვევა:

- მშობელსა და საჯარო დაწესებულებას შორის მიმდინარე დავაზე, ბავშვის საცხოვრებლის განსაზღვრასთან დაკავშირებით: იურიდიული ინტერესის მქონე პირთათვის საქმის მასალების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სპეციალური ინტერესის მქონე გადაწყვეტილებების (ძირითადად სააპელაციო ან უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების) გამოქვეყნება არ არის საკმარისი საჯაროობასთან დაკავშირებით კონვენციის 6.1 მუხლის დასაკმაყოფილებლად (*მოსერი ავსტრიის წინააღმდეგ*, §§ 102-03)⁹⁶⁰.
- პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა ზეპირი სხდომის გარეშე განიხილეს უკანონო პატიმრობის გამო კომპენსაციის საკითხი და გადაწყვეტილება არ გამოაცხადეს საჯაროდ, მისი საჯაროობა არც რაიმე სხვა საშუალებით უზრუნველყვეს (*ვერნერი ავსტრიის წინააღმდეგ*, §§ 56-60)⁹⁶¹.

331. როდესაც საჯაროდ ცხადდება გადაწყვეტილების მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი: უნდა შეფასდეს იყო თუ არა საზოგადოებისთვის სხვა საშუალებით ხელმისაწვდომი დასაბუთებული გადაწყვეტილება; თუ გადაწყვეტილება ხელმისაწვდომი იყო გამოკვლეულ უნდა იქნეს საჯაროობის ფორმა, რათა გადაწყვეტილება დაექვემდებაროს საზოგადოებრივ კონტროლს (*რიაკიბ ბირიუკოვი რუსეთის წინააღმდეგ*, §§38-46 და სხვა მითითებები §§33-36)⁹⁶². გამომდინარე იქედან,

⁹⁵⁹ B. and P. v. the United Kingdom, N 36337/97 და 35974/97, §47, ECHR 2001-III;

⁹⁶⁰ Moser v. Austria, N 12643/02, § 102-03, 21 სექტემბერი 2006;

⁹⁶¹ Werner v. Austria, 24 ნოემბერი 1997, § 56-60, Reports of Judgments and Decisions 1997-VII;

⁹⁶² Ryakib Biryukov v. Russia, N 14810/02, § 38-46, ECHR 2008;

რომ აპლიკანტის საჩივრის უარყოფის საფუძვლები საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი არ იყო, კონვენციის 6.1 მუხლის მიზანი არ იქნა მიღწეული (იქვე, § 45).

C. სამართალწარმოების ხანგრძლივობა

სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ... ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება ... დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

332. საქმის „გონივრულ ვადაში“ განხილვის მოთხოვნით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ხაზს უსვამს გაჭიანურების გარეშე მართლმსაჯულების განხორციელების მნიშვნელობას, რადგან საქმის გაჭიანურებამ შეიძლება საფრთხის ქვეშ დააყენოს მისი ეფექტიანობა და სანდოობა (*H. საფრანგეთის წინააღმდეგ*, § 58⁶³; *Katte Klitsche de la Grange იტალიის წინააღმდეგ*, §61⁶⁴). კონვენციის 6.1 მუხლი ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ავალდებულებს, სამართლებრივი სისტემები იმგვარად მოაწყონ, რომ სასამართლოებმა შეძლონ ამ მუხლით დადგენილი სხვადასხვა მოთხოვნის შესრულება.

333. სტრასბურგის სასამართლომ არაერთხელ გაუსვა ხაზი მართლმსაჯულების დროულად განხორციელების მნიშვნელობას, რათა ეჭვქვეშ არ დადგეს მისი ეფექტიანობა და სანდოობა (*სკორდინო იტალიის წინააღმდეგ* (N1) [დიდი პალატა], §224)⁶⁵. როდესაც სასამართლო მიიჩნევს, რომ „გონივრული ვადის“ მოთხოვნის დარღვევების მრავალი შემთხვევის შედეგად კონკრეტულ სახელმწიფოში არსებობს კონვენციასთან შეუსაბამო პრაქტიკა, ეს წარმოადგენს „კონვენციის 6.1 მუხლის დარღვევის დამამძიმებელ გარემოებას“ (*ბოტაჯი იტალიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], § 22⁶⁶; *სკორდინო იტალიის წინააღმდეგ* (N 1) [დიდი პალატა], § 225⁶⁷).

1. სამართალწარმოების ხანგრძლივობის განსაზღვრა

334. მოცემული პერიოდის ვადის ათვლა ჩვეულებრივ იწყება იმ მომენტიდან, როდესაც კომპეტენტური ორგანოს წინაშე სარჩელს წარადგენენ (*პოისი ავსტრიის*

⁶³ H. v. France, 24 ოქტომბერი 1989, § 58, Series A N 162-A;

⁶⁴ Katte Klitsche de la Grange v. Italy, 27 ოქტომბერი 1994, § 61, Series A N 293-B;

⁶⁵ Scordino v. Italy (N 1) [დიდი პალატა], N 36813/97, § 224, ECHR 2006-V;

⁶⁶ Bottazzi v. Italy [დიდი პალატა], N 34884/97, § 22, ECHR 1999-V;

⁶⁷ Scordino v. Italy (N 1) [დიდი პალატა], N 36813/97, § 225, ECHR 2006-V;

წინააღმდეგ, §50⁹⁶⁸; ბოკი გერმანიის წინააღმდეგ, §35⁹⁶⁹), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე საჩივრის წარდგენა სასამართლოში სარჩელის შეტანის წინაპირობაა, რა შემთხვევაშიც გონივრული ვადის ათვლა იწყება სავალდებულო ადმინისტრაციული პროცედურის დაწყების თარიღიდან (*კიონიგი გერმანიის წინააღმდეგ*, §98⁹⁷⁰; *X საფრანგეთის წინააღმდეგ*, §31⁹⁷¹; *კრესი საფრანგეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], § 90⁹⁷²).

335. შესაბამისად, გარკვეულ გარემოებებში, გონივრული ვადის ათვლა შეიძლება დაიწყოს მანამდე, სანამ საქმე განსახილველად პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაეცემა (*გოლდერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, § 32 in fine⁹⁷³; *ერკნერი და ჰოფაუერი ავსტრიის წინააღმდეგ*, §64⁹⁷⁴; *ვილიო ესკელინენი და სხვები ფინეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §65⁹⁷⁵). თუმცა, ეს გამონაკლისს წარმოადგენდა და, მაგალითად, დასაშვებია მაშინ, როცა სამართალწარმოების დასაწყებად გარკვეული ნაბიჯების გადადგმა საჭირო (*ბლეიკი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §40)⁹⁷⁶.

336. კონვენციის 6.1 მუხლი ასევე ვრცელდება პროცედურაზე, რომელიც მართალია არ გულისხმობს სასამართლოს წინაშე საქმის წარმოებას, თუმცა მეტწილად დაკავშირებულია სასამართლო ორგანოს მიერ ზედამხედველობის განხორციელებასთან. ამის მაგალითია, ქონების გაყოფის მიზნით ჩატარებული პროცედურა, რომელის ორი ნოტარიუსის წინაშე წარიმართა, თუმცა რომლის ბრძანებაც სასამართლომ გასცა (*სიგელი საფრანგეთის წინააღმდეგ*, §§33-38)⁹⁷⁷. შესაბამისად, გონივრული ვადის გამოთვლის დროს გათვალისწინებული იყო ნოტარიუსის წინაშე ჩატარებული პროცედურის ხანგრძლივობა.

337. გონივრული ვადის პერიოდი მოიცავს მთლიანად სადავო სამართალწარმოებას, მათ შორის გასაჩივრების პროცედურებსაც (*კიონიგი გერმანიის წინააღმდეგ*, §98 in fine)⁹⁷⁸ და ის ვრცელდება საბოლოო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (*პოისი*

⁹⁶⁸ Poiss v. Austria, 23 აპრილი 1987, § 50, Series A N 117;

⁹⁶⁹ Bock v. Germany, 29 მარტი 1989, § 35, Series A N 150;

⁹⁷⁰ König v. Germany, 28 ივნისი 1978, § 98, Series A N 27;

⁹⁷¹ X v. France, 31 მარტი 1992, § 31, Series A N 234-C;

⁹⁷² Kress v. France [დიდი პალატა], N 39594/98, § 90, ECHR 2001-VI;

⁹⁷³ Golder v. the United Kingdom, 21 თებერვალი 1975, § 32, Series A N 18;

⁹⁷⁴ Erkner and Hofauer v. Austria, 23 აპრილი 1987, § 64, Series A N 117;

⁹⁷⁵ Vilho Eskelinen and Others v. Finland [დიდი პალატა], N 63235/00, § 65, ECHR 2007-II;

⁹⁷⁶ Blake v. the United Kingdom, N 68890/01, § 40, 26 სექტემბერი 2006;

⁹⁷⁷ Siegel v. France, N 36350/97, §§33-38, ECHR 2000-XII;

⁹⁷⁸ König v. Germany, 28 ივნისი 1978, § 98, Series A N 27;

ავსტრიის წინააღმდეგ, § 50)⁹⁷⁹. აქედან გამომდინარე, გონივრული ვადის მოთხოვნა ვრცელდება სამართალწარმოების ყველა ეტაპზე და არ მთავრდება პირველი ინსტანციის მიერ გადაწყვეტილების მიღებით (*რობინსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §§ 28-29)⁹⁸⁰.

338. შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება სამართალწარმოების განუყოფელ ნაწილად მიიჩნევა გონივრული ვადის გამოთვლის მიზნებისთვის (*მარტინს მორეირა პორტუგალიის წინააღმდეგ*, §44⁹⁸¹; *სილვა პონტესი პორტუგალიის წინააღმდეგ*, § 33⁹⁸²; *დი პედე იტალიის წინააღმდეგ*, §24⁹⁸³). ვადის ათვლა არ წყდება სანამ სამართალწარმოების შედეგად მინიჭებული უფლება რეალურად ეფექტიანი არ გახდება (*ესტიმა იორგე პორტუგალიის წინააღმდეგ*, §§ 36-38)⁹⁸⁴.

339. საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე სამართალწარმოება მხედველობაში მიიღება, როდესაც მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს საქმის არსებითი მხარის გადასაწყვეტად არ აქვს იურისდიქცია, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებას შეუძლია გავლენის მოხდენა საერთო სასამართლოების წინაშე არსებული დავის შედეგზე (*დომელანდი გერმანიის წინააღმდეგ*, §77⁹⁸⁵; *პამელი გერმანიის წინააღმდეგ*, §§51-57⁹⁸⁶; *შუბმანი გერმანიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §39⁹⁸⁷). თუმცა, გონივრულ ვადაში საქმის განხილვის მოთხოვნა არ შეიძლება გაგებულ იქნას იმავე წესით, როგორც საერთო სასამართლოებისთვის (იქვე, §56; *ორშუში და სხვები ხორვატიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §109⁹⁸⁸).

340. და ბოლოს, რაც შეეხება სამოქალაქო სამართალწარმოებაში მესამე მხარის მონაწილეობას, უნდა მოხდეს შემდეგი განსხვავება: როდესაც აპლიკანტი ეროვნულ სამართალწარმოებაში ჩაერთო როგორც მხარე ვადის ათვლის პერიოდი იწყება ამ თარიღიდან, ხოლო როდესაც აპლიკანტი სამართალწარმოებას განაგრძობს როგორც

⁹⁷⁹ Poiss v. Austria, 23 აპრილი 1987, § 50, Series A N 117;

⁹⁸⁰ Robins v. the United Kingdom, 23 სექტემბერი 1997, §28-29, Reports of Judgments and Decisions 1997-V;

⁹⁸¹ Martins Moreira v. Portugal, 26 ოქტომბერი 1988, § 44, Series A N 143;

⁹⁸² Silva Pontes v. Portugal, 23 მარტი 1994, § 33, Series A N 286-A;

⁹⁸³ Di Pede v. Italy, 26 სექტემბერი 1996, § 24, Reports of Judgments and Decisions 1996-IV;

⁹⁸⁴ Estima Jorge v. Portugal, 21 აპრილი 1998, § 36-38, Reports of Judgments and Decisions 1998-II;

⁹⁸⁵ Deumeland v. Germany, 29 მაისი 1986, § 77, Series A N 100;

⁹⁸⁶ Pammel v. Germany, 1 ივლისი 1997, § 51-57, Reports of Judgments and Decisions 1997-IV;

⁹⁸⁷ Süßmann v. Germany, 16 სექტემბერი 1996, § 39, Reports of Judgments and Decisions 1996-IV;

⁹⁸⁸ Oršuš and Others v. Croatia [დიდი პალატა], N 15766/03, § 109, ECHR 2010;

მემკვიდრე, მას შეუძლია სადავოდ გახადოს მთლიანად სამართალწარმოების ხანგრძლივობა (*სკორდინო იტალიის წინააღმდეგ* (N 1) [დიდი პალატა], § 220)⁹⁸⁹.

2. გონივრული ვადის მოთხოვნის შეფასება

ა. პრინციპები

341. ხელშემკვრელი მხარეების ვალდებულება: მათ მოეთხოვებათ სამართლებრივი სისტემები იმგვარად მოაწიონ, რომ სასამართლოებს შეეძლოთ, უზრუნველყონ ყველას უფლება, რომ სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას მათ საქმეს გონივრულ ვადაში გადაწყვიტონ (*Comingersoll S.A. პორტუგალიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §24⁹⁹⁰; (*ლუპენი ბერძნული კათოლიკური სამრევლო და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], § 142⁹⁹¹).

342. კონკრეტული საქმის შეფასება: სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობის განსაზღვრა ხდება თითოეული საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (*ფრიდლენდერი საფრანგეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §43)⁹⁹², რამაც შეიძლება მთლიანი სამართალწარმოების შეფასება განაპირობოს (*ობერმეიერი ავსტრიის წინააღმდეგ*, §72⁹⁹³; *Comingersoll S.A. პორტუგალიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], § 23⁹⁹⁴).

343. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მთლიანი სამართალწარმოება (*კიონიგი გერმანიის წინააღმდეგ*, §98 in fine)⁹⁹⁵.

- მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა დაყოვნებები თავისთავად არ წარმოშობენ კონვენციის 6.1 მუხლის საფუძველზე განსახილველ საკითხს, როდესაც ისინი განიხილება ერთობლიობაში და კუმულაციურად, შეიძლება დაირღვეს გონივრული ვადის მოთხოვნა (*დომელანდი გერმანიის წინააღმდეგ*, §90)⁹⁹⁶.
- სამართალწარმოების კონკრეტულ ეტაპზე დაყოვნება შეიძლება დასაშვები იყოს, თუ სამართალწარმოების საერთო ხანგრძლივობა არ არის გადაჭარბებული (*პრეტო და სხვები იტალიის წინააღმდეგ*, §37)⁹⁹⁷.

⁹⁸⁹ Scordino v. Italy (N 1) [დიდი პალატა], N 36813/97, § 220, ECHR 2006-V;

⁹⁹⁰ Comingersoll S.A. v. Portugal [დიდი პალატა], N 35382/97, § 24, ECHR 2000-IV;

⁹⁹¹ Lupeni Greek Catholic Parish and Others v. Romania [დიდი პალატა], N 76943/11, § 142, ECHR 2016 (extracts);

⁹⁹² Frydlender v. France [დიდი პალატა], N 30979/96, § 43, ECHR 2000-VII;

⁹⁹³ Obermeier v. Austria, 28 ივნისი 1990, § 72, Series A N 179;

⁹⁹⁴ Comingersoll S.A. v. Portugal [დიდი პალატა], N 35382/97, § 23, ECHR 2000-IV;

⁹⁹⁵ König v. Germany, 28 ივნისი 1978, § 98, Series A N 27;

⁹⁹⁶ Deumeland v. Germany, 29 მაისი 1986, § 90, Series A N 100;

⁹⁹⁷ Pretto and Others v. Italy, 8 დეკემბერი 1983, § 37, Series A N 71;

- „დროის ხანგრძლივ პერიოდში... როდესაც სამართალწარმოება სტაგნაციას განიცდის” რაიმე ახსნა-განმარტების გარეშე, დაუშვებელია (*ბომარტინი საფრანგეთის წინააღმდეგ*, § 33)⁹⁹⁸.

344. კონვენციის 6.1 მუხლის გამოყენება საქმის წინასწარ განხილვაზე ან დროებით ღონისძიებაზე დამოკიდებულია იმაზე, არის თუ არა გარკვეული პირობები შესრულებული (*მიკალეფი მალტის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §§ 83-86)⁹⁹⁹.

345. სამართალწარმოების ხანგრძლივობის შეფასების დროს მხედველობაში არ მიიღება პროცედურა, რომელიც ეხება ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსთვის საკითხის განსახილველად გადაცემას (*პაფიტისი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ*, § 95¹⁰⁰⁰; *კუა პოირეზი საფრანგეთის წინააღმდეგ*, § 61¹⁰⁰¹).

346. თუ სახელმწიფომ გონივრული ვადის მოთხოვნის დარღვევისთვის დააწესა კომპენსაცია და აღნიშნულმა კომპენსაციამ, მთლიანობაში, აპლიკანტს არ ჩამოართვა „მსხვერპლის” სტატუსი კონვენციის 34-ე მუხლის მიზნებისთვის, ეს წარმოადგენს „დამამძიმებელ გარემოებას” კონვენციის 6.1 მუხლის კონტექსტში (*სკორდინო იტალიის წინააღმდეგ* (N 1) [დიდი პალატა], § 225)¹⁰⁰².

b. კრიტერიუმი

347. სამართალწარმოების ხანგრძლივობის დასაბუთება უნდა შეფასდეს სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილი შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით: საქმის სირთულე, მომჩივნის და შესაბამისი ორგანოების ქმედებები და რა სამართლებრივი სიკეთე დგას მომჩივნისთვის საფრთხის წინაშე (*კომინგერსოლი ს.ა. პორტუგალიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა]¹⁰⁰³, *ფრიდლენდერი საფრანგეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §43¹⁰⁰⁴; *სურმელი გერმანიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §128¹⁰⁰⁵; (*ლუპენი ბერძნული კათოლიკური სამრევლო და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §143¹⁰⁰⁶).

⁹⁹⁸ Beaumartin v. France, 24 ნოემბერი 1994, § 33, Series A N 296-B;

⁹⁹⁹ Micallef v. Malta [დიდი პალატა], N 17056/06, § 83-86, ECHR 2009;

¹⁰⁰⁰ Pafitis and Others v. Greece, 26 თებერვალი 1998, §95, Reports of Judgments and Decisions 1998-I;

¹⁰⁰¹ Koua Poirrez v. France, N 40892/98, § 61, ECHR 2003-X;

¹⁰⁰² Scordino v. Italy (N 1) [დიდი პალატა], N 36813/97, § 225, ECHR 2006-V;

¹⁰⁰³ Comingersoll S.A. v. Portugal [დიდი პალატა], N 35382/97, ECHR 2000-IV;

¹⁰⁰⁴ Frydlander v. France [დიდი პალატა], N 30979/96, §43, ECHR 2000-VII;

¹⁰⁰⁵ Sürmeli v. Germany [დიდი პალატა], N 75529/01, §128, ECHR 2006-VII;

¹⁰⁰⁶ Lupeni Greek Catholic Parish and Others v. Romania [დიდი პალატა], N 76943/11, §143, ECHR 2016 (extracts);

თუმცა, ის ფაქტი, რომ მთლიანობაში განხილულ "პინტო" პროცედურას არ გამოუწვევია მომჩივნისთვის "მსხვერპლის" სტატუსის დაკარგვა, წარმოადგენს "დამამძიმებელ გარემოებას" გონივრული ვადის გადაჭარბების გამო კონვენციის 6.1 მუხლის დარღვევის კონტექსტში.

i. საქმის სირთულე

348. საქმის სირთულე შეიძლება გამომდინარეობდეს როგორც ფაქტებიდან, ისე კანონიდან (*Katte Klitsche de la Grange* იტალიის წინააღმდეგ §55¹⁰⁰⁷;; *პაპაჩელასი საბერძნეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §39¹⁰⁰⁸). მაგალითად, საქმის სირთულე, შეიძლება დაკავშირებული იყოს საქმეში რამდენიმე მხარის ჩართვასთან (*H გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, §72)¹⁰⁰⁹ ან სხვადასხვა მოსაპოვებელ მტკიცებულებასთან (*ჰუმენი პოლონეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §63)¹⁰¹⁰.

349. ეროვნული სამართალწარმოების სირთულემ შეიძლება ახსნას სამართალწარმოების ხანგრძლივობა (*ტიერსი სან-მარინოს წინააღმდეგ*, §31)¹⁰¹¹. მაშინაც კი, თუ საქმე თავისთავად რთული არ არის, ეროვნული კანონმდებლობის ბუნდოვანებამ შეიძლება გაართულოს საქმის შესწავლა და ხელი შეუწყოს სამართალწარმოების ხანგრძლივობის გაზრდას ((*ლუპენი ბერძნული კათოლიკური სამრევლო და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §150)¹⁰¹².

ii. მომჩივნის ქმედება

350. კონვენციის 6.1 მუხლი არ მოითხოვს მომჩივნის აქტიურ თანამშრომლობას სასამართლო ორგანოებთან, აგრეთვე არ შეიძლება მათი დადანაშაულება ეროვნული კანონმდებლობით მათთვის ხელმისაწვდომი სამართლებრივი დაცვის საშუალებების სრულად გამოყენების გამო (*ერკნერი და ჰოფაუერი ავსტრიის წინააღმდეგ*, §68)¹⁰¹³.

351. დაინტერესებული პირი ვალდებულია მხოლოდ მასთან დაკავშირებული საპროცესო მოქმედებების განხორციელებაში დაემორჩილოს სასამართლოს

¹⁰⁰⁷ *Katte Klitsche de la Grange v. Italy*, 27 ოქტომბერი 1994, §55, Series A N 293-B;

¹⁰⁰⁸ *Papachelas v. Greece* [დიდი პალატა], N 31423/96, §39, ECHR 1999-II;

¹⁰⁰⁹ *H. v. the United Kingdom*, 8 ივლისი 1987, §72, Series A N 120;

¹⁰¹⁰ *Humen v. Poland* [დიდი პალატა], N 26614/95, §63, 15 ოქტომბერი 1999;

¹⁰¹¹ *Tierce v. San Marino*, N 69700/01, §31, ECHR 2003-VII;

¹⁰¹² *Lupeni Greek Catholic Parish and Others v. Romania* [დიდი პალატა], N 76943/11, §150, ECHR 2016 (extracts);

¹⁰¹³ *Erkner and Hofauer v. Austria*, 23 აპრილი 1987, §68, Series A N 117;

ბრძანებას, თავი შეიკავოს საქმის გაჭიანურებისგან და ისარგებლოს ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართალწარმოების შემცირების შესაძლებლობით (*Unión Alimentaria Sanders S.A. ესპანეთის წინააღმდეგ*, §35)¹⁰¹⁴.

352. მომჩივანთა ქმედება წარმოადგენს ობიექტურ ფაქტს, რომელიც არ შეიძლება მიეკუთვნოს მოპასუხე სახელმწიფოს და რომელიც უნდა იქნას გათვალისწინებული იმის გასარკვევად იყო თუ არა 6.1 მუხლით დადგენილი გონივრული ვადა დაცული (*პოისი ავსტრიის წინააღმდეგ*, §57¹⁰¹⁵, *კიეზინგერი ავსტრიის წინააღმდეგ*, §57¹⁰¹⁶, *ჰუმენი პოლონეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §66¹⁰¹⁷). მომჩივნის ქმედებები თავისთავად არ უნდა იქნეს გამოყენებული უმოქმედობის პერიოდის გასამართლებლად.

353. მომჩივნის ქმედებების რამდენიმე მაგალითი:

- მხარეთა მიერ თავიანთი პოზიციის წარსადგენად მზადყოფნის არარსებობამ შეიძლება ხელი შეუწყოს სამართალწარმოების გაჭიანურებას (*ვერნილო საფრანგეთის წინააღმდეგ*, §34)¹⁰¹⁸;
- წარმომადგენლის ხშირი/განმეორებითი ცვლა (*კიონიგი გერმანიის წინააღმდეგ*, §103)¹⁰¹⁹;
- შუამდგომლობები ან მოთხოვნები, რომლებიც გავლენას ახდენს სამართალწარმოების მიმდინარეობაზე (*აქუავივა საფრანგეთის წინააღმდეგ*, §61)¹⁰²⁰;
- მხარეებს შორის მორიგების მიღწევის მცდელობა (*პიზეტი იტალიის წინააღმდეგ*, §18¹⁰²¹; *ლაინო იტალიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §22¹⁰²²);
- შეცდომით სამართალწარმოების დაწყება იურისდიქციის არმქონე სასამართლოში (*ბომარტინი საფრანგეთის წინააღმდეგ*, §33)¹⁰²³;
- სადავო ქმედება, რომელსაც ადასტურებს მრავალი საჩივარი და სხვა განცხადებები (*პერიერა და სილვა პორტუგალიის წინააღმდეგ*, §§76-79)¹⁰²⁴.

¹⁰¹⁴ *Unión Alimentaria Sanders S.A. v. Spain*, 7 ივლისი 1989, §35, Series A N 157;

¹⁰¹⁵ *Poiss v. Austria*, 23 აპრილი 1987, §57, Series A N 117;

¹⁰¹⁶ *Wiesinger v. Austria*, 30 ოქტომბერი 1991, §57, Series A N 213;

¹⁰¹⁷ *Humen v. Poland* [დიდი პალატა], N 26614/95, §66, 15 ოქტომბერი 1999;

¹⁰¹⁸ *Vernillo v. France*, 20 თებერვალი 1991, §34, Series A N 198;

¹⁰¹⁹ *König v. Germany*, 28 ივნისი 1978, §103, Series A N 27;

¹⁰²⁰ *Acquaviva v. France*, 21 ნოემბერი 1995, §61, Series A N 333-A;

¹⁰²¹ *Pizzetti v. Italy*, 26 თებერვალი 1993, §18, Series A N 257-C;

¹⁰²² *Laino v. Italy* [დიდი პალატა], N 33158/96, §22, ECHR 1999-I;

¹⁰²³ *Beaumartin v. France*, 24 ნოემბერი 1994, §33, Series A N 296-B;

¹⁰²⁴ *Pereira da Silva v. Portugal*, N 77050/11, §§76-79, 22 მარტი 2016;

354. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ხელისუფლება ბრალდებულის ქმედებებზე არ შეიძლება იყოს პასუხისმგებელი, ერთ-ერთი მხარის მიერ გამოყენებული საქმის გაჭიანურების ტაქტიკა ხელისუფლებას არ ათავისუფლებს ვალდებულებისგან, უზრუნველყონ სამართალწარმოების გონივრულ ვადაში განხორციელება (*მინჩევა ბულგარეთის წინააღმდეგ*, §68)¹⁰²⁵.

iii. შესაბამისი ორგანოების ქცევა

355. მხოლოდ სახელმწიფოს მიერ გამოწვეულ დაყოვნებებს შეუძლიათ გაამართლონ „გონივრულ ვადაში“ საქმის განხილვის მოთხოვნის შეუსრულებლობა (*ბუჩჰოლცი გერმანიის წინააღმდეგ*, §49¹⁰²⁶; *პაპაგეორგიოუ საბერძნეთის წინააღმდეგ*, §40¹⁰²⁷; *ჰუმენი პოლონეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §66¹⁰²⁸). სახელმწიფოა პასუხისმგებელი ყველა მის ორგანოზე: არა მხოლოდ სასამართლო ორგანოებზე, არამედ ყველა საჯარო დაწესებულებაზე (*მარტინს მორეირა პორტუგალიის წინააღმდეგ*, §60¹⁰²⁹).

356. სამართლებრივ სისტემებშიც კი, როდესაც პროცედურული ინიციატივა მხარეებმა უნდა გამოთქვან, ამ უკანასკნელთა დამოკიდებულება არ გამორიცხავს სასამართლოების იმ ვალდებულებას, რომ უზრუნველყონ მე-6 მუხლი 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული სწრაფი გამოძიება (*პაფიტისი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ*, §93¹⁰³⁰; *ტიერსი სან მარინოს წინააღმდეგ*, §31¹⁰³¹; *სურმელი გერმანიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §129¹⁰³²).

357. იგივე ეხება იმ შემთხვევას, როდესაც საქმის წარმოებისას აუცილებელია ექსპერტის თანამშრომლობა: საქმის მომზადებასა და სასამართლო პროცესის დროულად წარმართვაზე პასუხისმგებლობა მოსამართლეს ეკისრება (*კაპუანო იტალიის წინააღმდეგ*, §§30-31¹⁰³³; *ვერსინი საფრანგეთის წინააღმდეგ*, §29¹⁰³⁴; *სურმელი გერმანიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §129¹⁰³⁵).

¹⁰²⁵ Mincheva v. Bulgaria, no. 21558/03, §68, 2 სექტემბერი 2010;

¹⁰²⁶ Buchholz v. Germany, 6 მაისი 1981, § 49, Series A N 42;

¹⁰²⁷ Papageorgiou v. Greece, 22 ოქტომბერი 1997, §40;

¹⁰²⁸ Humen v. Poland [დიდი პალატა], N 26614/95, § 66, 15 ოქტომბერი 1999

¹⁰²⁹ Martins Moreira v. Portugal, 26 ოქტომბერი 1988, § 60, Series A N 143;

¹⁰³⁰ Pafitis and Others v. Greece, 26 თებერვალი 1998, § 93;

¹⁰³¹ Tierce v. San Marino, N 69700/01, § 31, ECHR 2003-VII;

¹⁰³² Sürmeli v. Germany [დიდი პალატა], N 75529/01, § 129, ECHR 2006-VII;

¹⁰³³ Capuano v. Italy, 25 ივნისი 1987, § 30-31, Series A N 119

¹⁰³⁴ Versini v. France, N 40096/98, § 29, 10 ივლისი 2001

¹⁰³⁵ Sürmeli v. Germany [დიდი პალატა], N 75529/01, § 129, ECHR 2006-VII

358. მიუხედავად იმისა, რომ „გონივრულ ვადაში“ გადაწყვეტილების მიღების ვალდებულება ასევე ვრცელდება საკონსტიტუციო სასამართლოზე, არ შეიძლება იმავე გზით იქნეს განმარტებული როგორც საერთო სასამართლოებისთვის. საკონსტიტუციო სასამართლოსთვის, როგორც კონსტიტუციის „მცველისთვის“, განსაკუთრებულად აუცილებელია ზოგჯერ სხვა ფაქტორები გაითვალისწინოს ვიდრე ქრონოლოგიური თანმიმდევრობაა, რომლის მიხედვითაც საქმეები სიაშია შეტანილი, მაგალითად, როგორცაა საქმის ბუნება და მისი მნიშვნელობა პოლიტიკური და სოციალური თვალსაზრისით (შედარებისთვის *სუბმანი გერმანიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §§56-58¹⁰³⁶; *ვოგენრეიტერი გერმანიის წინააღმდეგ*, §§ 51-52¹⁰³⁷; *ორსუსი და სხვები ხორვარტიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §109¹⁰³⁸). კონვენციის მე-6 მუხლი მოითხოვს, რომ სასამართლო განხილვა დროული იყოს, მაგრამ იგი ასევე ხაზს უსვამს მართლმსაჯულების სათანადო ადმინისტრირების ზოგად პრინციპს (*ვონ მალტზანი და სხვები გერმანიის წინააღმდეგ (განჩინება)* [დიდი პალატა], §132¹⁰³⁹). მიუხედავად ამისა, სასამართლოს ქრონიკული გადატვირთულობა ვერ გაამართლებს სამართალწარმოების გაჭიანურებას (*პრობსტმეიერი გერმანიის წინააღმდეგ*, §64)¹⁰⁴⁰.

359. ვინაიდან, წევრი სახელმწიფოები ახდენენ სამართლის სისტემის ორგანიზებას ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლო გადაწყვეტილებების მიღება გონივრულ ვადაში, სასამართლოს უაღრესად გადატვირთულობა მხედველობაში ვერ იქნება მიღებული (*ვოკატურო იტალიის წინააღმდეგ*, §17¹⁰⁴¹; *კაპელო იტალიის წინააღმდეგ*, §17¹⁰⁴²). მიუხედავად ამისა, სასამართლოების დროებითი გადატვირთულობა, რაც განსახილველად დაგროვილი საქმეების რაოდენობითაა განპირობებული, არ წარმოადგენს ხელშემკვრელი სახელმწიფოს პასუხისმგებლობის დაყენების საფუძველს თუ ამ გამონაკლისი სიტუაციის გამოსასწორებლად შესაბამისი ზომები დროულად გატარდა (*ბუჩჰოლზი გერმანიის წინააღმდეგ*, §51)¹⁰⁴³. მეთოდები, რომლებიც შეიძლება განიხილებოდეს, როგორც საკითხის გადაჭრის დროებითი გზა, მოიცავს საქმეთა გადაწყვეტას კონკრეტული წესით, რომელიც ეფუძნება არა მხოლოდ სარჩელის შემოტანის თარიღს, არამედ მის მნიშვნელობასა და

¹⁰³⁶ Süßmann v. Germany, 16 სექტემბერი 1996, § 56-58;

¹⁰³⁷ Voggenreiter v. Germany, N 47169/99, § 51-52, ECHR 2004-I ;

¹⁰³⁸ Oršuš and Others v. Croatia [დიდი პალატა], N 15766/03, § 109, ECHR 2010;

¹⁰³⁹ Von Maltzan and Others v. Germany (განჩინება) [დიდი პალატა], N 71916/01, § 132, ECHR 2005-V;

¹⁰⁴⁰ Probstmeier v. Germany, 1 ოვლისი 1997, § 64;

¹⁰⁴¹ Vocaturo v. Italy, 24 მაისი 1991, § 17, Series A N 206-C;

¹⁰⁴² Cappello v. Italy, 27 თებერვალი 1992, § 17, Series A N 230-F;

¹⁰⁴³ Buchholz v. Germany, 6 მაისი 1981, § 51, Series A N 42;

დროულად განხილვის საჭიროებას, აგრეთვე, თუ რა სამართლებრივი სიკეთე დგას დავის მხარეებისთვის საფრთხის წინაშე. თუმცა, თუ ასეთი მდგომარეობა გრძელდება და ხდება სტრუქტურული მოწესრიგების საკითხი, მსგავსი მეთოდები აღარ არის საკმარისი და სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ეფექტური ზომების მიღება (*ზიმერმანი და სტეინერი შვეიცარიის წინააღმდეგ*, §29¹⁰⁴⁴; *გუინჩო პორტუგალიის წინააღმდეგ*, §40¹⁰⁴⁵). ის ფაქტი, რომ ასეთი სიტუაციები საყოველთაო გახდა, არ ამართლებს სამართალწარმოების გადაჭარბებულ ხანგრძლივობას (*Unión Alimentaria Sanders S.A ესპანეთის წინააღმდეგ*, §40)¹⁰⁴⁶.

360. უფრო მეტიც, რეფორმის გატარება, რომელიც მიზნად ისახავს საქმის განხილვის დაჩქარებას, ვერ გაამართლებს დაყოვნებას, რადგან სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება მოახდინონ ასეთი ზომების იმპლემენტაცია ისე, რომ თავიდან იქნეს აცილებული მიმდინარე საქმეთა განხილვის გაჭიანურება (*ფისანოტი იტალიის წინააღმდეგ*, §22)¹⁰⁴⁷. სახელმწიფოების მიერ, სამართალწარმოების გაჭიანურების თავიდან არიდების ან გამოსწორების მიზნით, წარმოდგენილი შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის საშუალებების ადეკვატურობა, უნდა შეფასდეს სასამართლოს მიერ დადგენილი პრინციპების გათვალისწინებით (*სკორდინო იტალიის წინააღმდეგ* (N1) [დიდი პალატა], §§ 178 და 223)¹⁰⁴⁸.

361. გონივრული ვადის მოთხოვნის შეუსრულებლობაზე სახელმწიფოს დაეკისრა პასუხისმგებლობა საქმეზე, სადაც მომჩივნის ფსიქიკური მდგომარეობის კვლევას სამართალწარმოების დიდი დრო დაეთმო. ეროვნულ სასამართლოებს კვლავ ეჭვი ეპარებოდათ მომჩივნის მდგომარეობასთან დაკავშირებით, მიუხედავად ხუთი დასკვნის არსებობისა, რომლებიც ადასტურებდნენ მომჩივნის ფსიქიკურ მდგრადობას; უფრო მეტიც, სასამართლო პროცესი დაახლოებით ცხრა წელი გრძელდებოდა (*ბოკი გერმანიის წინააღმდეგ*, §47)¹⁰⁴⁹.

362. ადვოკატთა ასოციაციის წევრების გაფიცვას თავისთავად არ შეუძლია „გონივრული ვადის“ მოთხოვნასთან დაკავშირებით სახელმწიფოს დააკისროს პასუხისმგებლობა; თუმცა, გონივრული ვადის მოთხოვნის შესრულების განხილვის დროს, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, გამოავლინა თუ არა სახელმწიფომ

¹⁰⁴⁴ Zimmermann and Steiner v. Switzerland, 13 ივლისი 1983, § 29, Series A N 66;

¹⁰⁴⁵ Guincho v. Portugal, 10 ივლისი 1984, § 40, Series A N 81;

¹⁰⁴⁶ Unión Alimentaria Sanders S.A. v. Spain, 7 ივლისი 1989, § 40, Series A N 157;

¹⁰⁴⁷ Fisanotti v. Italy, 23 აპრილი 1998, § 22;

¹⁰⁴⁸ ordino v. Italy (N 1) [დიდი პალატა], N 36813/97, § 178 და 223, ECHR 2006-V;

¹⁰⁴⁹ Bock v. Germany, 29 მარტი 1989, § 47, Series A N 150;

ძალისხმევა გაჭიანურების თავიდან ასარიდებლად (*პაპაგეორგიოუ საბერძნეთის წინააღმდეგ*, §47)¹⁰⁵⁰.

363. როდესაც, მოსამართლეთა განმეორებითი ცვლილებები ანელებს სამართალწარმოებას, რადგან თითოეული მოსამართლე თავიდან იწყებს საქმის გაცნობას, ეს ვერ გამოორიცხავს სახელმწიფოს ვალდებულებას გონივრულ ვადასთან მიმართებით, ვინაიდან სახელმწიფოს ამოცანაა უზრუნველყოს მართლმსაჯულების ადმინისტრირების სათანადო ორგანიზება (*ლეჩნერი და ჰესი ავსტრიის წინააღმდეგ*, §58)¹⁰⁵¹.

364. მიუხედავად იმისა, რომ სტრასბურგის სასამართლოს ფუნქცია არ არის გაანალიზოს ის წესი, რომლის მიხედვითაც ეროვნული სასამართლოები განმარტავენ და იყენებენ ეროვნულ კანონმდებლობას, ის მაინც მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილებები რომლებიც აუქმებენ წინა დასკვნებ, ძირითადად ქვემდგომი სასამართლოების მიერ დაშვებული შეცდომებით არის გამოწვეული და ასეთი გადაწყვეტილების გამეორებამ შეიძლება გამოიწვიოს მართლმსაჯულების სისტემის ხარვეზი (*ლუპენი ბერძნული კათოლიკური სამრევლო და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §147)¹⁰⁵².

iv. დავის ფარგლებში რა სამართლებრივი სიკეთე დგას საფრთხის წინაშე

365. ისეთი კატეგორიის საქმეების მაგალითები, რომლებიც თავისი არსიდან გამომდინარე საჭიროებენ სასამართლოში დაჩქარებულ განხილვას:

- განსაკუთრებული გულმოდგინება არის საჭირო ისეთი საქმეების შესწავლისას, რომელიც ეხება სამოქალაქო სტატუსსა და ქმედუნარიანობას (*ბოკი გერმანიის წინააღმდეგ*, §49¹⁰⁵³; *ლაინო იტალიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §18¹⁰⁵⁴, *მიკულიჩი ხორვატიის წინააღმდეგ*, §44¹⁰⁵⁵).
- ბავშვთა მეურვეობის საქმეები სწრაფად უნდა იქნეს განხილული (*ჰოკანენი ფინეთის წინააღმდეგ*, §72¹⁰⁵⁶; *ნიდერბოსტერი გერმანიის წინააღმდეგ*, §39¹⁰⁵⁷), დროის ხანგრძლივობის გაჭიანურებამ შეიძლება გამოიწვიოს შეუქცევადი

¹⁰⁵⁰ Papageorgiou v. Greece, 22 ოქტომბერი 1997, § 47;

¹⁰⁵¹ Lechner and Hess v. Austria, 23 აპრილი 1987, § 58, Series A N 118;

¹⁰⁵² Lupeni Greek Catholic Parish and Others v. Romania [დიდი პალატა], N 76943/11, § 147;

¹⁰⁵³ Bock v. Germany, 29 მარტი 1989, §49, Series A N 150;

¹⁰⁵⁴ Laino v. Italy [დიდი პალატა], N 33158/96, §18, ECHR 1999-I;

¹⁰⁵⁵ Mikulić v. Croatia, N 53176/99, §44, ECHR 2002-I;

¹⁰⁵⁶ Hokkanen v. Finland, 23 სექტემბერი 1994, §72, Series A N 299-A;

¹⁰⁵⁷ Niederböster v. Germany, N 39547/98, §39, ECHR 2003-IV (extracts);

შედეგები მშობლისა და შვილის ურთიერთობაში (*ციკაკისი გერმანიის წინააღმდეგ*, §§64 და 68)¹⁰⁵⁸ - ასევე, განსაკუთრებული გულმოდგინებით სჭირდება შესწავლა იმ საქმეებს, რომლებიც ეხება მშობლის პასუხისმგებლობასა და საკონტაქტო უფლებებს (*პოლსენ-მედალენი და სვენსონი შვედეთის წინააღმდეგ*, §39¹⁰⁵⁹; *ლაინო იტალიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §22¹⁰⁶⁰).

შრომითი დავები მათი არსის გათვალისწინებით საჭიროებენ სწრაფად გადაწყვეტას (*ვოკატურო იტალიის წინააღმდეგ*, §17¹⁰⁶¹; *რუოტოლო იტალიის წინააღმდეგ*, §17¹⁰⁶²) - ეხება თუ არა დავის ფარგლებში საფრთხის წინაშე მდგომი სამართლებრივი სიკეთე თავისუფალ პროფესიას (*თლიმენოსი საბერძნეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §§60-62)¹⁰⁶³, მომჩივნის მთელ პროფესიულ ხელფასს (*კიონიგი გერმანიის წინააღმდეგ*, §111)¹⁰⁶⁴, მომჩივნის საქმიანობის გაგრძელებას (*გარსია საფრანგეთის წინააღმდეგ*, §14)¹⁰⁶⁵, გათავისუფლების წინააღმდეგ საჩივრით მიმართვას (*ბუჩჰოლცი გერმანიის წინააღმდეგ*, §52¹⁰⁶⁶; *ფრიდლენდერი საფრანგეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §45¹⁰⁶⁷), მომჩივნის თანამდებობიდან გათავისუფლებას (*ობერმეიერი ავსტრიის წინააღმდეგ*, §72)¹⁰⁶⁸, გადაყვანას (*სარტორი საფრანგეთის წინააღმდეგ*, §34)¹⁰⁶⁹ ან აღდგენას (*რუოტოლო იტალიის წინააღმდეგ*, §117)¹⁰⁷⁰ ან სადაც მოთხოვნის მოცულობას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს მომჩივნისთვის (*დუსტალი საფრანგეთის წინააღმდეგ*, §48)¹⁰⁷¹. ეს კატეგორია მოიცავს საპენსიო დავებსაც (*ბორგეზი იტალიის წინააღმდეგ*, §18)¹⁰⁷².

- სახელისუფლებო ორგანოებისგან საჭიროა განსაკუთრებული გულმოდგინება ისეთ საქმეში, სადაც მომჩივანს აქვს „განუკურნებელი დაავადება“ და „სიცოცხლის ხანგრძლივობა შემცირებული“ (*X საფრანგეთის წინააღმდეგ*,

¹⁰⁵⁸ Tsikakis v. Germany, N 1521/06, §§64 და 68, 10 თებერვალი 2011;

¹⁰⁵⁹ Paulsen-Medalen and Svensson v. Sweden, 19 თებერვალი 1998, §39, Reports of Judgments and Decisions 1998-I;

¹⁰⁶⁰ Laino v. Italy [დიდი პალატა], N 33158/96, §22, ECHR 1999-I;

¹⁰⁶¹ Vocaturo v. Italy, 24 მაისი 1991, §17, Series A N 206-C;

¹⁰⁶² Ruotolo v. Italy, 27 თებერვალი 1992, §17, Series A N 230-D;

¹⁰⁶³ Thlimmenos v. Greece [დიდი პალატა], N 34369/97, §§60-62, ECHR 2000-IV;

¹⁰⁶⁴ König v. Germany, 28 ივნისი 1978, §111, Series A N 27;

¹⁰⁶⁵ Garcia v. France, N 41001/98, §14, 26 სექტემბერი 2000;

¹⁰⁶⁶ Buchholz v. Germany, 6 მაისი 1981, §52, Series A N 42;

¹⁰⁶⁷ Frydlander v. France [დიდი პალატა], N 30979/96, §45, ECHR 2000-VII;

¹⁰⁶⁸ Obermeier v. Austria, 28 ივნისი 1990, §72, Series A N 179;

¹⁰⁶⁹ Sartory v. France, N 40589/07, §34, 24 სექტემბერი 2009;

¹⁰⁷⁰ Ruotolo v. Italy, 27 თებერვალი 1992, §117, Series A no. 230-D;

¹⁰⁷¹ Doustaly v. France, 23 აპრილი 1998, §48, Reports of Judgments and Decisions 1998-II;

¹⁰⁷² Borgese v. Italy, 26 თებერვალი 1992, §18, Series A N 228-B;

§47¹⁰⁷³; *პაილოტი საფრანგეთის წინააღმდეგ*, §68¹⁰⁷⁴; *A და სხვები დანიის წინააღმდეგ*, §§78-81¹⁰⁷⁵).

366. სხვა პრეცედენტები:

- შესაბამის სასამართლო ორგანოებს განსაკუთრებული გულმოდგინება მოეთხოვებათ ისეთი საჩივრების გამოკვლევისას, რომლებიც შეტანილია იმ პირის მიერ, რომელიც პოლიციელებს მის მიმართ ძალადობაში ადანაშაულებს (*კალოკი საფრანგეთის წინააღმდეგ*, §120)¹⁰⁷⁶.
- იმ შემთხვევაში, როდესაც მომჩივნის რესურსების დიდ ნაწილს წარმოადგენდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის განსაზღვრული პენსია, ეროვნული ხელისუფლების ორგანოებს განსაკუთრებული გულმოდგინება მართებათ მომჩივნის მიერ დაწყებულ სამართალწარმოებასთან დაკავშირებით, რომლითაც ის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების საფუძველზე პენსიის გაზრდას ცდილობდა (*მოკიე საფრანგეთის წინააღმდეგ*, §22)¹⁰⁷⁷.
- საქმეში, რომელიც ეხებოდა 65 წლის მომჩივნის მიერ განცდილი ზიანის გამო ანაზღაურების შესახებ სამართალწარმოებას, საფრთხის წინაშე არსებული სამართლებრივი სიკეთე მოითხოვდა ეროვნული ხელისუფლების ორგანოების მხრიდან განსაკუთრებულ გულმოდგინებას (*კოდარკეა რუმინეთის წინააღმდეგ*, §89)¹⁰⁷⁸.
- დავის ფარგლებში მომჩივნისთვის საფრთხის წინაშე არსებული სამართლებრივი სიკეთე, შეიძლება ასევე იყოს განათლების უფლება (*ორშუში და სხვები ხორვატიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], §109)¹⁰⁷⁹.

c. სააღსრულებო სამართალწარმოება

367. სამოქალაქო სამართალწარმოების საქმეებში, აღსრულების საქმის წარმოება საქმის არსებითი მხარის განხილვის შემდეგი ეტაპია; სამართალწარმოების შედეგად დადგენილი უფლება აღსრულებამდე ვერ გახდება ეფექტიანი (*დი პედე იტალიის*

¹⁰⁷³ X v. France, 31 მარტი 1992, §47, Series A N 234-C;

¹⁰⁷⁴ Pailot v. France, 22 აპრილი 1998, §68, Reports of Judgments and Decisions 1998-II;

¹⁰⁷⁵ A. and Others v. Denmark, 8 თებერვალი 1996, §§78-81, Reports of Judgments and Decisions 1996-I;

¹⁰⁷⁶ Caloc v. France, N 33951/96, §120, ECHR 2000-IX;

¹⁰⁷⁷ Mocie v. France, N 46096/99, §22, 8 აპრილი 2003;

¹⁰⁷⁸ Codarcea v. Romania, N 31675/04, §89, 2 ივნისი 2009;

¹⁰⁷⁹ Oršuš and Others v. Croatia [დიდი პალატა], N 15766/03, §109, ECHR 2010;

წინააღმდეგ, §§22-26¹⁰⁸⁰; ზაპია იტალიის წინააღმდეგ, §§18-22¹⁰⁸¹). შესაბამისად, სავალდებულო გადაწყვეტილების აღსრულების არაგონივრულად გაჭიანურება კონვენციის დარღვევას წარმოადგენს (*ბურდოვი რუსეთის წინააღმდეგ* (N 2), §66)¹⁰⁸².

368. სააღსრულებო სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობა უნდა განისაზღვროს სხვადასხვა კრიტერიუმის გათვალისწინებით, რაც მოიცავს მათ სირთულეს, მომჩივნისა და შესაბამისი ხელისუფლების ორგანოების ქმედებას, აგრეთვე სასამართლოს მიერ მიკუთვნებული კომპენსაციის ბუნებასა და ოდენობას (*ვასილჩენკო რუსეთის წინააღმდეგ*, § 48)¹⁰⁸³.

369. მიუხედავად იმისა, რომ სტრასბურგის სასამართლო მხედველობაში იღებს აღსრულებისთვის ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ საპროცესო ვადებს, მათი შეუსრულებლობა ავტომატურად არ იწვევს კონვენციის დარღვევას. ზოგიერთი დაყოვნება შეიძლება გამართლებული იყოს კონკრეტულ გარემოებებში, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, აღნიშნულმა დაგვიანებამ ზიანი არ უნდა მიაყენოს კონვენციის 6.1 მუხლით დაცული უფლების არსს. ამრიგად, სტრასბურგის სასამართლომ გადაწყვეტილებაში საქმეზე *ბურდოვი რუსეთის წინააღმდეგ* (N 2)¹⁰⁸⁴ დაადგინა, რომ ექვსი თვის განმავლობაში გადაწყვეტილების აღსრულებლობა თავისთავად არ იყო არაგონივრული (§ 85), ხოლო საქმეზე *მოროკო რუსეთის წინააღმდეგ* მიიჩნია, რომ ხელისუფლების ორგანოების მიერ საერთო ჯამში ცხრა თვის განმავლობაში გადაწყვეტილების აღსრულებლობა, კონვენციის მიხედვით, არ იყო მიზანშეუწონელი (§ 43). თუმცა, უნდა აღინიშნოს, ეს მოსაზრებები არ გულისხმობს, რომ სამართალწარმოება მთლიანობაში არ უნდა იქნეს განხილული ზემოთ ხსენებული კრიტერიუმისა და სხვა შესაბამისი გარემოებების გათვალისწინებით (*ბურდოვი რუსეთის წინააღმდეგ* (N 2), § 67)¹⁰⁸⁵.

370. გადაწყვეტილებაში საქმეზე *გერასიმოვი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ*¹⁰⁸⁶ (§§168-74) სტრასბურგის სასამართლომ განაცხადა, რომ თუ აღსასრულებელი გადაწყვეტილება საჯარო ხელისუფლებისგან მოითხოვდა მომჩივნისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე კონკრეტული ნაბიჯის გადადგმას (მაგალითად, რადგან ის გავლენას ახდენდა აპლიკანტის საცხოვრებელ პირობებზე) ექვს თქვეზე მეტი ხნის

¹⁰⁸⁰ Di Pede v. Italy, 26 სექტემბერი 1996, § 22-26, Reports of Judgments and Decisions 1996-IV;

¹⁰⁸¹ Zappia v. Italy, 26 სექტემბერი 1996, §18-22, Reports of Judgments and Decisions 1996-IV;

¹⁰⁸² Burdov v. Russia (N 2), N 33509/04, § 66, ECHR 2009;

¹⁰⁸³ Vasilchenko v. Russia, N 34784/02, § 48, 23 სექტემბერი 2010;

¹⁰⁸⁴ Burdov v. Russia (N 2), N 33509/04, ECHR 2009;

¹⁰⁸⁵ იქვე, § 67;

¹⁰⁸⁶ Gerasimov and Others v. Russia, N 29920/05 და 10 სხვა, 1 ივლისი 2014;

განმავლობაში გადაწყვეტილების აღუსრულებლობა დაარღვევდა კონვენციით გათვალისწინებულ განსაკუთრებული გულმოდგინების მოთხოვნას.

371. რაც შეეხება ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ საკომპენსაციო სამართლებრივ დაცვის საშუალებას, რომელიც მიზნად ისახავს გაჭიანურებული სამართალწარმოების უარყოფითი შედეგების გამოსწორებას, კომპენსაციის გადახდისთვის დათმობილმა დრომ ზოგადად არ უნდა გადააჭარბოს ექვსი თვის ვადას იმ დღიდან, როდესაც გადაწყვეტილება ძალაში შევიდა (*კოჩიარელა იტალიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], § 89)¹⁰⁸⁷.

¹⁰⁸⁷ *Cocchiarella v. Italy* [დიდი პალატა], N 64886/01, § 89, ECHR 2006-V;